

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის
ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Institute of General and Comparative Literary Studies

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია

Georgian Comparative Literature Association

სჯანი

ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი

ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში

Sjani

Annual Scholarly Journal of Literary Theory and Comparative Literature

UDC (უაკ) 821.353.1.0(051.2)
ს-999

რედაქტორი

ირმა რატიანი

სარედაქციო კოლეგია

თამარ ბარბაქაძე (საქართველო)
ლევან ბრეგაძე (საქართველო)
რუტა ბრუზგიენე (ლიტვა)
მაია ბურიმა (ლატვია)
რაჰილა გაიბულაევა (აზერბაიჯანი)
თეიმურაზ დოიაშვილი (საქართველო)
მაკა ელბაკიძე (საქართველო)
ანეტა ვერბერგერი (გერმანია)
ირაკლი კენჭოშვილი (საქართველო)
რუდოლფ კროიტნერი (გერმანია)
გაგა ლომიძე (საქართველო)
თამარ ლომიძე (საქართველო)
მანფრედ შმელინგი (გერმანია)
ბელა წიფურია (საქართველო)

პასუხისმგებელი მდივანი

სოლომონ ტაბუცაძე

სჟანი 18, 2017, მაისი

რედაქციის მისამართი:
საქართველო,
თბილისი 0108,
მ. კოსტავას ქ. 5
ტელ.: (+995 32) 2 99-63-84
ფაქსი: (+995 32) 2 99-53-00
www.litinstitutu.ge
E-mail: litinstitutu@yahoo.com

Editor

Irma Ratiani

Editorial Board

Tamar Barbakadze (Georgia)
Levan Bregadze (Georgia)
Rūta Brūzgienė (Lithuania)
Maja Burima (Latvia)
Rahilya Geybullayeva (Azerbaijan)
Teimuraz Doiashvili (Georgia)
Maka Elbakidze (Georgia)
Annette Werberger (Germany)
Irakli Kenchoshvili (Georgia)
Rudolf Kreutner (Germany)
Gaga Lomidze (Georgia)
Tamar Lomidze (Georgia)
Manfred Schmeling (Germany)
Bela Tsipuria (Georgia)

Responsible Editor

Solomon Tabutsadze

Sjani 18, 2017, May

Address:
Georgia,
Tbilisi 0108,
M. Kostava St. 5
Tel.: (+995 32) 2 99-63-84
Fax: (+995 32) 2 99-53-00
www.litinstitutu.ge
E-mail: litinstitutu@yahoo.com

© თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
© კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA)
ISSN 1512-2514

პოზიცია	Position
თეიმურაზ დოიაშვილი აკაკის „გამზრდელი“ და განმანათლებლობის პარადიგმა	7 Teimuraz Doiashvili <i>Gamzrdeli by Akaki Tsereteli and the Paradigm of Enlightenment</i>
ლიტერატურის თეორიის პრობლემები	Problems of Literary Theory
ივანე ამირხანაშვილი მინიმალიზმი როგორც პრაქტიკული საჭიროება (მეტაფრასტიდან სვინაქსარამდე)	25 Ivane Amirkhanashvili <i>Minimalism as Practical Necessity (from Metaphraste to Synaxarion)</i>
მარია არპენტიევა პოეტური ფსიქოთერაპია კრიზისული დახმარების პრაქტიკაში	32 Arpentieva, M. R. <i>Poetry Psychotherapy in the Practice of Crisis Assistance</i>
ლევან ბრეგაძე რეზო ყარალაშვილი – ლიტერატურის თეორეტიკოსი (რეცეფციული ესთეტიკა)	54 Levan Bregadze <i>Reso Karalashvili – Literary Theoretician (Reader-response criticism)</i>
პოეტიკური პრაქტიკები	Poetical Practices
თამაზ ვასაძე ბარათაშვილის პოეზიის ანტითეზები	64 Tamaz Vasadze <i>Antitheses in Baratashvili's Poetry</i>
კონსტანტინე ბრეგაძე ნიკოლოზ ბარათაშვილი და გერმანული რომანტიზმი	77 Konstantine Bregadze <i>Nikoloz Baratashvili and German Romantizism</i>
თემურ კობახიძე დროისა და სივრცის აგებულება ფოლკნერის მოთხრობაში „ვარდი ემილისათვის“	110 Temur Kobakhidze <i>The Structure of Time and Space in William Faulkner's “A Rose for Emily”</i>

მაკა ელბაკიძე
Homme თუ Femme
(შუასაუკუნეების რაინდული
რომანის მაგალითზე)

ოლგა სმოლნიცკაია
თამაშის მოტივი და ეროვნული
სათამაშოს სიმბოლიკა
ბრაზილიაში მცხოვრები
უკრაინელი მწერლის – ვერა
ვოვკის რჩეულ ნაწარმოებებში,
როგორც უკრაინული მაგიური
რეალიზმის ნიმუში

თამარ პაიჭაძე
„ზაუმი“ – ლინგვისტური
ექსპერიმენტიდან
არტტენდენციისაკენ

ლიტერატურისმცოდნეობის ქრესტომათია

იური ლოტმანი
კულტურათა და ლიტერატურათა
ურთიერთობის თეორიისათვის
(სემიოტიკური ასპექტი)

ლექსმცოდნეობა

თამარ ბარბაქაძე
მყარი სალექსო ფორმები
გაბრიელ ჯაბუშანურის
პოეზიაში

ფილოლოგიური ძიებანი

ჰაიატე სოტომე
„მგ ზავრის წერილების“ პაროდია
და ირონია პოსტკოლონიალური
თვალსაზრისით

130 Maka Elbakidze
Homme or Femme
(*On the basis of medieval
chivalry romances*)

142 Smolnytska Olga
*The Motive of the Game and
the Symbols of the National
toy in the Selected Works by
the Ukrainian Woman Writer
in Brazil – ViraVovk as an
Example of the Ukrainian
Magical Realism*

151 Tamar Paichadze
*Zaum – from Linguistic
Experiments to Art-Trend*

Chrestomathy of Literary Theory

169 Yuri Lotman
*To the Theory of Cultural and
Literary Relations (Semiotical
aspects)*

Theory of Poetry

178 Tamar Barbakadze
*Fixed Verse Forms in Gabriel
Jabushanuri's Poetry*

Philological Researches

197 Hayate Sotome
*Parody and Irony of "Letters of
Traveler" from the Postcolonial
Point of View*

თამარ ციციშვილი
ირინე მოდებაძე

*ქართული მწერლობის
სისტემური შესწავლის
ისტორიიდან
(ვახტანგ კოტეტიშვილი,
მიხეილ ზანდუკელი)*

**209 Tamar Tsitsishvili,
Irine Modebadze**

*From the History of Systematic
Study of Georgian Literature
(Vakhtang Kotetishvili and
Mikheil Zandukeli)*

**ირმა რატიანი, ალექსანდრე
სტროევი, რუსუდან თურნავა,
გაგა ლომიძე**

*ფრანგული კულტურისა და
ლიტერატურის რეფლექსია
მე-17-მე-20 საუკუნის
დასაწყისის ქართულ
კულტურულ სივრცეში*

**224 Irma Ratiiani, Alexandre Stroev
Rusudan Turnava, Gaga Lomidze**

*The Reflection of French Culture
and Literature in the
Georgian Cultural Space of
17th and Early 20th Centuries*

ინტერპრეტაცია

Interpretation

საბარ სულთან

*კრეატიული მწერლები და მათი
ღვთიური ინსპირაციის მოხმობა*

237 Sabbar S. Sultan

*Creative Writers and their
Invocation of Divine Inspiration*

ნ. ეგოროვა, ა. დროზი

*ფანტასტიკური სამყაროს
რეპრეზენტაცია
ინგლისურენოვან
ლიტერატურაში*

250 Yahorava, N. A., Drozd, A. V.

*Representation of the Fantastic
World in English-Language
Literature*

კრიტიკული დისკურსი

Critical Discourse

ნონა კუპრეიშვილი

*ეკონომიკური პრობლემები XX
ს. დასაწყისის ქართული სოციო-
კულტურული დინამიკის ჭრილში
(გერონტი ქიქოძე – მზერის
გადანაცვლება)*

267 Nona Kupreishvili

*Economical Problems in the
focus of Georgian Socio-cultural
Dynamics of the Beginning of
20th Century
(Geronti Kikodze)*

კულტურის პარადიგმები

Paradigms of Culture

რუტა ბრუზგიენე

*ლიტერატურის მუსიკალურობა
და სინესთეზია:
მ. კ. ჩიურლიონისის „წერილები
დევდორაკელის“*

279 Rūta Brūzgienė

*Musicality of Literature and
Synaesthesia: “Letters to
Devdorakelis” [“Laiškai
Devdorakėliui”] by
M. K. Čiurlionis*

**ფოლკლორისტიკა –
თანამედროვე კვლევები**

ელენე გოგიაშვილი

აღმოსავლური ზღაპრების
კრებულები ევროპაში:
არაბული ლამეების
ლიტერატურული და ხალხური
ვერსიები

Memoria

ირმა რატიანი

კაი ყმა

მხატვრული ნაწარმოების
სტილისტური ანალიზისთვის
(ფრაგმენტი პროფესორ თენგიზ
კიკაჩიშვილის ლექციიდან)

გამოხმაურება, რეცენზია

ლევან ბრეგაძე

ქართული მწერლობა მსოფლიო
ლიტერატურის კონტექსტში

ემზარ კვიციანი

„სხვა საუკუნე გალაკტიონის“
(გალაკტიონ ტაბიძის თხუთმეტ-
ტომეულის ხუთი ტომის გამო)

გაგა ლომიძე

ქართული ლიტერატურული
რუკის ხელახალი ფორმირება.
ბოლშევიზმი და ქართული
ლიტერატურა

ახალი წიგნები

მოამზადა **გაგა ლომიძემ**

**Folkloristics –
the Modern Researches**

295 Elene Gogiasvili

*Oriental Tales in Europe:
Literary and Oral Versions of
Arabian Nights*

Memoria

310 Irma Ratiiani

Kai Kma

313 *To the Stylistic Analyses of the
Text (Fragments from professor
Tengiz Kikacheishvili's lecture)*

Reviews, Comments

315 Levan Bregadze

*Georgian Writing in the Context
of World Literature*

325 Emzar Kvitaishvili

*“Another Century of Galaktion”
(to the new academic edition of
Galaktion Tabidze's poetry)*

343 Gaga Lomidze

*Remapping of Georgian
Literature. Bolshevism and the
Georgian Literature*

New Books

351 Prepared by **Gaga Lomidze**

თეიმურაზ დონიაშვილი (საქართველო)

აკაკის „გამზრდელი“ და განმანათლებლობის პარადიგმა

აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ მეცხრამეტე საუკუნის ქართული რელიგიური ერთ-ერთ შემაჯამებელ, გამორჩეულ ქმნილებად არის მიჩნეული. ასეთი შფასების მიუხედავად, „სუფთა ხაზებით გაყვანილი მაგისტრალი პოემისა“ (პ. ინგოროყვა) ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეობამ მაინცადაამინც დამაჯერებლად ვერ გაიარა – მიუგნებელი დარჩა ის ფილოსოფიურ-კულტურული კონტექსტი, რომელშიც უნდა გაანალიზდეს ქართული პოეზიის ეს შედეგრი.

„გამზრდელში“, რომელშიც, ქვესათაურის თანახმად, ნამდვილი ამბავია მოთხრობილი, ამბავიც უჩვეულოა და არაორდინარული პერსონაჟებიც მოქმედებენ. ერთი მათგანი თავისი სურვილით გრიდებია თანამედროვე ცხოვრებას და პირველყოფილი ბუნების ნიაღში განკერძოებულა. მეორე – სტუმარი და ძუძუმტე – „მისად რგებად“ ნასული მასპინძლის ცოლს შეურაცხყოფს, შინ მობრუნებული ქმარი კი შურისძიების ნაცვლად შეურაცხმყოფელს ცოცხალს უშვებს. პოემის ფინალში პარადოქსულობა მწვერვალს აღწევს: დამნაშავის მაგიერ უდანაშაულო ადამიანი იკლავს თავს, უფრო მეტიც, სანამ პერსონაჟი ამ საბედისწერო ნაბიჯს გადადგამდეს, ავტორს მისთვის გამამართლებელი განაჩენი გამოაქვს:

მაგრამ მართო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?

თუ „წვრთნა“, რომელსაც „ბუნება“ ხელს არ უწყობს, უძლურია აღზრდის საქმეში, რატომ იკლავს თავს ბრძენი გამზრდელი?!

რეალისტურ მხატვრულ ტექსტებში, რომელთაც „გამზრდელი“ მიეკუთვნება, სიუჟეტური პერიპეტეიები და მოქმედ პირთა ქცევაც, ღიად თუ ფარულად, ავტორისეულ კონცეფციასთან არის დაკავშირებული. ნაწარმოების საზრისის ამოსაცნობად ხედვის ისეთი წერტილის მოძებნაა საჭირო, საიდანაც შემოთავაზებული მხატვრული ლოგიკის ფარგლებში თხზულების ე.წ. უცნაურობანი ბუნებრივად განიმარტება. ამის გარეშე ნებისმიერი წაკითხვა ტექსტისა ნაკლოვანია და ხშირად – მცდარიც.

„გამზრდელი“ 1898 წელს დაინერა და თითქმის მთელი საუკუნე, – ტექსტის რელიგიურ ინტერპრეტაციამდე, – გაიაზრებოდა, როგორც დიდაქტიკური თხზულება. პოემას, რომელიც აკაკიმ „ჩვენს პედაგოგებს“ მიუძღვნა, მართლაც, აქვს დიდაქტიკური ელფერი: გაბატონებული ჰერბარტისეული „დასჯის პედაგოგიკის“ საპირისპიროდ პოეტმა თანამედროვენი აღზრდის ხალხური სათავეებისა და „ახა-

ლი პედაგოგიკისაკენ“ მიახედა. მაგრამ ნაწარმოების წერისას აკაკის შემოქმედებითი ამოცანა ოდენ პედაგოგიკის თუნდაც პროგრესული იდეების პროპაგანდა არ ყოფილა – პერსონაჟთა მოქმედებასა და ამბის ემპირიულ თხრობაში აქ, ჩემი აზრით, შეფარულია ღრმა მსოფლმხედველობრივ-ზნეობრივი პრობლემატიკა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

„გამზრდელის“ კულტურული კოდის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოემის პირველ თავს, რომელიც მთლიანად ბათუს ცხოვრების აღწერა-დახასიათებას ეთმობა. ვინ არის მთის მწვერვალთან დაბუდეებული ეს უცნაური პიროვნება, ან რა გზით შეძლო მან ადამიანური ყოფიერების უმაღლესი მიზნის – ბედნიერების მიღწევა?

პოემა ბათუს საცხოვრისის – „მერცხლის ბუდის“ აღწერით იწყება, რასაც უშუალოდ მოსდევს პერსონაჟის წარდგინება:

**ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.**

ახალგაზრდა აფხაზის სახელს, სხვა პერსონაჟებისაგან განსხვავებით, არ ამძიმებს სოციალური ან რელიგიური სტატუსის აღმნიშვნელი წოდება (შდრ.: საფარ-ბეგი, ზია-ხანუმი, ჰაჯი-უსუბი), რაც თავიდანვე მიგვანიშნებს, რომ ბათუ არც მაღალი წრიდან გამოსული, ბუნებას დროებით შეფარებული რომანტიკული გმირია და არც სულის ხსნის მაძიებელი განდგომილი, ბერი. იგი უბრალო ხალხისა და ბუნების **თავისუფალი** შვილია – თავისუფალი, რადგან ნებაყოფლობით, შეგნებულად გაუკეთებია არჩევანი „მარტივი ცხოვრების“ სასარგებლოდ. „მარტივი ცხოვრება“ ბუნების ნიაღში ლიტონი, უზაკველი არსებობის სიტყვიერი ფორმულაა. რაც შეეხება „რთულ ცხოვრებას“, თხზულების მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით, იგი ცივილიზებული საზოგადოების მანკიერი არსებობის წესს გულისხმობს.

მთავარი პრინციპი „მარტივი ცხოვრებისა“ მცირედით კმაყოფილებაა – ვიტალურ მოთხოვნილებათა მკაცრი ნორმირება. ამას გვიდასტურებს აფხაზის მღვიმის პირას მიწნული ფაცხა და მთიელისათვის აუცილებელი ე. წ. საწარმოო იარაღები: „კარგი თოფი, კარგი ხმალი, კარგი ცხენი და ნაბადი“...

თავისუფალი ადამიანის თავისუფალ არჩევანს პოემაში არაფერი აქვს საერთო ასკეტურ მიდრეკილებასა და გრძნობადი სურვილების უარყოფასთან. ბათუს ცხოვრებას გვირგვინად ადგას გულწრფელი სიყვარული ნაზიბროლასადმი. ტრფობა, როგორც მზის შუქი, ისე ანათებს და ათბობს ქალ-ვაჟის ოჯახურ ყოფას, რაც მათ უბრალო და მკაცრ არსებობას ბედნიერებად, „სასუფევლის ნეტარებად“ აქცევს:

ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე სასუფევლის ნეტარებას...

თუ ბათუს ნარატივის მონაცემებს გავიაზრებთ, არ გაძნელდება, აფხაზი ჭაბუკის ცხოვრების მარტივ წესში ამოვიცნოთ განმანათლებლობის, კონკრეტულად, ჟან-ჟაკ რუსოს ბუნებრივ გარემოსა და ბუნების ადამიანთან დაბრუნების კონცეფცია, რომელიც დიდად პოპულარული იყო როგორც XIX საუკუნის ევროპაში, ისე რუსეთსა და საქართველოშიც. ბათუმ, რუსოსებურად რომ ვთქვათ, პლემის სიამაყით უარყო ცივილიზებული, „რთული ცხოვრება“ და სანაცვლოდ ფასდაუდებელი განძი – ბედნიერების მომტანი სიღარიბე და თავისუფლება აირჩია. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ განმანათლებლობამ ადამიანის უმაღლეს მიზნად („ბუნებრივ უფლებად“) მიწიერი ბედნიერება შერაცხა, საეჭვოდ არ უნდა გამოჩნდეს „გამზრდელის“ სიახლოვე განმანათლებლურ-რუსოისტულ პრობლემატიკასთან.

* * *

ბათუს ნარატივში მხოლოდ რუსოისტული იდილია კი არ არის ხორცშესხმული, თავად ბათუც განმანათლებლური „ბუნების ადამიანის“ კონცეფციით შთაგონებული იდეა-პერსონაჟია. მოჩვენებითი სიმარტივის მიუხედავად, მას კარგად გააზრებული მრწამსი და ცხოვრების პრინციპები აქვს.

ბათუს სწამს ღმერთი და აღიარებს ღვთის განგებას, რაც მკაფიოდ ჩანს თავსდატეხილი უბედურების შეფასებაში. სასონარკვეთილ მეუღლეს ბათუ არამარტო ადამიანურად ანუგეშებს, არამედ გონივრულად, ფილოსოფიურად ასაბუთებს ნაზიბროლას უდანაშაულობას:

**ყოველგვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური
ღვთის რისხვაა, ტყუილად ბედს
რას უჩივი, რას ემდური.**

ყოველგვარი შემთხვევა („უნებური მოსავალი“), რაც პიროვნების ნების ჩაურევლად ხდება, „ღვთის რისხვაა“, მეტაფიზიკური საიდუმლოა. იგი განგებისგან მოდის, განსჯას არ ექვემდებარება და მხოლოდ მორჩილებას მოითხოვს.

მიწიერ ცხოვრებაში ბათუ „გულის რელიგიის“ (რუსო) მიმდევარია. ის ყოველთვის უფლის მიერ გულში ჩანერგილი თანალმობის გრძნობით და გონების წინამძღოლობით მოქმედებს: გრძნობის წიაღიდან წამოსულ განცდას გონება განსჯის, ნებელობა კი მის მსჯავრს აღასრულებს. აკაკი ფსიქოპლასტიკური ხერხის ოსტატური გამოყენებით სახიერად, ხელშესახებად გვიჩვენებს პერსონაჟის გრძნობათა სამყაროს, მაგრამ ყველგან საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ კრიზისულ სიტუაციებში ბათუს არაორდინარული ქცევის განმსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ გონებაა.

მცირედით კმაყოფილება, განგების რწმენა, „გულის რელიგია“ და ტრადიციის მორჩილება, – რაც საფარ-ბეგთან ურთიერთობაში გამოჩნდება, – ის ძირითადი ნიშნებია, რომლებიც ბათუს, ვითარცა „ბუნების ადამიანს“, ახასიათებს. „ბუნების ადამიანის“ ბედნიერებას განაპირობებს არა იმდენად ყოფის სიმარტივე, – რეალურად ეს ყოფა საკმაოდ მძიმეა, – რამდენადაც მანკიერ სურვილთაგან განდგომა, უზენაესთან, ბუნებასა და საზოგადოებასთან უკონფლიქტო თანაარსებობა, რაც სულიერი ჰარმონიის წყაროა.

ბათუს პარადიგმული ბუნება, მისი თვისებები და ეთოსი სრულყოფილად იკვეთება საფარ-ბეგთან ურთიერთობაში, განსაკუთრებით, პოემის საკვანძო სცენაში. ბათუს ქცევას ძუძუმტესთან, მკვლევარნი, როგორც წესი, შენდობის თემას უკავშირებენ და მოტივად ხან პერსონაჟის „შენდობის დიდ უნარს“ ასახელებენ, ხან მონანიე მოყვასის ზნეობრივი აღორძინების სურვილს, ხანაც – პირადი დანაშაულის გამოსყიდვას. ყველა ამ შემთხვევაში ბათუს – „ბუნების ადამიანის“ რუსოისტულ ტიპს! – რელიგიური მორალით მოქმედება მიენერება.

დავინწყოთ იმით, რომ ბათუს განდგომას, მის ვიტალურ მინიმალიზმს, გარეგანი მსგავსების მიუხედავად, პრინციპულად არაფერი აქვს საერთო ნუთისოფლის გმობასა და ასკეტიზმთან. იგი მინიერ არსებობას კი არ უარყოფს, განდევილის სენაკს კი არ მიაშურებს, მანკიერ საზოგადოებას ემიჯნება, ბუნებაში გადის, ანუ საერო სივრცის ერთი სეგმენტიდან მეორეში გადაინაცვლებს. პერსონაჟის ასეთი უჩვეულო გადანწყვეტილების მიზანი, როგორც უკვე ითქვა, მინიერი ბედნიერების მოპოვებაა, რასაც აღწევს კიდეც. ბათუს არჩევანი ზნეობრივი არჩევანია, იგი, როგორც აკაკი ამბობს, „ბედის რჩეულია“ და არა ღვთის რჩეული. მისი ეთიკა რელიგიური ცნებებიდან კი არ გამოიყვანება, არამედ – ადამიანის ბუნებიდან.

ბათუს ნარატივში რეალიზებულია „სეკულარიზებული ასკეტიზმის“ განმანათლებლური მოდელი, ამიტომ ბუნებითი (მარტივი) და ცივილიზებული (რთული) ცხოვრების რუსოისტული დაპირისპირების ჩანაცვლება რელიგიური შინაარსის ოპოზიციური წყვილით: სოფელი – ზესთასოფელი „გამზრდელისთვის“ ისევე არარელევანტურია, როგორც პოემის სიუჟეტური პერიპეტიების, პერსონაჟთა ქცევისა და პრობლემატიკის რელიგიური ინტერპრეტაცია.

გავაანალიზოთ ამ სამზერიდან ბათუ – საფარ-ბეგის საკვანძო ეპიზოდი. წინასწარ ვიტყვი, რომ თუ „მცირედით კმაყოფილება“ ბათუს ბიოლოგიური არსებობის წესია, ის, როგორც სოციუმის წევრი, „რჯულზე უფრო უმტკიცესი“ ადათ-წესების პატივისმცემელი და დამცველია.

საფარ-ბეგის უღირს საქციელს ბათუ „პირშაობას“ – პირის გატეხას, დალატს უწოდებს. ძუძუმტის შეცოდება იმდენად არაადამიანურია და გაუგონარი, რომ განსჯა-განხილვას, თავისმართლებას არ ექვემდებარება („სათქმელად საძნელოა... არც შენდობა უხერხდება“). ამის შესაბამისად, ბათუს მსჯავრიც ადეკვატურია – მტრადქცეულ მოყვარესთან შუამავალი ამიერიდან მხოლოდ ტყვია იქნება.

დაძაბულ, დრამატულ სიტუაციაში მკითხველი წამითი წამად მოელის შურისძიებას, მაგრამ ბათუ საფარ-ბეგს ცოცხალს ტოვებს:

**ახლა წადი! დამეკარგი!
ფრთხილად, არსად შემეყარო,
რომ ცხელ გულზე, უცაბედათ
შენი სისხლი არ დავეღვარო!**

ბათუს საქციელი ძალიან დამაფიქრებელია ფსიქოლოგიურადაც და აზრობრივადაც: როგორც მამაკაცი და ქმარი, იგი, რასაკვირველია, სულის სიღრმემდე შეურაცხყოფილია. მის ერთ სიტყვაში – „დამეკარგი!“ საფარ-ბეგისადმი იმდენი ზიზღი და მრისხანებაა, რომ რაიმე ალტრუისტულ იმპულსზე, მით უფრო, შენდობა-პატიებაზე საუბარი უხერხულიც კია. პირიქით, საფარ-ბეგს საგანგებოდ აფრთხილებენ, რომ სამომავლოდ დანდობა აღარ იქნება და ვერც გონება მოახერხებს ყოველთვის „ცხელი გულის“ ალაგმვას. თუ შურისძიება არ ხდება, ამას ფუნდამენტური, პიროვნულ გრძნობაზე აღმატებული მიზეზი აქვს.

მხილების შემდეგ საფარ-ბეგი იძულებულია, „შეცოდება“ აღიაროს, ჩადენილი სისხლით ზღოს. სხვათა შორის, დამნაშავე შენდობა-პატიებას არც ითხოვს – რაც მოხდა, უპატიებელია. აი, ამ მომენტში გაცხადდება ის, რის გამოც ბათუ უარს ამბობს ძუძუმტის მოკვდინებაზე:

**არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გინოვია...**

არავითარი სულგრძელობა და შებრალება-პატიება: ბათუ, როგორც ტრადიციული საზოგადოების წევრი, ემორჩილება მორდუობის წესს, რომელიც დიდშვილს ძუძუმტის მოკვლას უკრძალავს. ბათუმ რომ მოკლას საფარ-ბეგი, ისიც „მორდუობის გამტეხი და ჩვეულების გადამგდები“ გახდება. დაზარალებულისაგან აკრძალვის სამართლიანობა არ განისჯება, რადგან ტრადიცია ინდივიდში კოლექტიური ნების გამოვლინებაა.

„გამზრდელში“, ბათუს გარემოში საზოგადოება არსად ჩანს, მაგრამ მორდუობის წესის დაცვა მიუთითებს, რომ არსებობს ადათ-წესებით რეგლამენტირებული სოციუმი. პერსონაჟის ქცევას ტრადიციით მიღებული ნორმატიული ზნობრივი კანონები განსაზღვრავს და არა მისი „შენდობის დიდი უნარი“.

ბათუ არ კლავს, ცოცხალს ტოვებს საფარ-ბეგს, მაგრამ მორალურად ანადგურებს მას:

**რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გატეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად.**

„ჩვეულების გადამგდებ“ საფარ-ბეგს ბათუ, როგორც დაზარალებული, აქ მხოლოდ საკუთარი სახელით არ ელაპარაკება. მორდუობის წესიდან გამომდინა-

რე, ის ლაპარაკობს ტრადიციული საზოგადოების სახელით. საფარ-ბეგის მდგომარეობაში სიკვდილი საზღაური კი არა, შვება და წყალობაა, ამიტომ დამნაშავემ ცოცხალმა უნდა იაროს, რათა სამარის კარამდე ზიდოს გარენარის, განკიცხულის სახელი! – ასეთია ბათუს ვერდიქტი, ე.წ. შენდობის ნამდვილი შინაარსი.

უნდა ითქვას, რომ ძუძუმტესთან განშორების წინ ბათუ ნამდვილად იყენებს სიტყვას „შენდობილი“ („ნადი ჩემგან შენდობილი“), რაც თითქოს მხარს უჭერს მიტევების, შენდობის ვერსიას. დავაკვირდეთ ტექსტის შესაბამის ადგილს:

**ნადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!**

შე-ნდობა, მი-ნდობა „ნდობას“ და მის აღდგენას უკავშირდება, ბათუს სიტყვებიდან კი ჩანს, რომ ორ ადამიანს შორის ნდობის ხიდი ჩატეხილია, განყვეტილია გულთა შორის წმინდა კავშირი. განა შესაძლებელია ამ ვითარებაში შენდობის წმინდა აქტი აღსრულდეს?! „ნადი ჩემგან შენდობილი“ აქ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციაა და საფარ-ბეგის ცოცხლად გაშვებას („მაპატია შეცოდება“) გულისხმობს. „გამზრდელში“ აკაკი არაერთ რელიგიური გენეზისის კონცეპტს იყენებს (აღსარება, სასუფეველი, შეცოდება და სხვ.), მაგრამ ყოველ მათგანს პოემაში მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული, სახისმეტყველებითი ფუნქცია აქვს და დაცლილია სარწმუნოებრივი შინაარსისაგან.

სანამ ბათუს ნარატივის ანალიზს შევაჯამებდეთ, აქვე ვიტყვი, რომ რუსოისტული იდეა-პერსონაჟია ნაზიბროლაც. რუსო საკმაოდ კონსერვატიულად უყურებდა ქალის აღზრდისა და დანიშნულების საკითხს, თვლიდა, რომ განათლებას მხოლოდ ზიანი მოაქვს სუსტი სქესისათვის. მთავარია, სათნოების, თანაღმობის, მორჩილების აღზრდა, რაც ქალს, როგორც ქმრის დამხმარეს და მისი ცხოვრების დამამშვენებელს, ოჯახურ ცხოვრებაში გამოადგება. სწორედ ასეთია მშვენიერი, უმანკო და ქმრის უსაზღვროდ მოყვარული ნაზიბროლა: „ცის და ქვეყნის შუამავლად / მიაჩნია მას აფხაზი...“

ბათუს ნარატივის ანალიზი, ვფიქრობ, ეჭვს არ ტოვებს, რომ ახალგაზრდა აფხაზის მარტივი ცხოვრების ამბავში შეფარულია ცივილიზაციისაგან გამიჯვნის რუსოისტული კონცეფცია, ნაჩვენებია ბუნებრივ გარემოში „ბუნების ადამიანის“ ცხოვრების წესი და მისი მიზანი.

განმანათლებლური უკუფენის ამოცნობა აკაკის პოემაში მიანიშნებს, რომ „გამზრდელი“, რომელიც, ერთი შეხედვით, „ნამდვილი ამბის“ უპრეტენზიო პოეტური თხრობაა, სინამდვილეში რთული, ორპლანიანი ტექსტია და ფილოსოფიურ პარაბოლას წარმოადგენს. ტიპოლოგიურად იგი ახლოსაა განმანათლებლურ პროზასთან (ვოლტერი, დიდრო...) – აქაც მოჩვენებითი სიმსუბუქით

მოთხრობილ ამბავში ეპოქის უღრმესი მსოფლმხედველობრივ-ეთიკური პრობლემები იკითხება.

„გამზრდელში“ აშკარაა „მარტივი“ და „რთული“ ცხოვრების, გონიერი დადებითი გმირისა და ვნებასაყოლილი უარყოფითი პერსონაჟის დაპირისპირება, რაც განმანათლებლური რომანის მთავარი კოლიზიაა. მასში კონდენსირებულია განმანათლებლობის მრწამსი, რომ სიკეთე და ზნეობრიობა გონების ნაყოფია, ხოლო გრძნობიერება – ეგოისტურ ლტოლვათა ნყარო.

რუსოსიტულ ოპოზიციაში, რომელიც გადატანილია აკაკის „გამზრდელში“, ცივილიზებული ცხოვრების წესი ფრაგმენტულადაა მოხაზული საფარბეგის მონათხრობში, ცივილიზებული ადამიანის იდეას კი იგი პერსონალურად განასახიერებს.

„რთული ცხოვრება“ – საფარ-ბეგისა და ზია-ხანუმის სივრცე – მცირედით ვერკმაცყოფილთა ასპარეზია, სადაც ადამიანთა პატივმოყვარეობა და ეგოიზმი ინტერესთა კონფლიქტებს წარმოშობს. ამ სივრცეში, რომელსაც აკაკის პოემაში პაროდიულ-სატირული ელფერი ახლავს, სიყვარულს დაკარგული აქვს მაღალი ადამიანური შინაარსი, ხოლო პერსონაჟები ტარიელ-ნესტანის ზნეობრივად დაკნინებული აზრდილები არიან (აკაკი: „დღევანდელი ქართველი იგივე ტარიელია, მხოლოდ დაკნინებული“). ქალის მშვენიერება ზია-ხანუმის ცბიერ სასიყვარულო თამაშებში მხოლოდდა საპირადო ზრახვების იარაღად ქცეულა, „სავაჟაკოდ გამოსული“, გულისთქმას აყოლილი საფარ-ბეგი კი „ნადილთა თმობის“ ნაცვლად არც მისი წოდებისთვის უკადრის საქციელს – ცხენის ქურდობას ეკრძაღვის და არც მოყვასის – ინალიფას ღირსების შელახვა აფიქრებს.

საფარ-ბეგის სახის შექმნისას განმანათლებლობისათვის მნიშვნელოვანი ოთხი ფაქტორია გათვალისწინებული: პერსონაჟის სოციალური წარმომავლობა, აღზრდა, სამოქმედო გარემო და „ბუნება“.

საფარ-ბეგი წარმომავლობით არისტოკრატია. თუ ბუნების ადამიანს წვრთნა არ სჭირდება, – რუსოს მიხედვით, მისი მასწავლებელი ბუნებაა, – პრივილეგირებული წრიდან გამოსული მოზარდისათვის აუცილებელია საგანგებო აღზრდა. პოემაში მინიშნებული წვრთნის პრაქტიკა საკმაოდ ახლოსაა აღზრდის იმ პრინციპთან, რომელიც მოცემულია რუსოს ბელეტრიზებულ ტრაქტატში „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“. აღსაზრდელი ორსავე შემთხვევაში მაღალი წრიდანაა. წვრთნის პროცესს წარმართავს პედაგოგი-ფილოსოფოსი („ბრძენი“), რომლის საბოლოო მიზანი პიროვნების ზნეობრივი სრულყოფაა, სხვაგვარად – „ადამიანობის“ („კაცობის“) აღზრდა. „წვრთნის“ ეს სკოლა საფარ-ბეგმა ჰაჯიუსუბთან გაიარა და არცთუ წარუმატებლად – ბათუს დახასიათებით, მისი ძუძუმტე გამოცდილი, ცხოვრების ავ-კარგში ჩახედული, უდრეკი და უშიშარი ვაჟკაცია.

მაგრამ პიროვნებაზე გავლენას ახდენს არა მარტო აღზრდა, არამედ – სოციალური გარემოც. პოემაში ჩანს, რომ ცხოვრებაში ჩაბმულმა საფარ-ბეგმა ზეპური საზოგადოების ძლიერი ნეგატიური ზეგავლენა განიცადა. ბათუსთან მისული საფარ-ბეგი უკვე მორალურად დეფორმირებული არსებაა, რადგან, სურვილის

ტყვეობაში მოქცეული, გონებისა და ზნეობის კარნახს კი არ მიჰყვება, მთლიანად ზია-ხანუმისადმი გაჩენილ ლტოლვას, გულისთქმას ემონება.

საფარ-ბეგის შესახებ ლიტერატურათმცოდნეობაში რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებანი არსებობს, დანყებული უმკაცრესი შეფასებით და ვულგარულ-სოციოლოგიური არგუმენტაციით და დამთავრებული მისი, როგორც მონანიე პერსონაჟის, რეაბილიტაციით. კერძოდ, გამოთქმულია აზრი, რომ „გამზრდელის“ მთავარი პრობლემა „ადამიანის აღორძინებული სულის ტრაგედიაა“, რაც შეცოდება-მონანიების რელიგიურ კონცეპტებს, ზნეობრივ განმმენდას უკავშირდება (ა. ბაქრაძე).

„გამზრდელში“ რამდენჯერმეა ნახსენები „შეცოდება“, მაგრამ არცერთხელ – „სინანული“ და „მონანიება“. ეს იმიტომ, რომ პოემაში არც მონანიების თემაა და არც რელიგიური პრობლემატიკა მუშავდება. აკაკის ინტერესის საგანია არა შემცოდებ პერსონაჟის „აღორძინებული სულის ტრაგედია“, არამედ „შეცოდების“ / დანაშაულის ეტიოლოგია და მისი შედეგები, დანაშაულის მიმართება აღზრდის იდეასთან. პოეტს სურს გაარკვიოს, რატომ იქცა „კაცად“ გაზრდილი არისტოკრატი პირშავ არაკაცად, რა მიმართებაა ადამიანის „ბუნებასა“ და „აღზრდას“ შორის.

საფარ-ბეგის დანაშაული აფექტის შედეგია და არა წინასწარ დაგეგმილი განაზრახი. მისი პირველივე სიტყვები ბათუსთან („სტუმარი ღვთის!“) ცხადყოფს, რომ იგი ღვთის სახელით და წმინდა გულით მიდის ძიძიშვილთან, ვისგანაც საძნელო საქმეში დახმარებას მოელის. თავად პერსონაჟი მომხდარს რალაც გაუცნობიერებელი ძალის ნამოქმედარად, ეშმაკეულ ცდუნებად („შემაცდინა თვით ეშმაკმა“) აღიქვამს – ყოველივე მისი ნების გარეშე მოხდა („ეუბნება ყოველიფერს, / **უნებურად** რაც შეემთხვა“). ამ სამზერიდან საფარ-ბეგი საკუთარი ვნების, ინსტინქტის ანუ „ბუნების“ **მსხვერპლია**. მაგრამ აკაკის ეს გარემოება შემცოდის გამამართლებელ არგუმენტად კი არ მოაქვს, იგი ბიოლოგიური სანყისის, „ბუნების“ მნიშვნელობისა და ძალის წარმოსაჩენად სჭირდება.

საფარ-ბეგს თანდაყოლილი ძლიერი მგრძნობელობა, უფრო კონკრეტულად – ძლიერი სექსუალობა ახასიათებს. მართალია, ზნეკეთილი ბათუ ზია-ხანუმისადმი ძუძუმტის ლტოლვას „სიყვარულის სენს“ უწოდებს, მაგრამ რეალურად ეს მხოლოდ ვუალირებული ლიბიდოა. ამას საფარ-ბეგის სიტყვები მოწმობს: „მე სხვა **მადა** მაქვს აშლილი/ სხვანაირი **გულისთქმისო**“. „გულისთქმის მადა“ ანუ სქესობრივი ლტოლვა, როგორც შიმშილი, პერსონაჟის „ბუნების“ ზუსტი ფორმულაა. სწორედ ამ „მადამ“ იფეთქა მშვენიერი ნაზიბროლას ხილვისას, რამაც მანამდე პირმტკიცე კაცი პირშავ დამნაშავედ აქცია.

განმანათლებლობის ეთიკა თავისი არსით ნატურალიზმის ეთიკაა. ზნეობრივია ის, რაც ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებებს შეესაბამება, ანუ ეთიკა მთლიანად ადამიანის „ბუნებიდან“ – გრძნობადი მისწრაფებებიდან გამოიყვანება. მაგრამ, განმანათლებელთა აზრით, „ბუნებისადმი“ ეთიკური მიდგომა მხოლოდ ზნეობრივ ადამიანს ძალუძს, ვისაც აქვს მორალური კრიტერიუმი „სინდისის“ სახით. ადამიანში მუდმივად იბრძვის „ვენება“, რომელსაც სიურპრიზების შემოთავაზება შეუძლია, და სინდისი – მორალური იმპერატივი. სიამოვნებისკენ ლტოლვა, რო-

მელიც „ვნებებს“ წარმოშობს, **„ფაქტიური ქვემარტებაა“**, განმანათლებლები კი ასჯერ მეტ პატივს მიაგებდნენ **„ზნეობრივ ქვემარტებას“** და აღზრდას, როგორც ზნეობის საფუძველს. „ადამიანს მხოლოდ მორალური თავისუფლება აქცევს თავისი თავის ბატონად... ადამიანობის პრინციპით აღზრდილი პიროვნება ცხოვრების ყველა შემთხვევას გაუმკლავდება“, – ამტკიცებდა რუსო.

„გამზრდელი“ და მასში გადმოცემული „ნამდვილი ამბავი“ („ფაქტიური ქვემარტება“) განმანათლებელთა სპეკულაციურ-თეორიული კონცეფციის სრულიად საპირისპირო სურათს ხატავს. საფარ-ბეგის შემთხვევაში აღზრდის მთავარი მიზანი განუხორციელებელი დარჩა – პიროვნების ქცევას გონება კი არა, სქესობრივი ინსტინქტი, ნდომბა წარმართავს, რის შედეგადაც ხდება დანაშაული. მას ველური ან სექსოპათი კი არ სჩადის, არამედ ის ადამიანი, ვინც ჰაჯი-უსუბის ხელმძღვანელობით „კაცად“ უნდა გაზრდილიყო. იდეა-პერსონაჟის საქციელი წვრთნა-აღზრდის ვარგისიანობის კრიტერიუმი. საფარ-ბეგის დანაშაული აღზრდის მარცხია „ბუნების“ წინაშე, რის საფუძველზეც აკაკის, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ღრმად განზოგადებული ფილოსოფიური დასკვნა გამოაქვს.

საფუძველშივე მცდარია ვარაუდი, რომ „ბუნების“ ფაქტორის ობიექტური არსებობა და ძალმოსილება დამნაშავეს რეაბილიტაციას ნიშნავს. საფარ-ბეგის კაზუსი ეჭვქვეშ აყენებს აღზრდის ყოველშემძღვანელობის განმანათლებლურ იდეას, პერსონაჟის საქციელის შეფასება კი ავტორის მიერ ოდენ ზნეობის პოზიციიდან ხდება. აკაკის მთელ შემოქმედებას გასდევს აზრი, რომ „ყოველი კაცი განსხვავდება პირუტყვისაგან ზნეობის უზენაესობით, რომელიც უმეტესწილად სინიდისში გამოიხატება ხოლმე. თუ კაცმა ზნეობითი მხარე დასჩაგრა როგორმე და სინიდისი წაიწყმიდა, მაშინ ის ყოველს პირუტყვზე უპირუტყვესი შეიქმნება“ („ვარდი და ეკალი“).

საფარ-ბეგის „მონანიებას“ ხშირად დანაშაულის აღიარებას უკავშირებენ, თუმცა აღიარება მხოლოდ მხილებას მოსდევს. მანამდე, უკაცური საქციელის ჩადენის შემდეგ, ნაბადში გახვეულ დამნაშავეს „თბილად სძინავს“, მეტიც, ბათუს მშვიდი ქცევით თვალაბმულს, ზნეობამორღვეული კაცის უპატიოსნო, „ცოდვილი სიხარულით“ (ა. ბაქრაძე) უხარია:

**არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემს საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?**

მთავარია, საძრახი საქციელი არ გახმაურდეს, პასუხისმგებლობას გაექცეს, თორემ საფარ-ბეგის შეკრთომა-დარცხვენას ცოტა რამ აქვს საერთო სინდისის ქენჯნასთან, მორალურ თვითშეფასებასთან. ღრმა განცდები არც იძულებით აღიარებას და საზღაურისათვის მზადყოფნას ახლავს, ისეთი მედიდურობით და ქედმაღლობით არის წარმოთქმული მორჩილების, ცრუ მონანიების სიტყვებით:

**შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარალი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...**

თავისთავად, რეალისტი პოეტისაგან ძნელი წარმოსადგენიცაა, რომ მისმა დამნაშავე პერსონაჟმა მყისიერად, უმოკლეს დროში ისეთი ღრმა სულიერი კათარსისი განიცადოს, როგორც მონანიებაა.

რეალურად, ბათუს უმძაფრესი მხილება მორალთან გაუცხოებულ საფარბეგს პიროვნებისა და საზოგადოების წინაშე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს აგრძნობინებს. უზნეობასთან შეგუებული, მიძინებული სინდისი თითქოს ფხიზლდება, მაგრამ, სამწუხაროდ, დამნაშავეს ძიძიშვილისადმი მიყენებული ჭრილობა და მისი ბედნიერების მოშლა კი არ სტანჯავს, გარენარის სახელი და განკიცხული ცხოვრების მწარე პერსპექტივა აძრწუნებს. ასეთ ვითარებაში სიკვდილი, რომელსაც ის ითხოვს, შვებაა და არა სასჯელი.

კონცეპტუალურ პლანში, ნაწარმოების ერთიანი საზრისის ფორმირების გზაზე, საფარ-ბეგის ნარატივს თავისი მხატვრული ფუნქცია და აზრობრივი შინაარსი აქვს. სიუჟეტურად იგი ბუნებრივად ამზადებს კულმინაციურ მწვერვალს – პოემის ფინალურ სცენას, ხოლო თავად საფარ-ბეგი, როგორც იდეა-პერსონაჟი, სიმბოლურად განასახიერებს მანკიერი ცივილიზებული ცხოვრების ექსპანსიას პატრიარქალური „მარტივი ცხოვრების“ მიმართ.

საფარ-ბეგის კაზუსი, ერთი მხრივ, გამოხატავს მოხუცი აკაკის სკეპსის აღზრდის ყოვლისშემძლეობის განმანათლებლური იდეისადმი, რომელსაც იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე იზიარებდა, მეორე მხრივ კი – ააშკარავებს რუსოისტული „მარტივი ცხოვრების“ კონცეფციის უტოპიურობას. „გამზრდელის“ დასკვნით ეპიზოდში ნაწარმოების საზრისის გლობალური განზოგადება ხდება, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

* * *

სანამ საბოლოოდ დაშორდებოდეს, შეურაცხყოფილი ბათუ საფარ-ბეგს ასეთ დავალებას აძლევს:

**ნადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა!**

პოემის ცენტრალური პერსონაჟი – გამზრდელი ნაწარმოებში პირველად აქ არის დასახელებული. სიტყვა „მოძღვარი“, როგორც ბათუ ჰაჯი-უსუბს მოიხსენიებს, „აღმზრდელის“ უბრალო სინონიმი არაა – იგი იმ პიროვნების განსაკუთრებულ სტატუსს აღნიშნავს, ვინც ტრადიციული საზოგადოების მორალურ-ინტელექტუალური ავტორიტეტი და ხალხის მასწავლებელია.

ჰაჯი-უსუბის დახასიათებას „გამზრდელში“ სულ ოთხი სტროფი ეთმობა, მაგრამ სათქმელის ზღვრული კონცენტრაციით აკაკი რელიეფურად გამოკვეთს აღმზრდელის მონუმენტურ სახეს. ბიოგრაფიული შტრიხები და თვისებები, რომელსაც ავტორი პერსონაჟს მიაწერს, ბრძენის გარკვეულ ტიპს წარმოაჩენს. საზოგადოებაში, სადაც ყველაფერზე მეტად გვარიშვილობა, ვაჟკაცობა და ქონებრივი ცენზი ფასობს, ჰაჯი-უსუბს მარტოოდენ ჭკუა-გონება გამოარჩევს. უზარმაზარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად („ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს, / მნახველია ცა და ქვეყნის“), ღვთისმოსავი ჰაჯი ზედმინეწვით ფლობს რელიგიურ სიბრძნესაც („ხელის გულზე უწერია/ თვით მაჰმადის წმინდა მცნება“). ჰაჯი-უსუბი თავის თავში აერთიანებს საღვთო და საერო ცოდნას. აღმზრდელის პედაგოგიური მიზანი, როგორც აკაკი იტყვოდა, შეგირდის „საღვთო-საეროში განა-ფულობის“ მიღწევა, ზოგადად, პიროვნების „კაცად“ გაზრდაა.

ბრძენის სახე „გამზრდელში“ მოკლებულია ინდივიდუალურ ნიშნებს და, კავკასიური კოლორიტის მიუხედავად, ტიპოლოგიურად ახლოსაა ევროპული განმანათლებლობის მიერ შექმნილ ბრძენის იდეალთან. ჰაჯი-უსუბი აკაკის მიერ ჩაფიქრებულია, როგორც განმანათლებლობის სახე-სიმბოლო, რომელიც ამ მოძღვრების ფილოსოფიურ-პედაგოგიურ და ზნეობრივ-ეთიკურ იდეალებს განასახიერებს.

რატომ აგზავნის ბათუ საფარ-ბეგს ჰაჯი-უსუბთან?

პიროვნულად ბათუმ მის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, როგორც ტრადიციის დამცველმა, მორდუობის წესით განსაზღვრული ქცევით უპასუხა – ძუძუმტე ცოცხალი დატოვა („წადი ჩემგან შენდობილი“), მაგრამ განა შეიძლება დაუსჯელი დარჩეს ის, ვინც „რჯულზე უფრო უმტკიცესი“ ადათი ხელყო და ამით საზოგადოების არსებობის ფუნდამენტური ნორმა დაარღვია?! „გამზრდელში“ ბათუს პიროვნული ტრაგედია თანდათან ტრადიციული საზოგადოების კრიზისში გადაიზრდება, რასაც მასშტაბური განზოგადებისაკენ მივყავართ. მომხდარზე მსჯავრის გამოტანა მხოლოდ ჰაჯი-უსუბს ძალუძს და ევალება კიდევ, როგორც საფარ-ბეგის გამზრდელს, ხალხის ბრძენ მოძღვარს და მორალურ ავტორიტეტს.

გაზრდილის უკაცურ საქციელზე ჰაჯი-უსუბის პასუხი – თვითმკვლელობა!

სუიციდი სასონარკვეთილების უკიდურესი ფორმაა – პიროვნების კატასტროფა, ამიტომ ზუსტ გააზრებას მოითხოვს, რამ მიიყვანა ბრძენი გამზრდელი ტრაგიკულ გადაწყვეტილებამდე. პოემის მიხედვით, ეს არ არის და არც შეიძლება იყოს აფექტის გამოვლენა – სუიციდს წინ კრიზისული სიტუაციის შეცნობა და განსჯა უძღვის.

პოემაში აკაკი თვითმკვლელობის აქტს საგანგებოდ ამზადებს მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი სიუჟეტური მანევრით, რაც ზრდის პერსონაჟის საქციელის მოულოდნელობას. მას შემდეგ, რაც გამზრდელმა „მორდუობის გამტეხი და ჩვეულების გადამგდები“ გაზრდილისაგან „ყოველიფერი“ მოისმინა, იგი ნამუსის გასანმენდად სისხლის დაღვრაზე ალაპარაკდა. ლოგიკურად აქ დამბაჩის გასროლადა რჩება რეალური დამნაშავის დასასჯელად. ამისთვის საფარ-ბეგიც მზადაა და მასთან ერთად – მკითხველიც, მაგრამ...

გამზრდელის თვითმკვლელობამდე საფარ-ბეგი უკვე დასჯილია სიკვდილზე უარესი არსებობით – ნაზრახი სიცოცხლით („შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!“), ამიტომ სიტყვები „და ნამუსის გასანმენდად / ჩემის ხელით სისხლს დავღვრიო“ გაზრდილს კი არა, თავად ჰაჯი-უსუბს მიემართება. ეს სიტყვები გამზრდელის მორალური თვითშეფასება და პირადი პასუხისმგებლობის აღიარებაა, ამიტომ ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობას არაფერი აქვს საერთო შემცოდე მოყვასისათვის გაღებულ მსხვერპლთან, მით უფრო – მაცხოვრის თვითშენიშვნის მოდელთან, როგორც ეს ზოგი მკვლევარის მიერ არის ინტერპრეტირებული...

გამზრდელის სუიციდის აქტი პოემაში იმდენად მოულოდნელი და პარადოქსულია, რომ აკაკის სიცოცხლეშივე გამოითქვა აზრი ფინალური სცენის მხატვრულ არადამაჯერებლობაზე. შემდგომში გაჩნდა დაბეჯითებული მტკიცებანი, რომ პოეტმა უღალატა სინამდვილეს, დიდაქტიზმმა დაჯაბნა შემოქმედებითი ალლო – მხატვრული ლოგიკა რეზონიერობამ დაიქვემდებარა. ამგვარი შეფასებანი იმიტომ გაკეთდა, რომ ჰაჯი-უსუბს აღიქვამდნენ, როგორც ხასიათს და ქცევის ფსიქოლოგიურ მოტივირებას მოითხოვდნენ. მიუგნებელი დარჩა, რომ „გამზრდელის“, როგორც ფილოსოფიური პარაბოლის, კომპოზიციურ სივრცეში ხასიათები კი არა, იდეა-პერსონაჟები მოქმედებენ, რომ იდეა-პერსონაჟთა ქცევას ავტორისეული საზრისი წარმართავს და არა ფსიქოლოგიური მოტივაციები. ამ შემთხვევაში აკაკის პოემაზეც შეიძლება გავიმეოროთ რუსოს სიტყვები, თქმული ვოლტერის რომანებზე: „ის არღვევს დამაჯერებლობას, მაგრამ არ არღვევს სიმართლეს“.

ჰაჯი-უსუბი, როგორც იდეა-პერსონაჟი, ნაწარმოებში ორი ჰიპოსტასითაა წარმოდგენილი: რეალურ პლანში – როგორც გამზრდელი, სიმბოლურ პლანში – როგორც „ბრძენი“, პერსონიფიცირებული სახე განმანათლებლობისა. საჭიროა, ორივე ასპექტით გაირკვეს, რა არის პერსონაჟის თვითბრალდების მიზეზი, რა შინაარსი აქვს გამზრდელის „დანაშაულის შემადგენლობას“.

ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა, როგორც ითქვა, პასუხია ბათუს თხოვნაზე, შეაფასოს გაზრდილის საქციელი, მისი დანაშაულის კერძო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ზნეობრივ კანონსა და სამართალს შორის წინააღმდეგობაა და იგი გადანყვეტას მოითხოვს.

ემპირიულ-სიუჟეტურ პლანში ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობის მიზეზი პოემაში შეუფარავად, პირდაპირაა დასახელებული:

**სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდინარ!**

ჰაჯი-უსუბის პედაგოგიკის, „წვრთნის“ მიზანი ბიოლოგიური არსების ზნეობრივ არსებად გარდაქმნა, „კაცად გაზრდა“ იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ მისმა გაზრდილმა უკაცურობა ჩაიდინა. აღზრდის კრიტიკრიუმად რუსოს ის მიაჩნდა, რამდენად გაუძლებდა „ადამიანობის“ პრინციპით აღზრდილი პიროვნება მანკიერი გარემოს ზემოქმედებას. საფარ-ბეგის დანაშაული, ამ კრიტიკრიუმის მიხედ-

ვით, გამზრდელის პროფესიული მარცხია, რამაც უბრალო, ღირსეული ადამიანების ბედნიერება შეინირა. დანაშაულის სათავე აღზრდაშია და ვინაიდან „მზრდელი ყრმის მეორე შემოქმედი“ (ილია), ამიტომ ზნემაღალი ჰაჯი-უსუბი მოვალედ თვლის თავს, სიცოცხლით აგოს პასუხი ბათუს წინაშე. ეს სუიციდის პიროვნული მიზეზია.

ყოველგვარი პედაგოგიკის უკან გარკვეული მსოფლმხედველობა დგას, რადგან პედაგოგიკა ფილოსოფიაა მოქმედებაში. საფარ-ბეგის დანაშაული არ არის უბრალო კრიმინალი, იგი სიმპტომია ზნეობრივი ნორმებით რეგულირებული ეთოკრატიული საზოგადოების კრიზისისა. შეილახა ტრადიციის ავტორიტეტი და სინმინდე, ის, რაც სოციალურ, ეროვნულ, რელიგიურ განსხვავებულობაზე მალდა დგას. ბრძენმა ჰაჯი-უსუბმა გაზრდილის მოსმენისთანავე შეაფასა ვითარება:

**ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,
სახე მოინაღვლიანა:
სიდიადე ამ მუხთლობის
თვალწინ გაისიგრძეგანა.**

„მუხთლობის სიდიადე“ გამზრდელის გულში სინანულნარევე ნაღველს აღძრავს, ხოლო სიბრძნე აიძულებს, კრიტიკულად შეხედოს იმ მოძღვრებას, რომელსაც ეყრდნობოდა მისი პედაგოგიკა.

ჰაჯი-უსუბის აღმზრდელობითი მეთოდის საყრდენი პრინციპის ამოცნობა პოემის ცნობილი სენტენციის ანალიზით ხერხდება:

**მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?**

აქ აკაკი ერთდროულად ორ საწყისზე საუბრობს – „წვრთნასა“ და „ბუნებაზე“, რომელთა მიმართების გარკვევა აღზრდის პროცესში განმანათლებლობის მთავარი პრობლემა იყო. განმანათლებლები თვალს არ არიდებდნენ ინდივიდში გრძნობადი მისწრაფებების, „ვნებების“, „ბუნების“ არსებობას, მაგრამ განუხრელად ასაბუთებდნენ და იცავდნენ აღზრდის ყოვლისშემძლეობის იდეას. განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა ამ მხრივ დენი დიდროს, რომელიც თვლიდა, რომ „ბუნების“ აღზრდა შეუძლებელია. ყოველივე კარგი „ადამიანობის“ შედეგია, – ამბობდა იგი და ამით თვითონაც, როგორც განმანათლებელი, აღზრდის დიდ მნიშვნელობას აღიარებდა, მაგრამ იქვე შენიშნავდა: – ყოველგვარ ნეგატიურ საქციელზე ბუნება აგებსო პასუხს.

აკაკი, როგორც ჩანს, განკერძოებით მდგარი დიდროს შეხედულებას იზიარებდა და, დიდი ალბათობით, უფრო მოგვიანო ევოლუციონისტურ თეორიასაც ითვალისწინებდა. მისი შეფასებით, დანაშაულის სათავე საფარ-ბეგის „ბუნებაშია“ და არა აღზრდაში.

თვითბრალდებისას ჰაჯი-უსუბი, აკაკისგან განსხვავებით, მხოლოდ აღზრდის წარუმატებლობაზე ლაპარაკობს, საერთოდ არ ახსენებს „ბუნებას“. ეს

იმიტომ, რომ მას – ორთოდოქს განმანათლებელს! – უპირობოდ სწამს აღზრდის ყოვლისშემძლეობა. საფარ-ბეგის კაზუსმა ჰაჯი-უსუბს რეალურად დაანახა განმანათლებელთა ფუნდამენტური იდეის მცდარობა და მასთან ერთად აღზრდის გზით საზოგადოების ძირეული გარდაქმნის უპერსპექტივობა.

გამზრდელის, როგორც იდეა-პერსონაჟის თვითმკვლელობა სიმბოლური აქტია. ჰაჯი-უსუბის სუიციდს, პიროვნულ მოტივთან ერთად, ღრმა საზოგადოებრივი მოტივაცია აქვს. იგი მოძღვრის, ზნეობის კანონმდებლის მსოფლმხედველობრივი კატასტროფის მაუწყებელია და განმანათლებლური იდეოლოგიის მარცხს, ოპტიმისტური ეპოქის ტრაგიკულ დასასრულს გამოხატავს.

აკაკი კარგად იცნობდა განმანათლებლების და კერძოდ, ჟან-ჟაკ რუსოს თხზულებებს, ხოლო პოეტის მხატვრული ტექსტების „ორხმოვანება“ საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომ მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ „გამზრდელის“ ყოფით ამბავსა და ლოკალურ გარემოში შეფარულად განმანათლებლობის იდეები და მისი ბედი იკითხება. სხვათა შორის, როდესაც გერონტი ქიქოძე აკაკის „მედეაში“ იაზონის სკეპტიციზმზე საუბრობს, მახვილგონივრულად შენიშნავს: პერსონაჟი რელიგიასა და მის მსახურებზე ისეთი ენით ლაპარაკობს, თითქოს ევროპელი განმანათლებლების და რუსი ნიჰილისტების სკოლა ჰქონდეს გავლილი.

განმანათლებლობამ მეცხრამეტე საუკუნეს მემკვიდრეობად დაუტოვა პროგრესის ოპტიმისტური კონცეფცია – რწმენა აღზრდის და ხალხში ცოდნის გატანის გზით ახლო მომავალში მიწიერი სამოთხის შექმნისა. მაგრამ უკვე რუსომ შეამჩნია, რომ ცივილიზაციის განვითარებას მორალური რეგრესი სდევდა თან, უფრო მოგვიანო ხანებში კი პროგრესის თეორიის განხილვამ სოციალური სინამდვილის ფონზე სათავე დაუდო ამ თეორიისადმი უნდობლობას – პროგრესის იდეის კრიზისს.

აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ ეპოქის კრიზისული სულისკვეთების ანარეკლია, სადაც „წერთნას“ „ბუნება“ ამარცხებს, ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა კი ჩიხში ექცევა. პოემა მაჩვენებელია ავტორის მსოფლმხედველობრივი მეტამორფოზისა განმანათლებლური ოპტიმიზმიდან სკეპსისისა და პესიმიზმისაკენ. როგორ იარსებოს გამოცანებით დანადგმულ წუთისოფელში მიწყვი არჩევანის წინაშე მყოფმა ადამიანმა? არის კი თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში ზნეობრივი ცხოვრების შესაძლებლობა? რა ელის განმანათლებლური ილუზიებიდან გამოფხიზლებულ, დისჰარმონიული სამყაროს პირისპირ დარჩენილ ადამის ძეს? – აი, კითხვები, რომლითაც აკაკი შეხვდა XX საუკუნეს.

საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერება აკაკის წარმოუდგებოდა, როგორც „ბრძოლა ძველ და ახალ აზრებს შუა“, იმის გათვალისწინებით, რომ „ახალი“ ყოველთვის კარგს არ ნიშნავს და არც „ძველია“ ყოველთვის ცუდის სინონიმი. „გამზრდელში“ რეალური ცხოვრებით უკმაყოფილების, ცივილიზებული ცხოვრების ნეგატიური ხედვის საპირისპიროდ მოცემულია ძველი, პატრიარქალური ყოფის იდეალიზაცია და ესთეტიზაცია, თუმცა მოხუცი აკაკის, როგორც შემოქმედისა და მოაზროვნის, ღირსება ისაა, რომ, მიუხედავად პირადი სიმპა-

ტიისა, სიმართლით ასახა და გადმოსცა ისტორიული პროცესის შეუქცევადობა და მსჯავრი.

„გამზრდელის“ მთავარ ღირსებად მიჩნეულია თხრობის სწორუპოვარი ბუნებრიობა, აკაკისეული „რთული სისადავე“, რომელიც მიუღწევად სიმაღლედ დარჩა ქართულ პოეზიაში. მაგრამ მისი გენიის გამონაშუქია აგრეთვე კრიზისული ეპოქის წიაღში შობილი საფარ-ბეგის სახე. „გამზრდელის“ პერსონაჟები მოქმედებენ ზნეობრივ ფასეულობათა ერთსა და იმავე სისტემაში, რომლისრღვევა უკვე დაწყებულია. დაინგრა კეთილშობილი ბათუს ილუზორული ბედნიერება – ცხოვრების აღმართს იგი „ძლივს, ბარბაცით“ მიუყვება... თავი მოიკლა გამზრდელმა და მასთან ერთად დასრულდა ოპტიმიზმის ეპოქა... მომავლისაკენ მარტოდმარტო მიაბიჯებს ვნების ირაციონალური იმპულსებით აფორიაქებული, „სინიდისგატეხილი“ საფარ-ბეგი, რომლისთვისაც სულ მალე გადაინერება ქცევის კოდექსი, შეიქმნება „ახალი ეთიკა“, ხოლო რა სახეცვლილებებით გამოვა იგი დეკადენტურ-მოდერნისტული კულტურის ავანსცენაზე და რა ქარტეხილებს დაატრიალებს, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია.

დამონშებანი:

- Asatiani, G. *Sauk'unis P'oet'ebi*. Tbilisi: gamomtsemloba „merani“, 1989 (ასათიანი, გ. *საუკუნის პოეტები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989).
- Bakradze, A. *Ak'ak'i Bakradze – Sk'olas*. Tbilisi: gamomtsemloba „universali“, 2004 (ბაქრაძე, ა. აკაკი ბაქრაძე – სკოლას. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2004).
- Gaprindashvili, M. *Kartuli Sazogadoebrivi Azrovnebis Ist'oriis Nark'vevebi*. T'. III. Tbilisi: gamomtsemloba „sabh'ota sakartvelo“, 1988 (გაფრინდაშვილი, მ. *ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988).
- Danelia, S. *Nark'vevebi Ant'ik'uri da Akhali Pilosopiis Ist'oriidan*. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 1985 (დანელია, ს. *ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიიდან*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1985).
- Vertsman, I. “Zham-Zhak Russo – Myslitel I Kjudozhnik”. V kn.: Zham-Zhak Russo. *Izbrannye Sochineniya v Trekh Tomakh*. T. I. Moscow: “gosudapstvennoe izdatel'stvo khudozhestvennoi literatury”, 1961 (Верцман, И. “Жан-Жак Руссо – мыслитель и художник”. В кн.: Жан-Жак Руссо. *Избранные сочинения в трех томах*. Т. I. Москва: «Государственное издательство художественной литературы», 1961).
- Zanduk'eli, M. *Tkhzulebani*. T'. II. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 1976 (ზანდუკელი, მ. *თხზულებანი*. ტ. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1976).
- Ingoroq'va, P'. *Tkhzulebata K'rebuli Shvid T'omad*. T'. I. Tbilisi: gamomtsemloba „sabh'ota sakartvelo“, 1963 (ინგოროყვა, პ. *თხზულებათა კრებული შვიდ ტომად*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1963).
- Lotman, Yu. “Russo I Russkaya Literatura XVIII – Nachalo XIX veka”. V kn.: Zham-Zhak Russo. *Traktaty*. Moscow: izdatel'stvo “nauka”, 1969 (Лотман, Ю. “Руссо и русская литература XVIII – начало XIX века”. В кн.: Жан-Жак Руссо. *Трактаты*. Москва: издательство „Наука“, 1969).

- Lucag, T. B. *Deni Didro*. Moskow: izdatel'stvo "mysl", 1978 (Лучаг, Т. Б. *Дени Дидро*. Москва: издательство „Мысль“, 1978).
- Minashvili, VI. *Lit'erat'uruli Nark'vevebi da Ts'erilebi*. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2003 (მინაშვილი, ვლ. *ლიტერატურული ნარკვევები და წერილები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2003).
- Ninidze, M. "Tvitmkvleloba, Rogorts Siuzhet'uri Met'afora". *Kartuli Lit'erat'uris Inst'it'ut'is IV Saertashoriso Simpoziumis Masalebi*. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2010 (ნინიძე, მ. „თვითმკვლევლობა, როგორც სიუჟეტური მეტაფორა“. *ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010).
- Russo, J.-J. *Traktaty*. Moskow: izdatel'stvo "nauka", 1969 (Руссо, Жан-Жак. *Трактаты*. Москва: издательство „Наука“, 1969).
- Kikodze, G. *Kartuli Lit'erat'uris Ist'oria. XIX Sauk'une*. Tbilisi: gamomtsemloba "sakhelgami", 1947 (ქიქოძე, გ. *ქართული ლიტერატურის ისტორია. XIX საუკუნე*. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1947).

Teimuraz Doiashvili
(Georgia)

Gamzrdeli by Akaki Tsereteli and the Paradigm of Enlightenment

Summary

Key words: Gamzrdeli, Akaki Tsereteli, Enlightenment.

Gamzrdeli by Akaki Tsereteli is considered to be one of the conclusive creations of the 19th century of the Georgia realism. However, we believe the cultural-speculative context in which the masterpiece of the national poetry should be studied is still elusive.

In Gamzrdeli, which according to the author depicts the true story, both the fabula and the characters are not ordinary. One of them (Batu) has been isolated from the modern world and stays in the pristine nature. Another character (a guest called Safar-Beg), who was brought up by the same governess as the anchoret was raised by, abuses the wife of the very host, who had left his home in order to help Safar-Beg. The humiliated husband lets his guest leave his home alive and refuses to take revenge against him. More paradoxical is the end of the poem: instead of the guilty person the innocent governess commits a suicide. What is more, the author comes up with the verdict that acquits the guilty personage:

“Only bringing-up cannot do anything
If the personality does not help.”

If the “upbringing” is helpless without “personality”, why the wise governess kills himself then?!

Our paper searches for such a view-point that naturally determines the peculiarities of the poem in the frame of artistic logics.

In order to reveal the cultural code of Gamzrdeli, the first chapter is of a central importance which is entirely dedicated to the description of one of the lead character Batu. The detailed analyses of this chapter reveals that there are realized the enlightening opposition of “hard” (civilized) and “simple” (natural) lives in the poem. In a word, Batu’s narrative is the artistic realization of the Rousseauistic concept of “origin” _ returning to the pristine environment and people.

The existence of enlightening reflection in Gamzrdeli points that not only is there a linear narration of “the true story” in the text but it also represents philosophical parabola in terms of a genre. The poem typologically is close to the enlightening philosophical prose (Walter, Diderot), where the ideological-ethical problems of the epoch are “wrapped”. Moreover, in the specially organized compositional space of the text idea-personages act instead of characters meaning that their behavior is not lead by psychological motivations but the logics of conception.

Aristocratic Safar-Beg represents the civilized life-style in the poem. In Gamzrdeli the conflict between sensible positive character and the negative personage acting through his passion is presented, which is the main collesion of the enlightening type of a novel.

Why does Batu send Safar-Beg to Haji-Usup? Batu did not kill his foster-sibling as he choses to defend the tradition. And yet, is it possible to remain unpunished who neglected the custom “firmer than religion” and destroyed the fundamental norm of the existence of the society?! In Gamzrdeli Batu’s personal tragedy gradually turns into the crisis of the society leading us to the wide-scale dimension. This is only Haji-Usup who can give a verdict and, actually, he has to do this as an educator of Safar-Beg and wise leader of the people. The respond to the unhuman behavior of him is a suicide, which is the most extreme form of despair – the catastrophe of a person. Therefore, it require to understand vert accurately: what brought a wise educator to the tragic decision? According to the poem this is not and cannot be the display of an affect. The author specially prepares the act of suicide with a small but a very significant thematic maneuver, which increases the lever of unexpectedness of the personage’s behavior. After the educator heard everything from Safar-Beg, he started talking about the death in order to clear up conscience.

Logically, only the shot of this gun is left to destroy a real criminal. Safar-Beg is ready too for this and the reader too with him, but... But before the suicide of the educator Safar-Beg is already punished by ashamed life (“You do not deserve even death!). Therefore the words “and in order to clear up the consciousness I will die” refers not Safar-Beg, but the educator himself. These words are moral self-evaluation and the recognition of his direct responsibility for the crime. That’s why Haji Usup’s suicide has nothing to do with the sacrifice done for the sinner either with the model of sacrifice for God, as this is misinterpreted by some researchers...

Thus, the final formation of the essence of the poem is connected with the suicide of the educator. The wise educator who is the confessor of people and moral legislator as

well, in conceptual terms represents the image of a wise man formed through the parameters of enlightenment, always thoughtful as a symbol of enlightenment.

In the crime committed by his pupil, which in Haji-Usup's opinion surpasses personal level and weakens the basis of the society, not only does he see the failure of his pedagogical method which was based on almighty idea of upbringing, but he also sees the end of the beginning of educative rationalistic ethics and traditional society, left alone in front of irrational instincts. The suicide of Gamzrdeli is the catastrophe of the ideological system, which shows Akaki Tsereteli's, as an adept of enlightenment, metamorphosis from educative optimism to scepticism and pessimism.

ივანე ამირხანაშვილი (საქართველო)

მინიმალში როგორც პრაქტიკული საჭიროება (მეტაფრასტიდან სვინაქსარამდე)

ეს არის არა ესთეტიკური მიმართულება, არამედ მიზნობრივი გზა, პრაქტიკული საჭიროება, ფუნქციური სტილი – ლიტერატურული სტრატეგია, მცირე ფორმის ხელოვნება.

ადაპტაციის სახე, კონკრეტიზმი და საგნობრიობა. უფრო „მინიმუმის“ პრაქტიკა, ვიდრე მინიმალისტური ტექნიკა.

ღვთისმსახურება მოითხოვს შეიქმნას მოკლე ტექსტები, რათა ლიტურგიკული კალენდარი მეტისმეტად არ გადაიტვირთოს. დროთა განმავლობაში კალენდარი მართლაც გადაიტვირთა წმინდანთა დღესასწაულებით. „ცხოვრებათა“ და „წამებათა“ ვრცელი ტექსტების წაკითხვა ვეღარ ესწრებოდა, ამიტომ აუცილებელი გახდა მასალის შემოკლება.

განხორციელდა კომუნიკაციური იდეა, რომელშიც პირველადი მნიშვნელობა მიენიჭა პრაქტიკას.

აგიოგრაფიული თხრობის მეორე პოლუსი: მეტაფრასტიდან სვინაქსარისკენ. სვინაქსარი ანუ „სიტყუა მოკლედ ნათქომი“, „მოკლედ აღწერილი“, „გამოკრებილი“.

3. A (potential) reader participates at all stages of the text creating process— sometimes explicitly, sometimes implicitly.

It is essential to single out, to name such textual element, which is indispensable for all texts and at the same time undoubtedly has the dialogue nature, i.e. this element inherently excludes that the author acts completely separately from a future recipient of the text.

Reso Karalashvili finds and names such indispensable textual element: The language.

He says: “The addressee is now an indispensable moment of creating process, as generally of the language, and communication between them is the basic function and purpose of the poetic language. Communication, as a concept, suggests in itself the existence of a transmitter and a recipient. Thus, the existence of an addressee follows from the very nature of the language.”

By this reasoning Reso Karalashvili made serious contribution in the development of reader-response criticism.

Unlike the Roland Barthes' viewpoint, that he expressed in the article “The death of the author” (1967), Reso Karalashvili does not consider the writing (in contrast with reading) to be an impersonal activity, because a work of art is a tool of self-cognition and self-reflection as well, hence it objectifies the creative person's complicated inner-spiritual process in the form of language, which means that the text addressee can also be the author himself/herself. (Here the second function of the language emerges: The language as a tool of thinking, in this case – of self-cognition.)

Thus, the communication function of the language does not allow writing to be a process isolated from a future recipient of the text, and the language as a tool of thinking, in this case – of self-cognition, makes it possible writing not to be an impersonal activity.

თამაზ მასაძე (საქართველო)

ბარათაშვილის პოეზიის ანტითეზები

ბარათაშვილის პოეტიკა, მისი გამომხატველობითი საშუალებების მთლიანობა, სტილი, რასაკვირველია, განხილული უნდა იქნეს მისსავე მსოფლალქმასთან, მსოფლხედვასთან კავშირში, როგორც ამ მსოფლხედვით დეტერმინირებული მოვლენა და როგორც ამ მსოფლხედვის გაცხადება.

თავის მხრივ, ბარათაშვილის პოეტური მსოფლხედვა ზოგადრომანტიკული მსოფლალქმის ტიპიური – თუმცა მეტად თავისებური – გამოვლინებაა.

რომანტიკული ლიტერატურა, როგორც გერმანელი რომანტიკოსები ფიქრობდნენ, „უნივერსალურობისკენ“, სამყაროს განუზომელი მრავალგვაროვნების და სირთულის, წინააღმდეგობრიობის ათვისებისკენ და გამოხატვისკენ მიისწრაფის. რომანტიკოსები გარემომცველ თუ შიდა, სულიერ სინამდვილეს აღიქვამენ როგორც წინააღმდეგობების – ხშირად შეურიგებელის – დისონანსურ ერთობლიობას, სხვადასხვა, უკიდურესად მკვეთრი და სრული სახით გამომჟღავნებული საწყისების დაძაბულ დაპირისპირებას, შეჯახებას, ხოლო ჰარმონიული არსებობა მათ სადღაც, ამგვარი კონფლიქტებისგან გამიჯნულ სივრცეში ეგულებათ. რომანტიზმის ძირეულ საფუძველსაც სწორედ დაპირისპირება, წინააღმდეგობა შეადგენს – ეს არის წინააღმდეგობა რეალობას და იდეალს შორის. რომანტიზმში აღბეჭდილი ყველა სხვა წინააღმდეგობა მისგან არის წარმოშობილი. ასეთი წინააღმდეგობებია დაპირისპირება სულს და სხეულს, ჩვეულებრივს და არაჩვეულებრივს, სასრულ-შეზღუდულს და უსასრულო-აბსოლუტურს შორის და ა.შ. რომანტიზმის სუბსტანციური თავისებურება – იდეალის და რეალობის დაშორების დრამატული ხედვა განსაზღვრავს იმას, რომ სამყაროს რომანტიკული მხატვრული აღქმა და სტილი მიდრეკილია ანტითეატურობისკენ.

ბარათაშვილის პოეზიას ერთიანად, ტოტალურად მსჭვალავს იდეალის და რეალობის კოლიზია და მისგან აღმოცენებული შეპირისპირებები – ანტითეზები, კონტრასტები, ოპოზიციები, რომლებიც ვლინდება მხატვრული სახეობრიობის, მხატვრული ფორმის სხვადასხვა დონეზე, მხატვრული სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტებში.

იმდენად ნიშანდობლივი და არსებითია ბარათაშვილის პოეზიის სისავსე შეპირისპირებებით, რომ მისი პოეტური აზროვნების სტილს ანტითეატური, პოლარიზებული შეიძლება ვუწოდოთ.

ბუნებრივია, ამგვარი დახასიათების სისწორე ბარათაშვილის ნაწარმოებების ანალიზმა უნდა დაადასტუროს.

დავინწყოთ ლექსით „ფიქრნი მტკვრის პირას“, რომელიც ბარათაშვილის პოეზიის ანტითეატური, პოლარიზებული ბუნების ყველაზე ეჭვმიუტანელ, აშკარა ილუსტრაციად შეიძლება გამოდგეს.

აქ სრულიად გამჭვირვალეა და კრიტიკის მიერ მრავალჯერ აღნიშნულია, რომ აზრი ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების შესახებ შეუთანხმებელია ლექსის დასკვნით ნაწილში გამოკვეთილ პოზიციასთან – ადამიანმა, ყველაფრის მიუხედავად, არ შეიძლება არ იზრუნოს მინიერ ცხოვრებაზე.

იმას, რაც ამ თემაზე კრიტიკაში თქმულა, აუცილებელია დაემატოს ნაწარმოების ძირითადი ანტიტეზის მიჩნევა და განხილვა ანტინომიად, – ანტიტეზის უკიდურეს სახეობად – რაკი მისი შემადგენელი ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხველი აზრები, როგორც ანტინომიისთვის არის დამახასიათებელი, ერთნაირად სწორი ჩანს, ერთნაირად სარწმუნოა. რომელიმე მათგანის უპირატესობა მოცემული სისტემის ფარგლებში ვერ გაირკვევა, ეს სხვა განზომილებაში უნდა გაირკვეს. ასეთი „სხვა განზომილება“ ამ შემთხვევაში „მერანია“, რომელშიც მინიერ ცხოვრებაზე ზრუნვა მოვლენილია როგორც მსხვერპლის გაღება ამქვეყნიური ამაოების დაძლევისთვის და ამქვეყნად თავისუფლების დამკვიდრებისთვის...

ძირითადი ანტიტეზის გარდა „ფიქრში“ კიდევ არის არა ასე იოლად შესამჩნევი ანტიტეზები. ანტიტეტურია ცალკეული სახეები, დეტალები. „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი? მრავალ დროების მონამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...“ მტკვარი თითქოს მეტყველია, რაღაცას ამბობს, მაგრამ არაფერს გვეუბნება, არ გვიმჟღავნებს, რაც ასხოვს...

ანტიტეტურია, წინააღმდეგობრივია არსებითი ადამიანური თვისება – სურვილთა ასრულების მიუხედავად დაუკმაყოფილებლობა, შინაგანი მოუსვენრობა: „ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“

მკვეთრად წინააღმდეგობრივი სახით იხატება მეფე-დამპყრობელთა ყოფიერება და ბუნება – რაკი ისინი ადამიანებს შორის ყველაზე ძალმოსილები არიან, ამიტომ ყოველივე სასურველს ფლობენ და ამან მათი სურვილები, წესით, უნდა დააოკოს, მაგრამ მაინც მეტის და მეტის მოხვეჭას ცდილობენ; წინააღმდეგობაა მათი ამ ცდის დაძაბულ ენერგიულობას და მათი მონაპოვრის უფასურობას შორისაც. „თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება, შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან იმავე მინისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...“

ასევე პოლარულად ურთერთსაპირისპიროა კეთილშობილ მონარქთა მისწრაფება, საკუთარ სახელმწიფოზე და ხალხზე მზრუნველობით უკვდავკონ თავისი სახელი და ამ მისწრაფების შედეგი – ოდესმე, სამყაროს დაღუპვისას ეს სახელიც უკვალოდ გაქრება.

ამ ანტიტეზებს თავს უყრის და აზოგადებს უფრო დიდი ანტიტეზა – ორგვარი ტიპის მეფეების, ერთმანეთის სრული ანტიპოდების (არსებითად კი – სიკეთის და ბოროტების). მათ მხოლოდ ის აერთიანებს, რომ საბოლოოდ ერთთაც და მეორეთაც არყოფნა ნთქავს.

ბარათაშვილის მხატვრული აზროვნების ძირითადი პრინციპი – პოლარიზება, ანტითეატრობა ასევე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მჟღავნდება ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“. იგი მთლიანად და გამჭვირვალედ არის აგებული ანტითეზებზე.

საერთოდ, ბარათაშვილის პოეზიის სიუხვე ანტითეზებით ორგანულად უკავშირდება მის ინტელექტუალიზმს, ანალიტიკურ ბუნებას – ანტითეზები ბარათაშვილისთვის სამყაროს ინტელექტუალური პოეტური ჭვრეტის და შემეცნების ინსტრუმენტებია. ეს განსაკუთრებით ეხება რამდენიმე ნაწარმოებს, მათ შორის ლექსს „რად ჰყვედრი კაცსა“, რომელიც ერთიანად და გამოკვეთილად არის დაფუძნებული ინტელექტუალურ ჭვრეტაზე, ემოციურ-ხატოვან განსჯაზე და რომელშიც ურთიერთსაპირისპირო ფენომენები პოეტური ფორმულების მეშვეობით ერთმანეთისგან ნათლად გამიჯნული და განმარტებულია. სწორედ განმარტებულია – ეს „არაპოეტური“ სიტყვა აქ სულაც არ არის უადგილო, შეუფერებელი. „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების, აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალეზი, ცვალებადა, წარმავალი და უმტკიცები! მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული, რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული, და კაცთა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა, რად გწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?“

ორნაირი სილამაზის და, შესაბამისად, ორნაირი სიყვარულის დაპირისპირება ირეკლება ურთიერთსაპირისპირო, ანტითეატრ სიტყვებში და გამოთქმებში, სახეებში: ერთი მხრივ, „პირუმტკიცობა“, „ტრფიალისა ცვალებადა გრძნობა“, „ხორციელება“, „ყვავილი“, რომელიც „მსწრაფლად დაჭკნების“, „ცვალებადა, წარმავალი და უმტკიცები“ გული და, მეორე მხრივ, „საუკუნო მადლი ტრფობისა“, „ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებული“ სიყვარული, „უკვდავება“, „მშვენიერი სული“, რომელსაც „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“, „ჭემმარიტება“...

მკვეთრი შეპირისპირება, ანტითეზა და კონტრასტია ის კონსტრუქციული მხატვრული პრინციპი, რომელსაც ემყარება ლექსი „არ უკიჟინო, სატრფოო“. აქ ერთმანეთთან არის შეპირისპირებული „უკვდავი გრძნობები“ და „მოკვდავი ენა“ – ჩვეულებრივი ადამიანური, თუნდაც პოეტური მეტყველება – და ამ წინააღმდეგობაზე ამაღლების ცდაა განხორციელებული. ამის გარდა, „უკვდავ გრძნობას“, არაჩვეულებრივ სიყვარულს უპირისპირდება სიყვარული „სხვათაებრ“, ანუ ჩვეულებრივი სიყვარული, ჩვეულებრივ, „მოკვდავ“ ქალს – არაჩვეულებრივი, „ცისიერი“ ქალი, დაჯილდოებული „უხრწნელი“ მშვენიერებით. პოლარიზებულია ცალკეული მხატვრული სახეებიც: ცხოველმყოფელ მხესთან შეპირისპირებულია სუსტად მბჟუტავი, თითქმის ჩამქრალი მზე („მაშინ მზეც უსხვი-უცეცხლოდ შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებრ“); მაცოცხლებელი მზის ამოსვლის მომლოდინე ვარდის პოლარული წყვილის ცალია ვარდი, რომელიც განთიადისას ვედარ იშლება, ხოლო სიცოცხლის გამღვივებელ ცვარს ენაცვლება ძალაგამოცლილი ცვარი („და ცისა ცვარმან მდელთა არღარა გააბიზინოს“).

ბარათაშვილის პოეზიის ძირითადი ანტითეზები არ შეიძლება აღვიქვათ როგორც ტროპები თუ სტილისტური ფიგურები, როგორც, ვთქვათ, შედარე-

ბები, რომლებიც უფრო მკაფიოდ დაგვანახებენ ამა თუ იმ მოვლენას, ავსებენ და ამდიდრებენ მის გამოსახულებას. ბარათაშვილის მიერ შექმნილი პოეტური შეპირისპირებები თვით სამყაროში ობიექტურად არსებულ ფუნდამენტურ წინააღმდეგობათა ანარეკლია. ის ფენომენები, რომლებიც ბარათაშვილის ლექსებში ურთიერთშეპირისპირებულია, პოეტს ამ შეპირისპირების გარეშე ვერ წარმოუდგენია. ისინი აუცილებლობის ძალით მოითხოვენ ერთმანეთს, რადგან მხოლოდ ურთიერთმიმართებაში გამოკვეთენ თავიანთ რაობას. მათ შორის კანონზომიერი სიღრმისეული კავშირია და არა სუბიექტურ-პირობითი ასოციაციური კავშირი. ურთერთშეპირისპირებული მოვლენები რაღაც მთლიანი რეალობის ბუნებრივი და მოუკვეთელი ნაწილებია, ანდა მთლიანი პროცესის სხვადასხვა, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სტადიებია.

„ვპოვე ტაძარი“ სიყვარულის და უსიყვარულობის რელიეფური ანტითეზის ხორცშესხმაა. შეპირისპირებული ფენომენები თანაზომიერად, პროპორციულად არის წარმოდგენილი გვერდიგვერდ, მათი ანტითეტურობა სრულია, ზედმიწევნით ზუსტი და თანმიმდევრულია. ანტითეტურია მთავარი სახეები – ტაძარი და უდაბნო. თუ ტაძარი გამოხატავს მიგნებულ სულიერ ნავსაყუდელს, უდაბნო მიუსაფრობის, შინაგანი უბინაობის გამომხატველია; ტაძარი სულთა შეკავშირებაა, ამაღლებული ურთიერთობაა, უდაბნო – გამოუვალი მარტოობა; ტაძარი დახვეწილი სულიერი ტკობაა, „ნეტარება“, უდაბნო – სევდა, მწუხარება; ტაძარი ჰარმონიული კოსმიური მუსიკით არის სავსე („ანგელოსთაგან იკვროდა მუნ დავითის ქნარი და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!“), უდაბნოში სიცარიელის საშინელი დუმილია („უდაბნო ჩემდა მდუმარებს“); ტაძარს „წმიდა ლამპრის“ შუქი ანათებს, უდაბნოში „წყვდიადი დაისადგურებს“.

ამ ლექსში შექმნილი ორი მაქსიმალურად კონტრასტული სურათი ერთმანეთს უკიდურესი დრამატიზმით ეწინააღმდეგება და ამავე დროს იზიდავს კიდეც, როგორც ორი პოლუსი – აბსოლუტური ბედნიერება და აბსოლუტური უბედურება, არსებითად – სამოთხე და ჯოჯოხეთი. ეს პოლარული სურათები განასახიერებენ შინაგანი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებს, რომლებსაც უფსკრული თიშავთ. რომანტიკული თვალთახედვით, ადამიანის სულიერი სამყარო თავისი არსით დისჰარმონიულია და „ვპოვე ტაძარში“ ანტითეტური სახეებით სულის ჰარმონიის რღვევის ტრაგიკული ისტორიაა გადმოცემული.

ასევე სულის ტრაგიკული ისტორია, სულიერი კატასტროფაა გამოხატული „სული ობოლში“. თუ ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“ ორნაირი სილამაზე და სიყვარულია შეპირისპირებული, აქ ორგვარი „ობლობა“ უპირისპირდება ერთმანეთს. ეს ორნაირი „ობლობა“ ცხადად ურთიერთგანსხვავებულია როგორც ყოველდღიურად ხილული, ჩვეულებრივი და ყველასთვის ნაცნობი, არც ისე ძნელად გადასატანი მოვლენა, ერთი მხრივ, და ღრმა, ფარული, ტრაგიზმით სავსე, არაჩვეულებრივი ფენომენი, მეორე მხრივ. „ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას, ნუ ვინ სჩივის თავისს უთვისტომობას! საბრალთა მხოლოდ სულით ობოლი, ძნელდა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი! მეგობართა, ნათესავთ მოკლებული ისევ ჩქარად პოვებს სანაცვლოს გული, მაგრამ ერთხელ დაობლებული სული მარად ითმენს უნუგეშობას კრული!“.

ანტითეზა აქ ემსახურება მარტოსული ადამიანის ფიგურის რომანტიზებას, მის გამორჩევას ადამიანთა მასისგან, ტრივიალური ყოფა-ცხოვრებიდან, სტანდარტული ადამიანური ხვედრის ერთფეროვანი ფონიდან. „სული ობოლი“ რჩეული სულია, განსაკუთრებულად ფაქიზი, მგრძნობიარე ნატურაა. ეს არის სულიერი არისტოკრატიზმის რომანტიკული კულტის მკაფიო და ნიშანდობლივი გამოხატულება.

ლირიკული გმირის სულის სიღრმეში მიმდინარე დრამატული პროცესი მძაფრი ანტითეტური სახეებით აღიბეჭდება „ხმა იდუმალში“. მტანჯველი იდუმალი ხმის აღმოცენებას წინ უსწრებს უშფოთველი, ტანჯვით დაუმძიმებელი ცხოვრება: „დავმთე ადგილი, სადაცა წრფელი რბიოდა ნათლად დრო ყმანვილობის სწორთა, განზრდილთა, მეგობართ შორის“.

მომდევნო ანტითეზას შეადგენს პრინციპული წინააღმდეგობა ორ გარემოებას შორის: იდუმალი ხმა ლირიკული გმირისგან დაჟინებით, გარდაუვალად მოითხოვს საკუთარი მონოდების პოვნას, მაგრამ ამ მოთხოვნის შესრულება ვერაფრით ხერხდება („მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!“).

კიდევ ერთი ანტითეზა – ეჭვს იმის თაობაზე, რომ იდუმალი ხმა შეიძლება სინდისი იყოს, უპირისპირდება აზრი, რომ რაკი ლირიკული გმირი საკუთარ თავში ბოროტებას ვერ პოვებს, ამიტომ არ შეიძლება სინდისი ქენჯნიდეს.

ყველაზე დრამატულია დაპირისპირება იდუმალი ხმის რაობის განსაზღვრის ორ შესაძლებლობას შორის – გაურკვეველია, იდუმალი ხმა ღვთიურია თუ დემონური („ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი ან თუ ეშმაკი მაცთური ჩემი?“).

სულიერი სამყაროს უხილავი შრეების დახლეჩილობა თვალნათლივ და ხელშესახებად წარმოსახება ანტითეზების მეშვეობით.

ბარათაშვილის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა სულიერ კოლიზიაზე აგებული ლექსი „სულო ბოროტო“ თავისი მხატვრული სტრუქტურით მკაფიოდ და დაძაბულად პოლარიზებულია. ეს პოლარიზება თავს იჩენს როგორც წარსულის და აწმყოს, როგორც ადრინდელ და ახლანდელ სულიერ მდგომარეობათა რაობის უმწვავესი ურთიერთწინააღმდეგობა. ბოროტი სულის მიერ ცდუნებამდე ლირიკული გმირის არსებობის ძირეული მახასიათებლებია „სულის მშვიდობა“, „ყმანვილის ბრმა სარწმუნოება“, „წრფელნი ზრახვანი“, ხოლო ცდუნების შემდეგ გმირის სულიერი ყოფა წინა მდგომარეობის მიმართ აბსოლუტურად კონტრასტულია. მის არსს განსაზღვრავს შფოთვა, ვნებების მოძალება, „ჭკუით ურწმუნობა“, „გულით უნდობა“, „უსაგნობა“ (უმიზნობა).

თვით ბოროტი სულის მოქმედება ცდუნებისას და მოგვიანებით სხვადასხვაგვარად, ანტითეტურად წარმოდგება („რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?“). მის მიერ მიცემული აღთქმაც რადიკალური ანტითეზის შემცველია: „ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!“.

ამ ტრაგიკულ ნაწარმოებში წარმოჩენილია სულიერი სამყაროს დისჰარმონიული სურათი, სადაც ყველაფერი ორად გაყოფილია, ერთმანეთთან

სამკედრო-სასიცოცხლოდ შეჯახებულია. ეს სურათი დასერილია უკიდურესი კონტრასტებით, ანტიტეზებით, ოპოზიციებით.

ბარათაშვილის პოეტურ ნაწარმოებებში ანტიტეზურობას, პოლარიზაციას, მხატვრული აზროვნების წარმმართველ პრინციპს, მთავარი კონცეპტუალური ფუნქცია ეკისრება, ანუ იგი ნაწარმოების კონცეფციის შემქმნელი ძირითადი ფაქტორია. შესაბამისად, ამ ნაწარმოებების კონცეფციის ადეკვატური გაგება და გააზრება შეუძლებელია ბარათაშვილის სტილის ანტიტეზურობის გაუთვალისწინებლად. ეს განსაკუთრებულად ეხება ისეთი სერიოზული, მნიშვნელოვანი კონცეფციის ხორცშემსხმელ ნაწარმოებს, როგორც „მერანია“.

თუ „მერანის“ გამმსჭვალავ ანტიტეზებს დავაკვირდებით და გავაანალიზებთ, ამ ლექსის საზრისი, კონცეფცია მისი ტრადიციული გაგებისგან განსხვავებულად გამოიკვეთება.

ყველაზე ნათლად დასანახი „მერანში“ არის თავისუფლების და ბედისწერის ანტიტეზა, რომელიც სახიერდება პოლარიზებულ სიმბოლოებში – ეს არის, ერთი მხრივ, მერანი და, მეორე მხრივ, „თვალბედითი შავი ყორანი“. ამ ძალების და მათი გამომხატველი სახეების დაპირისპირება აბსოლუტურია. მაგრამ ასევე თვალსაჩინო არ არის მის მიღმა განფენილი უფრო არსებითი ანტიტეზა – თავისუფლებისკენ სწრაფვა და სიკვდილი. ხოლო კიდევ უფრო მეტი კონცეპტუალური მნიშვნელობის მქონეა ორგვარი სიკვდილის ალტერნატივა, რომელიც თავისუფლების და სიკვდილის ზოგადი ხასიათის ანტიტეზის კონკრეტიზაციაა.

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის, ნუ დაძვინდობს სატრფომ გულსა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის! შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაცურის! სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი, ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივაღალეებენ სვავნი მყივარნი!“.

სიკვდილს სამშობლოში, დამარხვას წინაპრების საფლავების ახლოს, ახლობლების მიერ დატირებას უპირისპირდება სიკვდილი უცხო, უკაცრიელ და უდაბურ გარემოში, ბუნების მტრულ, აგრესიულ სტიქიებს შორის. ამგვარ გარემოში სიკვდილი რომანტიკულად მაქსიმალიზებული, აბსოლუტიზებული სიკვდილია, ეს სიკვდილის ტრიუმფია. ჩვეულებრივ, ტრადიციული წეს-ჩვეულებებით რამდენადმე განელეებულ, შერბილებულ სიკვდილს ენაცვლება არაჩვეულებრივად სასტიკი სიკვდილი, რომელიც, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, მოასწავებს ადამიანის სრულ გაქრობას სამყაროდან – მის ჰეროიკულ დაღუპვას არავინ ჰყავს მოწმე, თანამგრძობი და დამფასებელი. უცხოობაში და მარტოობაში სიკვდილის შედეგად ამ ადამიანისაგან ამქვეყნად კვალიც არ რჩება.

მაგრამ ლექსში აღიბეჭდება კიდევ ერთი, გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე ანტიტეზა – სიკვდილის ტრიუმფს, ადამიანის სრულ ანიჰილაციას უპირისპირდება და აქარწყლებს ლირიკული გმირის შეერთება უსასრულობასთან მსხვერპლგაღების წყალობით, რომელიც მომავალი თავისუფლების უსასრულო პერსპექტივას ხსნის, მომავალში ბედისწერით, სიკვდილით აღმოუფხვრელ თავისუფლებას ამ-

კვიდრებს: „და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“ ამგვარ მომავალ-თან მსხვერპლგაღებით მოპოვებული თანაზიარობით „მერანის“ გმირი არსებითად უკვდავებას მოიპოვებს, სიკვდილის, წარმავალობის მიმართ შეუვალი ხდება: იგი სამუდამო წილს დაიდებს ადამიანთა სამყაროში მარად მიმდინარე, ალუკვეთელ პროცესში – თავისუფლებისთვის ბრძოლაში და ასე მაღლდება წარმავალობაზე, სიკვდილზე, რომელმაც მანამდე თითქოს ტრიუმფალური გამარჯვება იზეიმა.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის პოეზიაში ანტითეატრად არის დან-ახუ-ლი და წარმოჩენილი ადამიანის არსებობის ცენტრალური ფენომენები – აქ ორგვარია სილამაზე, სიყვარული, „ობლობა“, ძალაუფლება (მეფობა), სიკვდილი. ანტითეზების მეოხებით ბარათაშვილი ხელშესახებად მიჯნავს ერთმანეთისგან ჩვეულებრივს და არაჩვეულებრივს, მდარეს და ამაღლებულს, საყოველთაო-მასობრივს და მხოლოდ სულიერი არისტოკრატისთვის მისანვდომს. ანტითეზები გამოკვეთენ და მწყობრად განალაგებენ ბარათაშვილის ფასეულობებს და იმას, რაც მისთვის ფასეულობას მოკლებულია ან სულაც ანტიფასეულობაა, მყარი და ცხადი ღირებულებრივი საზომით ახარისხებენ ბარათაშვილის მიერ აღქმულ საგნებს და მოვლენებს.

ბარათაშვილის პოეზიაში ანტითეატრად უპირისპირდება ერთმანეთს სხვადასხვა ნაწარმოებებიც. „მერანის“ ანტითეზაა „შემოღამება მთანმინდაზე“. „მერანის“ უკიდურესი ტრაგიზმის ნაცვლად „შემოღამებაში“ ვხედავთ სამყაროს და ადამიანს შორის მიღწეული უმაღლესი ჰარმონიის სურათს. ამ სურათზე თითქოს არავითარი ანტითეზებისთვის, დრამატული პოლარიზებისთვის ადგილი არ რჩება, მაგრამ ანტითეატრობა ბარათაშვილის მხატვრული აზროვნების იმდენად ფუნდამენტური თვისებაა, რომ იგი აქაც, მისთვის თითქოსდა სრულიად შეუსაბამო კონტექსტშიც მჟღავნდება. ამ ლექსის ჰარმონიული ზედაპირის მიღმა ანტითეზათა მიერ წარმოქმნილი ბზარებია შეფარული.

გარეგნულად არამკვეთრი, არათვალმისაცემი ანტითეზა უკვე ლექსის დასაწყისშივეა მონიშნული – ჩვეულებრივი „სალი აზრისთვის“ გაუგებარია, თუ რო-გორ უნდა იყოს „ვერანა“ გარემო მშვენიერი. მაგრამ ბარათაშვილი სწორედ ასეთ უცნაურ, შინაგან წინააღმდეგობაზე დამყარებულ მშვენიერებას ქმნის: „ადგილნი შენნი, დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი, ვითარ შევნიან, როს მონამვენ ცვარნი ციურნი, ოდეს სალამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი!“. ეს ის მშვენიერებაა, რომელიც „მშვენიერსა სულში მდგომარებს“. იგი გამოარჩევს მთანმინდის მთლიან ხატს, განსაკუთრებით კი „ლიტურგიულ პეიზაჟს“, რომელიც ლექსშია აღბეჭდილი“ („ძირს გაშლილს ლამაზ ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა, და, ვით გუნდრუქსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სურნელებსა!“).

„შემოღამებაში“ თავს იჩენს უფრო მეტი კონცეპტუალური დატვირთვის მზიდველი სხვა ანტითეზებიც. მათგან ერთი ვლინდება იმით, რომ ლექსში წარმოსახული ჰარმონია, ადამიანის და გარესამყაროს ჰარმონიული შერწყმა, განცდილი სიხარულით და აღტაცებით, ძნელად შესათავსებელია მიღმური

სამყაროს მიუწვდომლობის ტკივილთან – ეს ორი მკვეთრად განსხვავებული ემოციურ-გონებრივი მდგომარეობაა. ამგვარი ანტიტეზა ლექსში წარმოდგენლ ჰარმონიას შინაგანად უფრო რთულს და მნიშვნელოვანს ხდის, კიდევ უფრო ამდიდრებს, ამ ჰარმონიას, ასე ვთქვათ, სიმტკნარისგან აზღვევს.

პარადოქსულ იერს აძლევს „შემოღამებას“ ფინალური სახე – „დილა მზიანი“, რომელიც „ყოველ ბინდსა განანათლებს“. ეს სახე პოლარულად ეწინააღმდეგება ლექსის მთელ შინაარსს და სახეობრივ წყობას, პათოსს, რომელიც მწუხრის უჩვეულო მომხიბვლელობის გამომჟღავნებისკენ არის მიმართული.

უნდა ითქვას, რომ ანტიტეზები „შემოღამების“ ჰარმონიას არ არღვევენ, მაგრამ ისინი საკმაოდ გამოკვეთილია და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ნაწარმოების საზრისის ფორმირებაში.

„შემოღამების“ მსგავსად „ჩვილიც“ ჰარმონიის აღბეჭდვაზე ორიენტირებული ლექსია, მაგრამ ჩვილი ბავშვის სამოთხისებური ნეტარებით სავსე არსებობის მიღმა იკვეთება ჩვეულებრივი, მკაცრი ცხოვრების კონტურები. თვით ჩვილის ჰარმონიული არსებობის დახასიათებას ქვეტექსტურად გასდევს მოზრდილთა ყოფისგან მისი პოლარული განსხვავებულობის გააზრება. „მის სოფელი უზრუნველობით შენობს, გარდა დედის ალერსისა არრას გრძნობს, ნებივრობით და ღიმილით სულდგმულობს, ყოველსავე შეუპოვრად მჭვრეტელობს“. ეს ზრდასრული ადამიანის ცხოვრების ზუსტი ანტიტეზაა, ცხოვრების, რომლისგანაც განუყოფელია ზრუნვა, რომელშიც დაცულობის გრძნობა, ბედნიერება და სიხარული მუდამ მოსაპოვებელია და არა გარანტირებული, რომელშიც ადამიანის ჩვეულებრივი ხვედრია შფოთვა და არა ყოველივეს „შეუპოვარი“ (უშიშარი) ჭვრეტა. ჩვილისთვის უცნობია თვითცნობიერება, რომელიც მონიფულ ადამიანს ცხოვრების ტკივილებს აგრძნობინებს („არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას, არ განიცდის იგი სანუთროს ვნებას“) და ამ ნიშნით ეს ნეტარი არსება ანტიტეტურად არის შეპირისპირებული საკუთარ მშობლებთან, რომელთაც „თავის სანუკველითა შობით ამუნათებს“ – პასუხისმგებლობით და საზრუნავით ტვირთავს, ვალად ადებს, გაუფრთხილდნენ მას როგორც ძვირფას, სასიხარულო საჩუქარს.

ბავშვობის და მონიფული ადამიანის ცხოვრების ანტიტეზა ქვეტექსტიდან ტექსტში ინაცვლებს და ღია ხდება ლექსის ბოლო ორ სტროფში, სადაც უკვე პირდაპირ არის ლაპარაკი „სანუთროს ვნებაზე“ და „მომღერალ სოფელზე“, რომელიც ჩვილის „თავისუფლებას“ მალე შეინირავს.

სამოთხისებური ნეტარების და მისი დაკარგვის, სამოთხიდან გამოძევების მოტივი, რომელსაც აქ ვხვდებით, თავს იჩენს და მძაფრი ანტიტეზების საშუალებით გამოიხატება აგრეთვე „ხმა იდუმალში“, „ვპოვე ტაძარში“, თავისებურად „სულ ბოროტოშიც“...

„ჩემი ლოცვა“ სამოთხის დამკარგველის, სამოთხის მიღმა აღმოჩენილის აღსარებაა, სამოთხის, რომელიც ადრეულ ბავშვობაშია მისაწვდომი. ეს აღსარება მწვავე ანტიტეზების შემცველია. ანტიტეტურია მიმართება ღმერთის აბსოლუტურ სიყვარულს და მის მიერ „ძე შეცთომილის“ უარყოფის შესაძლებლობას

შორის („ნუთუ მამასა არლა ჰქონდეს გულის-ტკივილი, ოდეს იხილოს განსაც-დელში შემცოდე შვილი?“). ანტითეატურია ადამის ხვედრიც („უმსხვერპლა ნადილს სამოთხისა მშვენიერება, გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება“); პოლარიზებულია სხვა სახეები და წარმოდგენები, ცნებები: „ცხოვრების წყარო“, მისი „წმიდა წყლები“ და „სალმობანი გულისა სენთა“; „ვნების ქარნი“, მათ წინაშე უმწეო „ნავი“ და მათგან დამფარავი „სადგური მყუდროებისა“; გულის უხილავი „სიღრმე“, რომელიც ღმერთისთვის მაინც „ცხადია“; ადამიანის შინაგანი თავისუფლება, მისი ფიქრის სპონტანურობა და ამ სპონტანური თავისუფლების შედეგის წინასწარჭვრეტა ღმერთის მიერ („შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზ-რახო მე“); ანტითეატურ წყვილს ქმნიან „დუმილი“ და „ლოცვა“.

ხშირია და „მსხვილი პლანით“ აღბეჭდილია ანტითეატრული ბარათაშვილის სასიყვარულო ლირიკის არამარტო უკვე განხილულ, არამედ სხვა ნიმუშებშიც. ლექსი „როს ბედნიერ ვარ“ დამყარებულია საკმაოდ მარტივ კონტრასტზე ორ მდგომარეობას შორის – საყვარელ ადამიანთან სიხარულის მომგვრელ სიახლო-ვეს და მისგან მტანჯველ სიშორეს შორის. მაგრამ ამ ლექსში მთავარია არა ეს მარტივი კონტრასტი, არამედ საყვარელი ქალის რთული, იდუმალი და შეუცნობელი სახე, რომელიც ანტითეატურ თვისებათა დიალექტიკური გამთლიანებით იქმნება. „ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს, ხანცა ყო-ველ სულს ამხიარულებს, ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს, ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!“.

ლექსში „მიყვარს თვალები“ საყვარელი ქალის მზერა ორგვაროვნად, ურ-თიერთსაპირისპირო რაკურსებით წარმოისახება – ქალის თვალები ზოგჯერ მომაკვდინებელია თავისი მზერის სიმკაცრით („ზამბახ-ვარდთ ველად განე-წონვიან მათი ისრები“), ისინი „უწყალოდ სტანჯავენ უენო მსხვერპლსა“, მაგ-რამ ამასთანავე ტკივილთა დამაამებლებიც არიან („მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ, მათშივე ჰპოვებს საკურნებელსა“). საყვარელი ქალის თვალების ოქსიმორონულ ხატში ერთიანდება პოლარულად განსხვავებული ფენომენები: „თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენს ძლიერს ბასრობას, თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას?“

„ჩემს ვარსკვლავს“ ემყარება „ვარსკვლავის“ და „ნისლის“, „ღრუბლის“ ანტითეზას, რომელსაც პოეტი ოსტატურად და ელეგანტურად გაათამაშებს, მის ზუსტად გააზრებულ, ეფექტურ ვარიაციებს ქმნის. ემოციების ფაქიზ ვიბრირებას გვაგრძნობინებს „დაბინდული“, „ბნელი“ გულის და საყვარელი ქა-ლის სულიერი სინათლის პოლარიზება.

ასევე ციური მნათობის და „ღრუბლის“ სიმბოლური სახეების ანტითეატუ-რი შეკავშირების მეშვეობით არის გამოხატული სიყვარულის გრძნობა, მისი დრამატული ისტორია ლექსში „აღმობდა მნათი“. ამ ლექსში განსაკუთრებით სა-ინტერესო და ნიშანდობლივია თვით გრძნობების ანტითეატური, პოლარიზებული ბუნება, ანტითეატური ფსიქოლოგიზმი: სიხარული და მწუხარება, უიმედობა და ბედნიერების მოლოდინი ერთმანეთს ხვდებიან და რთულ, წინააღმდეგობრივ მთლიანობად სინთეზირდებიან.

ბარათაშვილს იზიდავს მეტაფორების და სიმბოლოების გაშლა, გავრცობა, დეტალიზებულად განფენა. ასეა განფენილი ყვავილის ხატი ლექსში „დამქროლა ქარმან“, რომელშიც სიყვარულის ტრაგიკული მსხვერველაა გამხელილი. ყვავილის მეტაფორულ-სიმბოლური სახის საპირისპირო პოლუსზე წარმოდგება „სასტიკი ქარი“. ყვავილის სახის თანმდევია ანტითეატური წყვილიც – „ციური ცვარი“ და „ცრემლი“ („იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი; დრომ უჟამურმან ან ცრემლით შესვარა მისი ადგილი“).

სიყვარულის განდიდება და მისი კრიტიკული ხედვაა შეთავსებული ლექსში „ჩემთ მეგობართ“. ეს ნაწარმოები ანტითეატური დეტალების სიუხვით გამოირჩევა. ისინი განლაგდებიან ძირითადი ანტითეზის გასწვრივ – სიჭაბუკე და სიმწიფის ასაკი. სიჭაბუკე სიყვარულის ხანაა – ძლიერი გრძნობების, ვნებების აყოლის და სილალის დრო, ხოლო შემდეგ დგება ხანა, როცა გარდაუვალია „დადუმება გულის ვნებათა“, „კისრად ტვირთება წუთის-სოფლის მძიმე ზრუნვათა“.

შინაგანი ბუნების და გარეგანი იერის, ნამდვილი არსის და მოჩვენებითობის ხელშესახები კონტრასტით წარმოჩნდება ამ ლექსში ქალის სახე...

კიდევ არაერთი ანტითეზის გამოვლენა შეიძლება ბარათაშვილის სხვა ლექსებშიც, მაგრამ, ვფიქრობთ, მის პოეზიაში ანტითეატური აზროვნების ფუნქცია და მნიშვნელობა უამისოდაც ცხადია.

თუმცა არ შეიძლება არ ვახსენოთ პოემა „ბედი ქართლისა“. ის, რომ იგი მთლიანად ანტითეზებზე, კონტრასტებზე, პოლემიკურ დაპირისპირებაზეა დაფუძნებული, იმდენად აშკარაა, რომ საგანგებო მტკიცებას და ილუსტრირებას არ საჭიროებს. იგივე ითქმის ლექსზე „სუმბული და მწირი“, რომელიც თავისი შინაარსითაც „ბედი ქართლისას“ თანხმიერია.

ლიტერატურა:

- Vanslov, V. V. *Estetik'a Romantizma*, Moskva: 1966 (Ванслов, В. В. *Эстетика романтизма*, Москва: 1966).
- Istoriya Mirovoy Literatury*, t. 6. Moskva: 1989 (История мировой литературы, т. 6, Москва: 1989).
- Literaturnye Manifesty Zapadnoevropeyskikh Romantikov*, Moskva: 1980 (*Литературные манифесты западноевропейских романтиков*, Moskow: 1980).

Tamaz Vasadze
(Georgia)

Antitheses in Baratashvili's Poetry

Summary

Key words: Romanticism, antitheses, contradiction, opposition.

The fundamental basis of Romanticism is contradiction, opposition – it is an opposition between ideal and reality. All other contradictions represented in Romanticism are derived from it. Such contradictions are the opposition between the soul and body, usual and unusual, finite-restricted and infinite-absolute, etc. The substantial peculiarity of Romanticism – dramatic vision of separation ideal and reality, determines that romantic artistic perception of the world and style tends to be antithetic.

Through all Baratashvili's poetry runs a collision between the ideal and the actual, and contradictions originated from it – antitheses, contrasts, oppositions, which are manifested at different levels of artistic imagery, artistic form, in different elements of the artistic structure. The fullness of Baratashvili's poetry is so significant and essential with contrasts that the style of his poetic thinking can be called antithetical, polarized.

The poem “Meditations by the River Mtkvari” can be regarded as the most obvious illustration of antithetical, polarized nature of Baratashvili's poetry. Here it is absolutely transparent and more than once noted by criticism that the idea of the transience of life does not agree with the position expressed in the final part of the poem – a man, despite everything, cannot but take care of the earthly life.

In addition to what has been said in criticism on this subject, one thing is to be mentioned, which in our view has essential meaning: the main antithesis of the work appears as antinomy, – an extreme kind of antithesis, i.e. such contradiction, real or apparent, between two beliefs or conclusions, both of which seem equally reasonable, convincing, intellectually of the same value. The advantage of any of them cannot be understood within this system; this should be found in another dimension. Such “other dimension” in this case is “Merani” in which the care of the earthly life appears as a sacrifice to overcome the world's vanity and establish freedom in this world... Besides the main antithesis, there are other important antitheses in the “Meditations”.

The essential human feature –feelings of discontent, inner unrest despite the fulfillment of all desires is antithetical, contradictory. In a sharply contrasting way is pictured the existence and nature of king-conquerors because they are the most powerful among the people, so they have everything they want and it would seem this should curb their desires but still try to take more and more; their contradiction is between the tense vigor and devaluation of their acquisition. “ Even sovereigns great whose wealth and power is the wonder of the day/Feel greed and envy stir their breasts for realms that others sway. /They

crave and strive for more and more, and their impassioned lust/Is for that earth wherein they're doomed to mingle with its dust.”

The polar contradictory is an aspiration of noble kings to keep their name alive by caring for the welfare of their own land and people, and the outcome of this aspiration is that this name will disappear forever when the world dies.

These antitheses give rise to a larger antithesis – two types of kings, complete antipodes (essentially good and evil) of each other. The only thing they have in common is that both of them will be ultimately absorbed into non-existence.

The basic principle of Baratashvili's artistic thinking – polarization and antithetism is also clearly expressed in the poem “Rad kvedri kacsá” (Why do you reproach man..). It is completely and transparently built on antithesis.

Generally, the abundance of antitheses in Baratashvili's poetry is organically connected with his intellectualism, analytical nature – antitheses for the poet represent the instruments for intellectual poetic contemplation and cognition of the world. This particularly applies to a number of works, including the poem “Rad kvedri kacsá”, which is totally based on the intellectual contemplation, emotionally-figurative judgment, and in which the opposite phenomenon – the flesh and the spiritual beauty, and therefore, the double love is clearly divided from each other and is explained through poetic formulas. “Beauty is the gift of mortals, and like a flower it quickly fades away”... The poet-romanticist highlights the divine nature of the beauty.

If the poem “Rad kvedri kacsá” there are opposed two kinds of beauty and love, in the poem “The Orphaned Soul” two kinds of “orphanage” are opposed to each other. These two kinds of “orphanage” are clearly different from each other, on the one hand, there is usual and familiar, not too difficult to move on phenomenon, and, on the other hand, the hidden, tragic, and extraordinary phenomenon. “Let no one speak of the woes of the orphan/ Let no one complain of his lack of kin./Pitiful only are the orphaned in soul./ It is hard to find the peer he has lost./The heart that loses friends or relatives,/ Will just as quickly find a replacement,/ But the soul, once orphaned ./Accursed, eternally endures disconsolate!”

Antithesis serves to romanticize the figure of a lonely man, isolate him from the mass of people, trivial way of life, the monotone background of standard human lot. The “orphaned soul” is a chosen soul, especially sensual, sensitive nature. This is a clear and specific expression of the romantic cult of spiritual aristocracy.

This cult finds even more impressive expression in the poem “Merani”. There is a well-expressed antithesis of liberation and fate which is personified in polarized symbols – on the one hand, Merani and, on the other hand, the ominous “black raven”. The confrontation between these forces and their expressing is absolute. But the alternative of two kinds of deaths is of even more conceptual importance.

“In foreign lands thou lay me low, not where my fathers sleep; / Nor shed thou tears nor grieve, my love, nor over my body weep; /Ravens grim will dig my grave and whirlwinds wind a shroud /There, on desert plains where winds will howl in wailings loud. / No

lover's tears but dew divine will moist my bed of gloom;/ No dirge but vultures' shrieks will sound above my lowly tomb.”

The death in the homeland, the right to be buried in ancestral crypt, the mourning by relatives is contrasting with the death in a strange, uninhabited and desperate environment, between hostile and aggressive natural disasters. Death in such an environment is romantically maximalized, absolute death; this is a triumph of death. Somewhat delayed, mitigated by customary traditional practices death is replaced by unusually brutal death, which, unlike the usual one, predicts complete disappearance of a man from the world – no one is a witness, sympathizer or appreciator of his heroic death. As a result of death in a foreign land and in solitude, there remains no trace of a man in this world.

However, in the poem there is one more antithesis of crucial importance – the triumph of death, man's total annihilation is confronted and dispelled by joining the lyrical hero with the infinity, the attainment of immortality through sacrifice, which opens up an infinite perspective of future freedom and in the future, establishes freedom not destructed by fate, death. By the obtained communion with such future, the hero of the “Merani” becomes essentially fearless to death, transience: he will be an integral part in the permanent process of human world – in the struggle for freedom and thus, he elevates over the transience, death, which previously seemed to celebrate a triumphant victory.

As is seen, in Baratashvili's poetry the central phenomena of human existence are viewed and displayed in the opposition or antithesis – there are two kinds of beauty, love, “orphanage”, power (kingship), death. By using antithesis Baratashvili separates from each other the usual and unusual, lowered and elevated, universal and mass, and accessible only to spiritual aristocracy. The antitheses single out and set Baratashvili's values in a hierarchical order and all that is not of value to him, things and phenomena perceived by Baratashvili are sorted out with a solid system of values.

In Baratashvili's poetry more interesting examples of antithesis can be found, and substantial part of them is thoroughly regarded in this paper.

კონსტანტინე ბრეზაძე (საქართველო)

ვუძღვნი პროფ. კახა კაციტაძის ნათელ ხსოვნას

ნიკოლოზ ბარათაშვილი და გერმანული რომანტიზმი*

1. გერმანული რომანტიზმის მსოფლმხედველობა და პოეტოლოგიური პრინციპები**

თავდაპირველად, XVIII ს. ბოლოს რომანტიზმი გერმანიაში ჩაისახა და სწორედ გერმანული რომანტიზმის ფარგლებში შემუშავდა ნოვალისის (1772-1801), ფრ. შლეგელისა (1772-1818) და ვ. ჰ. ვაკენროდერის (1773-1798) მიერ რომანტიზმის მსოფლმხედველობრივი და პოეტოლოგიური პრინციპები, სწორედ აქ მოხდა რომანტიზმის თეორიული დაფუძნება და თავად ცნება „რომანტიზმის“ (**Romantik**) განსაზღვრა. ამ პრინციპებს მთელი ევროპის მასშტაბით შემდგომ პოპულარიზაცია გაუწია ა. ვ. შლეგელმა (1767-1845) თავის ბერლინისა (1804) და ვენის (1808) „ლექციებში ძველი და ახალი ლიტერატურის შესახებ“. სწორედ გერმანული რომანტიზმის ფარგლებში შემუშავებულ პოეტოლოგიასა და ფილოსოფიას დაეყრდნო შემდგომ დანარჩენი ევროპის რომანტიზმი – ინგლისური, ფრანგული, იტალიური, რუსული და ა. შ. (Hoffmeister 1990: 73-103; Hoffmeister 2003: 131-165; Kremer 2003: 89-113).

გერმანული რომანტიზმის მსოფლმხედველობრივი დებულებებისა და პოეტოლოგიური პრინციპების გადმოცემას ნოვალისის ცნობილი *გარომანტიულეების ფრაგმენტითა და სამყაროს გარომანტიულეების* (**“die Welt muss romantisiert werden”**) პოსტულატით დავიწყებ და აქ საინტერესოა, რომ ნოვალისთან რომანტიზმის არსი სწორედ დინამიკაში, პროცესშია განჭვრეტილი, რითაც ხაზგასმულია, რომ რომანტიზმი გვევლინება სრულიად ახლებურ შემეცნებით და ესთეტიკურ მიდგომად: „სამყარო უნდა გარომანტიულდეს. ასე მოვიპოვებთ კვლავ პირველსაზრისს. გარომანტიულეება სხვა არაფერია, თუ არა ხარისხობრივი პოტენცირება. ამ ოპერაციის დროს ხორციელდება მდაბალი თვითობის მაღალ თვითობასთან იდენტიფიცირება. ისევე როგორც ჩვენ ვართ ამგვარ ხარისხობრივ პოტენცირებათა რიგი. ეს ოპერაცია ჯერ კიდევ შეუცნობია. როდესაც მე (ხაზი ჩემია – კ. ბ.) უბრალოს დიად აზრს ვანიჭებ, ჩვეულებრივს იდუმალეებით ვმოსავ, ნაც-

* ნარმოდგენილი სტატია არის ნაწილი ჩემი მომავალი ვრცელი გამოკვლევისა, რომელიც ბარათაშვილის რომანტიკულ ლირიკას ეძღვნება.

** გერმანული რომანტიზმის მსოფლმხედველობისა და პოეტოლოგიის გადმოცემისას დავყვარდები მ. ფრანკის (Frank 1989), დ. კრემერის (Kremer 2003), ე. ფონ ბორისის (Borries 2003), თ. ციოლკოვსკის (Ziolkowski 2006), რ. ზაფრანსკის (Zafranski 2007), გ. კაიზერის (Kaiser 2010), ს. ვიეტას (Vietta 2010) და სხვ. ნაშრომებს.

ნობს შეუცნობლად გადავაქცევ, სასრულს უსასრულობას ვანიჭებ, მე სამყაროს ვარომანტიულებ. და პირუკუ, იგივე ოპერაცია შეესაბამება უმაღლესს, შეუცნობს, მისტიკურსა და უსასრულოს. რომანტიკული ფილოსოფია. ამ შეერთებით ხდება ლოგარითმიზება და მიიღება კარგად ნაცნობი გამოხატულება. *Lingua romana*. ცვალებადი ამაღლება და დამდაბლება“ (აქ და ყველგან გერმანულ ავტორთა ციტატების თარგმანი ჩემია – კ. ბ.) (Novalis 1996: 313).

როგორც ვხედავთ, ამ ფრაგმენტში ნოვალისმა ერთდროულად გადმოსცა რომანტიზმის როგორც ონტოლოგიური, ისე პოეტოლოგიური ხედვები. კერძოდ, ყოფიერების ჰერმენევტიკა ეფუძნება სამყაროს ორ სფეროდ დაყოფას – გრძნობად და ზეგრძნობად, ხილულ და უხილავ, ემპირიულ და ტრანსცენდენტურ, სასრულ და უსასრულო მოცემულობებად დაყოფას (შდრ. „მდაბალი თვითობა“ vs. „მაღალი თვითობა“, „სასრულობა“ vs. „უსასრულობა“). მაგრამ ნოვალისის (რომანტიზმის) ამ დიალექტიკაში ეს ორი თითქოსდა დაპირისპირებული და ურთიერთგამომრიცხავი მოცემულობა, საბოლოო ჯამში, ერთმანეთს კი არ გამორიცხავს და უკუაგდება, არამედ ერთმანეთს აუცილებლობით განაპირობებს: თითოეულ ამ მოცემულობათაგანი აუცილებელი წინაპირობაა მეორის დაფუძნებისათვის. შეუთავსებელ მოცემულობათა ამ ურთიერთგანპირობებულობასა და თანაარსებობას, ამ პარადოქსს ფრ. შლეგელი შემდგომ „რომანტიკულ ირონიას“ უწოდებს (**“die romantische Ironie”**), რაც გულისხმობს შეუთავსებელ მონაცემთა ურთიერთშეთავსებას და თანაარსებობას, ხოლო ნოვალისი შემდგომ უწოდებს „მაგიურ იდეალიზმს“ (**“der magische Idealismus”**).

ამასთანავე, აქვე საყურადღებოა ნოვალისისეული ონტოლოგიური ხედვის სპეციფიკა: კერძოდ, ნოვალისის მიხედვით, ის, რაც მაღალი ყოფიერებაა სხვადასახვა ფორმებით აუცილებლობით ვლინდება და განივდება მდაბალ ყოფიერებაში, ანუ ემპირიულ საგნებსა და მოვლენებში (მაგ., იქნება ეს სატრფო, ბუნება, საყურე, ქალის მკერდი და ა.შ.),* ხოლო, თავის მხრივ, მდაბალი ყოფიერებაც, ასევე აუცილებლობით, ამაღლდება მაღალი ყოფიერებისაკენ, ვინაიდან ამ ორმხრივ ონტოლოგიურ აუცილებლობას საფუძვლად უდევს *სწრაფვის (Sehnsucht)*, „ტრფიალების“, ანუ ურთიერთლტოლვის, ურთიერთმონატრების ონტოლოგიური პრინციპი (იხ. ქვემოთ სტატიის 2.2 და 2.3 თავები).

მდაბალ და მაღალ ყოფიერებათა და საგანთა ურთიერთშეთავსების, მათი სინთეზის ცენტრი კი არის თავად შემმეცნებელი სუბიექტი, მისი ცნობიერებისეული ნებელობა და *წარმოსახვის ძალა (Einbildungskraft)* (შემდგომ, პერსპექტივაში კი უკვე თავად რომანტიკოსი პროტაგონისტის წარმოსახვა, თავად რომანტიკული ტექსტი). „გარომანტიულების“ ფრაგმენტში სუბიექტის შემეცნებითი ნებელობის, მისი ცნობიერების აქტივობის წინ წამოწევა ხაზგასმულია კონკრეტულ

* შდრ.: „ძუძუ იდუმალ მდგომარეობაში ამაღლებული მკერდია – მორალური/მორალიზებული მკერდი“ (**“Der Busen ist die in Geheimnisstand erhobne Brust – die moralisierte Brust”**) (Novalis 1996: 173). აქვე შდრ. ბარათაშვილის პოეტურად თქმული შეფარული რომანტიკული ეროტიზმი: „ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა“. როგორც ჩანს, ნოვალისისა და ბარათაშვილის ეროტიკული მისტიკა ბიბლიური „ქებათა-ქების“ ეროტიკული სახეებიდან უნდა იღებდეს ფილოსოფიურ და პოეტურ ინსპირაციას.

სემიოტიკურად მარკირებულ ფრაზებითა და ლექსიკური ერთეულებით – „როდესაც მე...“ (**“wenn Ich”...**). „მე“-ს პრინციპის წინ წამოწვა ნიშნავს იმას, რომ „გარომანტიულების“ პროცესი ირაციონალური, გაუცნობიერებელი და „მისტიკური“ პროცესი კი არაა, არამედ სრულიად ცნობიერი და გააზრებული ქმედება, მიმართული საკუთარი „მე“-ს აბსოლუტიზაციისაკენ, ანუ საკუთარი ემპირიული „მე“-ს („მდაბალი თვითობის“) აბსოლუტურ „მე“-დ, „მაღალ თვითობად“ გადაქცევისაკენ („ხარისხობრივი პოტენცირება“).

ამგვარად, „სამყაროს გარომანტიულება“, ანუ თავად „რომანტიზმი“, როგორც ფილოსოფიური და ლიტერატურულ-ესთეტიკური პროცესი, ესაა მუდმივი, აღმავალი და, რაც მთავარია, უსასრულო პროცესი უმაღლესი ყოფიერებისაკენ, ანუ „ხარისხობრივი პოტენცირება“. ამ პროცესში ხდება საკუთარი თავის, გარესამყაროს და ა. შ. შესახებ უფრო მაღალი წარმოდგენების შემუშავება, ვიდრე ეს აქამდე იყო მათზე: მაგ., თუ მე, როგორც შემეცნებელი სუბიექტი, ჩემს თავს აქამდე განვიხილავდი სასრულ ფენომენად, როდესაც მე მხოლოდ ემპირიულ დროსა და სივრცეში მიწევს შეზღუდული და განსაზღვრული არსებობა (მდრ.: ეს სასრულობა და არასრულყოფილება მუდმივადაა ბარათაშვილის ლირიკული გმირის რეფლექსიისა და დაძლევის საგანი, მაგ., ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“: „არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდღა ამოება?“ – ბარათაშვილი 1945: 12), „გარომანტიულების“, „ხარისხობრივი პოტენცირების“ შედეგად, ანუ ჩემი შემეცნებითი და ესთეტიკური ნებელობისა და წარმოსახვის ძალის საფუძველზე მე შევიმუშავებ უფრო მაღალ წარმოდგენას საკუთარ თავზე და ჩემს არსს განვიხილავ უსასრულო და მუდმივად ზეაღმავალ მოცემულობად.

შემდგომ ეტაპზე ნოვალისის ეს ონტოლოგიური ხედვა და „გარომანტიულების“ პოსტულატი საფუძვლად დაედება ნებისმიერი ჟანრის რომანტიკული ტექსტის აგების წესს და გადაიქცევა რომანტიზმის მთავარ ესთეტიკურ და პოეტოლოგიურ საფუძველმდებ პრინციპად: კერძოდ, რომანტიკულ ტექსტში ერთმანეთს მუდმივად შეენივება და ურთიერთს განაპირობებს სამყაროს ეს ორი თითქოსდა შეუთავსებელი და ურთიერთგამომრიცხავი მონაცემი, აქ მუდმივი ურთიერთმონაცვლეობაა ზღაპრულსა და რეალურს, ემპირიულსა და ტრანსცენდენტურს და ა. შ. შორის, რომანტიკული ტექსტი მიზანმიმართულად იქმნება სწორედ „სამყაროს გარომანტიულებისა“ და „რომანტიკული ირონიის“ პრინციპთა მიხედვით.

ფრაგმენტის ბოლოში კი საინტერესო მინიშნება და კოდირებაა – **Lingua romana** („რომანული ენა“), ე. ი. „რომანტიკული ენა“. ამით ნოვალისი მიანიშნებს, რომ ახალი ტიპის ხედვების, ანუ რომანტიზმის ონტოლოგიური ხედვების გადმოცემასა და რომანტიზმის ესთეტიკური და პოეტოლოგიური პრინციპების რეალიზებას სჭირდება ახალი ენა, ახალი პოეტური მეტყველება, ანუ ისეთი ენა, რომლის დისკურსში მოხვდება და განხორციელდება „სამყაროს გარომანტიულება“. ეს კი ნიშნავს იმას, რომ „ლინგვა რომანა“, ანუ პოეტური რომანტიზმის ენა, რომანტიზმის პოეტური მეტყველება, რომელსაც მიმართავს რომანტიკოსი, სცდება

რაციონალურ-ლოგიკური ენის დისკურსს და აქვს პარადოქსალურ-ირაციონალური ბუნება, ვინაიდან ცნობიერდება, რომ კონვენციონალური და ლოგიკურ-რაციონალურად მომართული და გამართული „მექანიკური“ ენა იმთავითვე ვერ განახორციელებს *გარომანტიულების* ამოცანებს. ამისათვის საჭიროა, რომ ენა გამოვიდეს ემპირიული საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი და ამსახველი ინსტრუმენტის, მექანიზმის დაქვემდებარებული მდგომარეობიდან, გამოვიდეს გრამატიკაზე დაქვემდებარებული მდგომარეობიდან, ემპირიულ საგნებსა და მოვლენებზე მიბმულობის მდგომარეობიდან და იქცეს ავტონომიურ მოცემულობად, იქცეს „ორგანულ“ ენად, ანუ იმ ენად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ყოფიერების პარადოქსული არსის, სამყაროს იდუმალი, დაფარული არსის წვდომა, გადმოცემა და განცდევინება: „ჩვენი ენა ან მექანიკურია (**“mechanisch”**), ან ატომისტური (**“atomistisch”**) ან დინამიური (**“dinamisch”**). ჭეშმარიტად პოეტური ენა კი უნდა იყოს ორგანული (**“organisch”**) და ცხოველმყოფელი (**“lebendig”**). როგორ ხშირად ვგრძნობთ ხოლმე სიტყვების უკმარისობას, როდესაც მრავალი იდეის (აქ: მეტაფიზიკური, ტრანსცენდენტური ფენომენების – კ. ბ.) ერთბაშად მოხელთება გვინდა“ (Novalis 1981: 453).

აქ კარგად ჩანს, რომ ნოვალისისთვის, როგორც რომანტიკოსი ავტორისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ზეგრძნობადი და იდუმალი სინამდვილის პოეტური ენის საფუძველზე წვდომას, კონვენციონალური ენა არასაკმარისი მოცემულობაა, ვინაიდან ასეთი ენა არის მხოლოდ წინასწარ მოცემული აზრების მექანიკური გამოსატყა და ყოფიერების ატომისტური გაფორმება, ანუ იგი ასახავს და აღწერს ყოფიერების მხოლოდ გარკვეულ ასპექტს, კერძოდ, ემპირიულ სინამდვილეს და არ შეუძლია მოიცვას ყოფიერება თავის მთლიანობაში, მოიცვას მისი დაფარული და იდუმალი ასპექტიც. აქედან, მისი მექანიციკური და ატომისტური ბუნება. ამიტომ, ენა იმთავითვე უნდა გასცდეს ემპირიული საგნებისა და მოვლენების ბეგრითი ასახვის ფუნქციებს და გარდაიქმნას პოეტურ ენად, სადაც იმთავითვე დარღვეული უნდა იყოს ლოგიკურ-გრამატიკული და რაციონალური განზომილებანი. ასე კი მიიღება რომანტიკული ენა, **Lingua romana**, ანუ რომანტიზმის მეტაენა, როგორც პოეტური იდუმალმეტყველების ენა.

ამგვარად, რომანტიზმის არსი „სამყაროს გარომანტიულების“ პროცესში, „რომანტიკული ირონიის“ დაფუძნების პროცესშია მოცემული. აქ მოხსნილია ტრადიციული დაპირისპირება ე. წ. ნამდვილ, ჭეშმარიტ, მაღალ ყოფიერებასა და არანამდვილ, მოჩვენებით, მდაბალ ყოფიერებას შორის და გაუქმებულია ყოველგვარი დუალიზმი, მოხსნილია **Sein-Schein**-ის („არსის“ და „არაარსის“) ტრადიციული დუალიზმი. შესაბამისად, ნოვალისის „გარომანტიულების ფრაგმენტი“ გვევლინება და ფუძნდება თავად რომანტიზმის, მისი ესთეტიკისა და პოეტოლოგიის, რომანტიზმის ლიტერატურის თეორიის თავისებურ პირველწყაროდ, ან თავისებურ პრეამბულად. ამიტომაც, უნდა ითქვას, რომ დიდნილად სწორედ ნოვალისის „გარომანტიულების“ პოსტულტს დაეფუძნა, ზოგადად, რომანტიზმის მსოფლმხედველობა, პოეტიკა, სახისმეტყველება, პოეტური კონცეპტების სპეციფიკა და პროტაგონისტის შექმნის პრინციპები.

ამგვარად, ნოვალისის „გარომანტიულების ფრაგმენტზე“ დაყრდნობით ასე გამოიყურება თავად რომანტიზმის მსოფლმხედველობრივი პოზიციები:

1. ყოფიერების დაყოფა ხილულ და უხილავ სამყაროებად, შესაბამისად, ემპირიულ (გრძნობად) და ტრანსცენდენტურ (მიღმიერ, ზეგრძნობად) სამყაროებად,

2. ამ ორი სამყაროს აპრიორული სინთეზი (ან მათი რადიკალური დაპირისპირება და სინთეზის აპრიორულივე შეუძლებლობა, რაც ასევე იკვეთება რომანტიზმის ფარგლებში, შდრ., ლ. ტიკის ნოველები). ამ ტრაგიკულ ვითარებას ჰეგელმა ე. წ. „ტრაგიკული ცნობიერება“ უწოდა (იხ. ქვემოთ სტატიის 2.2 თავი),

3. აქცენტირება საკუთარ სუბიექტზე/სუბიექტურობაზე და მის უნივერსალურ და განუმეორებელ არსზე,

4. ყოფიერების/ეგზისტენციის პრინციპად *სწრაფვის (Sehnsucht)*, ანუ სიყვარულით, „ტრფიალებით“ აღვსილი ურთიერთტოლვის გამოცხადება, რომელიც მუდმივი მდგომარეობაა: შდრ., „სწრაფვის გაუნელებელი განცდა“ (**“das Gefühl einer unbefriedigten Sehnsucht”**) (ფრ. შლაიერმახერი),

5. ადამიანის ცნობიერად მსწრაფველ არსებად გაგება,

6. ადამიანის ზეგრძნობად, მიღმიერ სინამდვილისაკენ ცნობიერად მსწრაფველ (ტრანსცენდირებად) არსებად გაგება,

7. რელიგიურობის პრინციპი: *რელიგია*, როგორც დაკარგულ ტრანსცენდენტურობასთან კავშირის აღდგენის, კავშირის დამყარების აპრიორული პროცესი (კაციტაძე 1990: 70).

ამ ონტოლოგიურ და ანთროპოლოგიურ პოზიციათა ფარგლებში კი იკვეთება რომანტიკოსი პერსონაჟის შემდეგი მახასიათებლები:

1. იმთავითვე გამოკვეთილია მისი რეფლექსიის, თვითჩაღრმავების, თვითშემეცნების, თვითდადგინების რეჟიმში მუდმივი ყოფნა (შდრ., „ფიქრთ გასართველად...“, „ფიქრნი შენდა მოისწრაფიან“...), ასევე გამოკვეთილია ლირიკული გმირის სულიერი შემეცნების ირაციონალური უნარები: *წარმოსახვის ძალა (Einbildungskraft)*, *განცდა/გზნება/გრძნობა (Gefühl)*, *ჭვრეტა (Anschauen)*; შესაბამისად, ტექსტებში მუდმივად აქცენტირებულია სულიერ-მისტიური შემეცნების, ანუ „მაგიური იდეალიზმის“, „გარომანტიულების“ დაფუძნებისა და განვითარების სპეციფიური სულიერი ორგანოები – *გული/სული/სამშვინველი (Herz/Seele/Gemüt)*,

2. „რომანტიკოს“ პროტაგონისტს მუდმივად ამოქმედებული აქვს „გარომანტიულების“, შესაბამისად, „რომანტიკული ირონიის“ შემეცნებითი „მეთოდი“,

3. ტრანსცენდირების („გარდამატარე...“), *სწრაფვის (Sehnsucht)*, ანუ გადალახვის, დაძლევის, თვითძლევის ვითარებაში მუდმივი ყოფნა,

4. ბუნებისადმი *სწრაფვა* (შდრ., ნოვალისისეული ფორმულა: „მე“=„არამე“/**Ich = Nicht-Ich**), ვინაიდან „რომანტიკოსი“ პერსონაჟი აპრიორულად სწორედ ბუნებას განიხილავს პარადიზული ყოფიერების ამქვეყნიურ ნიშნად და გამოვლინებად, „გარომანტიულების“ მეთოდოლოგიურ სივრცედ, თუ წინაპირობად,

5. საკუთარი სუბიექტურობის პრიმატი, რაც გულისხმობს საკუთარი პიროვნებისა და საკუთარი შემეცნების ფარგლებში მიღებული წარმოდგენების ე. წ. ობიექტურ სინამდვილეზე აღმატებულად განხილვას (ფიხტეანური ნაკადი), რაც ასევე (სუბიექტურობის პრიმატი) გულისხმობს საკუთარ არსში საკუთარი სუბი-

ექტურობის უნივერსალურ-კოსმიურ განცდას; ამ ყველაფრის მიზანი კი საკუთარ სასრულ თვითობაში „აბსოლუტური მე“-ს დაფუძნებაა,

6. „უბედური ცნობიერებით“ (**“das tragische Bewusstsein”**) შეპყრობილობა (შდრ., „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და სხვ.),

7. ჰეროიკული პესიმიზმი (შდრ., ნოვალისის „ლამის ჰიმნები“, ბარათაშვილის „მერანი“),

8. დისტანციის პათოსი – აპრიორული დაპირისპირება და გამიჯვნა ფილისტერულ-ბიურგერული ყოფის, ბიურგერულ-ფილისტერული საზოგადოებისა და ცნობიერებისაგან (შდრ.: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში...“).

საკუთარი ონტოლოგიური და პოეტოლოგიური ხედვების სპეციფიკიდან გამომდინარე, რომანტიზმის ფარგლებში შემუშავებულია მისთვის დამახასიათებელი სახისმეტყველება, კერძოდ, აქ სიმბოლიკა იმთავითვე ავითარებს „რომანტიკული ირონიის“ დისკურსს – რომანტიზმში სიმბოლიკა მუდმივად მიმართულია იდუმალი განცდისა და მიჯნებზე ყოფნის ანტურაჟის შექმნისაკენ. ამასთან ხაზგასასმელია, რომ რომანტიზმში, რომანტიკულ ტექსტში სიმბოლიკა სულიერი, „ორგანული“ არსია და არა „მკვდარი“ ნიშანი, რაც ნიშნავს იმას, რომ რომანტიკული ტექსტის სახისმეტყველებაში პოეტური სიმბოლო მხოლოდ „ალეგორიული“ ბუნების კი არაა, ანუ მას მხოლოდ მაღალი ყოფიერების მიმანიშნებელი ფუნქცია კი არა აქვს, არამედ იგი (პოეტური სიმბოლო) თავად შეიცავს ორგანულად და ცხოველმყოფელ საკუთარი აღსანიშნის (მაღალი ყოფიერების) არსს, რასაც ფ. ვ. ი. შელინგი (1775-1854) „აბსოლუტურ ფორმას“ უწოდებს (**“die absolute Form”**) (აღნიშნულ საკითხზე დანვრილებით იხ. ფ. ვ. ი. შელინგის ნაშრომი „ხელოვნების ფილოსოფია“) (Schelling 1976: 50).

ამგვარად, რომანტიზმისათვის დამახასიათებელი „აბსოლუტური“ სიმბოლოებია:

1. *ლამე/სალამო/მწუხრი* (შდრ., ნოვალისის – „ლამის ჰიმნები“, ბარათაშვილის – „შემოლამება მთანმიდაზედ“, „ლამე ყაბახზედ“...),

2. *ლურჯი/რუხი/თალხი* ფერთამეტყველება – *ლურჯი* ფერი, როგორც საღვთო, მისტიური, იდუმალი ტრანსცენდენტურობის სიმბოლო (შდრ., „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...“, ასევე ნოვალისისეული *ლურჯი ყვავილის (die blaue Blume)* სიმბოლო),

3. *მუქი vs. ნათელი* ფერთამეტყველება, რომლის მიზანია „დუალიზმის“ / გაუცხოების/ გაუცნაურების გამონვევა (**“Zwilight”**), იდუმალი, არაამქვეყნიური განცდისა და შეგრძნებების გამონვევა, აღძვრა,

4. *ბუნება*, როგორც შესაქმის სიმბოლო, როგორც საკრალური სივრცის, უსასრულობის /უნივერსუმის სიმბოლო (**“Zusammenhang mit dem Unendlichen”**) (შლაიერმახერი),

5. *სატრფო*, როგორც პარადიზული/სამოთხისეული ყოფის/ყოფიერების, ტრანსცენდენტურობის სიმბოლო,

6. *ტრფობა/სიყვარული* (ეროსი), როგორც ტრანსცენდენტურობისაკენ ცნობიერი სწრაფვის ალეგორია.

2. ნ. ბარათაშვილის ლირიკის პოეტიკა

2.1 „გარომანტიულება“ ბარათაშვილთან

როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, გარომანტიულების არსი მდგომარეობს თავისებურ ჭვრეტით უნარში, ყოფით საგნებსა და მოვლენებში, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შეგედლოს მუდმივად იხილო, განჭვრიტო, განიცადო, შეიგრძნო და შემდგომ რომანტიკულ პოეტურ სიტყვასა (**Lingua romana**) და სახეებში გადმოსცე ეს უნიკალური, ფუნდამენტური, ტრანსცენდენტური ღრმა შეგრძნებანი და გამოცდილება. საბოლოო ჯამში, სწორედ *სამყაროს გარომანტიულების* პოსტულატი ქმნის თავად *რომანტიზმის* არსს, ესენციას.

გარომანტიულება ბარათაშვილის რომანტიკული ლირიკის ფუნდამენტია, *სამყაროს გარომანტიულების* პრინციპი მთლიანად მსჭვალავს ბარათაშვილის ლირიკას, თუმცა მისი ინტენსივობა ლირიკულ ნიმუშები, ცხადია, სხვადასხვა ხარისხით ვლინდება. *გარომანტიულების* ინტენსივობითა და მასშტაბურობით განსაკუთრებით გამოირჩევა „შემოღამება მთანმიდაზედ“, „ღამე ყაბახზედ“, „საყურე“, „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“, „ჩჩვილი“ და სხვ.

როგორც შევნიშნე, თავად *გარომანტიულებას*, როგორც პროცესს, აქვს ონტოლოგიური, შემეცნებითი და ესთეტიკური განზომილებანი. *გარომანტიულება* ყოფიერებისათვის იმთავითვე დამახასიათებელი ობიექტური პროცესია, როდესაც *სული* აუცილებლობით ვლინდება და მყარდება მატერიაში, საგნობრივ ფორმებში, ხოლო მატერია, საგნობრივი სინამდვილე გადადის სულობაში; როდესაც მაღალი, სრულყოფილი ყოფიერება მდაბლდება დაბალ, არასრულყოფილ *მუნყოფიერებამდე*, *აქმყოფობამდე* (გერმ. **“Da-Sein”**), ხოლო მდაბალი ყოფიერება ისწრაფვის მოიპოვის მაღალი ყოფიერება.

ეს კი სავსებით შესაძლებელია, რადგან ნოვალისის მიხედვით (იხ. ზემოთ), მდაბალი ყოფიერება („ჩვენება“, „აჩრდილთა სამყარო“, **“Schein”**, **“Schattenwelt”**) იმთავითვეა მატარებელი მაღალი ყოფიერების (**“Sein”**), სულობის ელემენტის, გამომდინარე იქიდან, რომ სული თავადაა განზავებული ამ მდაბალ ყოფიერებაში და განმსჭვალავს მას; „სულობა“, მეტაფიზიკურობა აუცილებლად უნდა მატერიალიზდეს, ფიზიკურობად იქცეს. ნოვალისის თანახმად, სწორედ ამ გარდაუვალობითაა დეტერმინებული როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. საინტერესოა, რომ ეს პროცესი და ყოფიერების საგანთა ონტოლოგიური დგმა მოსწრებულად აქვს გამოთქმული ი. ვ. გოეთესაც ლექსში „შილერის თავის ქალის ჭვრეტისას“ (**“Bei Betrachtung von Schillers Schädel”**):

[...] სხვას რაღას ჰპოვებს ადამის ძე მასზე უკეთესს,
თუ არ ბუნება-ღმერთის გამოცხადებათ?
ვით გადააქცევს იგი სულად სიმყარეს,
და ვით მყარადჰყოფს სულისგან შობილთ.
[“[...] Was kann der Mensch im Leben mehr gewinnen,
Als daß sich Gott-Natur ihm offenbare?
Wie sie das Feste läßt zu Geist verrinnen,
Wie sie das Geisterzeugte fest bewahre”] (Goethe www...).

შემეცნებით დონეზე კი *გარომანტიულების* ეს ობიექტური პროცესი გადაიქცევა შემეცნებელი სუბიექტის, ამ შემთხვევაში, რომანტიკოსი ლირიკული გმირის, სუბიექტურ მონაპოვრად: კერძოდ, სამყაროში არსებულ *გარომანტიულების* ონტოლოგიურ მახასიათებელს იგი გადააქცევს საკუთარ გნოსეოლოგიურ და სულიერ გამოცდილებად, იგი საკუთარ თავს ჩართავს სამყაროს ამ ფუნდამენტური მახასიათებლის თანამონაწილედ და ამის საფუძველზე უკვე იგია ამ სამყაროული ობიექტური პარადოქსის მჭვრეტელი, შემეცნებელი და შემგრძობელი, იგი სამყაროს შემეცნებასა და საკუთარი თავის თვითშემეცნებას სწორედ *გარომანტიულების* „მეთოდზე“ აფუძნებს, რაც მას ანიჭებს შემეცნებით უნარს, ყოფის ყოველ დეტალში („ხტილში“, როგორც რობაქიძე იტყოდა) განჭვრიტოს და განიცადოს მაღალი ყოფიერების მდაბალ ყოფიერებაში ემანაცია, *განჭვრიტოს (Anschauung)* მაღალი და მდაბალი ყოფიერების მუდმივი ურთიერთშერწყმა, ურთიერთით განმსჭვალვა, ურთიერთში ვლენა და, რაც მთავარია, შემდგომ თავად *განიცადოს (Gefühl)* ეს ყველაფერი.

ეს შემეცნებელი ობიექტური ონტოლოგიური პროცესი ესთეტიკურ სიბრტყეზე უკვე რომანტიკული პოეტური, მუსიკალური თუ ფერწერულ-სახვითი შემოქმედების „ბაძვის“ საგანია: ანუ, რომანტიკულმა სახელოვნებო პროცესმა *რომანტიკული ირონიის* მეთოდზე დაყრდნობით, რაც სწორედ ხელს უყობს პარადოქსის ნიჭის განვითარებასა და შეუთავსებელ საგანთა სინთეზსა და დიალოგს, უნდა ასახოს და გადმოსცეს სამყაროს სწორედ ეს პარადოქსული ბუნება და განავითაროს და გაამძაფროს *სამყაროს გარომანტიულების* პროცესი. აქ კი რომანტიკული პოეტური ტექსტი გადაიქცევა მაღალი და მდაბალი ყოფიერების თავშეყრისა და ურთიერთშენივთების ადგილად, „მაგიური იდეალიზმის“ (ნოვალისი) ადგილად, პარადოქსის ნიჭის განვითარების ადგილად, გადაიქცევა „უსასრულო რეალიზმად“ (**“grenzlozer Realismus”**) (ფრ. შლეგელი).

ბარათაშვილის „შემოღამება მთანმიდაზედ“ მთლიანად მოიცავს და გადმოსცემს *გარომანტიულების* პროცესს თავის სამივე განზომილებაში (ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, ესთეტიკური), სადაც მოცემულია ყოფიერების ობიექტური ემანატორული და დიონისური ბუნების ლირიკული გმირის შემეცნებით და ესთეტიკურ ნებელობაში მოქცევა. ამ ლირიკულ ტექსტში ყველაფერი სწორედ *გარომანტიულების* პოსტულატს ეფუძნება, ხოლო თავად *გარომანტიულება*, როგორც რომანტიკული შემეცნების მეთოდი და პროცესი, განვითარებულია თავად ლირიკული გმირის პერსპექტივიდან. შესაბამისად, აქვე იკვეთება, ზოგადად, რომანტიკული ლირიკის უმთავრესი პოეტიკური მახასიათებელიც – ლირიკულ ტექსტში სწორედ ლირიკული გმირი გამოდის წინა პლანზე საკუთარი აბსოლუტური სუბიექტურობით: ტექსტის ქსოვილში წინა პლანზე დგას ლირიკული „მე“ თავისი უსასრულო ფილოსოფიური მედიტაციებით, რეფლექსიებით, წარმოსახვებით, ღრმა სულიერი შეგრძნებებითა და განცდებით, იგი ხდება ტექსტის სტრუქტურის აგების უმთავრესი ღერძი და არა რაიმე ონტოლოგიური მონაცემი, ემპირიული მოცემულობა, „ობიექტური“ მორალური თუ ფილოსოფიური თემატიკა და სწავლება, როგორც ეს ბაროკოს ან განმანათლებლური ლირიკისთვისაა დამახასიათებელი.

ასეა ბარათაშვილთანაც – „შემოღამება მთანმიდაზედ“ ზუსტად იმეორებს რომანტიკული ლირიკის ზოგად სტრუქტურულ პარადიგმას: ბარათაშვილის ლირიკული გმირი გვევლინება აბსოლუტურ მოცემულობად, რომლის წარმოსახვები, ხილვები და ჭვრეტითი ნებელობა აფუძნებს და ავითარებს *სამყაროს გარომანტიულების* პროცესს, ანუ მის აღქმაში მაღალი და მდაბალი ყოფიერება მუდმივად ერწყმის ერთმანეთს, მისი შემეცნებითი უნარები (რეფლექსია, ჭვრეტა, წარმოსახვის ძალა, განცდა) მუდმივად მიმართულია იმაზე, რომ აქმყოფობის, „დაზიან“-ის შეზღუდულობასა და სასრულობაში მუდმივად ჭვრიტოს, შეიგრძნოს და განიცადოს ღვთაებრივი უსასრულობის მოქმედება. ეს კი ხელს უწყობს, რომ ლირიკულმა გმირმა თავი წარმოიდგინოს ყოფიერების ყოველი წახნაგის მპყრობელად, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი ცნობიერება და ნებელობა კი არ ექვემდებარება ემპირიული სამყაროს, ე. წ. ობიექტური რეალობის აპრიორულ მექანიციკურ მიზეზ-შედეგობრიობასა და ფიზიკურ კანონებს, არამედ ლირიკული გმირი *სამყაროს გარომანტიულების* პროცესში მაღლდება თავად ამ ფიზიკალურ სინამდვილეზე და ამ პროცესში შემუშავებული წარმოდგენები სამყაროსა და საკუთარ თავზე იძენენ აბსოლუტურ ღირებულებას.

ლექსის პირველივე სტროფში უკვე ამოქმედებულია *სამყაროს გარომანტიულების* პროცესი, რომელსაც თავად ლირიკული გმირი ავითარებს საკუთარი წარმოსახვითი ნებელობის საფუძველზე და აქვე ისიც ირკვევა, რომ ეს პროცესი, პირველ რიგში, სწორედ რომანტიკოსი ლირიკული გმირის სუბიექტური შემეცნებითი და მედიტატიური ნებელობის ძალმოსილებით იძენს თავის ობიექტურ და უნივერსალურ ღირებულებას. *გარომანტიულების* პროცესს კი ლირიკული გმირი მიყავს იმ შეგნებამდე, რომ ყოფიერება თავისი არსით ემანატორული, პარადოქსული და სინთეზური ბუნებისაა, სადაც ერთმანეთს ურთიერთგანაპირობებს *ემპირიულობა* და *ტრანსცენდენტურობა*, *სასრულობა* და *უსასრულობა*, *სული* და *მატერია* და ა. შ.:

ჰოი მთანმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი
 დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი,
 ვითარ შევნიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
 ოდეს საღამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი!

(ბარათაშვილი 1945: 6)*

* აქვე შევნიშნავ, რომ „შემოღამება მთანმიდაზედ“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართული რომანტიზმის, ან ბარათაშვილის რომანტიზმის თავისებურ „მანიფესტად“, ვინაიდან ამ ლექსში თავის მთლიანობაში ვლინდება ყველა ის ესთეტიკური, სახისმეტყველებითი და მსოფლმხედველობრივი მახასიათებელი, რაც გერმანულმა რომანტიზმმა შეიმუშავა: კერძოდ, ბუნების საკრალური გაგება და ამ გაგების საფუძველზე რომანტიკულ ტექსტებში ბუნების პარადიზული სივრცის სიმბოლოდ დაფუძნება, ლირიკული „მე“-ს სუბიექტურობის აბსოლუტიზაცია და უნივერსალიზება, ლირიკული გმირის სუბიექტური ჭვრეტის აბსოლუტიზება, *სამყაროს გარომანტიულების* ლირიკული გმირის შემეცნების პროცესად დაფუძნება. აქვე ვლინდება გერმანული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი მსგავსი პოეტური სახეები – *მწუხრის (საღამოს)*, *ღამის* („Nacht“, „Abend“, „Dämmerung“) *მთის, ნამის, ციაგის* (შდრ. გერმ. **“Zwilight”**) სიმბოლიკა, რაც არის იდუმალის, არაამქვეყნიურის, ღვთაებრივის ამქვეყნად მოქმედებისა და მოვლინების პოეტური, თანაც ცხოველმყოფელი, პოეტური ნიშნები.

აქ, ერთი მხრივ, „ადგილნი ვერანანი“ და „უდაბურნი“ და, მეორე მხრივ, „ცვარნი ციურნი“ და „ციაგნი ნელნი“ სწორედ ის ოპოზიტებია, რომლებიც *მთანმიდის* ტოპოსში ერთმანეთს ერწყმის თავად ლირიკული გმირის *წარმოსახვის ძალის* წყალობით: სწორედ ლირიკული გმირია ამ ორი, თითქოსდა, საპირისპირო მოცემულობის სინთეზის შესაძლებლობის წინაპირობა, ვინაიდან მისი „რომანტიკული“ ცნობიერება ისეა მომართული, რომ მას ძალუძს მდაბალი ყოფიერების („ადგილნი ვერანანი“ და „უდაბურნი“) სასრულობაში მუდმივად განჭვრიტოს მაღალი ყოფიერების უსასრულო ემანაცია. ამასთან, ამ გამოვლინებათა საფუძველზე თავად მდაბალი ყოფიერების საგნები და მოვლენები ისწრაფვიან მაღალ ყოფიერებად. აქ ყოველგვარი ონტოლოგიური და ეგზისტენციალური დუალიზმი უკვე სრულადაა უკუგდებული. ამიტომაც, *სამყაროს გარომანტიულება* თავადაა ყოველგვარი დუალიზმის გაუქმების პროცესი, ვინაიდან აქ იმთავითვე განვითარებულია ცვალებადი ამალღებისა და დამდაბლების უსასრულო პროცესი, როგორც ეს ნოვალისმა შენიშნა თავისი *გარომანტიულების ფრაგმენტში* (იხ. ზემოთ სტატიის პირველი თავი).

ამ ოპერაციის შედეგად კი ხორციელდება „ხარისხობრივი პოტენცირება“ (**“qualitative Potenzierung”**), ანუ იხსნება სამყაროს ახალი, აქამდე ჯერარგლენილი დაფარული წახნაგი, სამყაროს ემპირიული ფენომენები ივსებიან ახალი ღვთაებრივი ძალმოსილებით, მიმდინარეობს ონტოლოგიურ შეზღუდულობათა გადალახვის პროცესი. ყოფიერების ამ ახალ წახნაგს ლირიკულ ტექსტშიც და სხვაგანაც ბარათაშვილი დაშიფრავს კონცეპტებით „იდუმილობა“, „საიდუმლო“. შესაბამისად, ამ ვითარებაში, *გარომანტიულების* პროცესი და თავად რომანტიზმის შემოქმედებითი პროცესი ფუძნდება, როგორც *იდუმალების* ახსნა და გახსნა, როგორც სამყაროს დაფარული არსის განცდა და განცდევინება. ეს უკვე ახლებური რელიგიური პრაქტიკაა, ანუ ესთეტიკური ქმედებით განვითარებული კავშირის აღდგენა დაკარგულ ღვთაებრივ ტრანსცენდენტურობასთან – „ვით არი მაშინ *იდუმილობა* დაისადგურებს შენს არემარეს!“ (ბარათაშვილი 1945: 6).

აქ ასევე მნიშვნელოვანია თავად *მთანმიდის* კონცეპტი, რომელიც უკვე ლირიკული ტექსტის სათაურშივეა გამოტანილი, რითაც მინიშნებულია ამ ტოპოსის განსაკუთრებული სახისმეტყველებითი დატვირთვა, კერძოდ, ეს სიტყვა-კომპოზიტი თავის თავში იმთავითვე შეიცავს სწორედ *გარომანტიულების* კოდს, ვინაიდან „მთა/წმიდა“ სწორედ ის ადგილია, სადაც ზეციური და მიწიერი ელემენტები ერთმანეთს ერწყმიან: ერთი მხრივ, „მთა“, როგორც ამქვეყნიურობის, „დაზაინ“-ის განსახიერება და, მეორე მხრივ, მისი ზემსწრაფველი კონფიგურაცია და „წმიდა“ არსი. „სინმინდე“ კი აქ სწორედ მიწიერ-მატერიალური ელემენტისაგან დაცლილობასა და მდაბალი ყოფიერებისაგან გათავისუფლებას გულისხმობს. შესაბამისად, ბარათაშვილის „მთანმიდა“ უკვე *სხვა, ახალი „მთანმიდა“*, ახალი მითოსის, რომანტიზმის მითოსის „მთანმიდა“, რომელიც უკვე საკუთრივ რომანტიკოსი ავტორის პოეტური მედიტაციებისა და პოეტური წარმოსახვის ნაყოფია. შესაბამისად, „მთანმიდა“ ახალი რომანტიკოსი ლირიკული გმირის ახალი რელიგიურ-ფილოსოფიური მედიტაციის ნიაღია (მიუხედავად იმისა, რომ სიტყ-

ვა-კონცეპტ „მთანმიდის“ კონოტაცია შესაძლოა იწვევდეს საქართველოს წარსულ ისტორიულ-რელიგიურ ასოციაციებსაც – „მთანმიდა“, როგორც დავით ასურელი მამის, შემდგომ გარეჯელის, ბერული მოღვაწეობისა და განდევნილობის პირველი ადგილი). ამიტომაც, ლირიკული გმირის „მთანმიდის“ წმინდა სივრცეში შესვლა საკაცობრიო პირველყოფისა თუ პირადი ამქვეყნიური ცოდვისაგან ხსნას კი არ გულისხმობს, არამედ მიწიერი, წარმავალი ელემენტისაგან გათავისუფლებას, მადაბალი ყოფიერებისაგან გათავისუფლებას: „მე შენსა მჭერეტელს მაივწყდების სანუთროება, / გულისთქმა ჩემი (ანუ, *სწრაფვის მოთხოვნილება* – კ. ბ.) *შენს იქითა ეძიებს სადგურს, / ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება*“ (ბარათაშვილი 1945: 6).*

თუ დავუკვირდებით გამოყენებულ ლექსიკასა და შესიტყვებებს, აშკარა ხდება, რომ „მთანმიდა“ და მისი შემოგარენი იმდენადაა „წმიდა“, რამდენადაც იგი ლირიკული გმირის „გულისთქმას“, ანუ შემეცნებით გეზს იმთავითვე მაღალი ყოფიერებისაკენ მიმართავს („ზენაართ სამყოფს“) და მიწიერი ელემენტისაგან ათავისუფლებს („მაივწყდების სანუთროება“, „დაშთოს“, „დახსნას“). შესაბამისად, „სინმინდის“ სემა „მთანმიდის“ ტოპოსში სწორედ მადაბალი, წარმავალი ყოფიერებისაგან გათავისუფლებას გულისხმობს და საერთოდ არ შეიცავს ტრადიციულ რელიგიურ-ქრისტიანულ კონოტაციებს ცოდვებისაგან განწმენდილობისა და ცოდვების (როგორც საკაცობრიო პირველყოფის, ისე პირადი ცოდვების) მონანიება-გამოსყიდვის შესახებ. ამიტომაც, ბარათაშვილის ლირიკული გმირი მთანმიდისა და მისი სანახებისკენ ცოდვების მოსანანიებლად და სალოცავად კი არ მიდის ბაროკოს ლირიკული გმირის მსგავსად, მუხლმოყრით კი არ დგას, მისი ფიქრი, რეფლექსია საკაცობრიო ცოდვებსა და ამქვეყნიურ, სანუთროს ამაოებას კი არ უტრიალებს, არამედ კასპარ დავიდ ფრიდრიხის ფერწერული ტილოს ცნობილი პერსონაჟივით წამომართულია და საკუთარ სუბიექტურობას აფართოებს, სამყაროს არომანტიულებს და ამით დემიურგულ განზომილებაში გადაჰყავს თავისი არსი.

გარდა ამისა, „მთანმიდა“ ერთგვარი შუალედური ეგზისტენციალური ზღვარია ყოფიერების ორ საფეხურს შორის და მისი სანახების ნიაღში ყოფნაც უკვე მეთოდოლოგიური აუცილებლობითაცაა ნაკარნახევი: კერძოდ, *გარომანტიულება* და ყოფიერების ახალ, დაფარულ, იდუმალ წახნაგთა ვლენა, გამოცხადება, მათი ჭვრეტა და სიღრმისეული განცდა და შემდგომ ფიხტეანური *წარმოსახვის ძალის* ამოქმედებს საფუძველზე ახალ მაღალ ყოფიერებაში გადასვლა და ბოლოს ტრან-

* აქვე საინტერესოა, რომ რომანტიზმში რელიგიური ეთოსი და პრაქტიკა საერთოდ არ უკავშირდება ცოდვის გამოსყიდვის მორალურ დოგმას, არამედ რელიგიურობა, როგორც საღვთო ტრანსცენდენტურობასთან დაკარგული კავშირის აღდგენა და მასში ერთყოფა, განპირობებულია წარმავალი სანუთროსეული, მადაბალი ამქვეყნიური მიწიერი ელემენტისაგან მაქსიმალური გათავისუფლებით, მისგან ხსნით, „დახსნით“. თავის ერთ-ერთ *ფრაგმენტში*, ანუ ექსპერიმენტულ ფილოსოფიურ ჩანაწერში, რომანტიზმის რელიგიურობის სწორედ ამ ნიუანსზე მიუთითა ნოვალსმა: „ღმერთი არის ზეგრძობადი სამყარო, წმინდა – ჩვენ ვართ მისი არანმინდა ნაწილი“ (**“Gott ist die übersinnliche Welt, rein – wir sind ein unreiner Teil derselben”**) (Novalis 1996: 162). ამგვარად, ადამიანი და ხილული ქვეყანა („ჩვენ“), როგორც გრძნობად-ემპირიული სამყარო, თავისი ამ გრძნობადი, „მიწიერი“, ესენციის გამოა *არანმინდა*. შესაბამისად, რომანტიზმის რელიგიური პრაქტიკა და მისი საბოლოო მიზანი პერსპექტივაში გულისხმობს ზეგრძნობადი სამყაროსკენ სწრაფვას და მის დამკვიდრებას სწორედ ამ გრძნობად-მიწიერი ელემენტისგან გათავისუფლების საფუძველზე.

სცენდენტურობის წიაღში შესვლა (შდრ.: „შევიდე უცხო სიმსუბუქეში“, როგორც შემდგომ გალაკტიონი იტყვის სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელი სუბესტიური პოეტური მეტყველებით) მხოლოდ *მთანმიდის* სივრცეშია შესაძლებელი და სხვაგან არსად, მხოლოდ მასთან მიახლება გადაუხსნის და აუშლის ლირიკულ გმირს თავისებურ პარადიზულ ვიზიონებსა და ალუზიებს:

ვითარი მაშინ იდუმილობა დაისადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუქსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!
[...] მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ **დახსნას** (ხაზი ჩემია – კ. ბ.) გულსა ვაება;
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო.

(ბარათაშვილი 1945: 6, 7)

მსგავსი ონტოლოგიური და ეგზისტენციალური ვითარებაა ლექსში „ღამე ყაბახზედ“. აქ უკვე *ყაბახი*, – როგორც ქართველ თავად-აზნაურთა საფიხვნოსა და გართობა-ჯირითის და როგორც ახალ ქართულ პოლიტიკურ დისკურსთა ჩასახვის ტოპოსი (შდრ. ბარათაშვილის ლექსი „ძია გ...სთან“) –, გარდაისახება *გარომანტიულების*, ანუ *რომანტიკული ირონიის* სივრცედ, სადაც უნდა განვითარდეს ონტოლოგიური და ეგზისტენციალური თვალსაზრისით პარადოქსული მოვლენა. ლექსის ნარაციაში თავდაპირველად აღწერილია ქართველ თავად-აზნაურთა და ბანოვანთა ჟრიამული და თავშექცევა და თავად ლირიკული გმირის ამ საზოგადოებაში ყოფნა, რომელიც ამ ჟრიამულის, ანუ ამქვეყნიური წარმავლობის სივრცეშია მოქცეული, როგორც ამქვეყნიური ელემენტის მატარებელი არსი. ამ ვითარებაში კი იგი უცებ განჭვრეტს და შეიგრძნობს არაამქვეყნიურის ამქვეყნად მოვლინებას, ტრანსცენდენტურობის ემპირიულობაში, მარადიულის წარმავლობაში, მაღალი ყოფიერების მდებალ ყოფიერებაში, უსასრულობის სასრულობაში მოულოდნელ შემოჭრას და ის ხდება ამ პარადოქსის მჭვრეტელი და განმცდელი, ანუ საკუთრივ *სამყაროს გარომანტიულების* პროცესში ჩართული, რომელსაც (ამ პროცესს) ბიძგს თავად აძლევს საკუთარი შემეცნებითი ნებელობისა და წარმოსახვის ძალის წყალობით. აქ ამასთან საინტერესო ისიცაა, რომ *გარომანტიულების* შემძლე მხოლოდ ლირიკული გმირია:

უეცრად მათში დავინახე თეთრკაბიანი
და მეყვსეულად მან მიმილო ჩემნი ცნობანი.
არ ვიცი ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?
სად არს სილაღე, სად არს ძალი გრილის გულისა!

(ბარათაშვილი 1945: 10)

* ეს სტრიქონი და ბარათაშვილის ლირიკული გმირის პოზა („სერზედ მდგომარე“) პირდაპირ კასპარ დავიდ ფრიდრიხის იმ ცნობილი ტილოს კომპოზიციას, მისი პერსონაჟის მთავ დგომასა და მის ჭვრეტით მდგომარეობას მოგვაგონებს (იხ. „მოგზაური ნისლის ზღვის თავზე“ (*“Der Wanderer über dem Nebelmeer”*), დაახლ. 1818).

ეს თეთრკაბიანი იდუმალი არსი სიმბოლურად განასახიერებს სწორედ იმ ტრანსცენდენტურ რეალობას, ფრ. შლეგელის მიხედვით, „ყოვლანმინდა მისტერიანთა“ სივრცეს (**“die allerheiligsten Mysterien”**), „დაუსაზღვრელ რეალიზმს“ (**“grenzenloser Realismus”**) (Schlegel 2005: 192, 193), რომელიც ლირიკული გმირის სწრაფვის საგანია და რომელიც შემოიჭრა ჩვეულებრივ ყოფით სინამდვილეში – აქ და ახლა, მეტიც, მოჟრიაბულე, მოლლაბუცე და მოლაზღანდარე ყაბახის საზოგადოების უკიდურესად ყოფით, „არანმინდა“ გარემოში. ეს იდუმალი არსი არის მარად ერთი და იგივე, რომელიც ლირიკულ გმირს გამუდმებით ევლინება – „ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ე რ თ ი / მას აქეთ თვალი ველარ მოვკარ და **ახლა ერთი** (ხაზი ჩემია – კ. ბ.) სდგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა, / თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა“ (ბარათაშვილი 1945: 11).

ამგვარად, ეს თეთრკაბიანი ბანოვანი არის ლირიკული გმირის შემეცნებითი და პოეტური წარმოსახვის ნაყოფი, თავისებური წმინდა იდეა, პროექცია, ანუ ე. წ. „არა-მე“. მისივე წარმოსახვის ძალით შექმნილი ამ წმინდა იდეის ჭვრეტა და ხილვა, სადაც იგი თავის თავს „აირეკლავს“, ანუ თვითჭვრეტს („ჩემს წინაშე“), ლირიკულ გმირში მეყსეულად იწვევს „ცნობის ნაღებს“, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ დროს ლირიკული გმირის ცნობიერება ფართოვდება, მისი სულიერი შემეცნების უნარები, კერძოდ, წარმოსახვის ძალა, კიდევ უფრო მახვილდება და მძაფრდება, რაც მასში იწვევს ტრანსცენდირების გაუნელებელ მოთხოვნილებასა და სულიერი მედიტირების გაღრმავებას – „არ ვიცი ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა“: აქ სწორედ მინიშნებულია, რომ უცხო თეთრკაბიანი ბანოვანის ხილვა ლირიკულ „მე“-ში იწვევს არა ხორციელ ვნებას, ჟინს („ცეცხლს“), არამედ ღრმად სულიერ მეტაფიზიკურ განცდას, მეტაფიზიკურ შეგრძნებებს, რაც ამ ხორციელ ვნებაზე აღმატებულია („უფროს ცეცხლისა“) და თავისებური ზეგრძნობადი, „ტრანსცენდენტალურ-მეტაფიზიკური“ „აღგზნება“.*

ამგვარად, ლექსის სცენარი და სიუჟეტი მთლიანდ რომანტიკული ირონიის პრინციპითაა აგებული: ღვთაებრივისა და მარადიულის მიწიერსა და წარმავალ განზომილებაში მუდმივი ვლენა და პირიქით, მდაბალი ყოფიერების მაღალი ყოფიერებისაკენ სწრაფვა. მაგრამ ამ ვითარებაში საინტერესო ისაა, რომ გარომანტიკულების პროცესს აფუძნებს მხოლოდ ლირიკული გმირი, ვინაიდან ამ ნიჭით მხოლოდ ისაა აღჭურვილი და არა მოჟრიაბულე საზოგადოება. შესაბამისად, ღვთაებრივი უცნობი და იდუმალი ქალბატონის მოვლინება წმინდად წარმოსახვის ძალის ნაყოფია და ამ წარმოსახვის ძალით ხორციელდება კაიროსული შეგრძნებების გამოწვევა, ანუ ღვთაებრივის ამქვეყნიურობში წამიერი მოვლინების გზენება და განცდა, ცნობიერების წამიერი გასხივოსნება:

* შდრ.: „რომანტიზმის მიხედვით, ის, რასაც ჩვენ მოვლენათა სამყაროს ვუნოდებთ, მიღმური, ზეგრძნობადი სამყაროს ზემოქმედებისა და ადამიანის „მეს“-ს აქტივობის ურთიერთგამსჭვალვის შედეგად ჩნდება. ადამიანს რაღაც შეაქვს „სამყაროში“ რაღაცნაირად აგებს მოვლენათა სინამდვილეს, იგი მოვლენათა სამყაროს შექმნის თანამოზიარეა და, ამ აზრით, დემიურგულ ხასიათს ატარებს. სამყაროს ამგვარ თანაშექმნას გერმანულ იდეალიზმში ტრანსცენდენტალური კონსტრუირება ეწოდება“ (კაცციტაძე 1990: 55), ნოვალისის „ტერმინოლოგიით“ კი სამყაროს გარომანტიკულება.

ამ დროს მთოვარემც შუქი თვისი მისტიხა ბროლსა,
რომელმან შვება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;
მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,
რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი – თვალსა.

(ბარათაშვილი 1945: 11)

აღნიშნულ ლექსში ლირიკული გმირისა და უცხო თეთრკაბიანი ბანოვანის დიალოგში ჩნდება ასეთი საინტერესო სიტყვა – „მოდა“. ამ სიტყვით მინიშნებულია თანამედროვე ჟამის დესაკრალიზებულ ვითარებაზე, როდესაც ადამიანებს შორის ურთერთობა ზედაპირული, უტილიტარიზებული და პრაგმატულია, ანუ დომინირებს ვითარება, როდესაც იმ ღვთაებრივი ტრანსცენდენტურობის სახელით ადამიანებს შორის კომუნიონის, ერთყოფის დაფუძნება შეუძლებელია: „ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ“ (ბარათაშვილი 1945: 11). ეს, ერთი მხრივ, ნიშნავს, რომ ადამიანი ჩათრეულია თანამედროვე წარმავალი ყოფის პრაგმატულ ამოებში და მისი ცნობიერებისათვის მიუწვდომელია ღვთაებრივი საგნები, მეორე მხრივ, ადამიანებს შორის დარღვეულია შესაქმისეული ერთყოფა, როდესაც ისინი საერთო მეტაფიზიკური საწყისების გათვალისწინებით ერთმანეთს აღიქვამენ მონათესავე არსებებად და არა მომხმარებლური, პრაქტიკული და პრაგმატული მოსაზრებით დროებით შეხვედრილ თანამოქალაქეებად.

თანამედროვე ჟამის ეს ზუსტად ის დეჰუმანიზებული და დესაკრალიზებული მდგომარეობაა, რაზეც ბარათაშვილამდე ნახევარი საუკუნით ადრე თავის ცნობილ ოდაში „სიხარულისადმი“ (**“An die Freude”**) შილერიც მიუთითებდა, რომ თანამედროვე დროში, ანუ საკუთრივ რაციონალური მოდერნის ეპოქაში ადამიანებს შორის გაინტენსიურდა დეჰუმანიზაციისა და გაუცხოების პროცესი – „რაც ახალმა ჟამმა ერთმანეთისაგან უმოწყალოდ დააშორა“ (**“Was die Mode streng geteilt”**). როგორც ვხედავთ, ამ ვითარების აღსანიშნავად შილერიც ზუსტად იმავე სიტყვას იყენებს („მოდა“/“**Mode**”), რაც ბარათაშვილთან გვხვდება („ახლა მოდაა“), და ამ სიტყვით გულისხმობს მის თანამედროვე არაჰუმანურ, შეუბრალებელ რაციონალურ და პრაგმატულ ეპოქას.

როგორც ითქვა, *სამყაროს გარომანტიულების* პროცესი გულისხმობს ყოფის თვით უმცირეს დეტალებში, შემთხვევით საყოფაცხოვრებო ვითარებაში იდუმალის, არაამქვეყნიურის ჭვრეტას, განცდასა და გრძნობას. ამიტომ, ეს ღვთაებრივი ტრანსცენდენტურობა ლირიკულ გმირს ევლინება ხან *სატრფოს* სახით („...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“), ხანაც *სატრფოს საყურის* სახით („საყურე“), ან *სატრფოს თვალების* სახით („მიყვარს თვალები მიბნედილები“), იგი ხანაც ჩვილ ბავშვში ჭვრეტს ღვთაებრივის მოქმედებას (იხ. ლექსი „ჩჩვილი“) და ა. შ.

* საყოველთაოდ ცნობილია *ბავშვის, ბავშვურობის* არქეტიპული სახის მოტივი რომანტიკულ ხელოვნებასა და მწერლობაში. გავიხსენოთ ცნობილი რომანტიკოსი მხატვრის ფილიპ ოტო რუნგეს (1777-1810) ცნობილი ფერწერული ტილო „ყრმა განთიადი“ (**“Der kleine Morgen”**) (1808), სადაც გამოსახული *ყრმა ბავშვები* სწორედ კაცობრიობის პარადიზული ყოფიერების სიმბოლოებია. აქვე გავიხსენოთ ბავშვის ფენომენის უდროოდ დაღუპული რომანტიკოსი პოეტის, ვილჰელმ ჰაინრიჰ ვაკენროდერისეული (1773-1798) გაგება: „როდესაც ჩვენ ბავშვების ღვთივკურთხეულ სახებას ვუჭვრეტთ, რა სიმსუბუქითა და ხალისით ვივიწყებთ ამქვეყნიურ ჭაპანწყვეტას; მზერა უღრმავდება

(აქ უნდა შევნიშო, რომ ეს დისკურსი შემდგომ გრ. რობაქიძემ გააგრძელა თავის ფსევდო-ექსპრესიონისტულ ლირიკულ ცდებში და ღვთაებრივის მოქმედებას ხან ვასაკასა და მის ყიყინში ჭვრეტდა მისი ლირიკული გმირი, ხან *აქლემის* სპლინით-მოსილ გამოხედვაში, ხან *ნაგაზის* თვალელებში და ხანაც *დოგის* მოძრაობებში):

ჰოი, საყურეო,
გრძნობით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?”
(„საყურე“; ბარათაშვილი 1945: 18)

ხმა საკრავისა...
ნელ ნარნარისა,
სულს განახარებს
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჭირებს!
ვჭვრეტდი ლამაზსა,
სევდითა ნაზსა,
და შევეტრფოდი;
ყოველთ გრძნობასა,
ყოველთ გონებათა
მას მივაპყრობდი.
(„...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“;
ბარათაშვილი 1945: 27)

თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,
თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას?
(„მიყვარს თვალეები, მიბნედილები“; ბარათაშვილი 1945: 28)

მიყვარს მიყვარს, მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის.
მიყვარს სმენა უცნაურისა მის ხმის,

ოდეს იგი ენითა სასუფევლის
უაღერსებს წიაღთა თავის მშობლის.
(„ჩჩვილი“; ბარათაშვილი 1945: 19)

მათ გასაოცარ ნათელ ნაკვთებს, და როგორც მშვენიერი მომავლის წინასწარმეტყველნი, როგორც ოდესღაც გარდასული ოქროს საუკუნიდან უკანმოვლენილი ნაზი ნერგები, ისე წარმოსდგებიან ისინი ჩვენს წინაშე. [...] სწორედ ის ეთერული ნათელი და ანგელოზთა სამყაროს ხსოვნა ჯერ კიდევ ცოცხლობს და ღვივის ბავშვის არსებაში“ (Wackenroder 1994: 43, 44).

დავუკვირდეთ: აქ ბარათაშვილი სწორედ რომანტიზმის პოეტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი სისადავით, მინიმალიზმითა და ლაკონურობით ზედმინუნებით ავითარებს *რომანტიკულ/რომანტიზმის ირონიას* (“*die romantische Ironie*”) (ფრ. შლეგელი), რასაც სასრულში (აქ: პოეტურ ტექსტში, ადამიანურ ენაში) ღვთაებრივი უსასრულობის მოხელთება, ჭვრეტა, წვდომა, განცდა, გადმოცემა, გაცხადება და მკითხველისათვის განცდევინება ჰქვია. ეგზისტენციალურ და ეთიკურ სიბრტყეზე ბარათაშვილთან (და ზოგადად, რომანტიკოსებთან) ეს ასევე გულისხმობს, სიკვდილში უკვდავების მოპოვებას დიონისური გახელების ჟამს (შდრ.: „თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას“). აქ ყველა ვითარებაში, სატრფოს *საყურის*, სატრფოს *თვალების*, თუ თავად *სატრფოს*, ან *ჩვილის* ჭვრეტისას ლირიკული გმირის ცნობიერებასა და სულში, მის მეტაფიზიკურ შეგრძნებებსა და განცდებში მუდმივად აღძვრის *სამყაროს გარომანტიულების*, ანუ მიწიერში, ამქვეყნიურში და ამქვეყნად ღვთაებრივის ჭვრეტის პროცესი (შდრ.: „სულს განახარებს, ყოვლთ გრძნობათა, ყოვლთ გონებათა მას მივაპყრობდი“). შედეგად, ლირიკული გმირის ეგზისტენცია და აქმყოფობა მუდმივად მოექცევა *რომანტიკული ირონიის* რეჟიმში, ხოლო თავად ლირიკულ ტექსტში ყოფის თითოეული მოვლენა, მცირე დეტალიც კი მუდმივად გადაიქცევა მაღალი ყოფიერების პოეტურ ნიშნად. ამასთან, თავად ლირიკული ტექსტი ფუძნდება კაიროსული შეგრძნებების გადმოცემის, მათი მკითხველში აღძვრისა და *გარომანტიულების* პროექციების ცენტრად.

2.2 ბარათაშვილის ლირიკული გმირის ქცევის წესი და ანთროპოლოგია

ნ. ბარათაშვილს ქართულ ლიტერატურაში პირველად შემოჰყავს ისეთი ლირიკული გმირი, რომელიც არა ირაციონალურ-მისტიკურ მედიტაციებშია ჩაფლული, ან მოჭარბებული სენსუალური შეგრძნებებისა თუ ეგზალტირებული რელიგიური პაროქსიზმის ტყვეობაშია მომწყვდეული, რაც ასე დამახასიათებელია სენტიმენტალური თუ პიეტისტური პოეზიისათვის, არამედ იგი, პირველ რიგში, მუდმივადაა ჩართული რაციონალურ-კანტიანურ-ფიხტანური ტიპის (თვით) რეფლექსიებში, რეფლექსიებში, რომლებიც ყველა სფეროს მოიცავს – ონტოლოგია, ეგზისტენცია, საკუთარი ქვეყნის წარსული ისტორია, მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური პროცესი, ყოველდღიური ყოფა. შემთხვევითი არაა, რომ ბარათაშვილის ცენტრალურ ლირიკულ ტექსტებში მუდამ ფიგურირებს *ფიქრის* კონცეპტი და მუდმივად *ფიქრის*, რეფლექსიის პროცესში მყოფი ლირიკული გმირი – „ფიქრნი შენდამი მოისწრაფიან“, „ფიქრთ გასართველად“. ფაქტიურად, აქ ის ალასრულებს თვითშემეცნების იმ პირველ აპრიორულ მოთხოვნილებას, რასაც ფიხტე ნაუყენებს შემეცნებელ სუბიექტს: „*ყურადღება მიაპყარ შენს თავს. მონყვიტე შენი მზერა ყველაფერს, რაც შენს გარშემოა, რაც შენ გარემოვცავს და მზერა მიმართე შენს შინაგან არსზე. სწორედ ეს არის ფილოსოფიის პირველი მოთხოვნა, რომელსაც ის თავის შეგირდს ნაუყენებს. აქ საუბარია არა იმაზე, რაც შენს მიღმაა, რაც შენგან გარეთაა, არამედ – საკუთრივ შენზე*“ (Theorie ... 2000: 43).

ამგვარად, ფიხტეს ამ შემეცნებითი იმპერატივის მიხედვით, შემეცნების პროცესი მართებულად რომ წარიმართოს, სუბიექტმა თავის შემეცნებითი ნებელობა საკუთარ თავზე უნდა მიმართოს, ჯერ საკუთარი თავი უნდა შეიმეცნოს და განსაზღვროს. ამით კი ერთდროულად ორი რამ მიიღწევა: ერთი მხრივ, სუბიექტი შეიმუშავებს უფრო მაღალ თვალსაზრისს საკუთარ თავზე, მეორე მხრივ, იგი აცნობიერებს, რომ ამ თვითჩარმავების პროცესში თავად ის, ანუ მისი სუბიექტურობა და მისივე წარმოდგენები სამყაროზე, უფრო მაღალი ღირებულების მატარებელია, ვიდრე თავად გარესამყარო თავისი ემპირიული სტრუქტურით და კულტურა თავისი საყოველთაო ყალბი მორალური იმპერატივებით. ამასთან, ისიც ცნობიერდება, რომ ამ პერსპექტივიდან ემპირიული მოცემულობა ჭეშმარიტი ყოფიერება კი არაა, არამედ *მოჩვენებაა, აჩრდილია (Schein)*, ხოლო სუბიექტის, როგორც შემეცნებელი „მე“-ს, წარმოდგენათა ჯამი ამ ემპირიულობის შესახებ თავად ამ ემპირიულობაზე მაღლა დააყენებს მას. შედეგად, სუბიექტის *ნებისა („Wille“)* და პროდუქტიული *წარმოსახვის ძალის („Einbildungskraft“, „Phantasie“)* საფუძველზე წარმოქმნილი *წარმოდგენები („Vorstellungen“)* სუბიექტის ცნობიერებასა და მის შემეცნებით ნებელობას უფრო მაღალი ყოფიერებისაკენ (*Sein*) წარმართავენ. ფიხტეს მიხედვით, ეს იმთავითვე შესაძლებელია, ვინაიდან, სუბიექტის *შემეცნებითი ნებელობა და წარმოსახვის ძალა* თავისუფალი მონაცემებია: *„ჩვენი ფანტაზია, ჩვენი ნება ჩვენს წინაშე წარმოჩნდება როგორც თავისუფალი“ („Unsere Phantasie, unserer Wille erscheint uns als frei“)* (Theorie ... 2000: 43).

ნოვალისი „ყვავლთა მტვერის“ (*„Blütenstaub“*) (1798) მე-16 და 28-ე ფრაგმენტებში ზუსტად ამავე თვალსაზრისს ავითარებს, რაც არცაა გასაკვირი, ვინაიდან თავის *სუბიექტის* კონცეფციაში გერმანული რომანტიზმის თეორეტიკოსები (ნოვალისი და ფრ. შლეგელი) დიდწილად სწორედ ფიხტეს დაეყრდნენ: *„16. ფანტაზია (შდრ., აქ ნოვალისი პირდაპირ ფიხტეს ტერმინოლოგიით ოპერირებს – კ. ბ.) მომავალ სამყაროს ან სიმაღლეებში ატყორცნის, ან სიღრმეებში გადაისვრის, ან მეტემფსიქოზად (ე. ი. სულთა გადასახლება – კ. ბ.) წარმოგვიჩენს. ჩვენ ვოცნებობთ უსასრულო სამყაროში მოგ ზაურობაზე. და განა ეს უსასრულო სამყარო ჩვენში არაა? ჩვენ არ ვიცით ჩვენი სულის დაფარული სიღრმეები. ჩვენში შემოდის იდუმალი გზა (შდრ., ფიხტესეული დებულება: „მზერა მიმართე შენს შინაგან არსზე“ – კ. ბ.). ჩვენშია და სხვაგან არსად მარადისობა თავის სამყაროებით, წარსულითა და მომავლით. გარესამყარო აჩრდილთა სამყაროა. [...] 28. განვითარების უმაღლესი ამოცანაა მოიხელთო საკუთარი ტრანსცენდენტალური თვითობა, იყო საკუთარი მე-ს მე“ (აქ აშკარაა ფიხტესეულ იდენტიფიკაციის ფორმულაზე მინიმუმება: „მე“=„მე“/Ich=Ich – კ. ბ.) (Novalis 1981: 431, 437).**

* თუმცა მაღევე ნოვალისი კორექტირებას შეიტანს მასწავლებლის ამ ფორმულაში, მიიჩნია რა იგი ცალმხრივად და სოლიფსისტურად, ვინაიდან ფიხტეს ეს ფორმულა გამორიცხავდა დიალექტიკურ მიდგომას და შეიცავდა მეთოდოლოგიურ ნაკლს: 1. ყოფიერების შემეცნების საკითხში დგებოდა გარესამყაროს სრული უგულვებელყოფის საფრთხე, 2. თვითშემეცნების პროცესი ვერ განხორციელდებოდა სრულყოფილად, თუკი გარესამყაროს სახით შემეცნებელ სუბიექტს არ ექნებოდა საკუთარი თავის „ამრეკლავი“ წინაპირობა, მაგ., *ბუნების*, ან *სატრფოს*, ან სხვა ემპირიული ფენომენის სახით. 3. ფიხტეს ფორმულა არ ითვალისწინებდა იმ ნიუანსს, რომ თვითშემეცნების საწყის ეტაპზე შემეცნებელი სუბიექტი თავადაა არასრულყოფილი მოცემულობა და იგი თავის თავის იდენტური იმთავითვე ვერ იქნებოდა. ფიხტეს ფორმულა თვითშემეცნების მხოლოდ პირველი ეტაპის – აპრიორული თვითშემოსაზღვრის – აღსაწერად გამოდგება, ანდა გამოდგება

აქაც, როგორც ვხედავთ, ემპირიული სინამდვილე მდაბალ ყოფიერებად, „აჩრდილთა სამყაროდ“ განიხილება (**“Schattenwelt”**), ხოლო შემეცნებითი თვით-ჭვრეტისა და სულიერი მედიტაციის პროცესში შემეცნებელი სუბიექტის მიერ საკუთარ თავზე წარმოსახვის ძალის საფუძველზე შემუშავებული წარმოდგენები აამაღლებს მას ამ მდაბალ ყოფიერებაზე და ამ ვითარებაში იგი მდაბალი, არაჭეშმარიტი ყოფიერებიდან (**Schein**), გადადის მაღალ, ჭეშმარიტ ყოფიერებაში (**Sein**).*

ამ კონტექსტში საინტერესოა ნოვალისის შემდეგი დებულებაც, სადაც რომანტიზმის არსი გააზრებულია, როგორც საკუთარი შეზღუდული „მე“-ს უნივერსალიზება საკუთარ თავში ჩაღრმავების საფუძველზე: „რომანტიზმი არის ინდივიდუალური მომენტის, ინდივიდუალური ვითარების აბსოლუტიზება, უნივერსალიზება, კლასიფიკაცია და ა.შ.“ (**“Romantik. Absolutisierung, Universalisierung, Klassifikation des individuellen Moments, der individuellen Situation usw.”**) (Novalis 1996: 568). ეს შენიშვნა, ამავდროულად, რომანტიზმის ლირიკის და, ზოგადად, ლირიკის საფუძველმდებელი დებულებაცაა: კერძოდ, ლირიკოსმა თუ საკუთარი სუბიექტური „მე“ ობიექტურ „მე“-დ არ აქცია, ანუ ლირიკოსმა საკუთარი, პირადი ეგზისტენციალური და ნათელხილვითი გამოცდილება უნივერსალურ და საყოველთაო ღირებულებად თუ არ აქცია, მაშინ მისი ტექსტი დღიურის ერთ რიგით ჩანანერს დაემგვანება. შესაბამისად, პოეზია არაა პირადი კიჩურ-ბიურგერული სენტიმენტების სივრცე, არამედ საკუთარი შეზღუდული ადამიანური არსისა და ყოფიერების განვრცობაა, ყოფნისა და ყოფის ახალი შესაძლებლობების „გახსნა“ და განცდევინებაა, „კოსმიური შეგრძნებების“ (**“kosmisch empfinden”**) (ნიცშე) გამონვევაა.

შემეცნების საკითხში ბარათაშვილის ლირიკული გმირის ქცევის წესი და მისი შემეცნებითი მეთოდიკა ზედმინვნით ემთხვევა ფიხტენურ და ნოვალისისეულ მიდგომებს: იგი გამუდმებით ცდილობს საკუთარი თავი ჩააყენოს თვითრეფლექსიის რეჟიმში, რომ ამით გაარკვიოს ონტოლოგიური ღირებულებითი საკითხი, თუ სამყაროს რომელი შემადგენელია ნამდვილი, ჭეშმარიტი ყოფიერება, რათა შემდგომ იგი გხადეს მისი „ზეენზუხტის“, ანუ სწრაფვის საგანი (მდრ. – „ფიქრნი შენდა მოისწრაფიან“). შესაბამისად, იგი ამ პროცესში სწორედ საკუთარი შეზღუდუ-

თვითშემეცნების საბოლოო შედეგის დასაფიქსირებლად – სრულყოფილი „მე“-ს საკუთარ თავთან იგივეობისა და თვითკმარობის აღსანიშნავად, ანუ ფიხტეს ფორმულა ეს არის ე. წ. აბსოლუტური მე-ს ფორმულა. ამიტომაც, თვითშემეცნების აღსაწერად ნოვალისმა შეიმუშავა რომანტიზმის ახალი თვითიდეენტობის ფორმულა: „მე“=“არა-მე“ (**Ich=Nicht-Ich**), რომელიც უფრო თვითშემეცნების პროცესს აღნიშავს და არა შედეგს და თანაც ხაზს უსვამს ამ პროცესის დიალექტიკურ ბუნებას. ეს ფორმულა გამოაცხადა ნოვალისმა მეცნიერების, ანუ ფილოსოფიისა და ხელოვნების უმაღლეს პოსტულატად – **“höchster Satz aller Wissenschaft und Kunst”** (Novalis 1996: 160). აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი თვითშემეცნების საკითხში, საბოლოო ჯამში, სწორედ ნოვალისის ფორმულას ემყარება და არა ფიხტესას, თუმცა თავად მიზანი მასთანაც ფიხტენურია – აბსოლუტური მე-ს მოპოვება.

* მდრ: „მაგრამ როგორ შეუძლია გრძნობად სამყაროში მცხოვრებ ადამიანს ზეგრძნობადი სინამდვილისაკენ ლტოლვა? რომანტიკოსების პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანია – საკუთარ თავში, საკუთარ სუბიექტურობაში ჩაღრმავების გზით. გრძნობადისა და ზეგრძნობადის, „ციხა“ და „მიწის“ რადიკალური დაპირისპირების ვითარებაში, ჩვენი მიწიერი ყოფნის პირობებში „ციური“ ადამიანურ „მე“-ში ჩაღრმავებით მიიღწევა, ვინაიდან ადამიანის სულიერი ყოფა „მიწიერ“ არსებობასთან მისი კავშირის მიუხედავად ყოველგვარი საგნობრიობიდან და, შესაბამისად, მოვლენათა სინამდვილიდან ყველაზე უფრო დაშორებული რამაა“ (კაციტაძე 1990: 57).

ლი ემპირიული „მე“-ს უნივერსალიზაციას ახორციელებს. ამიტომაც, იგი ეძიებს ფილოსოფიური განმარტოების პირობებს, ვინაიდან *მაღალი* და *მდაბალი* ყოფიერების დადგინება და ამის საფუძველზე პიროვნული ეთიკის შემუშავება (რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზეა მიმართული, საკუთარი პიროვნების წრთვანზეა მიმართული და არანაირი იდეოლოგიური ან სოციალური დატვირთვა არ გააჩნია) მხოლოდ ამ განმარტოების ვითარებაში ხორციელდება. ამიტომაც, ის მუდმივად მიეშურება ბუნების ნიაღში, *მთაწმინდის* სანახებში, *მტკვრის* ნაპირებზე, ან *ჩინარს* ჭვრეტს, ან *ცას*. ეს ადგილები სიმბოლური ტოპოსებია: ისინი სიმბოლურად განასახიერებენ თვითშემეცნების ტოპოსებს – შდრ., *მთა*, როგორც თვითჩაღრმავების სიმბოლური ტოპოსი (Metzler 2008: 39). შესაბამისად, *მთის* სანახებში, ან *მთაზე* ყოფნა, *მთაზე* ასვლა ბარათაშვილის ლირიკულ ტექსტებში სიმბოლურად სწორედ თვითშემეცნების პროცესს განასახიერებს, ხოლო *მდინარის* ნაპირზე, წყალთან ყოფნა სიმბოლურად განასახიერებს როგორც საკუთარ არაცნობიერ, ირაციონალურ ანთროპოლოგიურ არსში თვითჩაღრმავებას, ასევე სამოთხისეულ პირველსაწყისებთან უკუმიქცევას (Metzler 2008: 414-415). რომანტიზმში, ზოგადად, *ბუნების* სივრცე სიმბოლურად განასახიერებს პარადიზულ სივრცეს და ლირიკული გმირის ბუნებაში გასვლა მისი პარადიზულ განზომილებაში გადასვლის სიმბოლოა (შდრ., გალაკტიონისეული „შევიდე უცხო სიმსუბუქეში“):

ოჰ, ვით ყოველი **ბუნებაც** მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე, **ცაო, ცაო**, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
ანცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!
მე, შენსა მჭვრეტელს, **მაგინედების საწუთროება**,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... **ეძიებს სადგურს**,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს.
(„შემოღამება მთაწმინდაზედ“; ბარათაშვილი 1945: 6)*

ბარათაშვილის ლირიკული გმირის რაციონალური რეფლექსიის პროცესი იმთავითვე გადაჯაჭვულია სხვა შემეცნებით მდგომარეობასთან, რასაც გერმანულ რომანტიზმში *განცდა/გრძნობა (Gefühl)* და *ჭვრეტა (Anschauung)* ეწოდება. ეს მედიტატიური მდგომარეობა კი იბადება სულიერი შემეცნების იმ ორგანოში, რასაც გერმანელი რომანტიკოსები **Gemüt**-ს, ხანაც **Herz**-ს უწოდებენ, ხოლო ბა-

* შდრ. ლ. ტიკის (1773-1853) რომან „ფრანც შტერნბალდის მოგზაურობანის“ (**“Franz Sternbalds Wanderungen”**) (1798) მთავარი პროტაგონისტის – ფრანცის – ბუნებისადმი მიმართება, რაც ბუნების სწორედ რომანტიკული აღქმა და გაგებაა: იგი გულისხმობს ბუნების ცოცხალ არსად, ღვთაებრივი შემოქმედების გამოვლინებად გაგებას. ქვემოთ მოხმობილ ამონარიდში ნათლად ჩანს, რომ რომანტიკულ აღქმაში ბუნება უკვე იმთავითვე ღვთაებრივი ტრანსცენდენტურობის ემანაცია, მის ნიშანია: „მე მესმის, მე შევიგრძნობ, თუ როგორ მოაველებს თავის შემოქმედ ხელს სამყაროს მარადიული სული (**“der ewige Weltgeist”**) არფას და ააჟღერებს მას მრავალი ჰანგით. მესმის და შევიგრძნობ, თუ როგორ წარმოიქმნებიან მრავალფეროვანი ქმნილებანი მარადიული სულის თამაშში და მთელს ბუნებაში ვრცელდებიან ამ სულის მობერვით. [...] იეროგლიფი (ანუ ბუნება – კ. ბ.), რომელიც უმაღლესს, ღმერთს აღნიშნავს, აქ, ჩემს წინაშეა ამოქმედებული და თავად მიცხადებს საკუთარ თავს“ (Tieck 1963: 888).“

რათაშვილი მას „გულის-თქმას“ უწოდებს. შესაბამისად, რომანტიზმში გული მხოლოდ ემოციონალური მდგომარეობის წარმომქმნელი ორგანო კი არ არის, არამედ ღმრად მისტიური შეგრძნებების დაბადების ორგანოცაა.

ამგვარად, სწორედ რეფლექსიის, ჭვრეტისა და განცდის/გრძნობის ვითარებაში ბარათაშვილის ლირიკული გმირი მიდის დასკვნამდე, რომ მისი არსებობის წესი უკავშირდება სწრაფვისა და ტრანსცენდირების გაუნელებელ მოთხოვნილებას. ამასთან, ეს სწრაფვა (გერმანელი რომანტიკოსების ტერმინოლოგიით – **“Sehnsucht”**) ბარათაშვილის ლირიკულ გმირში იმპულსური და გაუცნობიერებელი აქტი კი არაა, არამედ სწორედ რომ ღრმა სულიერი რეფლექსიის საფუძველზე ცნობიერად მიღწეული შეურყეველი ეთიკური და შემეცნებითი პოზიციაა. ამ შემთხვევაში ხაზი ესმება და იკვეთება რომანტიკოსი ლირიკული გმირის შემდეგ ანთროპოლოგიურ და შემეცნებით სპეციფიკას: მისი ქცევის წესი და შემეცნების პროცესი მისი არსის მხოლოდ გრძნობად-სულიერ და ირაციონალურ საწყისებს კი არ ეფუძნება, არამედ აქ რაციონალური საწყისიც გადამწვეტია. შესაბამისად, მის შემეცნების პროცესში არც ერთი ანთროპოლოგიური საწყისი არაა დომინანტური და ღრმა სულიერ-შემეცნებითი დატვირთვა აქვს ორივე საწყისიდან მიღებულ მონაცემებს – როგორც რაციოდან, ისე სულიდან/გულიდან (ბარათაშვილის ტერმინოლოგიით „გულისთქმა“): გული/სული ბადებს ფუნდამენტურ მისტიურ განცდებს, ხოლო გონება და რეფლექსია ლირიკულ გმირს ანიჭებს იმ სულიერ ძალას, რომ მისი ტრანსცენდენტური სწრაფვები იყოს ღრმად გააზრებული და გაცნობიერებული (შდრ., რუსთველური „ცან ცნობანი მიაფერენ“, ან ბარათაშვილისეული „ჩემნი ცნობანი“, „ვსცნა“). ამასთან, გონება ლირიკულ გმირში ავითარებს „მე“-ს პრინციპს, სუბიექტურობის პრინციპს, რაც მას ანიჭებს ეთიკურ და ეგზისტენციალურ შესაძლებლობას ამაღლდეს ობიექტურ რეალობაზე და განახორციელოს საკუთარი „მე“-ს უნივერსალიზაცია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რომანტიკოსი ლირიკული გმირი შემეცნების პროცესში აფართოებს წარმოდგენას საკუთარ ანთროპოლოგიურ არსზე, საკუთარ ეგზისტენციაზე და აღმოაჩენს, რომ მასში არის ღვთაებრივი ელემენტი, უკვდავი ელემენტი, რომელიც მას ნიადაგოფს მშვენიერ ღვთაებრივ ტრანსცენდენტურობაში, რომელიც მას მიანიჭებს შესაძლებლობას თავი დაიმკვიდროს მაღალ ყოფიერებაში.

ბარათაშვილის ყოველი ლირიკული ნიმუში (შდრ., „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოლამება მთანმიდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „ნაპოლეონ“, „სული ობოლი“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ მეგობართ“, „მერანი“, „სულო ბოროტო“, „ჩინარი“ და სხვ.) მუდმივად ადასტურებს ლირიკული გმირის ამ (თვით)რეფლექსიურ მდგომარეობას, მისი ლირიკული გმირი მუდმივად რეფლექტირებს, მუდმივად (თვით)შემეცნების, მუდმივად თვითდადგინების პროცესშია და ამას იგი ახორციელებს *საწუთროსთან, წუთისოფელთან*, – როგორც წარმავლობასთან, სასრულობასთან, მდაბალ ყოფიერებასთან, ობიექტურ გარდაუვალ მოცემულობასთან, – კონფლიქტის კონტექსტში. აქ კი ვლინდება ბარათაშვილის ლირიკული გმირის ონტოლოგიური, ეგზისტენციალური უკმაყოფილება, კულტურით უკმაყოფილება, ვინაიდან სწორედ ამ რეფლექსიების პროცესში აცნობიერებს იგი, რომ მისი ეგზისტენცია არ ამო-

ინურება მხოლოდ ამ წარმავალი და ამოო წუთისოფლის ფარგლებში არსებობით, რომ ის ამ მოცემულობის განუყოფელი წარმავალი ნაწილი, წარმავალი ელემენტი კი არაა და აქ კი არ ამონურავს თავის თავს ამოებასა და წარმავლობაში, არამედ სწორედ ამ საწუთროზე მაღლა დგას. ლექსში „ნაპოლეონ“ სწორედ *ნაპოლეონის* პერსონაჟია უმაღლესი „მე“-ს, აბსოლუტური „მე“-ს განსახიერება, რომელიც სწორედ ამ წუთისოფელზე, ანუ დრო-სივრცის კანტიანურ გაგებასა და კანტიანურ ონტოლოგიაზე მაღლა დგას – „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“ (ბარათაშვილი 1945: 16).

ამავე ლექსში *ნაპოლეონის* ნილაბმორგებული 20-21 წლის ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი პოეტი, თავად გვებასება საკუთარ და საკუთარი ლირიკული გმირის უპირატესობებზე ჩვენს, როგორც მოკვდავ, წარმავალ არსთა, წინაშე: კერძოდ, მან, როგორც პოეტმა, დაიმორჩილა ემპირიული განზომილებანი, ემპირიული კატეგორიები – „დრო“ („ჟამი ჩემია...“) და „ბედი“ (ამ შემთხვევაში, „ბედი“, არა როგორც ზებუნებრივი ირაციონალური ძალების მიერ წინასწარგანსაზღვრული განგება და გარდაუვალი ხვედრი, ბედისწერა, არამედ, როგორც „დაზიანის“, აქმყოფობის არაპროგნოზირებადი და განუჭვრეტელი თვისება, ბედი, როგორც შემთხვევითობა. სიტყვა „ბედი“ ბარათაშვილთან სწორედ ემპირიული რეალობის არაპროგნოზირებადი თვისების მეტაფორული მარკერია). ამით კი მინიშნებულია, რომ ბარათაშვილმა და მისმა ლირიკულმა გმირმა გადალახა დრო-სივრცული შეზღუდულობა და აქმყოფობაში დაიმკვიდრა მარადისობა და უკვდავება – „თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!“ (ბარათაშვილი 1945: 16). აქ კი ხაზი ესმება მისი, როგორც პიროვნების, როგორც პოეტის *ნაპოლეონურ* გამორჩეულობას. აქვე, ამავე ლექსში ბარათაშვილს, ვითარცა ახალი ტიპის შემოქმედს (ამ შემთხვევაში, რომანტიკოს პოეტს), გაცნობიერებული აქვს, რომ ახალ სიტყვას ამბობს ქართულ პოეზიაში და ახალ სულიერ თუ პოლიტიკურ მესიჯებს უგზავნის ერს და ამით *ნაპოლეონით* იურვებს, იმორჩილებს და იპყრობს, ერთი მხრივ, ქართველთა სულს, გონებასა და გულს (მდრ.: „გადმოავლო თვალი ფრანციას“, იგულისხმე, „გადმოავლო თვალი ივერიას“ – კ. ბ.), მეორე მხრივ, თავად ქართულ ენას იურვებს საკუთარი უნიკალური პოეტური მეტყველებით და ასე აფართოებს ქართული ენის პოტენციასა და შესაძლებლობებს (მიმაჩნია, რომ ეს ლექსი, შეიძლება, ბარათაშვილის თავისებურ საპროგრამო ლექსადაც განვიხილოთ):

ახლა კი კმარა, თქვა მან გულში, სურვა აღმიხდა:

სახელი ჩემი **ვასახელე ქვეყნის საოცრად,**

შევმოსე ძალით საყვარელი ჩემი საშვენად

და დაუმონე გულმტკიცენი მას სადიდებლად.

(„ნაპოლეონ“; ბარათაშვილი 1945: 16)

ამ ვითარებაში კი გარდაუვალია საკუთარ ბედთან, ანუ *ხვედრთან* კონფრონტაცია. ამ შემთხვევაში ბედი, *ხვედრი*, ვიმეორებ, გულისხმობს არა ანტიკური ტიპის მისტიურ-ირაციონალურ სუბსტანციონალურ არსს, რაიმე სუბსტანციონა-

ლურ გარედან მოსულ ძალას, არამედ *ბედი*, *ხვედრი*, როგორც შემთხვევითობა, არის ის გარდაუვალი ონტოლოგიური მოცემულობა, როდესაც ადამიანი საკუთარ ეგზისტენციაში იმთავითვე მოექცევა *არსისა* და *ჯერარსის* გარდაუვალ დიალექტიკაში: ანუ, ვიღებთ ვითარებას, როდესაც *ჯერარსი*, ანუ *ყოფიერება* თავისი შემთხვევითი და არაპროგნოზირებადი ბუნებით, ყოველთვის წინ უსწრებს *არსის*, ანუ სუბიექტის ეგზისტენციას. ბარათაშვილის ლირიკული გმირიც სწორედ ამ ვითარებას წაანყდება მას შემდეგ, რაც იგი თავს აღწევს ბავშვურ ყოფას („დავმთე ადგილი, სადაცა წრფელი რბიოდა ნათლად დრო ყმანვილობის“) და მასში ლვივდება ინდივიდუალიზმი, „მე“-ს პრინციპი, ანუ თვითრეფლექსიის სულიერი უნარი და ამ ვითარებაში ლირიკული გმირის მიერ სწორედ ის ცნობიერდება, რომ ის უფრო მაღალი არსია ვიდრე თავად ეს *შემთხვევითობა*, ანუ მდაბალი ყოფიერება, რომ მისი ეგზისტენცია მაღალი ყოფიერების საგნებს უკავშირდება და არა „დაზაინ“-ში შემთხვევით და მდაბალ ყოფნას. შესაბამისად, აი ეს *არსისა* და *ჯერარსის* დიალექტიკაა ლირიკული გმირის „ხვედრი“, „ბედი“.

ამ ვითარების გაცნობიერების შემდეგ ლირიკული გმირი მუდამ ცდილობს თავი დააღწიოს ამ ეგზისტენციალურ მდგომარეობას და საკუთარი *რეფლექსიის*, *ჭვრეტის*, *წარმოსახვის ძალისა* და *განცდის/გრძნობის* საფუძველზე ცდილობს ამაღლდეს საკუთარ ხვედრზე – ის იწყებს ძიებას, ანუ სამყაროში, „დაზაინ“-ში თვითდადგინების ძიძიმე და ტრაგიკულ პროცესს: „ეძიე, ყრმაო შენ ხვედრი შენი, ვინძლო იპოვნო შენი საშვენი! [...] როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა“ („ხმა იდუმალი“; ბარათაშვილი 1945: 8).

ცხადია, *სწრაფვა* მაღალი ყოფიერებისაკენ არაა ცალსახად აღმავალი გზა, არამედ ეს გზა ღრმა შემეცნებით დეპრესიასთან და მელანქოლიასთანაა წილნაყარი (შდრ., ბარათაშვილისეული „სევდა“, „კაემანი“, „ნაღველი“, „სული ბოროტი“). ამ შემთხვევაში *მელანქოლია*, *სევდა* (ასევე *საზრუნავი*, *სადარდებელი*), რაიმე პათოლოგიის გამოვლინება კი არაა, როგორც ეს გონებაზეზღუდულ „განმანათლებელ“ ექიმებს ეგონათ (Hillenbrand 2008: 42, 48), არამედ შემეცნებელი სუბიექტის, ამ შემთხვევაში, რომანტიკოსი ლირიკული გმირის, სრულიად ბუნებრივი და ნორმალური მდგომარეობაა, ვინაიდან შემეცნების გზაზე იგი აუცილებლად და ბუნებრივად უნდა აღმოჩნდეს შემეცნების იმ ფაზაზე, რასაც სასონარკვეთა და სკეპსისი ახასიათებს. ეს ტიპური ფაუსტური მდგომარეობაა, როდესაც შემეცნების პროცესში აუცილებლად დგება *ამაობისა* და *სასონარკვეთის* მომენტი (შდრ., ფაუსტის პირველი მონოლოგი).

მეცნიერის, სწავლულის (იგივე შემეცნებელი ადამიანის) გარდაუვალ მელანქოლიურ მდგომარეობაზე მიუთითებენ ადრეული რენესანსის იტალიელი ფილოსოფოსი მარსილიო ფიჩინო, მე-17 საუკუნის ინგლისელი ავტორი რობერტ ბარტონი და მე-18 საუკუნის გერმანელი თეოლოგი და ფიზიონომისტი იოჰან კასპარ ლაფატერი: მათ მიხედვით, მელანქოლიის მომენტი დგება მაშინ, როდესაც შემეცნებელი სუბიექტი შემეცნების მომენტში უცებ აცნობიერებს, რომ მისი სულიერი ძიებისა და რკვევის გზა, ჭეშმარიტების წვდომის სურვილი აბსოლუტურად ამაო და უსარგებლოა, როდესაც ცნობიერდება შემეცნების ობიექტის სრულყოფილი

შეცნობის შეუძლებლობა. *მელანქოლია* ასევე გამოწვეულია შეზღუდულ დაზიანებაში ეგზისტენციითაც, საკუთარი ეგზისტენციის უმწიფობის განცდითაც. *მელანქოლია*, თავის მხრივ კი, იწვევს საკუთარი თავის არარაობად განცდას, ასევე სპლინს, ანუ მონყენილობას (შდრ. გალაკტიონისეული ფრაზა – „რა ვუყო სპლინს, ჩემს უხმო ჯალათს“). თუმცა *მელანქოლია*, ასევე არის ერთგვარი ბიძგიც, სტიმულიც, რომ გაღვივდეს ამ შეზღუდულობისა და ამაოების დაძლევის მოთხოვნილება, რომ შემეცნების შემდგომ ეტაპზე უკვე ეს დაძლევა გახდეს ზრუნვის საგანი (Schmidt 2011: 95-97).

ამ მელანქოლიურ მდგომარეობას თავის „გონის ფილოსოფიაში“ ჰეგელი „ტრაგიკულ ცნობიერებას“ (**“das tragische Bewusstsein”**) უწოდებს (კაციტაძე 1998: 55), როდესაც შემეცნების გარკვეულ ეტაპზე ცნობიერდება, რომ სწრაფვის საგანი საბოლოოდ მიუწვდომელია, ხოლო დუალიზმი ყოფიერების ფუნდამენტური მახასიათებელი, რომ *მაღალი* და *მდაბალი* ყოფიერების სინთეზი და მორიგება შეუძლებელია, რომ *მდაბალი* ყოფიერების საგნები ვერასოდეს ვერ მისწვდებიან/შესწვდებიან *მაღალ* ყოფიერებას, რომ „სამყაროს გარომანტიულება“ წმინდა წყლის უტოპია, რომანტიკოს ავტორთა წარმოსახვის ნაყოფი და მხატვრული ფიქციაა:

ვისი ხმა არის ეს საკვირველი,
რად აქვს გულს ესე ჩუმი **ნაღველი**?
[...] მაგრამ მე ხვედრსა ჩემს ვერ ვჰპოვებ
და მით **კაეშანს** ვერღა ვიშორებ.
(„ხმა იდუმალი“; ბარათაშვილი 1945: 8)

ნარვედ წყალის პირს **სევედიანი** ფიქრთ გასართველად.
[...] არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო **ფუჭი** და მხოლოდღა **ამაოება**?
(„ფიქრნი მტკვრის პირას“; ბარათაშვილი 1945: 12)

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთვრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სარწმუნოება?
[...] განვედი ჩემგან, ჰოი მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ ან სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაი მას, ვისაც მოჰხვდეს ხელი შენი მსახვრალი!
(„სულო ბოროტო“; ბარათაშვილი 1945: 40)

მაგრამ ამ მელანქოლიურ მდგომარეობას ბარათაშვილის რომანტიკოსი ლირიკული გმირი გადაძლევს თავისი ფუნდამენტური ქცევის წესით, რასაც გერმანულ რომანტიზმში *სწრაფვა/მონატრება* ჰქვია (**Sehnsucht**), ხოლო ბარათაშ-

ვილის „ტერმინოლოგიით“ – „ლტოლვა“ (იხ. „მერანი“). ამ ცნებას მ. ჰაიდეგერი ასე განმარტავს: „შორეულისადმი მოგონებებით მიახლოებაა ის, რასაც ჩვენს ენა მონატრებას/სწრაფვას უწოდებს. [...] სწრაფვა/მონატრება არის შორეულის სიახლოვით გამონვეული ტკივილი“ (**“Die andenkende Nähe zum Fernen ist das, was unsere Sprache die Sehnsucht nennt. [...] Die Sehnsucht ist der Schmerz der Nähe der Ferne”**) (Heidegger 1967: 100). ამგვარად, „ზეენზუხტ“-ი არის იმის მონატრება, მოგონება, ხსოვნა და იმისკენ სწრაფვა, ლტოლვა, რის ონტოლოგიურ და ეგზისტენციალურ ნაკლულოვნებასაც განიცდის სუბიექტი. შესაბამისად, ნაკლულოვნების, დიდი დანაკარგის ტრაგიკული განცდა სუბიექტში იწვევს ამ დეფიციტის აღმოფხვრის გაუნელებელ მოთხოვნილებას და მისი ქცევის წესი განსაზღვრულია „დაკარგული“, მიუწვდომელი ობიექტისადმი ლტოლვით, სწრაფვით. რომანტიკოსი პერსონაჟის ქცევის წესიც სწორედ ამ სწრაფვითაა დეტერმინებული და მასში ამ მონატრებითა და მოგონებით გამონვეული სწრაფვა უფრო ძლიერია, ვიდრე მელანქოლიით გამონვეული სასონარკვეთა. ამასთან, მისი მონატრება და სწრაფვა გამონვეულია მაღალი ყოფიერებისაგან მონყვეტილობის გაცნობიერებითა და უმაღლეს ღვთაებრივ საგანთა ჭვრეტის მოლოდინის ნეტარებით, რაც რომანტიკულ ლირიკაში ხშირად სიმბოლიზებულია სატრფოს პოეტურ ხატში და მისადმი ლირიკული გმირის ტრფობითაღვსილ სწრაფვაში (შდრ., სწრაფვა, როგორც ტრფიალება: კ. კაციტაძის შენიშვნით ძველქართულში ეს მატრანსცენდირებული სწრაფვა ეთიკური თვალსაზრისით სიყვარულს/ტრფობას უკავშირდება და აღინიშნება ტერმინით „ტრფიალება“ – კაციტაძე 1990: 66).

იმავე „მერანში“ სწორედ რომანტიკოსი ლირიკული გმირის ეს ფუნდამენტური ქცევის წესია გამოვლენილი, სადაც სწრაფვა, „ზეენზუხტ“-ი ფუძნდება მატრანსცენდირებელ ექსტატიურ ქმედებად, შეპყრობილობად, ღვთაებრივ დიონისურ შემოღობად (შდრ., „მოუთმენელსა“), რომლის საფუძველზეც დაძლეულია მელანქოლიაც („შავი ყორანი“, „კვენსა გულისა“) და ტრაგიკული ცნობიერებაც („ფიქრი ჩემი შავად მღელვარი“): „მერანის“ ლირიკული გმირი სრულადაა შეპყრობილი სწრაფვის მოთხოვნილებით, ანუ მაღალი ყოფიერების დამკვიდრების მოთხოვნილებით, რაც ლექსში გამოხატულია ისტორიიდან, ანუ მდაბალი ემპირიული ყოფიდან გასვლით და მისი მოცილებით (შდრ., ოჯახის, სამშობლოს მიტოვების, მეგობრებისაგან მოშორების მოტივი). ეს უსასრულო დიონისური სრბოლა საკუთარ წარმოსახვებში, ეს მოთხოვნილება, „მოუთმენლობა“, როგორც კულტურით უკმაყოფილება თუ „დაზან“-ის შეზღუდულობით გამონვეული დაუკმაყოფილებლობა, ლექსის მსვლელობის დროს უფრო და უფრო მძაფრდება და სიკვდილის გავლით, თუ სიკვდილში („დაე მოვკვდე მე უპატრონოდ...“, „გასწი, გაფრინდი ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი“) ლირიკული გმირი უკვე ტრანსცენდირებს, ანუ დაემკვიდრება უსასრულო („უგზო-უკვლო“) ღვთაებრივ ყოვლადობაში. ამაზე მიუთითებს თავად ლექსის სტრუქტურაც, რომელსაც ბოლოში ლოგიკური დასასრული, დაღმავალი ინტონაცია კი არ აქვს, არამედ ლექსი თითქოს წყდება, მოულოდნელად, მონყვევით მთავრდება და ამგვარად დაუსრულებლობის, ფრაგმენტულობის შთაბეჭდილებას ქმნის, ანუ, თავად ლექსის

სტრუქტურის ღიაობა *უსასრულობაში* გადასვლის ესთეტიკურ ეფექტს ქმნის.

აშკარაა, რომ „მერანის“ ლირიკული გმირი ავთანდილური „დიონისური სიბრძნის“ ტრადიციაზე დგას, მისი ქცევა სწორედ ავთანდილურ ეთიკასა და ავთანდილურ შემეცნების მეთოდოლოგიას ეფუძნება და ახალ დროში უკვე ისიც ავითარებს დისტანციის პათოსისა და გადალახვის ეთიკურ პრინციპს – ე. ი. ავითარებს გაუფასურებული ღირებულებების მოცემულობიდან „გასვლას“: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“. სწორედ ამ „ქმნაში“, ანუ დაძლევისა და გადალახვაში იბადება ზეკაცობა და მზაობა იმისა, რომ საკუთარი სიცოცხლე „კამათლის თამაშად“ „გაიჩნდეს“. ანუ, აქ ვლინდება მზაობა საკუთარი სიცოცხლე აქციო ეთიკური „არტისტიზმის“ ობიექტად და აქვე ვლინდება ბედისწერის სიყვარულიც (**Amor fati**), აქ – „ბედის სამზღვრის გარდატარების“ სიყვარული, ანუ ონტოლოგიური, ეგზისტენციალური, რელიგიური, აქსიოლოგიური, ისტორიული, სოციალური, ინსტიტუციონალური შეზღუდულობის გადალახვის აპრიორული მოთხოვნილება.

საბოლოო ჯამში კი „მერანში“ სრულადაა გაცხადებული თავად რომანტიზმის უმთავრესი პრინციპი, რაზეც „მერანის“ შექმნამდე დაახლ. ნახევარი საუკუნით ადრე რომანტიკოსმა ნოვალისმა მიუთითა – *რომანტიზმი*, როგორც საკუთარი ინდივიდუალური „მე“-ს უნივერსალიზების პროცესი.

2.3. რელიგიურობა ბარათაშვილთან

გერმანული რომანტიზმი აფუძნებს მოდერნული გაგების რელიგიურობას, რაც ფრ. შლაიერმახერის მიხედვით გულისხმობს *ტრანსცენდენტურობის/უნივერსუმის უშუალო ჭვრეტისა (Anschauung)* და *განცდის (Gefühl)* უნარს და ამ უნარის საფუძველზე თავად ამ ტრანსცენდენტურობის უშუალო ინდივიდუალურ წვდომას ყოველგვარი კონფესიონალურ-დოგმატური ინტერპრეტაციების გარეშე. ეს მიდგომა თავისთავად გულისხმობს, რომ აქ გზა ეხსნება ე. წ. *ხელოვნების რელიგიას (Kunstreligion)*, რაც ნიშნავს, *ხელოვნების*, მათ შორის ლიტერატურის, რელიგიური ფუნქციებით აღჭურვას, როდესაც თანამედროვე დროში ხელოვნების ნიმუში თავად ახორციელებს ღვთაებრივ ტრანსცენდენტურობასთან დაკარგული კავშირის აღდგენას. რომანტიკოსები (ნოვალისი, ფრ. შლეგელი, ვ. ჰ. ვაკენროდერი, კ. დ. ფრიდრიხი და სხვ.) საკუთარ ლიტერატურულ თუ ფერწერულ ნიმუშებს იმთავითვე მოიაზრებდნენ, როგორც *ხელოვნების რელიგიის* ნიმუშებს, ვინაიდან ისინი საკუთარ პოეზიასა და მხატვრობას აკისრებდნენ ტრანსცენდენტურობის უშუალო ჭვრეტის, წვდომის, განციდსა და განცდევინების ამოცანებს (ბრეგაძე 2012a: 124-143; ბრეგაძე 2012b: 207-240).

ამგვარად, რომანტიზმში, რელიგიური ეთოსი, რელიგიურობა იმთავითვე ესთეტიზებულია. ეს ნიშნავს იმას, რომ თავად შემოქმედებითი პროცესი ფუძნდება როგორც *რელიგიური აქტი*, ტრანსცენდირების პროცესი, ხოლო შემოქმედებითი პროდუქტი – როგორც *ხელოვნების რელიგიის* ნიმუში, მხატვრული ტექსტი – როგორც თავისებური საკრალური ტექსტი.

ბარათაშვილთან რელიგიური ეთიკისა და ეთოსის ფარგლებში გამოვლენილია რომანტიზმისთვის დამახასიათებელი *სწრაფვის* (Sehnsucht) და დიონისური გადალახვის („გარდამატარე“) მოთხოვნილება. და ეს ყველაფერი შემთხვევითი არაა, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ, ზოგადად, რომანტიზმი საკუთარ თავს მოიაზრებს რელიგიური აღორძინებისა და განახლების ტალღად, კერძოდ, თავის თავს მოიაზრებს ახალ მოდერნულ რელიგიურ ტალღად, რაც გულისხმობს პიროვნულ-ინდივიდუალისტური რელიგიური სულისკვეთებისა და მიდგომების დაფუძნებას. შესაბამისად, შემთხვევითი არაა, რომ, ზოგადად, რომანტიკოსები და, მათ შორის ბარათაშვილი, იმთავითვე რელიგიური სულისკვეთების მატარებელნი არიან, მსოფლმხედველობრივად კი ქრისტიანები არიან, ოღონდ ქრისტიანები იმდენად, რამდენადაც ქრისტეს ფიგურა მათ აღქმაში, ერთი მხრივ, გადააზრებულია აბსოლუტური „მე“-ს, სრულყოფილი სუბიექტურობის პრინციპად და ამ პრინციპის მხატვრულ-პოეტურ სიმბოლოდ, ხოლო, მეორე მხრივ, დიონისური გადალახველობისა და საკუთარი შეზღუდული მინიერი, ამქვეყნიური „მე“-ს გაფართოებისა და სრულყოფის პრინციპად (შდრ., ნოვალისის „ღამის ჰიმნები“).

ბარათაშვილის ლირიკული გმირის რელიგიურობა წმინდად პიროვნულია, ინდივიდუალისტურია და გადის რელიგიურობის კონვენციონალურ-ტრადიციული გაგების ფარგლებიდან. ეს ნიშნავს იმას, რომ ბარათაშვილთან რელიგიური განცდა და გრძნობა რომანტიკული ესთეტიზებისა და რეფლექსიის საგანია. სიმპტომატურია, რომ ბარათაშვილი თავის ლირიკულ ნიმუშებში არასოდეს ახსენებს ქრისტეს, ღვთისმშობელს, წმ. გიორგის, ან წმ. ნინოს და სხვა „ნაციონალურ“ თუ „ინტერნაციონალურ“ წმინდანებს, უკიდურესად მინიმალურად იყენებს ტრადიციულ ქრისტიანულ ლექსიკასა და ტერმინოლოგიას, მხოლოდ ერთადერთხელ მოიხსენიებს უფალს ტრადიციული სახელით „მამა“: შდრ., „ღმერთო, მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი...“ (იხ. „ჩემი ლოცვა“). ამიტომ, ბარათაშვილის ლირიკული გმირი ინდივიდუალურად ცდილობს ტრანსცენდირებას ყოველგვარი შუამავლების გარეშე, ზარატუსტრას ტიპის ინდივიდუალისტური ეთოსია მის რელიგიურობაში. ეს ყველაფერი კი ქმნის ბარათაშვილის, მისი ლირიკული გმირის რელიგიურობის მოდერნულ ბუნებას. ამით განსხვავდება იგი, თუნდაც გურამიშვილის ლირიკული გმირისაგან, რომელიც მაინც ტრადიციული რელიგიურობის ფარგლებში ცდილობს სულის ხსნას, ბარათაშვილისა კი პირიქით, თავად იმკვიდრებს „სასუფეველს“ დიონისური გახელებით (შდრ. „მერანი“).

როგორც ზემოთ შევნიშნე, რომანტიზმში და, მათ შორის ბარათაშვილთან, იმთავითვე მოხსნილია ე. წ. საკაცობრიო პირველცოდვის პრობლემა, რაც ასე აწვალდება ბაროკოს ლირიკოსს (ბაროკოს ლირიკულ გმირს) და, მათ შორის, ქართული ბაროკოს უმთავრეს ფიგურას დავით გურამიშვილს: გურამიშვილის ლირიკული გმირი კვლავ ტრადიციული სინანულით, ცოდვათა აღსარებით და „მარხვით“ ცდილობს ხსნას, ანუ ერთდროულად საკაცობრიო და პირადი პირველცოდვისაგან („რამეთუ ცოდვათა შინა მიუდგა და მშვა დედამან ჩემმან“) გამოსხნას, ღვთისგან პასიურად მოელის მიტევებას, კვლავ ცის შემყურეა და კვლავ ადამიანის შემცოდე ბუნებით ხსნის ღვთის რისხვასა და წყალობას.

ბარათაშვილთან კი ხსნა („დახსნა“) კონცეპტუალურად და მსოფლმხედველობრივად რუსთველურ „დამხსნას“ უკავშირდება, რაც სულის მატერიალურ განზომილებებსა („გუამსა“) და ემპირიულ სტიქიებზე მიბმულობისაგან გათავისუფლებას გულისხმობს – „დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“. ბარათაშვილთან პრინციპულად სწორედ ხსნის ეს კონცეფცია განვითარებული, რისი სიმბოლოც „მერანია“, ხოლო თავად ლექსში ლირიკული გმირის სწორედ „დახსნის“ გაუნელებელი სწრაფვაა გაცხადებული – „გარდამატარე ბედის სამზღვარი“, ანუ აქ ცხადდება ემპირიულ მოცემულობათა გადალახვისა და მატერიალურ ელემენტებზე სულის ამაღლების წყურვილი, იგივე სწრაფვა, „ზეენზუხტ“-ი (**Sehnsucht**). აქ საერთოდ მოხსნილია ტრადიციული ცოდვა-მადლისეული განკითხვა, მერანი, როგორც ლირიკული გმირის ინდივიდუალიზმის, მისი სუბიექტურობის პრინციპი, გასულია „სიკეთისა“ და „ბოროტების“ ტრადიციული დიქტომიიდან. შესაბამისად, ლირიკული გმირი პასიურად ზემოდასკნის კი არ ელოდება კურთხევასა და „ცოდვების მიტევებას“, არამედ თავად ისწრაფვის „სასუფევლის“ დამკვიდრებისაკენ და მისი მოტივაცია აქ სულაც არაა დეტერმინებული იმით, რომ თავი გამოიხსნას და გათავისუფლდეს პირველცოდვისაგან: ამ სწრაფვაში გაცნობიერებულია „სასუფევლის“ პირადი ესთეტიკური და შემეცნებითი ძალისხმევითა და ნებელობით დამკვიდრების აუცილებლობა. ამასთან, ამ სწრაფვაში თავს იყრის, ერთმანეთს ერწყმის და ურთიერთს განაპირობებს ლირიკულ გმირში (შემეცნებლ სუბიექტში) მოცემული აპოლონური და დიონისური სანყსები: კერძოდ, აპოლონურობა აქ ვლინდება, როგორც სუბიექტურობის, პიროვნულობის პრინციპი, როგორც ცნობიერი სწრაფვის მდგომარეობა, როგორც შემეცნებითი ნებელობა, როგორც თვითფლობის ძალმოსილება (მდრ., ლირიკული გმირის თვითრეფლექსიური რიტორიკა), ხოლო დიონისურობა ვლინდება, როგორც ეგზისტენციალური და ონტოლოგიური შეზღუდულობის გადალახვა. მერანი სწორედ ლირიკული გმირის ამ ორი სანყისის სინთეზის სიმბოლოა: იგი ერთდროულადაა ინდივიდუალიზაციის, პიროვნული ნებელობის და ექსტაზის სიმბოლო.

ამგვარად, ხსნა ანუ „დახსნა“, ანუ გათავისუფლება მატერიალური ელემენტისაგან, „დაზან“-ის შეზღუდულობისგან და მაღალი, ჭეშმარიტი ყოფიერებისაკენ ერთდროულად ექსტატიური და ცნობიერი სწრაფვა სწორედ მერანის სრბოლას უკავშირდება, მერანია ამ სწრაფვის სიმბოლოა. აქ სწრაფვა (**Sehnsucht**) ვლინდება, როგორც რომანტიზმის და რომანტიკოსი პროტაგონისტის ფუნდამენტური რელიგიური, ეგზისტენციალური და შემეცნებითი დიონისურ-აპოლონური ქცევის წესი.

თუმცა, ბარათაშვილის ლირიკული გმირის რელიგიურობისთვის ასევე დამახასიათებელია რელიგიური სკეპსისიც და აქვე იკვეთება ლირიკული გმირის ტრაგიკული ცნობიერებით შეპყრობილობა. ამ სკეპსისსა და სასწრაფოთაში იკვეთება საკაცობრიო ისტორიის თავისებური სპირიტუალური გადააზრება რომანტიზმში, კერძოდ, ეს სპირიტუალური ისტორია რომანტიზმის „ისტორიის ფილოსოფიაში“ სამ ფაზად იყოფა: პირველი ფაზაა კაცობრიობის პარადიზული

ყოფა (წარსული), მეორე ფაზაზე კაცობრიობა მონყვეტილია ამ პარადიზულ ყოფას და ისტორიაში, ანუ მდაბალ ყოფიერებაში აგრძელებს ეგზისტენციას (ანმყო), მესამე ფაზაზე კი კაცობრიობა იბრუნებს დაკარგულ სამოთხეს და უბრუნდება მონყვეტილ პირველსაწყისებს (Kremer 2003: 286).

რომანტიზმის ლიტერატურულ ტექსტებში რომანტიკოსი ლირიკული გმირის ეგზისტენციის თხრობა სწორედ ამ სამყაროული დანაკარგის გაცნობიერების ვითარებიდან იწყება და შემდგომ ტექსტში მოცემულია მისი გაუნელებელი სწრაფვა ამ დაკარგული პარადიზული ყოფიერებისაკენ, რაც მთავრდება ამ მაღალი ყოფიერების ალტყინებული ნათელხილვითი ვიზიონებით ან ეპოპტური ჭვრეტით (შდრ., ნოვალისის რომან „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის“ სტრუქტურა და სიუჟეტური განვითარება სწორედ ამ სამფაზოვნების პრინციპზეა აგებული, ან შდრ. მისივე ლირიკული ციკლი „ლამის ჰიმნები“) (ბრეგაძე 2012c: 91-92).

ბარათაშვილის რომანტიკული ლირიკის ნიმუშებშიც ხშირად იკვეთება და უკუფენილია კაცობრიობის სულიერი ისტორიის მსგავსი გაგება, ბარათაშვილის ლირიკულ გმირშიც ერთმანეთს მუდამ აწყდება ორი საპირისპირო მსოფლგანცდა: ერთი მხრივ, ეგზისტენციის *მეორე ფაზაზე*, ანუ დესაკრალიზებულ ანმყოში („სანუთრო“, „სოფელი“, „დრომან“) გამოუვალი და განწირული ყოფა და *მესამე ფაზაზე*, ანუ მაღალ ყოფიერებამდე ვერამაღლების ტრაგიკული განცდა (შდრ. ლექსი „ვპოვე ტაძარი“), მეორე მხრივ, გმირის ეპოპტური ჭვრეტა, წარმოსახვითი კაიროსული ვიზიონები და განცდები, რაც უკავშირდება ლირიკული გმირის რწმენას დაკარგული საკრალური ყოფიერების დაბრუნების შესახებ (შდრ. ლექსი „აღმოსხდა მნათი...“). ამიტომაც, ლირიკული გმირი, ერთი მხრივ, აცნობიერებს ამ დიდ საკაცობრიო დანაკარგს, მეორე მხრივ კი, მუდამ ისწრაფვის, მიილტვის ამ დანაკარგის კომპენსაციისათვის:

[...] მაგრამ **სანუთრო** განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
განქრა **ტაძარი** და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს
მის ნაცვლად სევდა და წყვიდი და დაისადგურებს!
მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ **დრომან** დაჰკრა თვისი მას ავი თვალი?
არა! მოსძაგდა მას **სოფელი** ცრუ და მუხთალი!
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!
(„ვპოვე ტაძარი...“; ბარათაშვილი 1945: 26)

vs.

აღმოსხდა *მნათი* აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდ-სამქუხარო, საავდარო, და მეც გლახ, გული
მსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან დაღამებული!

[...] ვფუცავ ძლიერსა სხივსა შენსა ჰოი მნათო ჩემო!
ოდეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს გარემო,
მყის დამილამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად ყოვლი დიდება
(„აღმოხდა მნათი აღმოსავალს...“; ბარათაშვილი 1945: 23)

როგორც ეს ზემოთ ითქვა, რომანტიკოს ლირიკულ გმირში მძაფრი ფილოსოფიური სკეფსისისა და ღრმა ფილოსოფიური რწმენის, ძლიერი სევდისა/მელანქოლიისა და ასევე ძლიერი სულიერ-მისტიური აღტყინება-ლხენის ურთიერთმონაცვლეობა სრულიად ბუნებრივი მდგომარეობაა. სულიერ განცდათა ამ რადიკალურ მონაცვლეობაში კი კიდევ უფრო მძაფრდება ლირიკული გმირის კათარზისი და თეოზისი და პერსპექტივა იხსნება *ხსნისთვის*, რაც ბარათაშვილის ლირიკაში კულმინირებულია „მერანის“ ლირიკული გმირის დიონისურ ექსტაზში: მისი ტრანსცენდირება, უპირველესყოვლისა, უკავშირდება დესაკრალიზებული ანმყოს დაძლევასა და გადალახვას („მოვშორდე“, „მოვაკლდე“) – შდრ. *სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, მინიერი სატრფო* სწორედ ამ შეზღუდული ანმყოს, მდაბალი ყოფიერების ტოპოსებია – და ამ დიონისური გახელების ძალით აღესრულება „სადადასაიში“, ანუ ღვთაებრივ ყოვლადობაში დანთქმა და იქ უსასრულო ღვთაებრივი ნეტარების განცდა. საბოლოო ჯამში კი, სწორედ ასე ხორციელდება რომანტიზმში ინდივიდუალური რელიგია, ანუ დაკარგულ პირველსაწყისებთან გაფართოებული ცნობიერებითა და განვითარებული სუბიექტურობით კავშირის აღდგენა. ამ სწრაფვაში კი ბარათაშვილის ლირიკული გმირი, – იმავე „ექსპრესიონისტი“ ლირიკული გმირისაგან განსხვავებით, რომელიც კაცობრიობის სახელით გამოდის და მისი სახელით ცდილობს სამოთხისეული ყოფიერების კვლავდამკვიდრებას, – უკიდურეს ინდივიდუალიზმს იჩენს და მხოლოდ წარმოსახულ რჩეულ თანამოაზრეთა („მომძესა ჩემსა“) სახელით გამოდის.

დასკვნის მაგიერ

თუკი საკითხს ნიციშეს პერსპექტივიზმის ჭრილში განვიხილავთ, დღევანდელი საქართველო თავისი ტრაგიკულობით, ექსტრემალურობით, ექსკლუზიურობით, აუტანლობითა და უკანასკნელობით, ალბათ, ყველაზე კარგ პირობებს ქმნის პიროვნული წრთვნისა და პიროვნული განვითარებისათვის, ვინაიდან პიროვნების განვითარება, ნიციშეს მიხედვით, ეს არის მუდმივ ეგზისტენციალურ წინააღმდეგობათა რეჟიმში და მის ფარგლებში ყოფნა, ამ მოცემულობასთან პეროიკული პესიმიზმით შეჭიდება და საბოლოოდ მისი დაძლევა. შესაბამისად, ქართველისთვის საქართველო, როგორც ბედისწერა, როგორც ექსტრემალურობა და ეგზისტენციალურ წინააღმდეგობათა ჯამი და მათი თავისებური კულმინაცია, a priori საკუთარი პიროვნების გამოწვევა და მისი განვითარების (ან სულაც დაცემის) წინაპირობაა.

თავის დროზე ბარათაშვილიც სწორედ ამ ობიექტურ გარემოში, ამ (ყოველი ქართველისათვის) გარდაუვალ მოცემულობაში (ანუ „ბედში“) გამოიწერა პიროვნულად და პოეტურად: სუბიექტ-ობიექტის ამ მარადიული დაპირისპირებისას სწორედ საკუთარ წარმოსახვაზე დამყარებულ ფიქტივანური ტიპის შემეცნებითი ნებელობისა და საკუთარი ლირიკის ესთეტიკური ძალმოსილების საფუძველზე მან შეძლო საკუთარი სუბიექტურობა აქმალივინა ქართული ყოფის უკანასკნელ ბუნებაზე – „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“. ეს ტრიუმფი კი, ცხადია, ასევე გარდაუვალ დიონისურ ტრაგიზმთანაა წილნაყარი, ვინაიდან „ჰეროს“ არასოდეს აღესრულება მომყუდროებულ, კომფორტულ ბიურგერულ-ფილისტერულ გარემოში, არამედ სრულ მარტოობაში.

დღეს, პოსტმოდერნულ თუ პოსტპოსტმოდერნულ ვითარებაში, როდესაც დიდი იდეოლოგიზებული ნარატივები საბოლოოდ დეკონსტრუირდა, როდესაც კრიზისშია ტრადიციული ისტორიული რელიგიები, როდესაც კიდევ უფრო პრობლემატური გახდა რელიგიური ეთოსისა და ეგზისტენციალური ამოცანების მოხელთება და გადაჭრა, ამიტომაც, ალბათ, დღეს კიდევ უფრო აქტუალურია რელიგიისა და ლიტერატურის ის გაგება, რაც, ზოგადად, რომანტიზმმა და, კერძოდ, გერმანულმა რომანტიზმმა (ფრ. შლეგელი, ფრ. შლაიერმახერი, ნოვალისი და სხვ.) და თუნდაც ქართულმა რომანტიზმმა (მხოლოდ ბარათაშვილს ვგულისხმობ) (!!!) შეიმუშავა, ვინაიდან რომანტიზმი დღეს თანამედროვე ადამიანს ანიჭებს სულიერ უნარს, თავისებურ ფიქტივანურ ნებელობას, რათა ყოველმა ცალკე აღებულმა სუბიექტმა საკუთარ თავში დააფუძნოს, ერთი მხრივ, საკუთარი პიროვნების უნივერსალურობისა და უნიკალურობის განცდა, მეორე მხრივ, გაიმძაფროს პიროვნული რელიგიური ნებელობა და ასე დაამყაროს უშუალო რელიგია, ანუ კავშირი ტრანსცენდენტურობასთან, და მესამეც, არ მოექცეს ახალი თუ რეაქტუალირებული „მადლმოსილი“ დიდი ნარატივებისა თუ იდეოლოგიური დაკვეთების გავლენის ქვეშ.

დამონშებანი:

Baratashvili, Nik'oloz. *Tkhzulebani*. Tbilisi: "sakhelmts'ifo gamomtsemloba", 1945 (ბარათაშვილი, ნიკოლოზ. *თხზულებანი*. თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1945).

Borries, Erika und Ernst von. *Deutsche Literaturgeschichte, Bd. 5, Romantik*, München: Deutscher Taschenbuch Verlag, 2003.

Bregadze, K'onst'ant'ine (a). "Zghvis Sakhismetq'veleba K'asp'ar David Fridrikhis Ferts'erashi". Bregadze, K'. *Germanuli Romant'izmi*. Tbilisi: "meridiani", 2012 (ბრეგაძე, კონსტანტინე. „ზღვის სახისმეტყველება კასპარ დავიდ ფრიდრიხის ფერწერაში“. ბრეგაძე, კ. *გერმანული რომანტიზმი*. თბილისი: „მერიდიანი“, 2012).

Bregadze, K'onst'ant'ine (b). "Khelovnebis Arsi Germanul Romant'izmshi da Khelovnebis Religiis Tsneba". Bregadze, K. *Germanuli Romant'izmi*. Tbilisi: "meridiani", 2012 (ბრეგაძე, კონსტანტინე. „ხელოვნების არსი გერმანულ რომანტიზმში და ხელოვნების რელიგიის ცნება“. ბრეგაძე, კ. *გერმანული რომანტიზმი*. თბილისი: „მერიდიანი“, 2012).

Bregadze, K'onst'an'tine (c). "Novalisis "Ghamis Himnebis" Sakhismetq'veleba". Bregadze, K. *Germanuli Romant'izmi*. Tbilisi: "meridiani", 2012 (ბრეგაძე, კონსტანტინე. „ნოვალისის „ღამის ჰიმნის“

- ნების“ სახისმეტყველება“. ბრეგაძე, კ. *გერმანული რომანტიზმი*. თბილისი: „მერიდიანი“, 2012).
- Frank, Manfred. *Einführung in die frühromantische Ästhetik. Vorlesungen*, Frankfurt am Main: Suhrkamp, 1989.
- Goethe, Johann Wolfgang. *Bei Betrachtung von Schillers Schädel*. Int.-Adresse: <http://gutenberg.spiegel.de/buch/johann-wolfgang-goethe-gedichte-3670/121>
- Heidegger, Martin. *Wer ist Nietzsches Zarathustra?* in: *M. Heidegger, Vorträge und Aufsätze, Teil I*, Pfulingen: Neske, 1967.
- Hillenbrand, Reiner. “Melancholiker in Tiecks *Phantastus*”; in: *Deutsche Romantik. Ästhetik und Rezeption*, hrsg. von R. Hillenbrand. München: iudicium, 2008.
- Hoffmeister, Gerhart. *Deutsche und europäische Romantik*, Stuttgart: Metzler, 1990.
- Hoffmeister, Gerhart. *Deutsche und europäische Romantik*; in: *Romantik-Handbuch*, hrsg. von H. Schanze, Stuttgart: Kröner, 2003.
- Katsit’adze, Kakha. “Solomon Dodashvili da Nik’oloz Baratashvili”. *Lit’erat’ura da Khelovneba*, № 1, 1990 (კაციტაძე, კახა. „სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი“. *ლიტერატურა და ხელოვნება*, № 1, 1990).
- Katsit’adze, Kakha. “Romant’izmის Pilosopiuri Sapudzvebi”. *Lit’erat’ura da Khelovneba*, № 1, 1998 (კაციტაძე, კახა. „რომანტიზმის ფილოსოფიური საფუძვლები“. *ლიტერატურა და ხელოვნება*, № 1, 1998).
- Kaiser, Gerhard. *Literarische Romantik*. Göttingen: Vandenhoeck-Ruprecht, 2010.
- Kremer, Detlef. *Romantik*. Stuttgart: Metzler, 2003.
- Metzler Lexikon literarischer Symbole*, hrsg. von G. Butzer. Stuttgart: Metzler, 2008.
- Novalis. *Werke in einem Band*, hrsg., von H-J. Mähl und R. Samuel, München: Hanser, 1981.
- Novalis. *Werke in zwei Bänden, Bd. II*, hrsg., von R. Toman, Köln: Könenmann, 1996.
- Safranski, Rüdiger. *Romantik. Eine Deutsche Affäre*, München: Hanser, 2007.
- Schelling, Fr. W. J. *Philosophie der Kunst*. Darmstadt: 1976.
- Schlegel, Friedrich. “*Athenäums*”-*Fragmente und andere Schriften*, Stuttgart: Reclam, 2005.
- Schmidt, Jochen. *Goethes Faust. Erster und zweiter Teil, Grundlagen – Werk – Wirkung*, München: Beck, 2011.
- Theorie der Romantik*, hrsg. von H. Uerlings, Stuttgart: Reclam, 2000.
- Tieck, Ludwig. *Franz Sternbalds Wanderungen*; in: *Ludwig Tieck, Werke in vier Bänden, Bd. I*, München: 1963.
- Vietta, Silvio. *Die Frühromantik*; in: *Romantik. Epoche – Autoren – Werke*, hrsg. von W. Bunzel, Darmstadt: WBG, 2010.
- Wackenroder, Wilhelm Heinrich. *Phantasien über die Kunst*, Stuttgart: Reclam, 1994.
- Ziolkowski, Theodore. *Vorboten der Moderne. Eine Kulturgeschichte der Frühromantik*, Stuttgart: Klett-Cotta, 2006.

Konstantine Bregadze
(Georgia)

Nikoloz Baratashvili and German Romanticism

Summary

Key Words: German Romanticism, Georgian Romanticism, Nikoloz Baratashvili.

The article is an attempt, based on comparative approach, to identify the typological and genetic proximity of the poetry and worldview between the Georgian Romantic Poet Nikoloz Baratashvili (1817-1845) along with the perspectives and poetical paradigms of German romanticism.

The following similarities in the point of view as well as poetical cognition has been determined after a thorough analysis:

1. Division of the existence as visible and invisible worlds, thus as empirical (emotional) and transcendental (receptive, supernatural) worlds;

2. The a prior synthesis of these two worlds, or their radical confrontation and the apparent impossibility of synthesis, which is apparent in both German Romanticism and Baratashvili's lyrics (this tragic situation is coined by Hegel as "tragic consciousness");

3. Encouragement of individual subject/subjectivity and outlining its universal and unique nature;

4. Understanding persistence (Sehnsucht) as the principle of existence, which is a permanent condition "the unconquerable feeling of persistence" ("das Gefühl einer unbefridigten Sehnsucht") (Friedrich Schleiermacher);

5. Understanding human as a consciously persistent being;

6. Understanding human as a transcendental being, striving to achieve the meta-emotional, invisible reality;

7. The principle of religion: religion as a means of restoring the lost transcendence and a prior seen as a process re-connection.

Within the frameworks of these ontological and anthropological positions the following features can be seen in the Romantic Heroes created by Baratashvili, which can be generalized and adjusted to German Romantic Heroes as well:

1. The full readiness for reflection, self-perception, self-understanding as well as the irrational forces of spiritual cognition: the will of imagination (Einbildungskraft), feeling/passion (Gefühl), observation (Anschauen); Thus, in the lyrics accent is made on such spiritual organs which are vital for spiritual/mystical perception, upon which "Magical Idealism", "Romanticisation" is based and further developed – Heart/Soul/Mind (Herz/Seele/Gemüt),

2. "Romantic" Protagonist is always capable of "Romanticisation", thus has the cognitive "method" of "Romantic Irony"

3. Readiness for transcendence, and aspiration (Sehnsucht);

4. Longing for nature (The Formula by Novalis Me = No-Me/ Ich = Nicht-Ich), because a "Romantic" hero a prior sees Nature as an expression of Paradise in this word, and a pre-requisit or methodological space, where Romanticism should emerge,

5. The primacy of individual subjectivity, meaning considering the experience gained though one's personality and personal cognition superior to objective reality (Fichtean approach), which simultaneously (the primacy of subjectivity) indicates the universal-cosmic feeling in one's own essence; the aim of this is to establish in one's self "absolute me",

6. Fullness with "tragic consciousness" ("das tragische Bewusstsein")

7. Heroic Pessimism (Comparison "Hymns to the Night" by Novalis and "Merani" by Baratashvili);

8. Pathos of Distance – a prior rivalry and differentiation from the Philistine-Civil existence, the Philistine-Civil society and their conscious.

The belief that the Poetry by Nikoloz Baratashvili is spontaneously created (by the inspiration of a Muse, etc.) and the verses are mechanically arranged without any special concept can be regarded wrong, as the poetry is based on a fully understandable viewpoint and a united structural concept, due to which it establishes as a unified poetical text where each verse can be regarded as a "chapter". There are several reasons on which this hypothesis is based.

Like the structure of the musical symphony, not only the masterpiece "Merani" is based on a counterpoint principle, which was highlighted by M. Gogiberidze (Essay "The Aesthetic-Entiphaitic Analysis of Merani by Nikoloz Baratashvili"), but the whole poetry by Batarashvili is created on a counterpoint principle creating a plot structure uniting the different verses and incorporating them in one whole text, namely in Baratashvili's verses the opposites are always apparent, the increasing and decreasing perspectives and discourses – the tragic melancholy and the Dionysian transcendentalism, the feeling of vanity and deep philosophical belief. They are in constant movement and the alteration of the opposing forces creates a deeper, more tragic, developed and triumphant line. The duel or dialogue of opposing discourses are culminated in "Merani", where the dualism is being overcome, and the plot node opened.

Program like verses appear in the romantic lyric by Nikoloz Baratashvili such as "Napoleon" and "I bless my birthday". Existence of such verses points out that each poetical example is united under one conceptual idea and thus one huge text is being established. This means, that each verse by Baratashvili is a part of the developing plot of the whole text, which separately can be regarded as "chapters" of the one united text.

The verses by Baratashvili are structurally integrated and created as one whole lyrical text due to the lyrical hero, always appearing in various poems and always sharing one and the same point of view as well as temperament. The lyrical hero in every verse by one and the same intensity shows his rebellious perspective and ethic positions. The emotional attitudes are repetitive as well: on the one hand tragic and melancholic and on the other hand transcendental.

In the verses by Nikoloz Baratashvili the usage of one and the same repetitive lexical units somewhat establishes the poetical "terminology" of the poet ("dew", "shining", "spatial", heavenly", "sky", "light", "soul", "feeling", "heart", etc.), which is also outlined by Revaz Siradze in an essay called "The Literary and Aesthetic belief of Nikoloz Baratashvili". This also enables each of the lyric text to be structurally united and incorporated in one integrated text.

თეზურ კოპანია
(საქართველო)

დროისა და სივრცის აგებულება ფოლკნერის მოთხრობაში
„ვარდი ემილისათვის“

ტრადიციულ პროზაულ ნაწარმოებში მხატვრული დრო და სივრცე აპრიორული კატეგორიებია – მწერალი ინტუიციურად „ათავსებს“ თხრობას გარკვეულ სივრცე-დროში, ანუ აღწერს ამბავს, რომელიც თავისთავად, რაღაც სივრცესა და დროში უნდა მოხდეს, იმიტომ, რომ სივრცისა და დროის გარეშე ის უბრალოდ, ვერ მოხდება. რეალისტურ ნაწარმოებში სივრცე და დრო კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს მიბმული, „მიმეტური“ სივრცე და დროა – მწერალი ვერ შეცვლის მათ ისტორიულ შესაბამისობას ისე, რომ რელიზმის პრინციპს არ უღალატოს. მისგან განსხვავებით, მოდერნისტული ლიტერატურის ნიმუშებში დრო და სივრცე გაცნობიერებული პოეტიკის საშუალებებია, სამყაროს მოდელირების ინსტრუმენტი, მწერლის „შემოქმედებითი ლაბორატორია“, სადაც ის სივრცესა და დროზე ექსპერიმენტს ატარებს და მათ იმ სახით წარმოაჩენს, რა სახითაც სურს თავისი მხატვრული სამყაროს წარმოჩენა. მოდერნიზმში სივრცე სიმბოლურ პირობითობას იძენს, ხოლო დრო ავტორისეული ხედვის სუბიექტურ დროდ იქცევა. ერთი და მეორეც კარგავს „ობიექტური მოცემულობის“ ხასიათს და რთულ ასოციაციურ დატვირთვას იძენს, სიმბოლურ სივრცე-დროდ გადაიქცევა. ასეთ ნაწარმოებში სივრცე, როგორც წესი, მკაფიოდ არის შემოფარგლული, დრო შეკუმშული, შედედებულ, ან სულაც შეჩერებულია, ხოლო „შიგ“ მიმდინარე მოქმედების ტემპი ან უსასრულოდ მდორე, ან უჩვეულოდ ინტენსიური, ან გაუთავებლად განმეორებადია. სამყაროს ამგვარი მოდელი კი არ „ასახავს“ რეალობას, როგორც ამას დრომოჭმული ფსევდოესთეტიკური კლიშე გვამცნობს, არამედ გ ა რ დ ა ს ა ხ ა ვ ს მას ნაწარმოების მხატვრულ რეალობად – ისეთად, როგორადაც ის ავტორის წარმოსახვაში არსებობს. დროსთან და სივრცესთან ამგვარი დამოკიდებულების მკაფიო მაგალითია უილიამ ფოლკნერის მოთხრობა „ვარდი ემილისათვის“, რომელშიც წარმოდგენილია მთელი მოდერნისტული მწერლობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, მათ შორის – სივრცე-დროის ექსპერიმენტი, რომელიც ამ მოთხრობის მხატვრულ სისტემას განსაზღვრავს.

გარეგნული სიმარტივის მიუხედავად, „ვარდი ემილისათვის“ მხატვრული სამყარო რთულია, მრავალნახნაგოვანია, არაერთნიშნადია, თუმცა ნებისმიერი მკითხველი მასში ადვილად აღმოაჩენს იმას, რის აღსაქმელადაც ის პოტენციურად მზად არის. „საშინელებათა“ ჟანრის მოყვარული „ემილის“ აღიქვემს, როგორც ტრადიციულ ამერიკულ „ჰორორს“, რომლის სათავეებიც ედგარ პოსთან და უოშინგტონ ირვინგთან იკარგება. მძაფრი სიუჟეტების მაძიებელს მიიზიდავს

მოთხრობაში ოსტატურად ჩაქსოვილი ინტრიგა, ფსიქონალიზის თაყვანისმცემელს – ოიდიპოსის (თუ „ელექტრას“) კომპლექსის ლამის სიტყვასიტყვითი ილუსტრაცია. ფემინისტური ისტორიების მოყვარული აქ დაინახავს საზოგადოებისაგან გარიყული სამხრეთამერიკელი შინაბერას ცხოვრებისეულ დრამას; მელოდრამების დამფასებელი – კეთილშობილი ქალბატონის ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას, ხოლო ამერიკული სამხრეთის „გარდასულ დღეთა დიდების“ მოტრფილე – მოთხრობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფონს, რომელიც მთელი სისავსითაა გაჯერებული იმ დღეთა სევდანარევი მოგონებებით. ყოველივე ეს ნამდვილად შეადგენს ფოლკნერის მოთხრობის ცალკეულ ასპექტებს და შემთხვევითი როდია, რომ როგორც კრიტიკოსი ჯონ სკინერი აღნიშნავდა, „მისი სიუჟეტის, თემისა და ხასიათების ინტერპრეტაციას ასობით წერილი მიეძღვნა“, რის გამოც ის ამ ნაწარმოების შემდგომი „ინტერპრეტაციების წინააღმდეგია“ (Skinner 1985: 42). სკინერი უმთავრესად სიუჟეტის ინტერპრეტაციებს გულისხმობდა, თუმცა უკვე სიუჟეტის თვალსაზრისითაც, მოთხრობა ყოველთვის ინვევდა აზრთა სხვადასხვაობას. ერთ-ერთ ადრეულ წერილში ცნობილ კრიტიკოსს, ლაიონელ თრილინგს ისიც უთქვამს, რომ “ისტორია ქალის შესახებ, რომელმაც თავისი საყვარელი მოკლა და შემდეგ წლების მანძილზე მისი გახრწნილი გვამის გვერდით ეძინა, ტრივიალური ჰორორია, ცარიელი ამბავი, რომლის უკან არაფერი იგულისხმება“ (Trilling 1931: 491-92). მოთხრობისადმი მიძღვნილ სხვა წერილთა უმრავლესობაშიც ყურადღება თვით ემილის სახეზე და სიუჟეტზეა გამახვილებული, თუმცა უკვე ავტორისადმი კომპლიმენტარული კუთხით, ან ისტორიულ განზოგადებათა ჭრილში. ჩვეულებრივ, საუბარია იმაზე, თუ „როგორ აგვიწერს ფოლკნერი ამ ტრაგედიის მაგალითზე ანაქრონიზმად ქცეული ამერიკული სამხრეთის სურათს“, რასაც მოჰყვება ხოლმე ოპტიმისტური დასკვნა იმის თაობაზე, რომ „მადლობა ღმერთს, ფოლკნერის პირქუშ სამხრეთულ სამყაროს ბოლო მოელო და ამერიკა სხვა გზით განვითარდა“. ამა თუ იმ ფორმით, ეს ბოლო თეზისი ფოლკნერისადმი მიძღვნილ უშველებელ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად მეორდება და თუ მსგავს შაბლონებს ყურადღებას არ მივაქცევთ, უნდა ვიფიქროთ, რომ კრიტიკის ყურადღების მიღმა დარჩა ის ძირითადი, რის გამოც ეს მოთხრობა მეოცე საუკუნის დიდი ლიტერატურის კუთვნილებად, მისი მთავარი ნაკადის ნაწილად აღიქმება.

ფოლკნერის ყველა მოყვარულისთვის „ვარდი ემილისათვის“ კარგად უნდა იყოს ცნობილი, ხოლო დამწყებთათვის ის ადვილად მისაწვდომია როგორც დედანში, ისე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ რამდენიმე თარგმანში. მოთხრობის „ამბავზე“ მით უფრო არ ღირს ყურადღების გამახვილება, რომ ფრომალურად, ის მრთლაც მარტივია, როგორც ყველა ლიტერატურული, კინემატოგრაფიული, ან სატელევიზიო „ჰორორი“ (ტირანი მამისგან ტრამვირებული, გადამწიფებული სამხრეთელი ქალიშვილი ჰკლავს თავის სატრფოს და მის გვამს წლების მანძილზე საძინებელ ოთახში „ინახავს“, სადაც მას მხოლოდ ემილის გარდაცვალების შემდეგ იპოვნინან). ფოლკნერი მართლაც ჰყვება მკვლელობისა და ნეკროფილიის საოცრად პირქუშ ისტორიას, სადაც, საკმაოდ პარადოქსულად, ნაწარმოების მთავარი გმირი – მკვლელი და ნეკროფილი ემილი გრიერსონი – როგორც თვით ავტორის, ისე

მკითხველის ერთობ მოულოდნელ თანაგრძნობას იწვევს. როგორც თვით ფოლკნერი აღნიშნავდა, მოთხრობის სათაური ალევორიულია. „ჩანაფიქრი ის იყო, რომ არსებობს ქალი, რომელსაც ტრაგედია გადახდა თავს და ამ ტრაგედიას ვერაფერს ვუშველით და მე ის მეცოდება. ეს მხედრული სალამივით იყო... ქალბატონს ვარდი უნდა მიართვა ისევე, როგორც მამაკაცის მისასალმებლად ჭიქა ვისკი უნდა ასწიო“ (Faulkner 1956: 70–71). როგორც წერენ და ამბობენ ხოლმე ამ მოთხრობაზე მსჯელობისას, ემილი ერთდროულად დამნაშავეც არის და მსხვერპლიც და მარტოხელა ქალისადმი ამ „თანაგრძნობის ეფექტს“ ფოლკნერი მისი ცხოვრების ისტორიის ოსტატური თხრობით გამოხატავს.

საინტერესოა, თუ რა ხეხებით წარმოსახავს ფოლკნერი თავის მდებარე ურჩხულს მისივე გარემოს მსხვერპლად, როგორ ჰქმნის თავისი მოთხრობის ქვეტექსტებით დახუნძილულ „რუკას“, რომელიც, როგორც ყველა რუკა, მხოლოდ კომპაქტური სურათია იმ რეალური ან წარმოსახვითი ტერიტორიის, რომელსაც ის აღნიშნავს. თუ უფრო დავკონკრეტდებით, საინტერესოა, თუ როგორ გარდასახავს ფოლკნერი მშობლიურ ამერიკულ სამხრეთს თავისი მოთხრობის მხატვრულ რეალობად – ნაწარმოების შინაგანი სივრცე და დრო ხომ ფოლკნერის ფანტაზიის ისეთივე ნაყოფია, როგორც თვით ემილის ისტორია, რომელიც ამ გამოგონილ სივრცედროში ხდება. მოთხრობის მხატვრულობაზე მსჯელობისას, „ისტორიული მართებულობის“ კრიტერიუმი არ გამოდგება, რადგან ამ შემთხვევაში რეალობა მხოლოდ ბიძგს აძლევს ფოლკნერის უშრეტ ფანტაზიას. თვით ის მასალა, რომელსაც ფოლკნერი მხატვრულად გარდასახავს, სხვა არაფერია, თუ არა მისივე პირადი შთაბეჭდილებები და კიდევ საკითხავია, რამდენად შეესაბამება ეს შთაბეჭდილებები იმჟამინდელი სამხრეთის ობიექტურ სურათს. ანდა რას ნიშნავს, საერთოდ, „წარსულის ობიექტური სურათი“? როგორც ზნეობრივ, ისე ესთეტიკურ კატეგორიებში წარსულის აღქმა რელატიურია – ყოველი ახალი თაობა თავიდან ახდენს მენსიერებაში შემონახული ფაქტების ინტერპრეტაციას, რაც შეუძლებელს ხდის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ კრიტერიუმთა არსებობას. წარსულის შეფასება მხოლოდ იმ დროისათვის არის მართებული, რომელშიც ეს შეფასება ხდება, რადგან ადრე თუ გვიან, მოვა სხვა დრო და ის სულ სხვაგვარად დაინახავს ერთი შეხედვით ურყევ ჭეშმარიტებებს. ფოლკნერის პროზის „დრამატურგიული“ ეფექტიც ამ საყოველთაო წარმავლობასთან უიმედო ბრძოლის წარმოსახვაში გამოიხატება. დროის უმონყალო დინებასთან დაკავშირებული განცდა ხშირად განსაზღვრავს საკუთარ პერსონაჟებთან ფოლკნერის დამოკიდებულებასაც. აქედან – ის ერთი შეხედვით უცნაური თანაგრძნობა, რომელსაც მწერალი თავის ოდიოზურ სამხრეთელ შინაბერას, ემილი გრიერსონს უცხადებს („ქალბატონს უნდა ვარდი მიართვა...“).

მეტად საყურადღებოა ავტორისეული თხრობის უჩვეულო დინება – მოსალოდნელ სიუჟეტურ კავშირთა რღვევა, სისტემატური რეტროსპექციები, გაკვრით ნახსენებ „წვრილმანთა“ სიღრმისეული მნიშვნელობა, სხვადასხვა დროის რეალიათა აღრევა და მთავარ სახე-სიმბოლოთა ასოციაციური ურთიერთკავშირი. მწერლის მიერ შექმნილი რეალობა მის მხატვრულ მეთოდს ეფუძნება, რომელიც კონკრეტულ ნაწარმოებში სხვა არაფერია, თუ არა ამ ნაწარმოების პოეტიკა. აქე-

დან გამომდინარე, საინტერესოა მოთხრობის არქიტექტონიკა, იმ რთული, გავრცობილი მეტაფორის სრტუქტურა, რასაც წარმოადგენს „ვარდი ემილისათვის“, როგორც მხატვრული მთლიანობა. მთავარი ხომ იმდენად თვით ემილის ისტორია არ არის, რამდენადაც ამ ისტორიის გადმოცემის გზა, რომელიც მკითხველზე ზემოქმედების ხარისხს განსაზღვრავს. სწორედ ამ გზით მიღწეული განცდით-ინტელექტუალური ეფექტი აქცევს „ვარდს ემილისათვის“ მოდერნისტული პროზის შედევრად, თორემ შემადრწუნებელ დანამაულთა ისტორიებით ბულვარული პრესა ფოლკნერის დროსაც აჭრელებული იყო და დღესაც აჭრელებულია.

მოთხრობის, როგორც ჟანრის, ძირითადი სირთულე მისი კომპაქტურობაა. დიდი, ეპიკური ტილოს შემქმნისას თითქოს თვით ჟანრის სპეციფიკა „ეხმარება“ ავტორს, რათა ნაწარმოებში უშუალოდ თქმულმა ადეკვატურად ასახოს მისი სიღრმისეულ განზომილება და დიდი მხატვრული სათქმელი შესაბამისი მხატვრული ფორმით განხორციელდეს (როგორც ეს, ვთქვათ, ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში“ ხდება). ცხადია, მონუმენტალურ თხრობას თავისი სპეციფიკური სირთულეები გააჩნია, მაგრამ პირწმინდად თხრობითი თვალსაზრისით, ბევრად უფრო ძნელი უნდა იყოს მცირე პროზაულ ფორმაში მთელი მხატვრული სამყაროს „ჩატევა“. უკვე ჟანრობრივად, მოთხრობა სიტყვათა უკიდურეს ეკონომიას ითხოვს და რაც უფრო ვრცელია მისი განცდით-ინტელექტუალური კონტექსტი, მით უფრო ეკონომიურია (ან უნდა იყოს ეკონომიური) ავტორისეული სიტყვათხმარება. მართალია, ხშირად ეს „ეკონომია“ მოჩვენებითია და ზოგი ავტორი საგანგებოდ მიმართავს ხოლმე „მრავალნიშნად“ პაუზებსა და სიტყვათსიძუნწესს, რომელთა უკან არაფერი არ იმალება, მაგრამ სულ სხვაა ფოლკნერი. მისი ლაკონურობა უშველებელ შინაგან სივრცეს იტევს, ყოველი სიტყვა ლამის პოეტურ ხატად იქცევა და ინტენსიურ განცდითს, ან სიმბოლურ შინაარსს გამოხატავს.

დიდი მოდერნისტები ვირტუოზულად ფლობდნენ მონტაჟის ტექნიკას და როგორც, ვთქვათ, ფელინის, ან ვისკონტის რომელიმე ფირის კომპიუტერზე კირკიტისას, მისი ათასგზის გადახვევა-გადმოხვევისას შეუძლებელია ზედმეტი, ან უფუნქციო კადრის აღმოჩენა, ისე მათ მოთხრობებშია წარმოუდგენელი „შემთხვევითი“, ან დანიშნულებას მოკლებული სიტყვის მიგნება. ჯერ კიდევ ტომას ელიოტი აღნიშნავდა, რომ „მწერლური შრომის უდიდესი ნაწილი კრიტიკული ხასიათისაა. ეს არის გაცრა, შერწყმა, კომბინირება, აგება, ნაშლა, ჩასწორება, გადამონმება და მთელი ეს საშინლად მძიმე შრომა იმდენადვე კრიტიკული, რამდენადაც შემოქმედებითი ხასიათისა“ (ელიოტი 1999: 30). არსებითად იგივეს ამბობს ფოლკნერიც, ვირჯინიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან საკუთარ შემოქმედებით პროცესზე საუბრისას: „როდესაც ბოლოს ქაღალზე დაალაგებ ნაფიქრალს, მერე იწყება სწორება, რადგან ის, რაც დაწერე, მთლად ის არ არის, რაც გინდოდა რომ ყოფილიყო და იწყებ შეცვლას, ჩასწორებას, რედაქტირებას... ყველა ღონეს ხმარობ, რომ იდეალურ სრულყოფილებას მიაღწიო, რასაც, რა თქმა უნდა, ვერასოდეს მიაღწევ“. ამიტომაც არის, რომ ყოველ ლექსიკურ ერთეულს, ყოველ სახეს, რასაც მწერალი იყენებს და ხშირად არც კი იყენებს, არამედ მხოლოდ გულისხმობს უკვე ნახესენების განუმეორებლად, მის უსასრულოდ კომპაქტურ ტექსტში მეტად

მნიშვნელოვანი, სიღრმისეული დატვირთვა ენიჭება. ერთ-ერთი ასეთი საკვანძო სიტყვა-სიმბოლოა „მტვერი“, რომლის ასოციაციური რიგი მოთხრობაში უამრავ მნიშვნელობას მოიცავს, „მინა ხარ და მინადვე მიიქცევი“-ს ძველალექსისეული შეგონებიდან პირნმინდად ყოფით-ჰიგიენურამდე (თუ სამხრეთული ჯეფერსონის მტვერიან ქუჩებს წარმოვიდგენთ და ემილის სახლს, სადაც მოთხრობის მოქმედება ხდება). სიტყვა „მტვერი“, როგორც გარდასულ დღეთა სიმბოლო, ათგვერდიან მოთხრობაში შვიდჯერ არის ნახსენები. მტვერი უხვად ადევს ემილის ავეჯს, მტვერი გვხვდება მის საძინებელში – ბერონის ნივთები, რომლებსაც იქ იპოვნის, ხელში აღებისას, დამტვერილ ტრიუმოს ზედაპირზე ნახევარმთვარის ანაბეჭდს ტოვებს. უნდა ვივარაუდოთ (და ამგვარი „სავარაუდო“ მინიშნებები მოთხრობაში მრავლად არის გაბნეული), რომ ქალაქის მესვეურებიც სწორედ მტვერის მოსაშორებლად იხმობენ ჩრდილოეთიდან მუშებს, რათა მათ მტვერიან ქუჩებში ქვაფენილი დააგონ. თავისთავად, მთვლემარე და თითქოს დროში გაყინულ სამხრეთულ ქალაქში ქუჩების მოპირკეთება უკვე პროგრესისა და მასთან ერთად ცვლილების, მოქმედების, დროისმიერების შემოღწევას ნიშნავს. როგორც ფილოსოფიურ, ისე ზოგადკულტურულ წარმოდგენებში, დრო ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან მოქმედების საზომად არის მიჩნეული და ის, რომ ჯეფერსონში ჰომერ ბერონის ჩამოსვლასთან ერთად მოქმედების ინტენსიფიკაცია იწყება, უპირველეს ყოვლისა თვით დროის და მასთან ერთად, კარსმომდგარ ცვლილებათა ინტენსიფიკაციას გულისხმობს. „ფოლკენრისათვის დორის ალეგორიული გამოხატვის მთავარი საშუალებაა ადამიანთა სხეულების სივრცეში მოძრაობა“, მართებულად აღნიშნავს ჯ. ჰილის მილერი (Miller 2003: 91), თუმცა ფოლკენრის რთული, ქვეტექსტებით დატვირთული სახეების მხოლოდ „სივრცეში მოძრავ დროის ალეგორიებად“ წარმოდგენა გამარტივება იქნებოდა. დროსთან დაკავშირებულ ასოციაციას მოთხრობის ყველა სახე შეიცავს, მათ შორის, „უძრავიც“ (ემილის სახლი, მტვერი ამ სახლში, მოლბერტზე მიყუდებული მამის სურათი და სხვა). „ვარდში ემილისათვის“ დროისმიერია თვით სივრცე – მოთხრობის მთელი დრამატურგია იმას გამოხატავს, რომ დროისგან დაცლილ სივრცეში არსებობა წარმოუდგენელია, რომ ასეთი სივრცე არც არსებობს რეალურად. ამ აზრით გაჯერებულია მოთხრობის მთელი მხატვრული ქსოვილი, ის წარმოადგენს მისი პოეტიკის ქვაკუთხედსაც, თუმცა სიუჟეტურად მკითხველის მთელი ყურადღება ინტრიგაზეა გადატანილი და სრული ილუზიაა შექმნილი იმის, რომ მკვლელობის ფაქტი მოთხრობაში ძირითადია.

დრო, როგორც პოეტიკური კატეგორია, მოთხრობაში ალბათ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის სივრცე, რომელშიც მისი მოქმედება ხდება. „ვარდი ემილისათვის“ ერთ-ერთი ძირეული სპეციფიკა ის არის, რომ თხრობითი დრო მასში ასახულ მოვლენათა თანმიმდევრობას არ შეესაბამება. პირიქით, ის თითქოს უპირისპირდება ამ თანმიმდევრობას და მასთან ერთად, იმ ობიექტურ, „საათის“ დროს, რომელშიც ეს მოვლენები წესით უნდა ხდებოდეს და თითქოს ხდება კიდევ. საათის დროისგან განსხვავებით, წარმოსახვითი დრო მოთხრობაში პირველივე წინადადებიდან უკან იხევს – თვით მოხუცი ემილის დაკრძალვიდან (რითაც იწყება თხრობა), მასთან ქალაქის ახალი მესვეურების სტუმრობით (რაც მანამდე მოხდა),

შემდეგ სახლიდან გამოსული სუნის გამო მოსულ თანამოქალაქეთა განდევნით (რაც კიდევ უფრო ადრე მოხდა, როდესაც მამამისი უკვე გარდაცვლილი იყო) და ბოლოს, მის ახალგაზრდობაში მამამისის გარდაცვალების და მასთან დაკავშირებულ ამბავთა აღწერით. დროის უკანსვლის მარგინალურ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს მოთხრობელის მიერ ემილის ბებიის დის, ლედი უაიეტის გახსენება, „რომელიც ბოლოს სულ გაგიჟდა“ და ვისგანაც, ქალაქის წარმოდგენით, გრიერსონებს კუდაბზიკობა გენეტიკურად მოსდგამთ.

ემილის მამა მოთხრობაში ყველგან ფიგურირებს, მაგრამ შინაგანი დროის აგებულებასთან დაკავშირებთ ნიშანდობლივია მისი სამი გამოჩენა: დასაწყისში მოლბერტზე მოთავსებულ მის სურათს ხედავენ „ქალაქის ახალი მესვეურები“, როდესაც ისინი ემილის გადასახადებზე სასაუბროდ ესტუმრებიან. შემდეგ, როგორც ბევრად უფრო ადრინდელ ამბავს, მკითხველი შეიტყობს, რომ ემილი სამი დღის განმავლობაში ჯიუტად უარყოფდა გარდაცვლილი მამის სიკვდილს, და ბოლოს, უკვე თვით ემილის დაკრძალვისას, მამა ისევ მოლბერტზე აყუდებული სურათიდან უცქერს შეკრებილ საზოგადოებას. მამის გარდაცვალების შემდეგ, ჰომერ ბერონის გამოჩენა-გაქრობისა და ემილის ფინალური კარჩაკეტილობის თემატური ხაზით, თხრობითი დრო „უკან ბრუნდება“ და წრე იკვრება ისევ ემილის დაკრძალვის აღწერით. ეს ერთიანი ციკლი, რომელიც მთავრდება იქ, სადაც იწყება, მოთხრობელის მიერ მოყოლილი ისტორიის ფორმით არის გადმოცემული – მთელ „ამბავს“ ჰყვება ერთობ გაურკვეველი პირველი პირის მრავლობითი მოთხრობელი „ჩვენ“, რომელიც ჯეფერსონის მთელ მოსახლეობას არ განასახიერებს, როგორც ეს, შესაძლოა, თავიდან მოეჩვენოს მკითხველს, რადგან მის თხრობაში ხშირად ჩნდება ადამიანთა ჯგუფები, რომელთაც ის განესხვისება. მოთხრობელი თავს განაცალკევებს როგორც „ქალაქის ახალი მესვეურების“ და მათი შვილებისაგან, ისე მოხუცებისაგან, რომლებიც ემილის დაკრძალვას კონფედერატების გაცვეთილ ფორმაში გამოწყობილი ესწრებიან. რადგან მოთხრობელი ემილის მთელ ცხოვრებას ჰყვება, როგორც თვითმხილველი, ის ქალაქის მკვიდრთა იმ თაობას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც „ქალაქის მანდილოსნებიც“ (the ladies) ეკუთვნიან, მათ შორის – ბაპტისტი მღვდელი და მისი მეუღლე, ვისი ინიციატივითაც ემილის ალაბამელი ბიძაშვილები ესტუმრებიან. სწორედ ეს საშუალო კლასისა და საშუალო ასაკობრივი კატეგორიის ხალხი შეადგენს იმ სოციუმის ბირთვის, რომელიც ზნეობრივ და ინტელექტუალურ ამინდს ჰქმნის ჯეფერსონში. მათი ფასეულობითი განსჯა ემილის განადიდებს და სათაყვანებელ კერპად აქცევს. იმავდროულად, მოხუცი შინაბერა მათში ცნობისმოყვარეობას და შეცოდების ემოციასაც აღძრავს. ყოველ შემთხვევაში, მოთხრობის კითხვისას რჩება შთაბეჭდილება, რომ ქალაქის ზრდასრული მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, რომელსაც „მანდილოსნები“ განასახიერებენ, ემილის თვალთვალის და მასზე ჭორაობის მეტი სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე არ გააჩნია. ემილი მათი ფსიქოლოგიური სამყაროს ცენტრს წარმოადგენს.

დროისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ასახავს მოთხრობის ენობრივი ფაქტურაც – მისი სინტაქსი გადატვირთულია დროის გარემოებებით, ტექსტის დიდი ნაწილი დროსთან დაკავშირებული ფრაზებისა და სიტყვათშეთანხმე-

ბებისგან შედგება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფოლკნერს სურს თხრობის ყოველი დეტალი რომელიმე კონკრეტულ მომენტს, დღეს, თვეს, ან წელს შეუსაბამოს, ან იმ დროს, რომელიც რაღაც ამბავს წინ უსწრებდა, ან იმას, რაც შემდეგ მოხდა, ან იმას, რაც სხვა ამბავს დროში დაემთხვა. მთელ ამ დროისმიერ ორომტრიალში მოვლენათა რეალური თანმიმდევრობა მკითხველისათვის ერთობ ძნელი დასადგენია. მოთხრობაში მრავლად არის ისეთი ფრაზები, როგორიცაა „ერთ დროს“, „იმ ღამეს“, „კარგა ხანს“, „მას შემდეგ, რაც...“, „ერთი კვირის თავზე“, „მეორე ღამეს, უფრო სწორად, ნაშუალამევს“, „ერთი-ორი კვირის შემდეგ“, „რვა თუ ათი წლის წინათ“, „წლის პირველ რიცხვში“, „თებერვლის დამდეგს“, „სულ ცოტა, ათი წელი იქნებოდა“, „ოცდაათი წლის წინათ“, „1894 წლის იმ დღიდან, როდესაც“, „ათი წლის გარდაცვლილი იყო“, „ოცდაათს მიღწეული მის ემილი ისევ გაუთხოვარი იყო“, „მამამისის სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ...“, „მეორე დღეს მანდილოსნები დამწკრივდნენ“, „სამი დღე ამ სიტყვებით ისტუმრებდა“ და სხვა მრავალი. ამგვარი „დროით შეპყრობილობის“ მკაფიო მაგალითია თხრობა იმის შესახებ, რომ „იმ დროიდან მოყოლებული, მისი შემოსასვლელი კარი სულ დაკეტილი იყო, გარდა ექვსი თუ შვიდი წლისა, როდესაც ის დაახლოებით ორმოცი წლისა იყო და ფაიფურის მოხატვის გაკვეთილებს იძლეოდა“ (From that time on her front door remained closed, save for a period of six or seven years, when she was about forty, during which she gave lessons in china-painting).

„ობიექტურ“ დროზე სისტემატიური ორიენტაციით, ფოლკნერი თითქოს მონიშნავს ემილის ცხოვრების ქრონოლოგიას, ათავსებს მას ერთგვარ ფსევდოისტორიულ კონტექსტში, ხოლო მეორე მხრივ, მკითხველის ყურადღება გადააქვს ანმყოფიდან ჯერ უახლოეს ნარსულზე, შემდეგ მანამდე მომხდარ ამბებზე, შემდეგ კიდევ უფრო ადრინდელზე და ბოლოს ძველი ამბებიდან უბრუნდება ისევ უშუალო ნარსულს და ბოლოს, ანმყოს. მაგალითად, მოთხრობის ბოლოს, ემილის გარდაცვალებამდე, „ქალაქის ახალი მესვეურები“ მას საგადასახადო უწყებებს უგზავნიან, რომლებსაც შემდეგ თვითონაც მოჰყვებიან, მაგრამ ამის შესახებ მკითხველი უკვე მოთხრობის დასაწყისში იყო ინფორმირებული, მას შემდეგ, რაც საუბარი იყო ემილის გარდაცვალებაზე. პირველად გადასახადების გადახდას სწორედ ემილის გარდაცვალების შემდეგ, მოთხრობის პირველსავე ნაწილში ითხოვენ, მეორედ კი „საგადასახადო უწყებების მიღება“ წინ უსწრებს მისი დაკრძალვის აღწერას. ამგვარად, მოთხრობის დასაწყისში აღწერილი მოვლენები (დაკრძალვა, მამის პორტრეტის ხსენება, გადასახადებზე უარი) ერთგვარ სარკისებრ სიმეტრიას ჰქმნის მის დასასრულში მოცემულ დეტალებთან (ისევ გადასახადების ხსენება, ისევ მამის პორტრეტი, ისევ დაკრძალვის აღწერა). ფაქტობრივად, მოთხრობის მიერ მოყოლილი ემილის ცხოვრების მთელი ამბავი ამ ორ მომენტს შორის ხდება (გარდაცვალება/გადასახადები – გადასახადები/გარდაცვალება), რაც, უნდა ვიფიქროთ, გავრცობილი ტრავესტიკაა ბენჯამინ ფრანკლინის ცნობილი ფრაზისა იმის შესახებ, რომ „გარდაუვალი ამქვეყნად მხოლოდ სიკვდილი და გადასახადებია.“ საინტერესოა, რომ დროსთან ჭიდილი, რომელიც ემილის სახის ძირითად მახასიათებელს შეადგენს, მეტაფორულად სწორედ გადასახადების

გადახდაზე უარის თქმაში (ფაქტობრივად – სიკვდილის ფაქტის აღიარებაზე უარის თქმაში) გამოიხატება. ფოლკნერი სრულიად მოულოდნელ, ერთი შეხედვლ ალო-გიკურ და განსხვავებულ ცნებით სიბრტყეებში არსებულ სახეებს იხმობს თავისი სათქმელის გამოსახატავად. მოთხრობის კონტექსტში „გადასახადები“ იქცევა არა მხოლოდ დროში რეალური ცხოვრებისა და მისგან განუყრელი სიკვდილის ევ-ფემიზმად, არამედ თვით დროის მეტაფორად, რომელსაც ემილი თავგანწირვით ებრძვის და უარყოფს – შემთხვევით როდი უმეორებს ის მასთან სტუმრად მოსულ ქალაქის ახალ მესვეურებს ხუთჯერ (!) ერთსა და იგივე ფრაზას: „მე ჯეფერსონში გადასახადებს არ ვიხდი!“ როდესაც მერიის წარმომადგენლები მას შეეკამათები-ან, ის მათ საკითხის გასარკვევად იმ დროისათვის უკვე ათი წლის გარდაცვლილ ყოფილ მერთან, პოლკოვნიკ სარტორისთან აგზავნის. მოთხრობაში ემილი სამჯერ კატეგორიულად უარყოფს სიკვდილს და მასთან ერთად დროს, დროში არსებულ მოვლენათა წარმავლობას, ანმყოს წარსულში განუხრელ გადასვლას და მომავალ ცვლილებათა გარდუვალობას: პირველად, როდესაც ის უარყოფს პოლკოვნიკ სარტორისის სიკვდილს, მეორედ, როდესაც უარყოფს მამის გარდაცვალებას და მესამედ – როდესაც გარდაცვლილი ჰომერ ბერონის გვამს მრავალი წლის განმავლობაში საძინებელში ინახავს. მეტად ნიშანდობლივია, რომ ეს დროის უარყოფა მინიშნებების სახით, მოთხრობის ხატოვან ქსოვილშია განხორციელებული, ხოლო ხმამაღალი და კატეგორიული დეკლარაციის სახით დროის უარყოფას ემილი სწორედ გადასახადებზე უარის თქმით აცხადებს, რაც, თავის მხრივ, ფოლკნერის მეტაფორული აზროვნების უნიკალურ დონეზე მეტყველებს. დროის დინებასთან შეუგუებლობის, მასთან ჭიდილის უფრო ქარაგმული, მრავალნიშნადი და მაღალ-მხატვრული წარმოსახვა ძნელად წარმოსადგენია.

ორმოცდარვა წელს მიღწეული ემილი „უკანასკნელად ჩარაზავს შემოსასვლელ კარს“, რის შემდეგაც „ქალაქი“ მხოლოდ პირველი სართულის ფანჯარაში თუ მოჰკრავს თვლას მის სილუეტს (სახლის მეორე სართული ჩაკეტილი აქვს). სამაგიეროდ, იგივე ქალაქი მრავალი წლის მანძილზე თვალს ადევნებს, როგორ ჭაღარავდება და მხრებში იხრება მისი ზანგი მსახური, რომელიც დაკრძალვის შემდეგ უგზოუკვლოდ ქრება. ემილი სამოცდათოთხმეტი წლის გარდაიცვლება, რაც, თუ მხედველობაში მივიღებთ ბერონთან მისი გამიჯნურების დროს (გაზაფხული მამის გარდაცვალების შემდეგ, 1895 წელი, როდესაც ის 31-32 წლისა იქნებოდა და 1896-98, როდესაც ჰომერ ბერონი გაქრა), დაკვირვებულ მკითხველს მიახვედრებს, რომ ბერონის გვამს ის თავის საძინებელში მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ინახავდა (შემდეგ ეს ორმოცი წელი ნახსენებიც არის მოთხრობაში). ობიექტური დროის დინებას ფოლკნერი მხოლოდ ქარაგმულად მიანიშნებს, რადგან მისთვის მთავარი ის დროა, რომელიც თხრობას მისდევს, ანუ „მოთხრობელის დრო“. საათის დრო, რომელიც მოთხრობაში ხშირად არის მინიშნებული, ფოლკნერს თითქოს იმისთვის სჭირდება, რომ თხრობას რეალობის ილუზია შეუქმნას, „მიაბას“ ის კონკრეტულ ისტორიულ დროს, თუმცაღა ამ „ისტორიულ“ დროსაც მწერალი მხატვრულ დროდ აქცევს. ეს დრო შემოიფარგლება ემილის ცხოვრების ქრონოლოგიით, მაგრამ მთლიანად მოთხრობის მხატვრულ სამყაროს მწერალი ერთ-

გვარად გამოჰყოფს, განაცალკევებს რეალური ისტორიისაგან. მავე დროს, „ისტორიულ“ დროზე მინიშნებებით, ფოლკნერი უბიძგებს მკითხველს, რომ მან ემილის ცხოვრების ქრონოლოგია თავად აღადგინოს, რის შედეგადაც მკითხველი აღმოაჩენს, რომ ემილი ჯერ კიდევ ლინკოლნის პრეზიდენტობისას, სამოქალაქო ომის დროს დაბადებულია (1864) და „დიდი დეპრესიის“ (1929-1939) მიწურულს გარდაცვლილა (1938). ქვეყნის ისტორიის მთელი ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენებით აღსავსე, გრანდიოზული ეპოქა, როდესაც ამერიკა ოკეანისგალმური პროვინციიდან მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოდ იქცა, „ვარდში ემილისათვის“ მინიშნებულიც არ არის, ის მოთხრობის მხატვრულ სამყაროში არანაირად არ აღწევს. „ისტორიული“ დროის ერთადერთ ათვლის წერტილად ფოლკნერი საგანგებოდ ახსენებს სრულიად უმნიშვნელო თარიღს – 1894 წელს და დაკვირვებული მკითხველიც მხოლოდ ამ თარიღიდან გამომდინარე აღადგენს მოთხრობის „ობიექტურ“ ქრონოლოგიას. ეს ის წელია, როდესაც ემილის მამა გარდაიცვალა და როდესაც თვითონ ემილი, როგორც ფოლკნერი აღნიშნავს, „ოცდაათს მიღწეული იყო“. ჯეფერსონში დროთა ცვლილების მაუწყებელი თითქმის არაფერი ხდება – უბრალოდ, ქალაქში მოდის მმართველთა ახალი თაობა – „პოლკოვნიკ სარტორისის თანამედროვეთა მემკვიდრეები“, რომლებიც ემილის თავიანთ შვილებს უგზავნიან ფაიფურის მოხატვის სასწავლებლად. ბოლოს ესენიც „გაიზარდნენ, წავიდ-წამოვიდნენ და შვილებსაც ... აღარავინ უგზავნიდა.“ ამგვარად, 74 წლის მანძილზე ჯეფერსონში სამი თაობა იცვლება, მაგრამ ზანტად მთვლემარე სამხრეთულ ქალაქს არსებითი სიახლეები არ ეტყობა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს, „ჩრდილოეთიდან“ ჩამოდის ხუმარა და ენერგიული ჰომერ ბერონი – იანკი, რომლის სერიოზულად აღქმა, ქალაქის მკვიდრთა აზრით, წარმოუდგენელია.

დროისმიერი რეალიებით სისტემატური მანიპულირება ნაწარმოებში ობიექტური დროის ფაზების აღრევას, თხრობით სივრცეში მათ შეკუმშვას ემსახურება. ამავე საშუალებებით წარმართავს ფოლკნერი მისთვის სასურველი მიმართულებით დროის დინებასაც. ფაქტობრივად, „ვარდი ემილისათვის“ მხატვრული დროის ორ კონცეფციას იტევს – ემილის ცხოვრება „ობიექტურად“ ქრონოლოგიურია, ის თითქოს საათის დროში მიდის და ეს საათის დრო, რაღა თქმა უნდა, წრფივია. მეორე მხრივ, „თხრობითი დრო“, რომელშიც მოთხრობელის მიერ მოყოლილი ამბავი ხდება, წრფივი სულაც არ არის, პირიქით, ის წრიულია. თხრობა „ციკლურად“ მიედინება, მაგრამ ამ ციკლში ფოლკნერი სისტემატურად მიანიშნებს დროის „ობიექტურ“ სვლაზეც. მკითხველის მეხსიერებაში რჩება ისტორიული დროის იმიტაცია – დაახლოებით ნახევარი საუკუნე, ემილის ყმანვილქალობიდან მის გარდაცვალებამდე, ან (თუ გარდაცვლილი პოლკოვნიკ სარტორისის და შეშლილი ლედი უაიეტის სახეებს გავიხსენებთ) სადღაც სამოცდათხუთმეტი წელი, ემილის დაბადებიდან. ეს „ობიექტური“ ქრონოლოგია ერთი შეხედვით, თხრობის ციკლურობისგან განსხვავებულია, მაგრამ მოთხრობის ნარატივი დროშია არეული, წარსული მასში ხშირად წინ უძღვის იმ მომავალს, რომელიც თხრობის მომენტისათვის უკვე წარსულია, პარალელურად – მოთხრობელის ანმყო ცნობიერება „იხსენებს“ წარსულს, რომელიც მანამდე მომხდარი ამბებით არის განპირობებული და იმ ამ-

ბებისთვის მომავალია, თუმცა ემილის დაკრძალვის დროისთვის ყოველივე წარსულია და თვით დაკრძალვაც წარსულში გადადის, როდესაც თანამოქალაქეთა ჯგუფი მოთხრობის ბოლოს მის საძინებელში აღწევს.

კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, – პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭერეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდან ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ“ (ჭავჭავაძე 1937: 247). ეს ფრაზა გრიბოდოვის ცნობილი პიესიდანაა „ვაი ჭკუისაგან“ და მერე აფორიზმის სახით გავრცელდა. მაგრამ უფრო საინტერესოა ის, რომ ამ ნაწილს ილიამ 1871 წლის საბოლოო რედაქციის დროს დაუმატა კვამლის სიამოვნების პირველი მიზეზი და ბოლო წონადადება (ჭავჭავაძე 1937: 716). პ. ინგოროყვა აღიარებს: „როგორც ვხედავთ, მგზავრის წერილების საბოლოო რედაქციაში – ილია არ ინდობს და ისარს ესერის „მჟავე პატრიოტიზმსაც“, რომელიც „სამშობლოს კვამლის“ სიყვარულში ველარ არჩევს სინამდვილეს, ვერ ხედავს უბედურების ნამდვილს მიზეზებს და თავისი ქვეყნის კარგსაც და ავსაც ერთნაირად ეკიდება“ (ჭავჭავაძე 1937: 716). ცხადია, ამ დამატებული წინადადებებით ილიას უნდა ხაზი გაუსვას ირონიის მნიშვნელობას, რომელსაც რუსულად დაწერილი ერთი წინადადება გვატყობინებს. ამ შემთხვევაში კი თვითონ ავტორი დაწვრილებით ხსნის ამ ფრაზის („И дым...“) ირონიულ მნიშვნელობაზე და პაროდის ნიშანი – რუსული დაწერილობის ციტატა – მაინც არაა აუცილებელი.

თუმცა მეორე ნიმუშში კი ვხედავთ მის აუცილებლობას: იხატება იამშჩიკის ბრიყვი სახე და უხეში საქციელი. პოვოსკაში მთხრობლის ჩაჯდომის შემდეგ, იამშჩიკს უნდოდა დაეძრა ეტლი და შოლტი გადაჰკრა ცხენებს: „ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდან არ დაიძრნენ. Ну, чо-о-пти; трогай што-ли! დაიყვირა „იამშჩიკმა“, აიქნივა სადავენი და ფეხებითაც ტყაპუნე დაინყო“ (ჭავჭავაძე 1937: 248). ინგოროყვას თვალსაზრისით, „მგზავრის წერილების“ პოვოსკა და იამშჩიკი მკითხველს ახსენებს რუსი მწერალი გოგოლის „მკვდარ სულებს“, რომლის ფინალში ავტორი აქებს ცარისტულ რუსეთს. როგორც ტროიკა და ცოცხალი იამშჩიკი, ისე რუსეთიც წინ მიისწრაფვის და სხვა ერები და სახელმწიფოები გზას უთმობენო. აშკარაა, რომ ილიამ გოგოლისეული სურათის მიმართ ირონიის საჩვენებლად დახატა პოვოსკა და იამშჩიკი. ლ. მინაშვილი სწორად გვაჩვენებს ამ ირონიის მნიშვნელობას და ინტერპრეტაციას ჩვენს მოცემულ კონტექსტშიც, როცა წერს: „თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აქ ევროპელი შემთხვევით არაა რუსეთის „წინსვლის“ შემფასებლად წარმოდგენილი, ისიც ნათელი გახდება, რა განზოგადებულ შინაარსს იძენს ეს ეპიზოდი. ჯერ ერთი, ეს ეპიზოდი თავისთავად აქამდე არნახული თვალსაჩინოებით და დამარწმუნებლობით წარმოაჩენს მეფის რუსეთის ტექნიკური ჩამორჩენილობისა და სრული უბადრუკობის სურათს. საცნობელია, რომ ტრანსპორტის რაგვარობა, სამიმოსვლო გზები ერთობ ნათლად და მჭევრმეტყველურად გვიჩვენებენ ქვეყნის ტექნიკურ დონეს. გარდა ამისა ამ ეპიზოდის დიდი განზოგადებული დატვირთვა იმაშია, რომ გოგოლის მიერ პოეტიზირებული რუსეთის იმპერიის და მისი კისკისი მეფის წარმოდგენას ილია ჭავჭავაძე უნაცვლებს რუსეთის მდგომარეობის რეალურ სურათს“ (მინაშვილი 1995: 357). როგორც წერს, ილიამ დახატა ევროპასთან შედარებით კოლონიზატო-

რის, ცარისტული რუსეთის ტექნიკური ჩამორჩენილობა და სინამდვილე, რომლებიც გოგოლმა პოვოსკისა და იამშჩიკის სასიამოვნო სახით გადაფარა და დამალა, ამით ილიამ შეძლო შენინაალმდეგებოდა რუსეთის კოლონიურ სუფევას და სუფევის ნარატივს – „აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდან თქვენს გასანათლებლად“ (ჭავჭავაძე 1937: 252).

პ. ინგოროყვამ გოგოლის ტექსტი ილიას ტექსტს შეადარა და ამით დაადასტურა, რომ ილია ნამდვილად ეკამათება გოგოლს. მკვლევარი ფიქრობდა, რომ ილიამ, ამ ირონიის მკითხველისთვის მისანიშნებლად, გოგოლის მსგავსი გამოთქმა დაწერა. „ილიას როგორც სჩანს არ სურდა, რათა ეს კამათი გოგოლთან, ვუალჩამოფარებული და ოდნავ გასარჩევი ყოფილიყო, პირიქით, ილია სცდილა, რათა ეს კამათი შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო დაკვირვებული თვალისათვის, და ამიტომაც ილია სახეების ირონიულად შებრუნების დროს ხაზს უსვამს სწორედ იმავე დეტალებს, რასაც გოგოლი“ (ჭავჭავაძე 1937: 713). ამ შემთხვევაში ირონიის ნიშანი „გამეორება“ იქნება, რომელიც გასაგებია მხოლოდ იმ მკითხველისთვის, ვინც იცის გოგოლის „მკვდარი სულების“ ტექსტი. მაგრამ აქ ამ ცოდნის გარეშეც მკითხველმა კიდევ შეიძლება შეამჩნიოს ირონია სწორედ რუსულად დაწერილი წინადადებით, რომლის თანახმად იამშჩიკის რუსული ლანძღვა ენაცვლება არა მხოლოდ გოგოლის „მკვდარ სულებში“ ასახულ იამშჩიკის სიმღერას, არამედ საზოგადოდ რუსულ ლიტერატურაში ასახულ მის იერ-სახეს; მაგალითად, როგორც მინაშვილი მიგვანიშნებს, პუშკინის ლექს „ზამთრის გზაშიც“ ასახულია იამშჩიკი, რომელიც მღერის „გრძელ სიმღერას“ (მინაშვილი 1995: 356), ასევე, გარკვეული თვალსაზრისით, რუსულ ლიტერატურაში ტრადიციულად მომღერალი იამშჩიკი გარკვეულწილად რუსულ ნაციონალურ იდენტობას წარმოადგენს (Randolph 2007: 50-61). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ილიას ირონია თავისთავად მიემართება გოგოლის ტროიკასა და მომღერალ იამშჩიკს, რომელშიც იკვეთება რუსულ ლიტერატურაში ტრადიციულად წარმოსახული რუსული ნაციონალური ხასიათი.

თუმცა უფრო საინტერესოა ის, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში, რომლის სცენა კავკასიაა, ჩანს ადგილობრივი იამშჩიკი. ლერმონტოვი თავის „ჩვენი დროის გმირში“, მაგალითად, მატყუარ მეეტლეებს ასახავს: „Ужасные бестии эти азиаты! Вы думаете, они помогают, что кричат? А черт их разберет, что они кричат? Быки-то их понимают; запрягите хоть двадцать, так коли они крикнут по-своему, быки все ни с места... Ужасные плуты! А что с них возьмешь?.. Любят деньги драть с проежающих... Избаловали мошенников! Увидите, они еще с вас возьмут на водку. Уж я их знаю, меня не проведут!“ (Лермонтов 1953: 172). აქ მეეტლეები ოსები არიან, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორიენტალიზმის ცრურწმენით „ამ აზიელში“ ქართველსაც – და ზოგადად ადგილობრივ კავკასიელს – მივიჩნევთ, ასევე „მგზავრის წერილებშიც“, სადაც რუსი ოფიცერი ურევს ქართველს და სომეხს და დასცინის ადგილობრივი ერების ჩამორჩენილობას. პ. ინგოროყვა გვიხსნის იმ ფაქტის მიზეზს, რომ ცენზურამ ოფიცრის სიტყვები „ესე იგი ქართველი თუ სომეხები“ ამოშალა. „ცენზურას აქ, ცხადია, დაუნახავს ერთგვარი დაცინვა დიდმპყრობელური ყოყოჩობისა“

(ჭავჭავაძე 1937: 718). ოფიცრის ასეთი დამოკიდებულება აშკარად ორიენტალიზმის ერთ-ერთი თვისებაა; „აღმოსავლური“ ერთა ერთნაირი გაგება – ამ ერთა შორის არსებული განსხვავების უგულვებელყოფა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ციტატაში ჩანს, ადგილობრივი მეეტლეები ატყუებენ რუს მგზავრს და ამით ისახებიან ბოროტ აზიელად, რომელიც უპირისპირდება გოგოლის რუსული ეროვნული ხასიათის მქონე მომღერალ იამშჩიკს. „მგზავრის წერილებში“ კი ილია რუს იამშჩიკს ათქმევინებს ისეთ სალანძღვა სიტყვას და აძლევს ისეთ ცუდ გარეგნობას, როგორც ლერმონტოვი ადგილობრივ მეეტლეს. ამიტომაც, „მგზავრის წერილებში“, პოვოსკისა და იამშჩიკის ეპიზოდში შეიმჩნევა ის ირონიული დამოკიდებულებები, რომელიც ილიას ჰქონდა არა მარტო გოგოლის მიერ ნაქები ცარისტული რუსეთის, არამედ მისი კოლონიალიზმისა და ორიენტალიზმის მიმართაც.

ამ თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა, რომ „მგზავრის წერილებში“ პოვოსკაზე მგზავრისა და იამშჩიკის დაპირისპირება პირიქითაა წარმოდგენილი. ეს ორთა შორის უთანაბრო ურთიერთობის იერარქიული სტრუქტურა უშუალოდ კოლონიალიზმისა და ორიენტალიზმის სტრუქტურას გულისხმობს. ილია ამ სტრუქტურას პაროდულად ამოატრიალებს და წერს: „იამშჩიკმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრაღად მოაბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბღვირა, თითქო მემუქრებოდა: შენც ეგრეო“ (ჭავჭავაძე 1937: 248). ეს ის დაძაბული თვალია, რომლითაც ჩვეულებრივ კოლონიალურ გარემოებაში დაჩაგრული ხალხი კოლონიზატორს უცქერს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ აქ იამშჩიკი რუსის ნაცვლად ადგილობრივია, ხოლო მგზავრი კი, ქართველის ნაცვლად, რუსი – ეს ნორმალური ვითარება იქნებოდა რუსულ ლიტერატურაში. ამიტომაც, ვთქვათ, რომ ამ მოთხრობაში წარმოდგენილი მგზავრისა და იამშჩიკის სქემა კოლონიური იერარქიის პაროდული გადაბრუნებაა.

რაც შეეხება ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირს“ – ირონიის მესამე ნიმუში სწორედ ამ რომანიდანაა. მესამე თავში რუსი ოფიცერი ამბობს: „ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩვენი ლერმონტოვი ამბობს, რომ *дежали робкие грузины*, მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან იმ პოიებსა“ (ჭავჭავაძე 1937: 252). ლერმონტოვს, როგორც ჩანს, ოფიცერი ეთანხმება და ამიტომაც იყენებს ამ სიტყვებს, რაც, რასაკირველია, ზემოთ მოცემული ცრუორიენტალიზმის ერთ-ერთი მაგალითია, და ამის მნიშვნელობას აღარ განვიხილავთ. უფრო თვალსაჩინო ის გახლავთ, რომ ილია „მგზავრის წერილების“ სხვა ადგილებშიც ლერმონტოვის ამ ნაწარმოებთან კამათობს პაროდით. „მგზავრის წერილების“ პირველ თავში ილია ასე წერს: „როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთად-ერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსალმებლად“ (ჭავჭავაძე 1937: 247). ლერმონტოვი კი „ჩვენი დროის გმირს“ ასე იწყებს: „Я ехал на перекладных из Тифлиса. Вся поклажа моей тележки состояла из одного небольшого чемодана, который до половины был набит путевыми записками о Грузии“ (Лермонтов 1953: 172). აშკარაა, რომ ილია ლერმონტოვის გმირის ჩემოდნის პაროდის აკეთებს იმით, რომ ხაზგასმით იმეორებს „ესე იგი ჩემი ერთადერთი...“ შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ ილია ლერმონტოვის გავლენის ქვეშაც მოექცა „მგზავრის წერილების“ შექმნისას.

გადავიდეთ მეოთხე ნიმუშზე. მეოთხე ნიმუში ასევე მოცემულია მესამე თავში, სადაც რუსი ოფიცერი საუბრობს. ოფიცერი მგზავრს უხსნის თავის ოსტატურ გამოგონებაზე: ბუზებს ჩასხამს საშაქრეში და მომსახურე შაქარს ველარ პარავს. ოფიცერს არყის ქურდობის აღსაკვეთად ჯერ არ უპოვნია ასეთი ხერხი და ამბობს: „არყის ბოთლია ცი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ იხრჩობიან – гына не дуря“ (ჭავჭავაძე 1937: 254). როგორც წერია, რუსი ოფიცერი თავის გამოგონებას „სამეცნიეროდ“ აღიქვამს და სერიოზულად ამბობს: „გთხოვთ, თქვენც (იგულისხმება მგზავრი – ჰ. ს.) გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ“ (ჭავჭავაძე 1937: 254). აქაც, მისი აზრის კოლონიალიზმისა და ორიენტალიზმის ხასიათი ცხადად ჩანს. მაგრამ მისი სერიოზული საუბრისაგან განსხვავებით, ამ ბუზების ეპიზოდიდანაც შევამჩნევთ, რომ სინამდვილეში მისი აზრი და საუბარი, ისევე როგორც რუსული კოლონიალიზმი და ორიენტალიზმი, სულ უშიშარო ყოფილა; ნარატივის წინაპირობაა ის, რომ რუსეთი განათლებული ქვეყანაა, და ეს განათლება კი დასავლელი ევროპიდანაა გადატანილი. ამ თვალთახედვით რუსი ოფიცრის მიერ აღნიშნული სიტყვები – „ცივილიზაცია, ასოციაცია, არღმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოსოფია“ (ჭავჭავაძე 1937: 252) – ევროპული განათლების სამაგალითო კონცეფციებს წარმოადგენს. ამიტომაც ოფიცერმა მგზავრს ჰკითხა, იცის თუ არა ეს სიტყვები. ამ უკანასკნელს თურმე უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და, რასაკვირველია, უფრო კარგადაც იცის ციტატის მნიშვნელობა, ვიდრე უაზრო ოფიცერმა... ვფიქრობთ, ოფიცრის მხატვრული სახე იმისთვისაა შექმნილი, რომ ავტორმა რუსული კოლონიალიზმის და ორიენტალიზმის დისკუსიის სიცრუე აჩვენოს; გამოააშკარავოს, რომ ევროპული განათლება სინამდვილეში რუსეთსაც კი არ მიუღია და არ შეუთვისებია სათანადოდ. იგივე თვალსაზრისი, რასაკვირველია, პირველ თავში ფრანგი მგზავრის სიტყვებშიც მჟღავნდება. აი, ესაა, რასაც ირონიის მეოთხე ნიშანს ვუნოდებთ.

ირონიის ამ ნიშნით შესაძლოა საგულისხმო იყოს ის ფაქტი, რომ თვითონ ოფიცერს ბუზებზე უარესი გემოვნება აქვს. როცა ოფიცერი მგზავრს სიტყვა „განათლების“ მნიშვნელობას ბნელი ოთახის მეტაფორით უხსნის, უცებ ჰკითხავს, სადაურია ჩაი და პაპიროსი, რომლითაც მგზავრი გაუმასპინძლდა. ოფიცერს ეგონა, რომ ჩაი მოსკოვურია და პაპიროსი კი – პეტერბურგული. სინამდვილეში ჩაი თურმე სტავროპოლში ყოფილა ნაყიდი და პაპიროსი კი – ვლადიკავკასში. ასე რომ, ოფიცერს დახვეწილი გემოვნება სულაც არ აქვს და მისი სიტყვები – „гына не дуря“ – ამ კონტექსტში საკმაოდ ირონიულად ჟღერს.

აქამდე იმას ვარკვევდით, თუ როგორ აისახება „მგზავრის წერილებში“ ცარისტული რუსეთი და საქართველოს კოლონიური ვითარება კოლონიზებული ერის პოზოციიდან, რომლის წარმომადგენლად ამ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე მიგვაჩნია. „პეტერსეულ“ პარადიგმაში ჩავარდნის ასაცილებლად, გავიხსენოთ, რომ ჩვენი ინტერესი ისაა, თუ როგორ აღიქვამდნენ რუსეთის მიერ კოლონიზებული ერები, ამ შემთხვევაში – საქართველო, თავიანთ კოლონიზაციას.

„მგზავრის წერილებში“ ილია რუსეთის კოლონიური სუფევის სინამდვილეს პაროდითა და ირონიით აკრიტიკებს, და ირონიაზე მისანიშნებლად ე. წ. ირონიის

ნიშნებს იყენებს. პაროდიის ოთხი ნიშნიდან „მგზავრის წერილებში“ გამოყენებულია სხვადასხვა ტექსტიდან მასალის აღება და მისი შესაბამის კონტექსტში გამოყენება. გარდა იმისა, რაც აქამდე აღვნიშნეთ, პ. მანინგი კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ შესაძლოა გრიბოედოვის სამგზავრო დღიურმა ზეგავლენა მოახდინა ილიაზე. „ი. ჭავჭავაძემ თავისი ნაწარმოების სათაურად და ჟანრად გამოიყენა რუსი რომანტიკოსი მწერლის, გრიბოედოვის მიერ იმავე მოგზაურობაზე გაცილებით ადრე, 1818 წელს დაწერილი „მგზავრის წერილები“ (რუსული სათაური Путевые заметки – ჰ. ს.), რომელიც გამოქვეყნდა ილიასეულ „მგზავრის წერილებზე“ სულ რამდენიმე წლით ადრე, 1859 წელს, რამაც ამ ნაწარმოებს უცნაური თანამედროვეობა შესძინა“ (Manning 2012: 39). რასაკვირველია, მოგზაურობის ჟანრი საყოველთაოა ყველა დროში და ყველა ადგილას: „მოგზაურობის ჟანრიც უძველესი დროიდანვე ერთობ გავრცელებული ჟანრია როგორც არამხატვრულ, ისე და მომეტებულად მხატვრულ ლიტერატურაში. ამ ჟანრს მიმართავდნენ სხვადასხვა ლიტერატურული ინტერესების და ესთეტიკურ-მხატვრული ამოცანების პირობებში“ (მინაშვილი 1995: 355). თუმცა, მანინგის თქმით, გრიბოედოვის მგზავრობის მიმართულება განსხვავებულია ილიასგან, ანუ მოგზაურობის ჟანრი იმითაა განსაზღვრული, რომ ავტორი სამშობლოდან უცხოეთში მოგზაურობს, ხოლო ილია პირიქით, უცხოეთიდან – სამშობლოში. „ი. ჭავჭავაძე ცვლის იმ მოლოდინს, რაც შეიძლება იყოს სათაურისა და ჟანრისაგან, ითავისებს უცნაური, ირონიულად განწყობილი მგზავრის როლს, რათა უკეთ შეიცნოს თავისი სამშობლო“ (Manning 2012: 39). ჩვენ არ გვაქვს საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ ილიას ნამდვილად აქვს წაკითხული გრიბოედოვის დღიური და ამ დღიურმა ზეგავლენა მოახდინა „მგზავრის წერილებზე“. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ილიამ „მგზავრის წერილები“ შექმნა არა მხოლოდ რუსული ლიტერატურული ნაწარმოებების ზეგავლენის ქვეშ, არამედ, რასაკვირველია, ქართულისა, რომელთა შორისაც არის გრ. ორბელიანის „სალამო გამოსალმებისა“, „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“ (ინგოროყვა 1983: 238-239) და რუსთაველის ბრწყინვალე „ვეფხისტყაოსანიც“. მანინგი ამ მდგომარეობას, სხვათა შორის, ტერმინით „ლიტერატურული ნათესაობა“ სახელდება (Manning 2012: 39) ერთი სიტყვით, როცა ჩვენ „მგზავრის წერილებს“ ვაანალიზებთ, რუსული და ქართული ლიტერატურის წინამავალ ტექსტებთან არსებული ინტერტექსტუალობა უნდა განვიხილოთ, რადგანაც იმ დროს კავკასია და საქართველოს სამხედრო გზა განსაკუთრებული ლიტერატურული ტოპოსი იყო.

ინტერტექსტუალობას ილია „მგზავრის წერილებში“ პაროდიისა და ირონიის სახით წარმოადგენს და ამით რუსულ კოლონიალიზმსა და ორიენტალიზმს საყვედურობს. თუმცა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, რომ ილიას პაროდიული და ირონიული დამოკიდებულება არ ნიშნავს მკაცრ წინააღმდეგობას რუსეთისგან, რადგანაც, ჰატჩინონის გარკვეული თეორიის თანახმად, პაროდია ორიგინალურ ტექსტს კი არ უარყოფს, არამედ აღიარებს. „პაროდია, მისი ირონიული „ტრანს-კონტექსტუალიზაციური“ და ინვერსიული გაგებით, წარმოადგენს განსხვავებულ განმეორებას. ძირ ტექსტსა და მასზე დაფუძნებულ პაროდიულ ნაწარმოებს ერთმანეთისაგან აშორებს კრიტიკული მანძილი, ჩვეუ-

ლებრივ ირონიით მინიშნებული კრიტიკული მანძილი (Hutcheon 1985: 32). ასეთი ხასიათი პაროდიას თუ აქვს, მაშინ მისი მანიფესტური ხასიათის მქონე ნაწარმოებები „მგზავრის წერილებიც“ გარკვეულწილად გვიჩვენებს, რომ ილია კოლონიურ ვითარებასაც არ უპირისპირდება სასტიკად, არამედ ჯერ მის არსს აღიარებს და მერე „კრიტიკული მანძილით“ პაროდირებს და აკრიტიკებს. ასეთი ინტერტექსტუალობითი გაგება გვაძლევს კოლონიზატორი ერისა და კოლონიზებული ერის დიქოტომიური მკაცრი დაპირისპირებისგან, რომელსაც მოჰყვება ის დასკვნა, რომ კოლონიზატორი ავია და კოლონიზებული კი კარგი. ეს დიქოტომიური გაგება აღნიშნული ორიენტალიზმის დიქოტომიასთან ერთი და იგივე დამოკიდებულებაა. პოსტკოლონიურმა შესწავლამ ამ ორთა შორის არსებულ სათუთ და რთულ ურთიერთქმედებაზე უნდა გადაგვატანინოს ყურადღება.

კონკრეტულად, ილია, პაროდის საშუალებით, რუსეთის ჩამორჩენილებას ევროპასთან შედარებით აკრიტიკებს. მაგრამ, რასაკვირველია, ამით არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ, ილია სასტიკად ეწინააღმდეგებოდა რუსეთს. საყურადღებოა ის, რომ იგი რუსეთთან საქართველოს ჩამორჩენილობაზეც მიგვანიშნებს პოვოსკის ეპიზოდში; როცა ცხენებმა პოვოსკა ვერ დასძრა და მგზავრმა ფრანგ მეგობართან ერთად იცინეს, იამშჩიკმა მას გაუხსენა, „შენც ეგრეო“. ამ ჩამორჩენილობის ამოცანის გადასაჭრად ილია ევროპური (და რუსულიც) პროგრესული ცოდნისა და განათლების პეტერბურგიდან გადამტანის როლს თამაშობდა. ამ ფაქტს, რომელიც მინაშვილის ნათქვამიდანაც დადასტურებულია, დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას ვაფასებთ: „მართალია „მგზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძე თავს ესხმის რუსეთის იმპერიულ ზრახვებს, მის უგუნურ ჩინოვნიკურ მმართველობას, მის შოვინისტურ მისწრაფებებს, ილია ჭავჭავაძეს არასდროს არ ტოვებს ობიექტურობის გრძნობა, იგი შესანიშნავად იცნობს რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას, რუსეთის დიდ ლიტერატურასა და კულტურას და სათანადოდ მიუზღავს მას ყველგან, სადაც ამის საშუალება მიეცემა და ბუნებრივია აქაც, ამ თხზულებაშიაც, როცა ჯერ თხზულების დასაწყისში გატაცებით საუბრობს იმ ოთხი წლის მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც მან რუსეთში გაატარა „ჭკუის სავარჯიშოდ, ტვინისა და გულის მოძრაობის მისაცემად“ (მინაშვილი 1995: 363-364) და ამ რუს თანამოაზრეებთან გაზიარებული ევროპული ცოდნით იგი ბედავდა კოლონიზაციისაგან საქართველოსა და ქართველ ხალხის სხნას, რომლებიც „მგზავრის წერილებში“ ლელთ ლუნიას პერსონაჟითაა წარმოდგენილი. „მგზავრი, თერგდალეული ინტელიგენცია, რომელმაც „უცხოეთში“ (პეტერბურგი, მისი უნივერსიტეტისა და არა „იზლერის ბალების“ სახით, ჩვენთვისაც ევროპაში, ანუ ახალ დროში „გაჭრილი ფანჯარა“ აღმოჩნდა, ვიდრე საკუთარ უნივერსიტეტს დავაარსებდით) შეიძინა სამშობლოს „გულისტკივილის მომარჩენელი“ „ახალი სათქმელი“ „ღვიძლი სიტყვა“. „სიტყვა“ რომ „საქმედ“ ექცეს, მან ეს ცოდნა მოხევეს – ქართველ ხალხს უნდა გადასცეს. ეს სიმბოლიზებულია მათი შეხვედრითა და სამშობლოში ერთად სვლით“ (კანკავა 2003: 130-131). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნოთ, რომ ილია არა უბრალოდ რუსეთს ეწინააღმდეგება, არამედ რუსული თანამოაზრეებისაგან იცნობს და იზიარებს იმ თვალსაზრისს,

რომ ევროპული ცოდნითა და განათლებული აზრით შეიძლება მიაღწიოს უკეთესი მდგომარეობისკენ. ამიტომაც „მგზავრის წერილებში“ იგი იყენებს პაროდისა და ირონიას, რომელის კრიტიკული მანძილიდან უცქერს რუსეთს, მის კოლონიალიზმსა და ორიენტალიზმს.

„ცნობილია, რომ XIX ს. ევროპაში, მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი წარმატებების გავლენით, საზოგადოებრივი პროგრესის რწმენის საუკუნე იყო. ასე ფიქრობდნენ საქართველოშიც. ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძეც“ (თევზაძე 2010: 5). ილიასთვის რუსეთის კოლონიზაციის კრიტიკის იარაღი ევროპული ინტელექტი და წინსვლის რწმენაა. კოლონიურ გარემოში ამ იარაღის შეტანის საქმეში ილიას წვლილი ძალიან დიდია. სწორედ ამ იარაღის გამოყენებით, ცარისტული რუსეთის კოლონიალიზმისა და ორიენტალიზმის ხუხულა მან პარადიითა და ირონიით შეარყია. პოსტკოლონიალიზმის თვალსაზრისით კი, რომელიც ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ევროცენტრიზმს მიიჩნევს, ჩნდება კითხვა: ხომ არ უნდა გადავავასოთ ეს ევროპული საფუძველი?

დამონშებანი:

Ch'avch'avadze, Ili. *Tkhzulebani Sruli K'rebuli Khut T'omad*: T'. I. *Leksebi, P'oemebi, Motkhroebi*.

Tbilisi: sakhelmts'ipo gamomtsemloba, 1937 (ჭავჭავაძე, ილია. *თხზულებანი სრული კრებული* ხუთ ტომად: ტ. I. *ლექსები; პოემები; მოთხრობები*. თბილისი: სახელმცოდნეო გამომცემლობა, 1937).

Hutcheon, Linda. *A Theory of Parody: The Teachings of Twentieth-century Art Forms*. New York: Methuen, 1985.

Hutcheon, Linda. *Irony's Edge: The Theory and Politics of Irony*. London and New York: Routledge, 1994.

Ingoroq'va, P'avle. *Akhali Kartuli Lit'erat'uris Pudzemdebelni: Nik'oloz Baratashvili; Ili Ch'avch'avadze; Ak'ak'i Ts'ereteli*. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1983 (ინგოროყვა, პავლე. *ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი: ნიკოლოზ ბარათაშვილი; ილია ჭავჭავაძე; აკაკი წერეთელი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1983).

K'ank'ava, Giorgi. „Ilias „Mgzavris Ts'erilebi“ da Bok'lis „Tsvivilzatsiis Ist'oria Inglisshi“. *Sjani*, IV. 2003 (კანკავა, გიორგი. „ილიას „მგზავრის წერილები“ და ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“. *სჯანი*, IV. 2003).

Minashvili, Lado. *Ili Ch'avch'avadze: Tskhovreba da Shemokmedebiti Asp'ekt'ebis dakhasiateba*. Tbilisi: Tbilisis universitetis gamomtsemloba, 1995 (მინაშვილი, ლადო. *ილია ჭავჭავაძე: ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995).

Layton, Susan. *Russian Literature and Empire: Conques of the Caucasus from Pushkin to Tolstoy*. Cambridge: Cambridge University Press, 1994.

Lermontov, M.J. *Polnoe Sobranie Sochinenii v 4 Tomakh*. M.: Izd. Pravda. 1953.(Лермонтов, М.Ю. *Полное собрание сочинений в 4 томах*. Т.4. М.: Изд. Правда, 1953).

Manning, Paul. *Stranger in a Strange Land: Occidental Publics and Orientalist Geographies in Nineteenth-Century Imaginaries*, Boston: Academic Studies Press, 2012.

Ram, Harsha. „Between 1917 and 1947: Postcoloniality and Russia-Eurasia“. *Are We Postcolonial? Post-Soviet Space: Annual Meeting of the American Association of Teachers of Slavic and East European Languages. Washington, D.C 29 December 2005. PMLA*, 121, 3(2006), 831-833.

Randolph, John. „The Singing Coachman or, The Road and Russia's Ethnographic Invention in Early Modern Times“, *Journal of Early Modern History*, 11. 1-2(2007), 33-61.

Tevzadze, Guram. *Ilia Ch'avch'avadze da Tanamedrove Azrovneba*. Tbilisi: gamomtsemloba Carpe Diem, 2010 (თევზაძე, გურამ. *ილია ჭავჭავაძე და თანამედროვე აზროვნება*. თბილისი: გამომცემლობა Carpe Diem, 2010).

**Hayate Sotome
(Japan)**

Parody and Irony of “Letters of Traveler” from the Postcolonial Point of View

Summary

Key words: Postcolonialism, Orientalism, Ilia Ch'avch'avadze, Parody, Irony.

Russian orientalism studies reveal the facts that Russian poets and writers have created a lot of works about Georgia and Caucasus for centuries, perceiving the place as Russian Orient. For Russians, Georgia and Caucasus were the places inhabited by wild, violent and unenlightened people. When many scholars of Russian literature engaged themselves in the studies of Russian orientalism, they perceived Orient from Russian point of view only. This concept is criticized by H. Ram's term, “Peter's paradigm.” Now we must look at the paradigm from oriental point of view, regarding this thoughts and representations by oriental people.

Ilia Ch'avch'avadze is a national canonic writer of the 19th century Georgia, and his early prose work “Letters of a Traveler” have been estimated as his literary manifesto. This work illustrates all thoughts and feelings of a traveler during his travel from Vladikavkaz to Tbilisi, after leaving the university of St. Petersburg, and expresses the pain the author suffered from seeing the situation of colonized Georgia.

It should be noted that I. Ch'avch'avadze, who regards Georgian language as one of the gifts from the God and establishes the Society for Spreading Literacy among Georgians, uses Russian sentences written with Cyrillic script in the work. We should consider the style as the ironic signs defined by literary theorist L. Hutcheon. By employing the signs, the writer notifies the readers about his own ironic intention to criticize Russian orientalism and colonialism.

Ch'avch'avadze's parody and irony derive from works of Russian poets: A. S. Griboedov's “The Woes of Wit”; A. S. Pushkin's “The Winter Load”; N. V. Gogol's “Dead Souls”; M. J. Lermontov's “The Hero of Our Time.” Using parody and irony, he discusses tsarist Russia's colonial discourse; the main discourse to justify colonial rule is enlightenment of Georgia.

On the one hand, a Russian coachman described by the author in first chapter of the work is represented as an ugly and lazy man. One of examples of this ugliness is shown by his abusive words which are written in Russian. Here we can feel parody and irony of Gogol's "Dead Souls," in which a Russian coachman represents tsarist Russia's satisfaction. Also, the representation of Russian coachman in "Letters of a Traveler" is a parody of hierarchical structure of colonial situation. In general, it is often local people who play role of coachman when writers of Russian literature represent Caucasus. However, in Ch'avch'avadze's work, this structure is inverted; the traveler is Georgian and the coachman is Russian, and the former hires the latter.

Furthermore, in third chapter the traveler meets a Russian officer, who eloquently preaches to the traveler about the greatness of enlightened Russia and the need of enlightenment for Georgia. However, the writer ironically and humorously indicates the fact that the officer is not enlightened enough to look down on the traveler, who in fact studied at university and now is going back to his homeland. Readers can easily notice this fact not only from senseless conversation of the officer, but also from his two sentences written in Russian. One of them is a citation from Lermontov's "Hero of Our Time," the parody of which is made by the author in another part of this work as well, and in which a Russian officer looks down on local people. The other sentence is a Russian idiom. With the help of the idiom, concerning the "scientific invention" which prevents his servant from stealing sugar, the author emphasizes the officer's shallow understanding of European scientific thought.

Thus, Ch'avch'avadze criticizes tsarist Russia's colonial rule for the reason that, in comparison with Europe, Russia is clearly less enlightened. Therefore, its justification of colonial rule of Georgia becomes pointless. This argument is clearly shown in first chapter; when the traveler leaves Vladikavkaz, his new French acquaintance laughs at his Russian coach and coachman because of technological backwardness of the coach and ugly behavior of the coachman. Needless to say, this episode is ironically resonant with the colonial discourse the Russian officer delivers in third chapter. However, we should note that the object The French laughs at is the traveler itself as well.

Despite the fact that his work was banned from publishing due to his severe criticism to tsarist Russia, shouldn't think that he simply denies Russia's importance. Of course, he criticizes Russia's tsarism, colonialism and orientalism, but he simultaneously acknowledges the value of Russian culture, literature and thought of his contemporary progressive thinkers. He played an important role in bringing European (and Russian as well) progressive thought to Georgia in order to save Georgia(n) from colonialism. Iliia Ch'avch'avadze shares European thought with Russian contemporaries, that is the reason why he employed parody and irony; he tries to look at Russian empire from – in Hutcheon's phrase – "critical distance." When we read "Letters of a Traveler," we must consider this intertextuality, which is indicated by parody and irony.

Now there arises a question; should we reevaluate this attitude toward Europe from the postcolonial point of view, since Eurocentrism is one of the main problems of postcolonial studies.

ქართული მწერლობის სისტემური შესწავლის ისტორიიდან
(ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ზანდუკელი)

შესავალი

ლიტერატურის, როგორც ერთიანი პროცესის, თეორიული გააზრება მე-19 საუკუნეში იწყება. ამავე საუკუნით თარიღდება ლიტერატურათმცოდნეობის ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბება: თანდათან გამოიკვეთა შესწავლის საგანი, საფუძველი ეყრება ლიტერატურის ერთიან თეორიას (გაერთიანდა „პოეტიკა“ და „რიტორიკა“), დგინდება მხატვრული შემოქმედების ძირითადი კანონზომიერებები, ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებები და სხვა. დიდი ყურადღება ეთმობა მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთკავშირს, შეიქმნა „ლიტერატურის ისტორიები“. მეცნიერული აზრი ნელ-ნელა დასცილდა სინკრეტიზმს. კრიტიკოსები, ლიტერატურული მოვლენების სისტემატიზაციისას, ერთ-ერთი რომელიმე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: ბიოგრაფიულით, ისტორიულით, ესთეტიკურით, კრიტიკულ-ესეისტურით და ა.შ. ისეთი ზოგადი ხასიათის ნაშრომებშიც კი, როგორც არის ვილმენის „ფრანგული ლიტერატურის კურსი“, სენტ-ბევის მეცნიერული შრომები, ჰეტნერის „XVIII საუკუნის ლიტერატურის ისტორია“, შელის „პოეზიის დაცვა“ და სხვა კვლევა მხოლოდ XVIII საუკუნით შემოიფარგლა*. თუმცა, ყოველი მათგანი, განსაკუთრებით სენტ-ბევი და ვილმენი, ხშირად განიხილავდნენ თანადროულ ლიტერატურულ პროცესს.

ლიტერატურული პროცესის პერიოდებად დაყოფა (პერიოდიზაცია), არა მხოლოდ მისი სისტემატიზაციის, არამედ შეფასების ძირითადი კრიტერიუმების დადგენა გახლავთ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთიან სისტემაში გააზრებისა და სისტემატიზაციის პირველი მცდელობა მე-19 საუკუნეში იწყება. მე-19 საუკუნის ქართული კრიტიკის კვლევის ძირითადი საგანი თანადროული ქართული მწერლობის წინაშე მდგომი პრობლემებისა და ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებების გააზრება იყო. ცნობილი ქართველი მოღვაწეების ს. დოდაშვილის, ა. ცაგარელის, ა. ხახანაშვილის, ი.ჭავჭავაძისა და კ. აბაშიძის წერილებში გამოიკვეთა, თუ რა გზით ვითარდებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპების დამუშავების პროცესი. 2013 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ ძიებან“-ში გამოქვეყნებული ჩვენი წერილი სწორედ

* მაგალითად, შელის „პოეზიის დაცვის“ პირველი ნაწილი შეიცავს ანტიკური და აღორძინების ხანის მწერლობის ზოგადი პრინციპების მიმოხილვას, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც უნდა დათმობოდა თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის დახასიათებას პოეტს არ შეუქმნია.

მათი ღვაწლის შეფასების პირველი მცდელობა გახლავთ*. ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მიუხედავად მთელი რიგი თავისებურებებისა, როგორც ქრონოლოგიურად, აგრეთვე აზრობრივად, მე-19 საუკუნის ქართული კრიტიკული აზროვნება ზოგადევროპულ კრიტიკულ კონტექსტში ვითარდებოდა: თანდათან ყალიბდება ლიტერატურული პროცესის თეორიული შეფასება, მუშავდება თეორიული პრინციპები (ისტორიულ-ქრონოლოგიური → მხატვრულ-ესთეტიკური → ჟანრობრივი → ისტორიულ-მედარებითი), იხვენება და მდიდრდება ტერმინოლოგია.

წინამდებარე წერილში ჩვენ განვიხილავთ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული პროცესის სისტემატიზაციისა და მისი შეფასების ძირითადი კრიტერიუმების დადგენის ისტორიას.

I. ვახტანგ კოტეტიშვილი

ვახტანგ კოტეტიშვილს ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომი – ქართული მწერლობის ისტორიის სამტომეული, რომელიც 1925-1927 წლებში დაიბეჭდა. კოტეტიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს თავის წინამორბედთა – ალექსანდრე ხახანაშვილის, კიტა აბაშიძისა და კორნელი კეკელიძის შრომებს.

კოტეტიშვილის მიერ შემუშავებული პერიოდიზაცია ბევრს მეტყველებს მის კონცეფციასზე. ჩვენი კვლევისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის გარემოება გახლავთ, რომ შესავალ წერილში, სხვა მნიშვნელოვან თეორიული საკითხების განხილვასთან ერთად, კრიტიკოსი ყურადღებას იმ მეთოდებზე ამახვილებს, რომლითაც უნდა მოხდეს ლიტერატურული მოვლენებისა და ტექსტების კვლევა, ლიტერატურის ისტორიისთვის საჭირო მეთოდოლოგიური პრინციპების დადგენა. კოტეტიშვილი „კვლევის მეთოდის“ ცნების განსაზღვრისას გამოყოფს „საკითხის ორ მხარეს“: ა) მეთოდს, „როგორც მხატვრული შემოქმედების კვლევის საშუალებას და ბ) მეთოდს, როგორც „მხატვრული შემოქმედების ისტორიის გამოკვლევის საშუალებას“. პირველ შემთხვევაში, მეცნიერის შეხედულებით, დგება „პიროვნული შემოქმედების გარკვევის საკითხი“, ინდივიდუალური ხასიათის ან საგნის იმანენტური შესწავლის ამოცანა. მეორე შემთხვევაში კი, მიიჩნევა კრიტიკოსი, ხდება ლიტერატურული „ევოლუციის ანუ საგნის კაუზალური“ შესწავლა, შემდეგ კი იმ „ზნეობრივი ტემპერატურის“ (იპოლიტ ტენი), დროებით გარემოებების, „საერთო კულტურული მოქმედების“ დადგენა, რომლის გაურკვევლადაც ლიტერატურის ისტორიის დაწერა შეუძლებელია. კოტეტიშვილი დარწმუნებულია, რომ მხატვრული შემოქმედების სისტემატიზაციის კვლევისას ერთი ცალკე აღებული რომელიმე მეთოდი ვერ გამოადგება, საჭიროა ერთგვარი „პლურალიზმი“. კრიტიკოსის შეხედულებით, ამ მეთოდთა კლასიფიკაციის და მრავალი განშტოების ერთმანეთთან დაახლოების შემთხვევაში, მივიღებთ სამ ძირითად მეთოდს – ისტორიულს, ევოლუციურსა და შედარებითს. ცხადია, რომ

* იხ.: თამარ ციციშვილი, ირინე მოდებაძე. ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური შესწავლა XIX ს. კრიტიკულ აზროვნებაში. ლიტერატურული ძიებანი (Literary Researches), XXXIV. თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013, გვ. 177-194.

მეცნიერი მეთოდოლოგიური სინთეზის აუცილებლობაზე მიუთითებს: „გვეგონია, ეს სამი ძირითადი მეთოდი სავსებით გაარკვევს ლიტერატურის ისტორიის, როგორც ერთი მთლიანობის შესწავლას“.

ვახტანგ კოტეტიშვილი თავის თხზულებაში მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შეაფასებისას, რეტროსპექტულად მიმოიხილავს მე-17 – მე-18 საუკუნეების ქართულ მწერლობასაც, მაგრამ მისი მთავარი მიზანი უშუალოდ მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ანალიზია, რომელსაც მეცნიერი ლიტერატურული პროცესის დინამიკაში გვანვდის. კრიტიკოსი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ყოველი ახალი ეტაპის კვლევის და იმ პერიოდში მოღვაწე მწერალთა პორტრეტების შექმნის წინ თვალს გადააეღებს ეპოქის პოლიტიკურ ფონს, „იდეურ ვითარებასა“ და ზოგადევროპულ ლიტერატურულ-კულტურულ კონტექსტს.

ვახტანგ კოტეტიშვილი მე-19 საუკუნის მწერლობას რომანტიზმის დახასიათებით იწყებს, კვლევა გრძელდება „საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობით 40-50-იან წლებში“. მისი თვალთახედვით, ეს რეალიზმის აღმოცენების ხანაა. შემდეგი ნაწილია „სამოციანი წლები, როგორც ახალი პერიოდის დასაწყისი ქართულ ლიტერატურაში“ – რეალიზმის ეპოქა, რომლის შთამაგონებლები, რასაკვირველია, თერგდალეულები იყვნენ. თერგდალეულთა პერიოდს მეცნიერი ალორძინების ხანას ადარებს. ამას მოსდევს „ქართული საზოგადო ცხოვრება და ლიტერატურა 80-იან წლებში“, „ნეორომანტიზმი“ და შრომა სრულდება „1890-1900 წლების მწერლობის“ ანალიზით. 80-90-იან წლებში კოტეტიშვილი გამოყოფს „იმედის ჯგუფს“ – ხალხოსნებს. კრიტიკოსის აზრით, მათ „ახალი კოლორი“ შესძინეს ქართულ ლიტერატურას. ნაშრომი მთავრდება იმ მწერლებით, ვინც მესამე დასის სახელით გამოვიდა ასპარეზზე. მე-19 საუკუნის ლიტერატურული პროცესის პერიოდებზე საუბრისას კოტეტიშვილი თითოეული პერიოდის დამახასიათებელ ტენდენციებს გამოყოფს:

1. კრიტიკოსის თვალსაზრისით, ქართველი რომანტიკოსების პირველწყარო პატრიოტიზმია. ქართულმა მწერლობამ რომანტიკული სიტყვით გამოხატა კრწანისის ტრაგედია და ქართული რომანტიზმიც კრიტიკოსს ამ ქარტეხილის ღვიძლ შვილად ესახება. მეცნიერის მოსაზრებით, ქართული რომანტიზმი ევროპულ რომანტიზმს მისდევს, მაგრამ ჩვენში ის საზოგადოებრივ-ეროვნული ცხოვრების კატასტროფის შედეგი იყო. ევროპაში რომანტიზმი განახლებისათვის ბრძოლაა, საქართველოში კი – უმთავრესად „ნაღვლიანი ოხვრა წარსულზე, ხელის ჩაქნევა ანმეოზე და მომავლის სკეპტიკური ჭვრეტა“. მკვლევარი დიდ ყურადღებას ანიჭებს ქართული რომანტიზმის პოეტიკას. ის დადებითად აფასებს აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ერთგვარ სინთეზს ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში. გრიგოლ ორბელიანი, მისი შეხედულებით, არ თავსდება რომანტიზმის დადგენილ საზღვრებში, რადგან ორბელიანმა ვერ შესძლო რეალიზმის ღალატი, თავის თავშივე მოახდინა შინაგანი გარდატეხა და ჰაინეს მსგავსად, დაამარცხა რომანტიზმი, თუმცა სავსებით ვერ განთავისუფლდა „ეპოქის იდეური ქროლვისგან“. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების საფუძველს კოტეტიშვილი ეროვნულ რომანტიზმს უკავშირებს, რომელიც ევროპული რომანტიზმიდანაა

ნასაზრდოები. ბარათაშვილმა შექმნა ახალი ატმოსფერო და მისგან მომდინარე შთაგონება „ჯერ კიდევ აცოცხლებს და ასაზრდოებს ქართულ მხატვრულ სიტყვას“ (კოტეტიშვილი 1965: 149). კრიტიკოსის მოსაზრების თანახმად, ვახტანგ ორბელიანის პოეზია, ერთი მხრივ, ტრადიციული ქართული რომანტიზმის ხაზს მიყვება და, მეორე მხრივ, ევროპული რომანტიზმის ნიშნებს ატარებს. თუმცა ვ. ორბელიანთან მკვლევარი რომანტიზმის დასასრულსა და რეალიზმის დასაწყისზე მიგვანიშნებს. ეს ის რეალიზმია, რომლის ჩანასახს საზოგადოდ რომანტიზმი ჯერ კიდევ საკუთარ თავში ატარებს და „არა ახალი შემოქმედებითი მეთოდის მომარჯვებით გამოწვეული მხატვრობა“ (კოტეტიშვილი 1965: 165).

2. 1840-50-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის აღმოცენების ხანა იწყება. კრიტიკოსის მოსაზრებით, ეს პერიოდი თერგდალეულთა მოძრაობისა და მრავალსაუკუნოვანი ქართული პროზის აღორძინების მოსამზადებელ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. წინა თაობისაგან განსხვავებით, „მწერლობა წარსულ დროებზე დარდს იკლავს და სინამდვილეს, ყოველდღიურობას აცხადებს ლიტერატურის მთავარ ამოცანად“ (კოტეტიშვილი 1965: 185). კოტეტიშვილი ევროპიდან ჩვენში „გადმოქანებულ“ საერთო ლიტერატურულ ტენდენციებზე საუბრობს. საქართველოშიც თანდათან იცვლება ესთეტიკური მსოფლმხედველობა. რეალიზმი ვახ. კოტეტიშვილისათვის უმთავრესად სტილის საკითხია, „შემდეგ კი თემისა, მთავარია გამოთქმისა და გამოსახვის მანერა და არა ობიექტი. ის რაც არის, თუ გამოითქმის ისე როგორც არის და არა ისე, როგორც მხატვარს უნდა, იდეალურად“ (კოტეტიშვილი 1965: 189). ამ პერიოდს მეცნიერი გიორგი ერისთავით იწყებს, ვინც სათავე დაუდო რეალიზმს, შემოიტანა ახალი ჟანრი – „დრამატიული“ მწერლობა, ტრაგედიის საგანი კომედიის საგნად აქცია და სხვა იდეა და პერსპექტივა მისცა ჩვენს მწერლობას. თუმცა „ერისთავმა მხოლოდ ახალი კვალის გავლება შესძლო და არა მთელი და დამთავრებული გზის შექმნა“ (კოტეტიშვილი 1965: 189). ვახტანგ კოტეტიშვილის ღრმა რწმენით, ამ ეტაპზე ქართული პროზა დაქვეითებული და გადაშენებულია. ქართული პროზის რესტავრაციას კი მეცნიერი დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანის, ალექსანდრე ორბელიანის, გრიგოლ რჩეულიშვილის, მელანია ბადრიძისა და ბარბარე ჯორჯაძის დამსახურებად მიიჩნევს.

3. 1860-იანი წლების ქართული მწერლობა კოტეტიშვილს უკვე აღორძინების ეპოქას აგონებს. მეცნიერი პირდაპირ აცხადებს, რომ თერგდალეულები, ილიასა და აკაკის მეთაურობით, რევოლუციონერებით შემოიჭრნენ მწერლობაში და თამამად ეკვეთნენ „მამების მყუდრო, პატრიარქალურ ოჯახს და მამების მიერ აგებული კერპები დაამსხვრიეს“. იწყება აზროვნების სრულიად ახალი ეტაპი, მაგრამ მკვლევარი კარგად აცნობიერებს, რომ „რომანტიზმი და რეალიზმი არსად არ შეჯახებიან ერთმანეთს იქ, სადაც ფორმალური და საგნობრივი პოლიარობა იწყება“ (კოტეტიშვილი 1965: 301). „სადემარკაციო ხაზის“ გაყვანა რომანტიკოსებსა და რეალისტებს შორის ძალზედ რთულია, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიამ თერგდალეულების სახელთან რეალიზმის განმტკიცება დააკავშირა, მათ ტექსტებში „რომანტიკული სულის საღმობაც არ იყო იშვიათი“. თერგდალეულები უფრო და-

უახლოვდნენ სინამდვილეს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით და ლიტერატურაში განამტკიცეს ის ენა, რომელიც ხალხის ენად არის ცნობილი (კოტეტიშვილი 1965: 301). ილია ჭავჭავაძე ეპოქის ცენტრალური ფიგურაა, მან „ლიკვიდაცია უყო“ ყველა ძველ სალიტერატურო მასალას, ხერხს, ფორმას და შექმნა ახალი, მტკიცე, დამთავრებული მხატვრული სისტემა. აკაკი წერეთელი კოტეტიშვილისათვის იქცა „იმ მეორე კარიატიდად“, ვისაც დაეყრდნო იმ პერიოდის ჩვენი ლიტერატურა. კრიტიკოსი აკაკის რეალისტ მწერლად შეიცნობს, თუმცა მის ტექსტებში ხშირად რომანტიკულ ფესვებსაც ხედავს.

ჩვენთვის ძალზე საინტერესოა ვახ. კოტეტიშვილის მოსაზრება ქართულ სინამდვილეში 1860-იან წლებში არსებული სამი დაჯგუფების შესახებ. მას სწორად შერჩეული ფაქტები უბიძგებენ, რომ მამებისა და შვილების დაპირისპირებული ბანაკის გარდა, დაინახოს საშუალო ელემენტიც, რადგან ყოველთვის „ორ უკიდურესობას, ორ აწყვეტილ პოლუსს“ შორის ჩნდება ხოლმე „საშუალო ელემენტიც“, ვინც წონასწორობის დაცვას ცდილობს. მაგრამ კოტეტიშვილი დეტალურად აღარ ჩერდება ამ საკითხზე.

4. 1870-80-იანი წლებში იწყება ახალი ეტაპი ქართულ მწერლობაში: კოტეტიშვილის დაკვირვებით, ძირეული ცვლილებები ლიტერატურაში ორმოცდაათიან წლებში დაიწყო, სამოციან, სამოცდაათიან წლებში გაძლიერდა, ხოლო ოთხმოციან წლებში ის უკვე ორგანული განვითარების სტადიაში გადავიდა, როდესაც სამოციანელთა „მთავარი ამოცანა შესრულების ფაზაში ჩადგა“, სალიტერატურო ბრძოლა უკვე სხვა იდეოლოგიასა და სხვა ჯგუფებს მოითხოვდა, ძველის ადგილი ახალს უნდა დაეპყრო, რადგან „ძველი დაიძრა თავისი ადგილიდან, ახალი პოზიციას პოზიციაზე იპყრობდა და ლიტერატურას უნდა ახალი ცხოვრების პერსპექტივა დაენახა“ (კოტეტიშვილი 1965: 403).

გიორგი წერეთელს კოტეტიშვილი სამოციანი წლების თერგდალეულები-საგან არ გამოარჩევს და თვლის, რომ ისიც რეალისტია, როგორც ილია და აკაკი, მხოლოდ ოდნავ „გადაიხრილი მაგისტრალიდან“. მეცნიერი კატეგორიულად ეწინააღმდეგება გიორგი წერეთლის ნატურალისტად გამოცხადებას, რადგან ილიას, აკაკისა და გიორგი წერეთელს „სათავე მაინც ერთი ჰქონდათ – რეალიზმი“. კოტეტიშვილის ჩანაფიქრის თანახმად, მხატვრული რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთათვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი უტილიტარიზმისა და ესთეტიკის დაკავშირებაში იყო, ხოლო შემდგომ უკვე 1880 – იან წლებში ლიტერატურულ სივრცეში დამკვიდრებულ ხალხოსანთა ტექსტები, კრიტიკოსის აზრით, უტილიტარისტულ მიმართულებას მიეკუთვნება, სადაც ესთეტიკა უარყოფილია (კოტეტიშვილი 1965: 418). მიუხედავად ასეთი მკაცრი შეფასებისა, მეცნიერს ხალხოსნობა მაინც იმ დიდი ღეროს განშტოებად ესახება, რომელსაც სამოციანელთა მწერლობა წარმოადგენდა, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი „მუხლი აიღეს სამოციანელთა ფართო და ზოგადი პროგრამიდან და გამუდმებით მასზე წერდნენ ... მაგრამ ახალი კოლორი კი შემოიტანეს ჩვენს ლიტერატურაში“ (კოტეტიშვილი 1965: 499).

1880-იან წლებში გამოსული ახალი თაობა – ხალხოსნები რუსი „წაროდნიკების“ შესამჩნევ გავლენას განიცდის და მოქმედება უმთავრესად სოფლად

გადააქვს. კოტეტიშვილის კლასიფიკაციის მიხედვით, ანტონ ფურცელაძე სრულიად გარკვეული სალიტერატურო სკოლის – ხალხოსნების დამაარსებელია. კოტეტიშვილი ა. ფურცელაძეში რუსული ჯურის ნაროდნიკს ვერ ხედავს, რადგან მან „ხალხის განთავისუფლების იდეას ეროვნული განთავისუფლების აზრიც თან ჩაატანა“. ანტონ ფურცელაძე იმ მაგისტრალის სათავეებთან დგას, რომელმაც შემდგომში ნინოშვილის შემოქმედებაში ჰპოვა ერთგვარი ციკლური დასასრული (კოტეტიშვილი 1965: 464). მკვლევარი, არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ ესთეტიკურ მხარესაც გულისხმობს: „ეს იდეოლოგიის საკითხი აღარ იყო, აქ ტრადიციამ იჩინა თავი და იმ ჩვეულებრივმა მოვლენამ რასაც თეორიისა და პრაქტიკის გაყრა ეწოდება ... თუ სამოციანელები ხალხის შესახებ წერდნენ, ახლების ლოზუნგი იყო სახალხოდ წერა“ (კოტეტიშვილი 1965: 499). კოტეტიშვილი 1880-იან წლებში ხალხოსანთა რიგებში მოიაზრებს რაფიელ ერისთავსა და იოსებ დავითაშვილს (პირველ მუშა პოეტს).

5. 1880-იან წლებში ვახტანგ კოტეტიშვილი ცალკე გამოყოფს ნეორომანტიზმს, რომლის საუკეთესო გამოვლინებად ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ტექსტები ესახება. მეცნიერი 1880-იან წლებში ქართულ კულტურულ სივრცეში ორი განშტოების ფორმირებას ხედავს. ფორმირებები თითქოსდა დაუპირისპირდნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ მკვლევარი მათ შორის არსებით წინააღმდეგობას მაინც ვერ გრძნობს: „მხოლოდ სხვადასხვა თვალსაზრისი, მიზანი კი ერთი იყო – არსებულის წინააღმდეგ ამხედრება და ადამიანის ნივთიერი და ზნეობრივი გამარჯვება“ (კოტეტიშვილი 1965: 541). პირველი მიმართულება – ხალხოსნები, იბრძოდნენ ხალხის ეკონომიური და უფლებრივი განთავისუფლებისათვის, მეორეთა ცდა იქით იყო მიმართული, რომ „ადამიანის სული აღედგინა და იბრძოდნენ სულის რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ცივილიზაციას მოჰქონდა, ეს უკანასკნელნი ლიტერატურაში დამკვიდრდნენ ნეორომანტიკოსების სახელით ... ვაჟასა და ყაზბეგის პროტესტანტობის საფუძველი სოციოლოგიურ მხარეში არ მდგომარეობდა, ის ზნეობრივ სფეროს მოიცავდა“ (კოტეტიშვილი 1965: 541). კრიტიკოსი მათ რევოლუციონერებსაც უწოდებს და ნეორომანტიკოსებს განაკუთვნებს.

6. ვახტანგ კოტეტიშვილი აანალიზებს 1890–1900 წლებს და ასკვნის, რომ ის მოძრაობა, რაც სამოციანელებმა დაიწყეს, მე-19 საუკუნის ბოლოსათვის თანდათან გაფართოვდა, უფრო მეტ სივრცეზე გადაიშალა და ახალი მიმართულებები მიიღო, საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო „მრავალგზიანი“ გახდა. ხალხში სიარულის მოწოდებამ სიახლე დაკარგა. მოდიოდა ახალი, სიღარიბეში აღზრდილი თაობა, ვინც მსჯელობას მოქმედებასა და ბრძოლას ამჯობინებდა. ეს ახალი დაჯგუფება მესამე დასის სახელითაა ცნობილი. ლიტერატურულ სივრცეში მესამედასელ პოეტთა და ბელეტრისტთა მთელი ფრაქცია გამოვიდა, კოტეტიშვილი სათავეს, საიდანაც ეს მიმართულება და ლიტერატურა წამოვიდა, ეგნატე ნინოშვილში ხედავს და დარწმუნებულია, რომ ნინოშვილიდან იწყება მესამე დასის „ფეხის ადგმა და მისი ჩასახვის პროცესი“. მესამე დასს, რასაკვირველია, აუმხედრდნენ, იწყება პოლემიკა. კრიტიკოსი ამ გარემოებას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს, რომელიც ნებისმიერ ახალ მიმართულებას ყოველთვის თან ახლავს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრება ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითად ტენდენციებზე, რომელიც მისი თვალსაზრისით, აშკარად „თან სდევდა“ ევროპის ქვეყნების ლიტერატურის განვითარების ძირითად ტენდენციებს.

ამ მოკლე მიმოხილვიდან* ნათლად ვლინდება, რომ თავისი „ისტორიის“ სამტომეულის სტრუქტურირებისას ვახტანგ კოტეტიშვილი იყენებს ყველა ზემოდ ჩამოთვლილ მეთოდს (ისტორიულ-ქრონოლოგიურს → მხატვრულ-ესთეტიკურს → ჟანრობრივს → ისტორიულ-შედარებითს). შეიძლება თამამად ითქვას, რომ მიუხედავად მე-20 საუკუნის დასაწყისის თეორიული აზროვნებისათვის დამახასიათებელი უზუსტობებისა, მეცნიერის ნააზრევის ძირითადი დებულებები, ლიტერატურული პროცესის მემკვიდრეობითობისა და ისტორიულ-კულტურული კონტექსტის კონცეპტთა თანამედროვე თეორიულ გააზრებას უახლოვდება.

II. მიხეილ ზანდუკელი

მიხეილ ზანდუკელის „თხზულებანი» ოთხ ტომად 1972-1986 წლებში გამოვიდა. ზანდუკელის კვლევის ობიექტი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაა. მასში მონოგრაფიულადაა შესწავლილი მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მწერლობის განვითარების ყოველი ეტაპი, ლიტერატურული მიმდინარეობები და იმ ეპოქის თვალსაჩინო მწერლების ტექსტები. მეცნიერის მიზანი მე-19 საუკუნის მხატვრულ აზროვნებაში ეროვნული თვითმყოფადობისა და თავისებურებათა ჩვენება იყო, ვინაიდან ქართულმა ლიტერატურამ „განავითარა საკუთარი მხატვრული ინტერესი, შექმნა საკუთარი მხატვრული აზროვნება, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე სხვა ხალხის კულტურაც ერთვოდა“. მიხეილ ზანდუკელი მე-19 საუკუნის ანუ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიას ლიტერატურის პერიოდის დეფინიციის დადგენით იწყებს. პერიოდი, მეცნიერის თვალთახედვით, არის ისტორიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე მდგომი ლიტერატურული ცხოვრების სპეციფიკური სახე, განსხვავებული წინა და შემდეგი საფეხურების ლიტერატურული ცხოვრებისაგან, როდესაც ერთი პერიოდი გადადის მეორეში თავისი გაგრძელებებით, ნაშთებით, ხოლო მეორე იწყებს სათავეს პირველში, ეს „დიალექტიკურ ურთიერთობაში მყოფი განვითარებული ლიტერატურული ცხოვრებაა“. მკვლევარი განმარტავს, რომ ლიტერატურულ პერიოდს ქმნის ლიტერატურულ მოვლენათა ციკლი, „რომელიც გამომხატველია გარკვეული სოციალური ფორმაციითა და შინაგანი მთლიანობით, როგორც შინაარსისა და ასევე ფორმის მხრივ ხასიათდება“ (ზანდუკელი 1972: 34). ზანდუკელის შეხედულებით, აქ სადავო და დასადაგენი კიდევ ბევრი რამ რჩება და ამ განმარტებას ის მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზად მიიჩნევს და იქვე დასძენს,

* ვ. კოტეტიშვილის თეორიული კონცეფციის განხილვა „ქართული ლიტერატურის ისტორიის ვახტანგ კოტეტიშვილისეული პარადიგმა“ ჩვენს მიერ მოხსენებული იყო 2016 წ. მე-7 საერთაშორისო ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე „საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში“. თსუ. თბ. 2016.

რომ პერიოდებს შორის „მსაზღვრავი დატის“ აღნიშვნა მხოლოდ დაახლოებითაა და არა აბსოლუტური. მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია მას შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი:

პირველი პერიოდი მე-19 საუკუნის დამდეგით იწყება და 1845 წლამდე გრძელდება. ძველი ქართული ფეოდალური კლასი, თავისი დამახასიათებელი ფსიქოლოგიით, ეჯახება კაპიტალისტურ-ჩინოვნიკურ რუსეთს. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამონეული იდეური და ფსიქოლოგიური უკმაყოფილება ხელს უწყობს რომანტიზმის განვითარებას. მკვლევარი ქართული რომანტიზმის ძირითად მოტივად ეროვნულ მოტივს მიიჩნევს. კრიტიკოსი, სანამ ქართული ლიტერატურის პირველი პერიოდის ანალიზს შემოგვთავაზებს, ამომწურავად განიხილავს საზოგადოდ რომანტიზმს და მისი განვითარებისათვის საჭირო ხელისშემწყობ კულტურულ პირობებს. მეცნიერის თვალსაზრისით, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის პირველ პერიოდშივე რომანტიზმის განვითარება ნელ-ნელა სრულდება და პარალელურად რეალიზმი იკაფავს გზას. ქართული ლიტერატურა აღმოსავლურ მწერლობასთან წყვეტს კავშირს და ლიტერატურაშიც უკვე რუსეთის მეშვეობით შემოტანილი ევროპული მწერლობის გავლენა იგრძნობა. ზანდუკელის თეორიის თანახმად, მე-19 საუკუნის პირველი პერიოდის ქართული ლიტერატურა ორი მიმართულებით – რომანტიზმისა და რეალიზმის გზით ვითარდება. მკვლევარი პირველ პერიოდში შემდეგ ნაკადებს გამოყოფს: 1. „ძველი, დამოუკიდებლობის დაცემის ლიტერატურა“, როდესაც გრძელდება მე-18 საუკუნის ტრადიციები და სტილი. წარმომადგენლები არიან თეკლე და ქეთევან ბატონიშვილები, გიორგი, დავით და დიმიტრი თუმანიშვილები, თამაზ ქობულაშვილი და სხვანი; 2. მეორე ფრთა მწერლებისა – ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი ქმნიან ევროპული ხასიათის რომანტიზმს; 3. გრძელდება ყარაჩოღელთა ლიტერატურა; 4. ხალხში ჩნდება ახალი ცხოვრების პირობების ამსახველი ლექსები (არსენას ლექსი), რომელიც რევოლუციური რომანტიზმის სულის მატარებელია. ამ მიმართულებას უახლოვდება ნ. ბარათაშვილი, თავისი აქტიური, მეზრძოლი, სოციალური მომენტების შემცველი რომანტიული შემოქმედებით; 5. გზას იკაფავს რეალიზმი. ის ახალი ცხოვრების განჭვრეტას ლამობს – ი. ბაგრატიონი, ს. დოდაშვილი და სხვები.

მიხეილ ზანდუკელი რომანტიკოსებიდან გამოყოფს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელმაც ჩვენ მწერლობაში ძველი ქართული ლიტერატურის განვითარება მოათავა და ახალი რომანტიული მწერლობა დაიწყო. მას გამოუჩნდნენ მიმდევრები და გამალრმავებლები გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სახით. მათ ტექსტებში გაიზარდა, გაიშალა და დასრულდა ქართული ლიტერატურული რომანტიზმი. ზანდუკელისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილი ახალი ქართული ლიტერატურის პირველი პერიოდის – შემოქმედებელი და მთლიანი სახის მიმცემი პოეტია, ვის ლირიკაშიც ქართულმა რომანტიზმმა მთელი თავისი ძალა, შესაძლებლობა გაშალა და ამოწურა. მწერლის ტექსტებში მკვლევარი რეალიზმის გარკვეულ ნიშნებსაც ამჩნევს. ზანდუკელი იზიარებს იმ პოზიციას, რომ ნ. ბარათაშვილის შემდგომი ქართული რომანტიზმი დეკადანსს განიცდის.

მეორე პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიას მ. ზანდუკელი 1845 წლიდან იწყებს და ეს ხანა 1890 წლამდე გრძელდება. საქართველოში იცვლება პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, ბატონყმობის გადავარდნის მტკივნეულმა პროცესმა თავადაზნაურობის ცხოვრება სავესებით დაარღვია და „მთავარი ეკონომიური ფაქტორის, კაპიტალიზმის განვითარება გამოიწვია“. მეცნიერის აზრით, ქართული ლიტერატურული ცხოვრებაც სხვადასხვა ფენის შესაბამისი მიმართულებებისაგან შედგება: 1. ამ პერიოდის ახალი ქართული მწერლობის სისტემატიზაციას ზანდუკელი გიორგი ერისთავით იწყებს და მას რეალიზმის დამწყებად მიიჩნევს. გ. ერისთავის გამგრძელებლებად ზ. ანტონოვს, დ. ჭონქაძესა და ლავრ. არდაზიანს მოიაზრებს; 2. მტკიცდება მთავარი ლიტერატურული ხაზი – კრიტიკული რეალიზმი. კრიტიკული რეალიზმი ჩვენში თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა შემოიტანეს. თერგდალეულთა თაობა ლიბერალურ-დემოკრატიულ ფსიქო-იდეოლოგიას ამჟღავნებს; 3. მეორე პერიოდის მეორე ნახევარში, 1870-80-იან წლებში ამ მიმართულებას აგრძელებენ ხალხოსანი მწერლები – ა. ფურცელაძე, ნ. ლომოური, ს. მაგლობლიშვილი, ე. გაბაშვილი, ნ. ინაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ს. ჭრელაშვილი, მიშო ყიფიანი და სხვები. ხალხოსნების ძირითადი თემატიკა ხალხზე ზრუნვა და მისთვის ბედნიერი, თანასწორი, თავისუფალი ცხოვრების შექმნაა; 4. ამავე ხანაში ზანდუკელი გადაგვარებულ რომანტიზმს, „ძველ დროზე ტირილითა და მის აღდგენა-შენარჩუნებაზე ოცნებით“ გამოყოფს – ვ. ორბელიანი, მამია გურიელი, გრ. აბაშიძე; 5. მეოთხე ნაკადს განეკუთვნებიან ვაჟა-ფშაველა და ალ. ყაზბეგი. მათი შემოქმედება მთის კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის კაპიტალიზაციის პროცესთან შეჭიდებისა და თემის გაბზარვის ნიადაგზე იწყება.

ამრიგად, მეორე პერიოდის ახალი ქართული ლიტერატურის განვითარება, ზანდუკელის თვალსაზრისით, საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია და ის ორი შინა პერიოდებისაგან შედგება:

- 1845-1870 ლიბერალურ-დემოკრატიული თერგდალეულთა ჯგუფი;
- 1870-1890 დემოკრატიულ-ხალხოსნური მიმართულება.

მ. ზანდუკელი მეორე პერიოდის 1845-1890 წლების ლიტერატურის კლასიფიკაციას წინ მოკლე პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვას დაურთავს, რადგან მეცნიერის პოზიციის თანახმად, ლიტერატურულ მიმართულებათა ან სტილთა ცვლას ყოველთვის წინ უძღვის სოციალური გადასაცვლება, „ყველა მიმართულებას გარკვეული კლასის ბეჭედი აზის ... სწორედ ეს ბეჭედი ძირითადი, რომლითაც ერთი ლიტერატურული მიმართულება განსხვავდება მეორისაგან“ (ზანდუკელი 1976: 53). მკვლევარი კარგად აცნობიერებს, რომ გაბატონებული კლასი ხელს უწყობს თავისი იდეოლოგიის გამომხატველ ლიტერატურის განმტკიცებას და მწერლობა გამოყენებული აქვს, არა მხოლოდ როგორც თავისი მდგომარეობის ასახვისა და განმტკიცების საშუალება, არამედ როგორც სხვა კლასებთან ხელსაყრელი საბრძოლო იარაღი. იცვლება კლასიც და იცვლება ლიტერატურაც. სწორედ ამ პერიოდში (1840-იანი წლების მეორე ნახევრიდან) დეგრადაციისა და დაშლის ნიადაგზე მყოფ ქართულ საზოგადოებაში იწყება ახალი დიფე-

სი მოგზაურობებისათვის, სინათლის სიჩქარით გადასაადგილებლად. ჰიპერსივრცის ამ ფორმით არსებობის დასაბუთება ნაშრომიდან ნაშრომში სახეს იცვლის, მაგრამ ინარჩუნებს ორ საერთო ელემენტს: 1) ჰიპერსივრცის სამყაროს რუკაზე არსებული ობიექტები შეესაბამებიან ჩვენი სამყაროს ობიექტებს, რითაც უზრუნველყოფენ მოგზაურთა „შესვლისა“ და „გამოსვლის“ წერტილებს; 2) ორ წერტილს შორის გადაადგილების დრო ჰიპერსივრცეში ნაკლებია ჩვენ სამყაროში ანალოგიურ მანძილზე გადაადგილებისათვის საჭირო დროზე. პარალელური სამყაროების არსებობა ცხადდება დროში მოგზაურობის შედეგად: გმირი, რომელიც დროის მანქანის მეშვეობით წარსულში მოგზაურობს, გავლენას ახდენს მოვლენაზე, ცვლის მის დასასრულს, რის შედეგადაც ჩნდება ახალი სამყარო. მოგზაურთა ბე-დი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ერთ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ის საბოლოოდ საკუთარ დროში მოხვდება, ზოგჯერ კი მოგზაური ბრუნდება, ახალ, მისივე დახმარებით შეცლილ სამყაროში.

ვინაიდან ფანტასტიკურ ნაწარმოებებში, როგორც წესი, აღწერილია რეალურისაგან განსხვავებული სამყარო, ფანტასტიკისადმი მიძღვნილი ლინგვისტური ნაშრომები უჩვეულო ნომინაციებზე ფოკუსირდება. ესენია გამოგონილი რეალობების შერქმეული სახელები, ფანტასტიკური საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელწოდებები. საკითხები, რომლებსაც აქტიურად განიხილავენ სხვა თხრობითი ჟანრების შემსწავლელი ლიტერატურათმცოდნეები, მოიცავს სიუჟეტის ორგანიზაციის ენობრივ საშუალებებს, შეფასების გამომხატველი და სხვა ენობრივი საშუალებები მათთვის ნაკლებად საინტერესოა. მიუხედავად ამისა, ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებებში აქტიურად გამოიყენება ენის დერივაციული პოტენციალი, ოკაზიური ლექსიკის დიდი რაოდენობა, რაც ხელს უწყობს ფანტასტიკური სამყაროს სახის შექმნას. გამოგონილ სამყაროში მნიშვნელოვანია, ჯერ ერთი, რომელ ენას ეკუთვნის ეს ნომინაცია – დედამიწელი პერსონაჟების რეალურ ენას თუ უცხოპლანეტელი პერსონაჟების (სხვა ფანტასტიკური არსებების) გამოგონილ ენას. პირველ შემთხვევაში, მოდელირდება ბუნებრივი დედამიწის ენის შინაგანი განვითარება (ჩნდება ახალი ობიექტები), მეორე შემთხვევაში კი – ხდება სიტყვების სესხება გამოგონული უცხოპლანეტურიდან ბუნებრივ დედამიწელთა ენაში. გარდა ამისა, გარკვეულ როლს თამაშობს ისიც, თუ ვინ სარგებლობს ამ სიტყვებით. არიან თუ არა ისინი პერსონაჟებისათვის სამყაროს მისეული სურთის ბუნებრივი ობიექტები თუ მისთვის უცხონი, გაუგებარნი და სხვა გარემოსა და კულტურის ნაწილნი.

ნონა კუპრაიშვილი (საქართველო)

ეკონომიკური პრობლემები XX ს. დასაწყისის ქართული სოციო-კულტურული დინამიკის ქრილში (გერონტი ქიქოძე – მზერის გადანაცვლება)

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერონტი ქიქოძის მსოფლმხედველობა XX საუკუნის დასაწყისში, კულტურული პარადიგმის ცვლის რთულსა და წინააღმდეგობრივ პერიოდში ჩამოყალიბდა. იმის გამო, რომ მისმა შეხედულებებმა ღირებულებითი ცენზირების რამდენიმე ეტაპი გაიარეს, ამით, ცხადია, არაფერი დაკლებიათ, პირუკუ, დაკრისტალების შემდეგ მათ მხოლოდ მეტი შინაარსი და დამაჯერებლობა შეიძინეს. ლაიპციგისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტების სტუდენტს, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა ევროპული ქვეყნების თვითდადგენის რეზონანსულ პროცესს, უთუოდ არაერთხელ შეჰპარვია ეჭვი საკუთარი პატარა სამშობლოსთან სხვისი დიდი სამშობლოს უპირატესობის შესახებ. ახალგაზრდის მაძიებელმა ბუნებამ ამ კითხვას ცოტა არ იყოს ჰამლეტისებური ჟღერადობა მიანიჭა: „რას აირჩევდი მკითხველო, არჩევანი რომ შესაძლებელი ყოფილიყო: დიდსა თუ პატარა სამშობლოს?“ (ქიქოძე 2003: 244). იმ ძლევამოსილების წინაშე, რომლითაც გამოირჩეოდნენ დიდი ქვეყნები, გ. ქიქოძისთვის, როგორც ღრმა ინდივიდუალისტიკისთვის, განსაკუთრებით მძიმედ გადასალახავი ჩანდა მეორეხარისხოვნობის ის სტატუსი, რომელსაც 1917 წელს, გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილ წერილში „პატარა სამშობლო“ „სხვის ხელში მაცქერალის მდგომარეობაში ყოფნას“ უწოდებს. თუმცა იქვე ტერიტორიული გადანაწილების ახალი ტენდენციების გათვალისწინებით („მსოფლიო ბაზრის“ ეპოქად ცნობილი XIX საუკუნე და შემდგომი ათწლეულები ირლანდიელების, პოლონელების, იტალიელების, ბელგიელებისა თუ ჩეხებისთვის ეროვნული თვითგამორკვევის ხანად იქცა), საკუთარი არჩევნისთვის მყარ არგუმენტაციას პოულობს და იმ გამოსავალზე საუბრობს, რომელიც, მისი აზრით, ასეთ ვითარებაში უნდა არსებობდეს. მას მხოლოდ დანახვა სჭირდება: 1) „მამულიშვილი არ იკარგება უსაზღვრო და უპიროვნო მასაში“; 2) „თემის ჭირ-ვარამი მისი ჭირ-ვარამიც არის, ამიტომაც ეროვნული საქმეები მის საკუთარ საქმეებშია გადახლართული“ 3) ქვეყნის დამარცხება მისი იმედების გაცრუებაა, გამარჯვება კი გრძელვადიან კეთილდღეობას უმზადებს; 4) „სამშობლო მას მეტს სთხოვს და მეტს ჰპირდება“; 5) „პატარა ქვეყნის შვილები ხშირად უფრო ძლიერი ადამიანები არიან, ვიდრე დიდი ქვეყნის მოქალაქეები“ (ქიქოძე 2003: 246). გ. ქიქოძის ეს დამოკიდებულება, რომელიც თვითდარწმუნებას, ოპტიმიზმის თვითინექციას უფრო ჰგავს, ვიდრე ცივ რაციონალურ განსჯას, იმთავითვე არ წარმოქმნილა. მას წინ უძღოდა არაერთი იმდროინდელი ქართველი მოღვაწისთვის დამახასიათებელ არა მარტო ფილოსოფიურ-ესთეტიკურ, არამედ წმინდა წყლის ეკონომიკურ იდეათა ლაბირინთებში მოძრაობის ვალდებულება.

ფრანგი განმანათლებლებისა და ენციკლოპედისტების ავტორიტეტი XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში ლამის დაჩრდილა გერმანიაში წარმოქმნილმა მარქსიზმმა. იგი თავისუფლების უნივერსალურ გარანტადაც კი იქნა მიჩნეული: „...კაპიტალიზმი“ და „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ ჩვენს შეგნებაში ყველა სახარება შეცვალა ოთხთავიდან დაწყებული მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციამდე...“ (ქიქოძე 2003: 13). თუმცა მესამედასელთა სახელით ცნობილ ქართველ მარქსისტთა მიერ ატომისტური და პარტიკულარისტული ტენდენციების შეგნებულად აქტივიზებამ, სამშობლოს იდეის თემისა და პროვინციის იდეით ჩანაცვლების გადაწყვეტილებამ, გ. ქიქოძე საკუთარი მიკერძოებულობის გადასინჯვის აუცილებლობის წინაშე დააყენა. მან იგრძნო, რომ მესამედასელთა გარდა არსებობდა, როგორც თვითონ უწოდებს, „ახალი საქართველოს“ ინტელექტუალური ძალა, რომელსაც საკუთარ თავზე უნდა აელო პასუხისმგებლობა მომვალზე: „როდესაც საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოდან ისევ ევროპაში დავბრუნდი“, – ვკითხულობთ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „განთიადიდან შუადღემდე“ – „მე მოვახდინე ჩემი ... იდეალების გადაფასება და სულიერი კრიზისი განვიცადე“ (ქიქოძე 2003: 14).

მზერის დაკრისტალების რეალურ (შეიძლება ასეც ითქვას, საეტაპო) შედეგად, უთუოდ, იქცა 1915 წლით დათარიღებული წერილი „ჩაქუჩიანი მამაკაცი“, რომლის პათოსი ახალი „ქართული რეფორმაციის“ სულითაა გაჟღერებული. თავის დროზე მაქს ვებერი რაციონალიზაციის, ანუ საზოგადოების ტრადიციულიდან თანამედროვე მდგომარეობაში გადასვლის კანონზომიერებას რელიგიის, კონკრეტულად კი პროტესტანტიზმის, კონტექსტში განიხილავდა (ვებერი 1905). პროტესტანტიზმის ასკეტურ დენომინაციებში მიგნებული რაციონალური, მხნე და მიზანმიმართული ადამიანი აქამდე უცნობი სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის, კაპიტალიზმის, საყრდენ ძალად უნდა ქცეულიყო. შესაძლოა, თავისებური განდობის ადგილი შემთხვევით არც გ. ქიქოძის მიერაა არჩეული. ქართული ტაძრის კანონიკურ სივრცეში, რომელიც ჩვენი კულტურული იდენტობის უპირველეს შემნახველად, საკრალურ ტოპოსადაა აღიარებული, ხდება მკითხველისთვის ძველი ტრადიციული აქცენტების გადაადგილება, მეტიც მათი ახლით ჩანაცვლება. განახლების ულმობელი სინათლის მიშუქება შესანიშნავი ფრესკების გვერდით აქამდე უყურადღებოდ მიტოვებული ჩაქუჩიანი მამაკაცის ბარელიეფზე, როგორც შეცვლილი დროების თვალსაჩინო მარკერზე, კარგად გააზრებულ აქტად აღიქმება. ამ ფაქტს თავდაპირველად ყურადღება მიაქცია კრიტიკოსმა თამაზ ვასაძემ, რომელმაც „ჩაქუჩიანი მამაკაცი“ ტექსტი სასკოლო სახელმძღვანელოშიც კი შეიტანა და ეს იყო, ალბათ, გ. ქიქოძის აღნიშნული წერილის ლეგიტიმაციის ყველაზე დემოკრატიული და სწორი ფორმა.

ქვაბლიანის ხეობაში, ჭულების მონასტერში ნაპოვნი და სავარაუდოდ ამ და მეზობელი ზარზმის მონასტრების აღმშენებელი ხუროთმოძღვრის, ბასილ ხურციძის, ფიგურაში, რომელსაც ხელთ სამუშაო იარაღი, ჩაქუჩი, უპყრია, პერსონიფიცირებული აღმოჩნდა ძალზე მნიშვნელოვანი გზავნილი: მოწოდება მახვილიანი და ჯვრიანი საქართველოს გვერდით მშრომელი, აღმშენებელი საქართველოს დე-

ტერმინირებისკენ. ცხადია, გ. ქიქოძის ამ მისწრაფებას სერიოზული ქვეტექსტები გააჩნია თუნდაც იმ მიზეზით, რომ ისინი ილიასეული „უსისხლო ომის“ იდეის ლოგიკურ ტრანსფორმაციას წარმოადგენენ. მართალია, ერთი ადამიანის (ილიას) სიცოცხლე და ისიც ძალადობრივად შეწყვეტილი, სულაც არ ეყო ისტორიული მოდერნის ჩვენთვის გამოყოფილ დროში ყველა საკვანძო საკითხის გადაჭრას, მაგრამ ის, რაც მოდერნიზატორული პროექტის პირველ ეტაპზე „სამოციანელთა“ მიერ განხორციელდა (ახალი ლოგოსის შექმნა, ეროვნული კაპიტალის დაფუძნების მცდელობა, ლიტერატურაცენტრისტულ ტენდენციებზე სოციოცენტრისტულის პრევალირების განჭვრეტა), – იგულისხმება ქვეყნის სასიცოცხლო ვექტორების გამოკვეთა, – ეს მონაპოვარი საიმედო ხელში აღმოჩნდა. გ. ქიქოძის თაობა მზად იყო გუშინდელი შედეგი დღევანდელი აქტივობების ბიძგად ექცია.

ტრადიციულად აქტუალობას ინარჩუნებდა სააზროვნო ველის განმეზღვა. ამიტომაც 1914 წლის „სახალხო გაზეთის“ რამდენიმე ნომერში (№1178,1180, 1185,1189,1192) გამოქვეყნდა გ. ქიქოძის წერილების სერია მიმართული სომეხი პუბლიცისტის, ვინმე იშხანიანის, ბროშურის წინააღმდეგ, რომელშიც ავტორი „მეცნიერულად“ ასაბუთებდა კაპიტალისტური ცხოვრების წესთან სომეხ-ქართველთა დიფერენცირებულ (იქნებ პოლარიზებულ) მიდგომათა კანონზომიერებას. აი, რას წერდა იშხანიანი: „ეკონომიკური აღორძინების უახლოეს ფაზაში ქართულმა ნაციონალურმა სინამდვილემ ძლიერი ჩამორჩენილობა გამოავლინა, ამიტომაც მას საკუთარი ძალით ცხოვრება არ შეუძლია. საქართველო მჭიდროდ არის დაკავშირებული კავკასიასა და რუსეთთან და ძალაუფლებურად უნდა დაემორჩილოს უკვე ჩამოყალიბებული წესწყობილების გავლენას. ამ წესწყობილებაში კი გაბატონებულია ევროპული, რუსული და სომხური მსხვილი ბურჟუაზია და მათ შორის ახალი ქართული ბურჟუაზიისთვის ადგილი არ არის... შეიძლება ზოგიერთი წვრილი ვაჭარი ან ხელოსანი ჟამთა მსვლელობაში ამაღლდეს კიდევ კაპიტალისტის მდგომარეობამდე, მაგრამ „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“... საქართველომ დაიგვიანა ცხოვრების მეჯლისზე...“ (ქიქოძე 2003:131-132). გ. ქიქოძე იშხანიანის ბროშურას ძირითადად მწარე სიმართლედ აღიქვამს და ცდილობს პოლემიკა არა ბანალური ლანძღვის, უპასუხისმგებლო ბრალდებების, არამედ მტკიცე კონტრარგუმენტებით აპელირების სიბრტყეში გადაიყვანოს. გარდა იმ აზრისა, რომ „ცხოვრება არც სერობის სუფრაა და არც მეფე არტურის მრგვალი მაგიდა, რომ მასზე ადგილი მხოლოდ ათ-თორმეტ არჩეულ მოციქულს ჰქონდეს ან კიდევ საგანგებოდ მოწვეულ რაინდებს“..., ავტორი მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების მხილების ტაქტიკას ადგება. ეს ტაქტიკა კი ააშკარავებს საქართველოში იმ პერიოდში, მართლაც, მომძლავრებული უცხო კაპიტალის ჩარჩულ ხასიათს, რაც მას მომავალში განსაკუთრებული თვითკმაყოფილების საშუალებას მაინც არ აძლევს. განსხვავება საკუთარ არეალში ჩასახულსა და განვითარებულ ევროპულ კაპიტალსა და სომხურს შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ევროპული კაპიტალი ფართო სამრეწველო ხაიათისაა, ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია მაშინ, როდესაც საქართველოში ფეხმოკიდებული უცხო კაპიტალი „სხვის მიერ შექმნილი სიმდიდრის დატრიალება-განაწილებას ემსახურება“ და ფაქტობრივად,

„ადგილობრივი კულტურის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს“. გ.ქიქოძის ღრმა რწმენით, და სწორედ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება აღნიშნული წერილების ლაიტმოტივი, „ჩვენი ეკონომიკური ჩამორჩენა (უცხო) ბურჟუაზიას არავითარ გარანტიას არ აძლევს მუდმივ შეურყეველი ბატონობისათვის. მათი კაპიტალი ჯერ სავსებით არ დაჰპატრონებია ჩვენს ბუნებრივ და შექმნილ სიმდიდრეს. მას ახალგაზრდა ქართული კაპიტალისთვის ყოველი გამოსასვლელი გზა არ დაუხშია. განა სომხის კაპიტალმა ჩვენი სამშობლოს მთები გასჭრა და გამოიკვლია, განა მან ჩვენი ნიადაგი უკვე გადააბრუნა, განა მან ჩვენი ტერიტორია ქარხნებითა და ფაბრიკებით მოფინა? განა ახლად ფეხადგმულ ქართულ კაპიტალს აღარაფერი აქვს გასაკეთებელი წარმოების თუ მეურნეობის სფეროში?“ (ქიქოძე 2003: 136).

კაპიტალის ამოძრავება და კაპიტალიზმის უღმობელი კანონების დამკვიდრება განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიდა თვითგამორკვევის ინსტინქტ-დაქვეითებულსა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის არმქონე ქვეყანას. ამიტომ ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური ინტერესების რეალიზების გარდა, გ. ქიქოძეს ხშირად უხდებოდა ადამ სმიტის, ჯეიმსის, ჯერომ ბლანკის, მონტესკიესა თუ ლემესტრის შრომებში ჩახედვა. სწორედ ისე, როგორც მის თანათაობელებს ა. ჯორჯაძეს, მ. ჯავახიშვილს, მ. წერეთელს, კ. გამსახურდიას, ნ. მინიშვილსა თუ ვ. კოტეტიშვილს, რომელთა შემოქმედებითი მუშაობისთვის განკუთვნილი ძვირფასი დრო საზოგადოების მოსალოდნელი გარდაქმნებისთვის მომზადებას, ანუ ყოველ-დღიური საჭიროებისკენ მიმართული პუბლიციტიკის შექმნას ეწირებოდა.

„ჩვენ აღარ შეგვიძლიან ისე გრძნობა და აზროვნება, როგორც წინა თაობა გრძნობდა და აზროვნობდა. ეს კიდევ არაფერი: ჩვენ ხვალ აღარ შეგვეძლება ისე ვიგრძნოთ და ვიფიქროთ, როგორც გუშინ ვგრძნობდით. ჩვენი სულის სიღრმეში ძლიერი მეტამორფოზა მოხდა. ჩვენი სული შეიცვალა, რადგან იგი შეეხო საგანთა და მოვლენათა ახალსა და იდუმალ მხარეს... მან დაინახა ამ ქვეყნის ახალი სახე, ახალი ასპექტი, რომელიც დღემდე არასოდეს უნახავს“ – ასეთი იყო ფაქტის კონსტატაცია, რომელსაც გ. ქიქოძე 1919 წელს გამოცემული პუბლიცისტური წერილების კრებულის „ეროვნული ენერჯის“ წინასიტყვაობაში ახდენდა (ქიქოძე 1919: 8).

ნიშანდობლივია, რომ ვიდრე ეს წერილები მაშინდელ ქართულ პერიოდულ პრესაში დაიბეჭდებოდა, უფრო კონკრეტულად კი პირველ მსოფლიო ომამდე, ევროპაში დაბრუნებული გ. ქიქოძე პარიზში ინტუიტივიზმისა და სიცოცხლის ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ანრი ბერგსონის (1859-1941), ლექციებს ისმენს. პოზიტივიზმის სწორხაზოვნების ნაცვლად (ცნობილია, რომ თავის დროზე საფრანგეთში სწავლა პოზიტივიზმის დომინანტური მდგომარეობის გამო არ ისურვა) ბერგსონის ნააზრვეი, მთავარი თეზით: ინტუიცია ცხოვრების თვითშემეცნებაა, როგორც ჩანს, განაწყობს მას „იფიქროს, როგორც მოქმედების ადამიანმა და იმოქმედოს, როგორც ფიქრის ადამიანმა“ (ბერგსონი). არც იმავე ადამიანის არსებაში აღმოჩენილი „სოციალურობისა“ და „მორალის“ ერთგვარი სართულების, ტიპების არსებობა იქნებოდა ჩვენი მოღვაწისთვის მიუღებელი. სწორედ ბერგსონისეული ღია (ამ დროს პრიორიტეტულადაა მიჩნეული ინდივიდუალობის გამოვ-

ლენა) და დახურულ (აქ კი უპირატესობა სოციალური ინსტინქტის მოთხოვნებს ენიჭება, როდესაც პიროვნება ეწირება კოლექტივს) მორალს შორის ბალანსირება განსაზღვრავს გ. ქიქოძის შემდგომი მოღვაწეობის ძირითად ხაზს, იმ რამდენიმე-წლიან დაძაბულ ჟურნალისტურ საქმიანობასაც, რომლის მიზანი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ცნობიერების დროის ახალ მოთხოვნათა შესაბამისად „შემოტრიალება“ იყო. შიში იმისა, რომ „ჩვენი გვარ-ტომობა სამუზეუმო სანახაობად არ ქცეულიყო“ არსებობდა და მას დაძლევა სჭირდებოდა.

პრიორიტეტები მკაცრი რაციონალიზმით იქნა გამოკვეთილი: ადრეული შუა საუკუნეების ფილოსოფიური, მხატვრულ-ესთეტიკური აზრისა და მასთან ერთად პროგრესის განვითარებისთვის თვალის მიდევნებამ (გ. ქიქოძე კი ამ ვრცელ მასალას სრულყოფილად ფლობდა) ცხადყო, რომ „თანამედროვე მატერიალური კულტურა და სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება საერთაშორისო შემოქმედების ნაყოფია, მაშინ, როდესაც სპეციფიკურად ეროვნულს სულიერი კულტურის სფერო (ენა, ესთეტიკური აზროვნება და პრაქტიკა) გამოხატავს. ამ კანონზომიერების დაცვა კი ორივე მიმართულებით შეთანხმებულ და გონივრულ მოქმედებას გულისხმობდა. სწორედ ამ რიგის მსჯელობებში იჩენს თავს „ეროვნული ენერჯის“ ცნება, რომელსაც გ. ქიქოძემ არა მარტო მარჯვედ გამოიყენა, არამედ გარკვეული თვალსაზრისით უნივერსალური ხასიათი მიანიჭა. ეროვნული ენერჯია და ენა, ეროვნული ენერჯია და ლიტერატურა, ეროვნული ენერჯია და წარმოება – ამ ერთიერთმიჯაჭვულობის, ფაქტობრივად კი, ამბივალენტურობის აღიარებით იკვრებოდა მოქმედების ერთიანი წრე (მასთან ერთად კი სტრატეგია), რომელშიც თითოეულ რგოლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. პრობლემა კი მდგომარეობდა იმაში, რომ გარეშე თუ შიდა ფაქტორების გამო ეროვნული ენერჯის დროში უსაშველოდ განელილი „გაუშლელი“ (გ. ქიქოძის ტერმინია) თავისი უმნიშვნელობით წალეკვით ეშუქებოდა მთელ კულტურას, მათ შორის ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებსაც: „საქართველოში კაპიტალიზმი ნორჩი და გაუშლელია. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ჯერ დაუმუშავებელი, მისი ფარული ძალები – აუმოძრავებელი...“ (ქიქოძე 2003: 65). გ. ქიქოძე ეჭვმიუტანელს ხდის ერის იქნება ეს თუ პიროვნების თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლის თავისი არსით ზეეროვნულ იდეას და მკითხველს ახსენებს, რომ ყოველდღიურობა „ არც ფილანტროპული დანესებულებაა და არც სანატორიუმი სისხლნაკლებთა და ნერვებაშლილთათვის“. „ცხოვრება დიდი დრამაა, ტიტანურ ძალთა შეტაკებაა და დრამაში მხოლოდ იმას აქვს ადგილი, ვინც მუდმივ მზადაა თავდაცვისა და ბრძოლისათვის“ (ქიქოძე 2003: 66) სწორედ ისე, როგორც ეს დეკლარირებული იყო, ვთქვათ, მიხ. ჯავახიშვილის პუბლიცისტიკაში, აქაც, გ. ქიქოძესთანაც, ევროპის „ლოდივით დაძრული“ ქვეყნების, ბელგიის, ირლანდიის, პოლონეთისა თუ სერბიის მაგალითზე ინერგებოდა ოპტიმიზმი, იქმნებოდა გადარჩენისა და განვითარების უალტერნატივო წინაპირობა : „ქართველმა ერმა თვით უნდა გასჭედოს თავისი ბედი. მან უნდა აამოძრაოს მატერიალური, სანაროო ძალები, მან საძირველი უნდა ჩაუყაროს თანამედროვე მეურნეობას და ინდუსტრიას, განმინდოს თავისი ენა უცხო ელემენტებისგან, შექმნას ახალი მწერლობა და ხელოვნება . უამისოდ მას ადგილი არა აქვს თანამედროვე

ერთა დიდ კულტურულ ოჯახში“ (ქიქოძე 2003: 66). იმას, რომ მსგავსი მოწოდება უნისონში არ მოდიოდა ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესებთან, ადასტურებს ამავე პერიოდში „საერთო საქმის, საჯარო სივრცის სწორი აღქმის“ მთელი რიგი მაგალითები, გამოხატული აქამდე ნაუხალისებელი ეკონომიკური აქტივობებით, კერძოდ კი, წარმოების, კერძო მეურნეობათა თუ სოფლის თვითმმართველობისა და თვითორგანიზების მოდერნიზება-ვეროპეიზების სერიოზული მცდელობებით. ამას, ცხადია, გ. ქიქოძეც ამჩნევდა: შრომის კულტურის ადეკვატურ გააზრებასა და ათვისებასთან ერთად „საქმიანობის ხალისი ჩვენშიც იღვიძებს და შეძენის ჟინი ნერვიულ ცხელებასავით ედება დიდსა თუ პატარას“ (ქიქოძე 2003: 207). სამწუხაროდ, 1921 წლის შემდეგ ყველაფერი გაკეთდა მსგავსი მობილიზების, ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და მთელი ამ სასიცოცხლო პროცესის ორგანიზატორთა და მონაწილეთა გამოცდილების დასავინწყებლად (ინციატივა ცვლილებისათვის 2015: 5-6).

„ეკონომიკური ბრძოლის“ ყოვლისმომცველობის შესახებ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს გ. ქიქოძის მიერ გაკეთებული პროგნოზი საქართველოს გარდა (საქართველომ, როგორც ვიცით, განვითარების სრულიად სხვა გზა აირჩია) თითქმის ყველას შეეხო. „ამბობენ – ნერდა მაშინ გ. ქიქოძე – რომ მსოფლიო ომი არ დამთავრდება დღევანდელი სისიხლისმღვრელი შეტაკებით. მას მოჰყვება სხვაგვარი ბრძოლა, არანაკლებ სასტიკი და მნიშვნელოვანი. ამ ბრძოლას აწარმოებენ არა სარდლები და ჯარისკაცები, არამედ ვაჭრები, მექარხნეები და კომივოიაჟერები, და მისი მიზანი იქნება არა ტერიტორიების დაპყრობა და ციხე-სიმაგრეების აღება, არამედ მსოფლიო ბაზრის ჩაგდება თავისი იაფფასიანი საქონლით“ (ქიქოძე 2003: 200). და ეს ზუსტი სიგნალი იყო.

აქტუალობას იძენდა კითხვა, დაინტერესდებიან თუ არა ევროპელი კაპიტალისტები კავკასიით? გ. ქიქოძეს იმედი ჰქონდა, რომ ქართული მადნეულის ექსპლოატაციისთვის აქ ჩამოვიდოდნენ არა მარტო ავანტიურისტები და ბედის მაძიებლები, არამედ, ვთქვათ, ავგუსტ ტისენი, გერმანიის პირველი მწარმოებელი, გელზენკირხენის საზოგადოების მთავარი აქციონერი და ვილჰელმ II-ის მეგობარი. მთავარი იყო უცხო კაპიტალი დეზორიენტაციის შემომტან პოლიტიკურ ძალად, მით უფრო საახალშენო კაპიტალად არ ქცეულიყო. ჭიათურის შავი ქვის წარმოების მაგალითზე გ. ქიქოძე უსამართლო გარიგების მაგალითს გვიჩვენებს: „ლომის კერძი უცხოელებს მიაქვთ, ჩვენ მხოლოდ ნამცეცები გვრჩება“. თუმცა ამ მხრივ უარესი მდგომარეობა ყოფილა ალავერდის მადნეულის ქარხანაში, სადაც მრეწველიც, მიწის მესაკუთრეც და სამუშაო ძალაც უცხოელები (ფრანგები) ყოფილან.

დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ ამ ღრმად განსწავლული ადამიანისთვის, რომელსაც ფართო განათლება საშუალებას აძლევდა მთელი ევროპის (და მის გარეთაც) მასშტაბით ნათლად წარმოედგინა ფეოდალურ ფასეულობებზე ბურჟუაზიულის უპირატესობის, ბუჟუაზიის, ასე ვთქვათ, „გაკეთილშობილების“, რასტინიაკული ცხოვრებისეული პრინციპების კანონიზება, კაპიტალიზმი უპირობო, მარადიულ მოცემულობად განიხილებოდა, გადაჭარბებული იქნება. ხშირად მასში პრაგმატისტს ჭეშმარიტი ჰუმანისტი და პროგრესისტი ჩრდილავდა : „შესაძლებე-

ლია ისიც, რომ კაპიტალისტური წესწყობილება თანდათან მოიშალოს და შეუმჩნევლად ადგილი დაუთმოს წარმოების სხვა უფრო ახალ ფორმას. უცვლელი არაფერია ამ ქვეყანაზე...“ (ქიქოძე 2003: 211). ამგვარი დაეჭვების ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, რუსულ კულტურაზე მიბმულობაც იყო. „რუსული მოდერნიზაციის თავისებურება კი, სხვათა შორის ტიპური პერიფერიული კაპიტალისტური სისტემებისთვის, განპირობებული იყო გარედან თავსმოხვეული რეფორმებით, რომლებიც მყარად გამჯდარი არქაული ნორმებისა და ურთიერთობების კომპლექსზე ილექებოდა...“ (Карпи 2012: 27). გ. ქიქოძისთვის არც ის იქნებოდა მიმზიდველი, რომ „ფეოდალური სამყაროდან მოსული აზარტული თამაშების ფორმა სრულიად ეუფლებოდა ბურჟუაზიული საზოგადოების წესს, როგორც ამას თავის წერილში „პარიზი – XIX საუკუნის დედაქალაქი“ ვ. ბენიამინი წარმოაჩენს (Бенямиин 2004: 107), პარიზი – რუსთაველის გულანშაროს მსგავსად, სადაც „იყიდიან, გაყიდიან მოიგებენ, წააგებენ; გლახა თვე ერთ გამდიდრების, სავაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ“, – დოსტოევსკიც, რომელიც უფრო დაფრთხა, ვიდრე აღფრთოვანდა 1861 წლის ლონდონში გამართული საერთაშორისო გამოფენით, არაერთხელ შეხებია ამ თემას. დოსტოევსკის რომანი „მოთამაშე“ სულაც მსგავსი კომბინაციების ირაციონალობიდან ფულის ფანტასმაგორიული და დემონური ძალის დაბადებას და ამ ძალის ადამიანზე დამანგრეველ გავლენას ასახავს. თუმცა ქართულ სინამდვილეში ასე შორს წასვლა იქნებ არც იყოს საჭირო. მით უმეტეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის გზა, ამ გზის სირთულე და თავისებურება „ქართულმა მწერლობამ, რომელიც თვითიდენტიფიკაციის მთავარი რესურსი, იარაღი იყო“ (ნინიძე 2014: 7), ამ პერიოდში რომანის უქონლობის გამო ვერ ასახა, ე.ი. ვერც გააანალიზა.

ზედაპირზე იდო და თანაც პრობლემურობას ინარჩუნებდა თავად კაპიტალისტადმი არასწორი დამოკიდებულება: „ჩვენთან კაპიტალს უცქერენ არა მწარმოებლის, არამედ მომხმარებლის თვალსაზრისით“ – ამგვარი მიდგომა იყო, როგორც იტყვიან, ყველაფრის თავი და თავი. წერილში „წარმოება და ეროვნული ენერჯია“ (1915) ავტორისეული ნარაცია მიმართულია კონკრეტიკისკენ, ანუ იმ შიდა პრობლემებისკენ, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამოწვეული ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობით და ძირითადად ქართული ხასიათის რამდენადმე მანკიერ განვითარებას უკავშირდებოდა. ფსიქოლოგიური ჩამორჩენა; სისტემატური, აუჩქარებელი, მიზანშეწონილი შრომის უუნარობა; მოუთმენლობა და შემთხვევით ან უცაბედ გამდიდრებაზე ოცნება. „ამ მხრივ საშუალო საუკუნეების მეკობრეებსა და რაინდებს უფრო ვგევართ, ვიდრე თანამედროვე ადამიანებს. ან უკეთ რომ ვთქვათ, იმ ესპანელ ავანტიურისტებს, მეთექვსმეტე საუკუნეში მთელი ამერიკა რომ შემოიარეს ელდორადოს, ე.ი. ოქროს ქვეყნის ძებნაში...“ (ქიქოძე 2003: 142). „ამიტომ საჭიროა ჩვენი ეროვნული ფსიქოლოგიის გადაბრუნება, სანამ სამშობლოს გადავაბრუნებთ“ – ასეთია გ. ქიქოძის მიერ ამ მიმართულებით გაკეთებული დასკვნა.

გ. ქიქოძე ჯიუტად და პრინციპულად ეწევა რაციონალური შრომის, ზოგადად კულტურის აპოლოგიას. ეს არის ის კერპი, რომელსაც ის თავს უპირობოდ უხრის. ამ გზაზე კი ტაბუირებული თემები და ხელშეუხებელი ავტორიტეტები არ არსებობს: „ჩვენ ეხლა უფრო კარგი ქვისმთლელები, მეჩექმეები და მეურნეები გვჭირია,

ვიდრე ცუდი ვექილები, ექიმები ან მოხელეები“. ეს საკმაოდ თამამი მოსაზრება, რომელიც მაშინდელი „ახალი საქართველოს“ რეპრეზენტატორთა ნააზრევს ეხმაურება, ბუნებრივად იწვევს რ. გაბაშვილის, შ. ამირეჯიბის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა ანალოგიური ხასიათის გამონათქვამთა ალუზიას. რ. გაბაშვილი სწორედ ამ პერიოდში უ. „კლდეში“ წერდა: „ვჩივით სილარიბეს მაშინ, როცა ბედმა სამოთხეში დაგვასახლა. რა გვიხსნის ასეთი უმწეო მდგომარეობისგან? „...უნდა წავიდეს ის დრო, როცა მხოლოდ კულტურული ლაყობით და მწერლობით ვაპირებდით ქვეყნის აშენებას. უნდა ამოიფხიკოს ჩვენი ცნობიერებიდან ის შეცდომა, ვითომც მხოლოდ პოეზიას, ლექსთა წყობას, თეატრს და სხვა ამგვარებს ჰქონდეთ უდიდესი და უმაღლესი კულტურული ღირებულება ხალხის ცხოვრებაში. ყოველი ერის ფიზიკური ძალა, მისი არსებობის საძირკველი უნდა გამტკიცებულ იყვეს მისი ეკონომიკური ცხოვრებით“ (ომეგა 2002: 12: 54). საგულისმოა, რომ ამ სიტყვების ავტორსა და მის თანამოაზრეებს არ აკმაყოფილებდათ მოწინავე აზრების მხოლოდ ტრანსლაცია. ისინი „საქმის კაცობას“ ესწრაფვოდნენ. ამიტომაც, უამრავი სირთულის მიუხედავად, აარსებდნენ პირველ ქართულ კოოპერაციებს, რომლითაც ხელოვნურად გაძვირებული ქართული ბაზრის ალტერნატივას ქმნიდნენ, ფაქტობრივად კი ცვლიდნენ ვაჭრობის რუდიმენტულ ფორმებს. თუმცა კლასობრივი ბრძოლის იდეის უაპელაციო მიმდევრობას სოციალური წინააღმდეგობების არა დაძლევა, არამედ გამწვავება სჭირდებოდა. ამიტომაც ქართველი სოციალ-დემოკრატები „კლდეისტებს“ ირონიულად შეახსენებდნენ საკუთარ სოციალურ წარმომავლობას და წარმატებით ახდენდნენ იმ „სიმატლის“ არტიკულირებას, რომლის მიხედვითაც თავადაზნაურობას, როგორც განწირულ და ხალხის მიერ უარყოფილ კლასს, მათი აზრით, დროსა და სივრცეს აცდენილი აქტიურობა ვერაფერს უშველიდა.

პოლიტიკურ ძალთა ასეთ საბედისწერო განლაგებას, გ. ქიქოძის აზრით, „კაპიტალიზმის გოლფშტორმზე“ ბევრად უფრო გამანადგურებელი ძალა შეიძლება მისცემოდა. ამ საქმეში ქართული თავადაზნაურობის დანაშაულებრივ უმოქმედობასა და უნიციატივობას იგი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. მეტიც, გ. ქიქოძის უკომპრომისო ინტონაცია ყველაზე მეტად სწორედ ამ კონტექსტში იჩენს თავს: „კარგი მეომრები იყავით...“, მაგრამ „...ბედოვლათობა დაბადებიდანვე გაქვთ თანდაყოლილი, ბედოვლათ ხალხს კი არ შეუძლია თანამედროვე პირობებში არსებობა...“, „ჩვეულებრივი ევროპელი გლეხი უფრო ადამიანურ პირობებში იმყოფება, ვიდრე ზოგიერთი ქართველი მსხვილი მესაკუთრე, რომლის წინაპრები ბაგრატიონთა გვარს ექიშპებოდა და საქართველოს პოლიტიკურ ბედს განაგებდა...“, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში „ტფილისის გუბერნიის ოდენა ადგილები უჭირავთ, მაგრამ ხუთჯერ და ექვსჯერ მეტ მცხოვრებლებს ასაზრდოებენ... ეს იმიტომ, რომ იქ ნაკლებ ოცნებობენ და მეტს მუშაობენ“. და საერთოდაც, ქართველობის არისტოკრატიული ფსიქიკისგან გათავისუფლება გ. ქიქოძეს ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა.

გ. ქიქოძე უთუოდ აპელირებდა ფართო და ღრმა აზროვნებისთვის ჩვეული პროგნოსტიკური ფუნქციით, თუმცა ბევრი რამ, რაზედაც ის მიანიშნებდა, ვერ შესრულდა. კულტურულმა წყვეტამ, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს

გასაბჭოების შემდეგ მოხდა, საკითხთა მთელი წყება დღის წესრიგიდან ამოიღო. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, უკვე პოსტსაბჭოურ საქართველოში, ცხადად გამოიკვეთა გ. ქიქოძისა და მისი თანათაობელების ნააზრვეის რეტრანლაციის აუცილებლობა. უპირველესი ამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ ელოდება სრულ რეალიზაციას – კულტურული ორიენტაციაა. ეს უმნიშვნელოვანესი ვექტორი კი გ. ქიქოძეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ასე ჰქონდა გამოკვეთილი: „... კულტურული ენერგია კაცობრიობას დაავლეთ ევროპიდან ეძლევა. ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოაგენს ყოველი თვითშემცნობი და მომქმედი ერისთვის. უამისოდ მის კერას გაციება და სხეულის გაყინვა მოელის... იმედია ქართველი ერიც თავს დააღწევს ვინრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეული, და ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოვა...“.

დამონშებანი:

- Benianin, B. *Maski Vpemeni. Esse o Kul'ture I Literature*. S.-Peterburg: 2004 (Бениамин, В. Маски времени. Эссе о культуре и литературе. С– Петербург: 2004).
- Ghambashidze, L. “Ts’inasiq’vaoba”. *Archil Djorjadzis Ts’erilebi*. Tbilisi: 2003 (ღამბაშიძე, ლ. „წინასიტყვაობა“. *არჩილ ჯორჯაძის წერილები*. თბილისი: 2003).
- Карпи, G. *Dostoevskii – Ekonomist*. Moskow: 2004 (Карпи, Г. *Достоевский – Экономис*. Москва: 2004).
- Kikodze, G. *Erovnuli Energia*. Tbilisi: 1919 (ქიქოძე, გ. *ეროვნული ენერგია*. თბილისი: 1919).
- Kikodze, G. *Mogonebebi. Gantiadidan Shuadghemde*. Tbilisi: 1956 (ქიქოძე, გ. *მოგონებები. განთიადიდან შუადღემდე*. თბილისი: 1956).
- Kikodze, G. *Ts’erilebi, Eseebi, Nark’vevebi*. Tbilisi: 1985 (ქიქოძე, გ. *წერილები, ესეები, ნარკვევები*. თბილისი: 1985).
- Kikodze, G. *P’at’ara Eris Khvedri* (Shemdg. M. Kikodze, L. Asatiani, E. K’odua). Tbilisi: 2003 (ქიქოძე, გ. *პატარა ერის ხვედრი* (შემდგ. მ. ქიქოძე, ლ. ასათიანი, ე. კოდუა). თბილისი: 2003).
- Kikodze, M. “Geront’i Kikodzis Ek’onomiuri Shekhedulebebi”. *Zh. Omega*, 2002, № 14 (ქიქოძე, მ. „გერონტი ქიქოძის ეკონომიკური შეხედულებები“. *ჟ. ომეგა*, 2002, № 14).
- K’odua, E. *Geront’i Kikodzis Pilisipiuri da Sotsiologiuri Shekhedulebebi*. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2000 (კოდუა, ე. *გერონტი ქიქოძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2000).
- Ninidze, M. “Lavrent’i Ardazianis Tskhovreba da Shemokmedeba”. K’r.: *XIX Sauk’inis Kartuli Mts’erloba*. Tbilisi: 2014 (ნინიძე, ქ. „ლავრენტი არდაზიანის ცხოვრება და შემოქმედება“. კრ. *XIX საუკუნის ქართული მწერლობა*. თბილისი: 2014).
- Veber, M. *P’rot’est’ant’izmiz Etik’a da K’ap’italizmiz Suli*. 1905 (ვებერი, მ. *პროტესტანტიზმის ეთიკა და კაპიტალიზმის სული*. 1905).

Nona Kupreishvili
(Georgia)

**Economic Problems in the Focus of Georgian Socio Cultural Dynamics
of the Beginning of the 20th Century**
(Geronti Kikodze)

Summary

Key words: Geronti Kikodze, economic criticism.

Beginning of the 20th century is known as the hardest transitional period causing destruction of historical and cultural paradigms throughout the Europe. First of all in our country it had taken place exactly at the time of the second stage of Ilia's so called modernization project, when by the help of correct emphases on the new demands of time made by pervious generation and efforts of entire pleiad of courageous and motivated persons was established diverse program of culture renewal. Events taken place in February 25, 1921 had prevented complete fulfillment of this program, so annexation of independent Georgia by Red Army and Georgian Bolsheviks. Thus, the process of reevaluation generally characteristic for the culture appeared in our case tragic.

In parallel to the modernization of art fields and philosophic and aesthetic mentality the creative generation called "New Georgia", who were mainly educated at European universities set an objective even to deepen their economic mentality that could radically change both social mentality and life in the condition of correct practical decisions. That time completely young figure Geronti Kikodze took exactly this course of work, who in parallel to the erudition at universities, since 1908 used to publish sharp and resonant letters in the newspapers "Droeba" and "Sakhalkho Purtseli" hampering complete liberation of Georgians from the patriarchal and feudal life style and acknowledgement of new economic order based on capitalism and gradual integration to its demands. Specificity of our country's historical development was also noteworthy (anticipation of the case that after the First World War and Russian Revolution as of February-October the empire would not exist as in old, since century's 1900s-10s existed and everybody felt the necessity of replacement of monarchic power by democratic governance) that required certain caution, because as G. Kikodze wrote the country lacking statehood thinking not to be completely overwhelmed by "Goal Storm of Capitalism". That is why aesthete and philosopher Geronti Kikodze, in-depth acknowledged in the west European literary, aesthetic and philosophic news, besides such type of analysis often had to also study the works of Adam Smith, James, Jerom Blank, Montesquieu and Lemestr. The same way as the persons of his years: A. Jorjadze, M. Tsereteli, M. Javakhishvili, K. Gamsakhurdia, N. Mitsishvili, or V. Kotetishvili., whose valuable time intended for their creative works was spent for the preparation of broad societyfor the future transformation of society, so it was spent for publicistic writing directed towards daily needs.

Discussion was conducted on three basic issues: with regard to 1) essence of nation, ambivalence of freedom of nation and person; 2) inevitable inclusion of art and writing within the context of modernism; 3) in terms of acknowledgement and activation of new economic order by taking into account west European experience. In this discussions were participating: A. Jorjadze, Gr. Robakidze, M. Tsereteli, M. Javakhishvili, G. Laskhishvili, S. Pirtskhalava, G. Kikodze, K. Gamsakhurdia, P. Gogichaishvili, V. Kotetishvili and others. Though it is to be noted that there were also such a young figures (N. Zhordania, P. Makharadze) who in their ways were understanding and accordingly even spread Marxism's ideology and herewith were characterized with unusual

obstinacy and purposefulness. Almost everything that they were trying to establish were antinational and alike Russian Marxism was based on the idea of class struggle (itself Georgian social-democratic party was composed of Russian social-democratic party). This line of strict differentiation was so comprehensive that soon it completely naturally developed into the requirement of art and selection of writing (at one time Vl. Lenin used to popularize this line).

G. Kikodze, who at this time was attending the lectures at European universities, also was influenced by “Manifest of Communist Party” established by Marx and Engels and “Capital” of Marx: “Capital” and “Manifest of Communist Party” altered all testaments, begun from the Gospel to the declaration of citizen and human rights. Though, soon conscious advancement of atomistic and particular tendencies by social-democrats, decision on replacement of homeland's idea with the idea of community and province made G. Kikodze to reconsider personal impartiality: “I overestimated my ideals and undergone spiritual crisis” – thus estimated he aforesaid change in his memory book “From Daybreak to Noon”.

At the same time with social-democratic party that time two political parties of social-federalists and national-democrats established in Georgia considered settlement of economic problems as the cornerstone of country's development (obviously in the context of correlation of national and social issues) and besides, the change should relate to feudal and patriarchal ethics that had to be replaced with capitalistic ethics, already developed in European countries, follower of trade and industry development. G. Kikodze also was following this opinions, despite of the fact that he was no member of any above named parties.

As a result of crystallization of look (may be also said as a staging), undoubtedly turned the letter dated by 1915 “Man with Hammer” that pathos is full of the spirit of new “Georgian reformation”. At its time Max Weber used to discuss conformity with law on movement rationalization, or so called movement of society from traditional to modern condition in the context of religion, namely within Protestantism (M. Weber, Ethics of Protestantism and Spirit of Capitalism, 1905). Rational, cheerful and purposeful person, found in the ascetic denomination of Protestantism had to become to present unknown support of social-economic formation the capitalism. Possibly, the place of particular apostasy is not also perchance chosen by G. Kikodze. In the canonical space of

Georgian temple acknowledged as the first keeper of cultural identity as sacral topos, the old traditional accents of reader are replaced, moreover their replacement by new ones. Lighting cruel light of renewal alongside to perfect frescoes, on the bas-relief of to present unknown man with hammer as on the prominent marker of changed time is perceived as well considered act. For the first time this fact was noted by critic Tamaz Vasadze, who included the text of “Man with Hammer” even in textbooks and possibly it was the most democratic and correct form of legitimation of mentioned letter written by G. Kikodze.

In the figure of architect, Basil Khurtsidze the builder of Zarzma monastery, found in Kvabliani ravine, Chulevi monastery and possibly builder of some monasteries of Zarzma, holding in his hand a tool, the hammer, here is personified very important message: call, next to Georgia with a sword and cross to the determination of worker, builder Georgia. Actually, mentioned G. Kikodze’s aspiration includes serious implications, even under the purpose stating that they present logical transformation of Ilia’s idea named, “Bloodless War”. Actually, the life of one person (Ilia’s) and broken under the violence was not enough for solving all keywords in the time of historical modern determined for us, but the activity carried out on the first stage of modernization project by “60s, (establishment of new logos, attempt of establishment of national capital, contemplation of sociocentric prevalence on literaturecentric tendencies) – is mentioned emphasizing vital vectors of country – this founding appeared to be in the possession of reliable entity. G. Kikodze’s generation was ready to make past (yesterday’s) result as an impact of present activities.

G. Kikodze’s collection of letters, titled “National Energy” published in 1919 was intended exactly for necessity of grounded transformation of Georgians consciousness, Georgian nature. Both activation of the aspiration of initiative and amateur activities and change of incorrect relation to capital had equal importance in this context. Grounded statement of author as to Georgians have to themselves make their fortune was a phrase dictated under the formed reality and used to determine action strategy of entire that times creative new generation. In is another issue that due to the faced historical condition was not possible to realize it, though immediately after the restoration of independence was made clear vitality of minds and opinions translated in the beginning of the century and expedience of their activation intended for the future of the country.

RŪTA BRŪZGIENĖ
(Lithuania)

**Musicality of Literature and Synaesthesia:
“Letters to Devdorakelis” [“Laiškai Devdorakėliui”]**

by M. K. Čiurlionis

1. Interactions between literature and music. Musicality of a text can be deliberately created at various levels. This is a presentation of musical images, motifs, and impressions (it is called a verbal music), traditional “music of words” (syntax, intonation, metric, phonics), analogues of musical forms and techniques, strategy of narrativity, archetypal emotional-dynamic models (Wolf 2002). However, rhythms, forms of ontological principles (Karbusický 1997), the main musical models (two-part, three-part, variations, rondo, sonata) can subconsciously be expressed as an emotional projection of musicality of an artistic work and its compositional processuality. Cultural anthropologist and philosopher Susanne Langer values musical composition as analogues of the forms of human feelings: she states that tonal structures which we call the “music” have a great logical similarity to the forms of human feelings—the forms of a rise and decline, flow and concentration, struggle and reconciliation, breaking the speed, severe agitation, calmness, light animation, recovery and dreamy moments; and not so much likeness to the joy and sadness, as much as to the strength of these feelings, vitally important grandeur, brevity and eternal shift of everything. Such is the structure of a sense or its logical form. As the scholar writes, the musical structure has the same form embodied in the repetition of pure rhythmical sounds and silence; music is the tone analog of emotional life. This is why such formal analogy or matching of logical structures is the first condition of connection between a symbol and its meaning (Langer 1980: 356).

1.1. Conceptions of musical form. Musical form is perceived in two aspects: the first one as a scheme (it corresponds to architectonics of a literary work), the second one as a process which corresponds the internal form of a literary work (Brūzgienė 2004). The form of a piece is effected by centripetal and centrifugal forces, where the first is described having an aspiration for non-contrast, consolidation of a single theme (in tonal music it is an aim to return to the main tonality, the tonic, the coordination of metre and rhythm). The second force expresses themes’ contrasts striving to move away from the main tonality, volatility of harmony and metro-rhythmic controversy. The form as a process would be a motion along this curve, and the form as a crystallized result of this process would be the curve itself. Curve’s shape, gradients of its parts, the change of the speed of waves, relief and background ratio depends on artistic ideas (Bobrovsky 1970: 31).

The famous German musicologist and composer Hermann Erpf emphasizes the link between language and music in his works, especially in terms of the structure. He analyzes

the musical language from various aspects: *melody* (identical, level, higher and lower tones and their groups), *tempo* (the similar speed, faster, slower), *dynamics* (the same intensity, stronger, weaker, strengthening—*crescendo*, decreasing—*diminuendo*), *timbre*—“colours of sound” (same, different). All this is close to the expression of a human speech (Erpf 1967).

The researcher presents the system of the forms of music based on the three highest level principles: *row*, *balance*, and *development*, which summarize the patterns of the internal structure of the piece and all specific musical forms can be described in this way. He considers the structure of *row-sequence* as a primary form which is based on the repetition, i.e. principles of similarity and comparison.

The second large group of forms in Erpf’s conception is the so-called *equilibrium* form (simplified they should be called *to* and *fro*), which sequentially are divided into *ordinary* forms (period, two-part, some forms of sonatas) and forms of *extended balance* (during the evolution of sonata the *row* form—the song, the fugue, fugato—and the *balance* form are combined). By the way, the balance is not identified with the uniformity of length. Trying to understand the form it is the most important to feel its flow, but its intervals may have unequal values and proportions.

The third type of forms are the *developing* forms, which are characterized not with linearity as in the *row* forms, not with sensation of retrospective approach of the end as in balanced pieces, but only with the purposeful movement, direction of both, individual parts and the whole, where individual units are seeking to join the whole and, in general, the form is surrounded by the units of climaxes. In these types of forms often the theme of a piece is formed, gradually coming out of the core and developing out of individual motifs, and it appears at the end of the piece and becomes its climax.

Depending on the artistic style of the work, epoch, understanding of the concept of the form, research direction, etc, a variety of methods and strategies can be used to explore the musicality of text. Musical terms are used not only for analysis of the musicality of time arts (concept of intermediality, in Wolf 2002), but also for description of composition, rhythm, etc. of spatial arts (art, architecture, etc.) because the scientific terminology of musical composition is well elaborated and some of the terms reach the syncretic art era or they are characteristic to the style, rhythm formation, etc.

2. Interactions of arts and synaesthesia. Speaking about aesthetics of Čiurlionis’s principles the bright trends of arts’ interaction can be highlighted. Guided by the aesthetic program of the idea of art synthesis which was advocated by the influential supporter of romanticism, symbolism and classical modernism, in his words Čiurlionis created “a new language” (Gaidauskienė 2008: 26). He transferred literary genres (tale, ballad, poem) into painting and music, and musical genres (sonata, prelude, fugue, symphony, fantasy, a psalm) into to painting and literature. As the researcher of Čiurlionis’s works Vytautas Kairiūkštis states that synthesis of visual and auditory senses exists here but not the synthesis of music and painting. Apparently, these sensations determine the usage of general music terms taken from the lexicon of “the realm of space”: high, low tone, range, etc. (Kairiūkštis 1938: 36-37). Landsbergis, referring on the “parallelism” of arts practiced by

Čiurlionis, substantiates the metaphoric character of his own terminology, which is used to comment the artist's paintings: "In addition to the semi-accurate concepts of semi-metaphoric rhythm, movement, harmony, accent that have been already accepted by art critics concepts, I think that for Čiurlionis's paintings produced in the genre of sonatas and fugues, descriptions of metaphorical polyphony, ostinato rhythm, and structure, recapitulation, specific meter-rhythmic unit and etc are acceptable. They are relatively specific analytical terms" (Landsbergis 1976: 192-193). Landsbergis also points out that speaking about the matured paintings made by Čiurlionis, metaphorical (poetical, musical) thinking permeates the perceiver as well (ibid.).

But whatever modern, innovative, various and relevant research methods and the aspects of interactions of the different arts are, essentially they are based on the traditional analysis of interactions between two arts, especially when it is considered to be the expression of "pure" abstract sensory sensations in the text. Discussion about synesthesia in arts is usually based on two main sensations which manifest in the strongest way in a particular piece. The modern concept of synaesthesia could reveal the original prospects of exploration, so it will be discussed more broadly. Even researchers of Čiurlionis's artistic heritage often examine the specific expression of musicality and the synthesis of arts in his paintings or verbal creativity, the application of the modern concept of synaesthesia and treatment of innovative synesthete-personality would be a new level in studies of the interaction of arts. Therefore, it is appropriate to introduce several paradigms of the modern concept of these phenomena by a talented philosopher, synaesthesia researcher and artist Salomėja Jastrumskytė.

2.1. Čiurlionis as a synesthete. Jastrumskytė in her work emphasizes that pan-musicality played an important role in aesthetics of synaesthesia. Besides, in the Romantic period the instrumental music was considered to be the highest form of music—the absolute music. This concept of absolute music justified "synesthesia as a synthesis of music and art or poetry and formed a long-term dispersion of this principle in symbolism and modernism" (Jastrumskytė 2011: 217). As writes the researcher, music is "the same for all sensory experiences—a musical pattern <...> is a sensitized (via auditory sense), universal and archetypal harmonious model" (ibid.).

According to the Jastrumskytė, the structures of the bodily sensations are much more complicated and organized more intricately than Aristotle's five-branch sensorium where separate senses become like blind alleys when dealing with overstepping the limits of reality (op. cit.: 174). So the concept that synesthete is the specific entirety of a human consolidates its position, and that "synesthesia existing in such person becomes a shaping force of the perception of reality and remains there, so synaesthesia can not be separated from the whole sensitized body" (op. cit.: 159).

ისევ პირველ წიგნს უნდა მივუბრუნდე. იმ რიგის ლექსებიდან ერთიც, შედარებით ადრინდელი – „გამოსალმება“ (1912) – უნდა მოვიხმო. აქაც ილიას ხატი ცოცხლდება. ყმანვილი სიმბოლოდ ქცეულ მშობლიურ მყინვარსა და მდინარეებს მიმართავს; კითხვა – „რაზედ მოგინყენია?“ სიმღერად ქცეულ ილიას ლექსს („ჩემო კარგო ქვეყანავ“) გვაგონებს, მაგრამ გალაკტიონი „მზა სტილს“ არასოდეს ჯერდება. იმავე თეიმურაზ დოიაშვილს სწორად აქვს შენიშნული: „გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში თითქმის ყველა ტრადიციული თემა ტრანსფორმირებულია ახალი ცნობიერების მიერ“. გამონაკლისი არც „გამოსალმება“, აქაც სხვა რა-

მისკენ მიემართება პოეტის ფიქრი. ამის ნათელსაყოფად პირველი და ბოლო სტროფების ამონერა მოგიწევს:

მყინვარო, რისთვის ჩაფიქრებულხარ,
არაგვო, ჩრდილი რაზედ გფენია?
მტკვარო, შენ მაინც მითხარ, რას სწუხხარ,
შენ მაინც რაზედ მოგიწყენია?

.....

დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება
ჩემი სიმღერა და ჩემი ნანა,
შემოგწირავდით ერთად ყველაფერს,
მაგრამ სხვა რაა სიმღერისთანა!

აქ მოტანილ ბოლო ორ სტრიქონს ანუ მსხვერპლად შეწირვის მოტივს, აშკარად ეხმიანება მოგვიანებით (1934), კრიზისის უამს დაწერილი ძლიერი ლექსი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. თავისი ტანჯული ქვეყნის ბედთან განუშორებლად იყო გადაჯაჭვული მისი ცხოვრება და, ბუნებრივია, რაც კი უძვირფასესი გააჩნდა (უბადლო ჩანგი და თვით გულიც) ზვარაკად მიჰქონდა სამშობლოს სამსხვერპლოზე:

სამშობლოვ, მარად მსასოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი –
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

პირველ წიგნში ყურადღებას იქცევს ერთი უსათაურო („სიცოცხლის აჩრდილს“). კომენტარებში მართებულად არის შემჩნეული ამ ლექსის მსგავსება – „როგორც რიტმულ-ინტონაციური სიახლოვე, ისე სახეობრივი პარალელი“ – ილიას „ჩიტთან“.

ჩვენის მხრივ, დავამატებდით, რომ პირველად აქ გამოიკვეთა ამჟამად ცნობილი „გალაკტიონის სტროფი“, რომლითაც პოეტმა, სიცოცხლის მიწურულს, თავისი დიდი პოემა „მშვიდობის წიგნი“ დაწერა. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ლექსის პირველ სტროფს, სადაც საზომიც (ხუთი მარცვალი) და რითამათა თანმიმდევრობაც თავიდან ბოლომდე შენარჩუნებულია:

სიცოცხლის აჩრდილს
სული არ ერთვის,
სხვა გამოძახილს
ვისმენ ყოველთვის.
მხიბლავს ეთერი
და ვმღერი... ვმღერი...
სხვა ყველაფერი
ერთია ჩემთვის.

ბარათაშვილის მსგავსად, „სულით ობოლი“, განანამები გალაკტიონი, სიყმანვილიდანვე მყუდრო „ნავსაყუდელს“, „თავშესაფარს“ დაეძებდა და ასეთად მხოლოდ გენიალური წინამორბედების სულიერი სამყარო ეგულებოდა. მას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი კლასიკურ მემკვიდრეობასთან. გეზის მიმცემად საფიცარი სახელები ჰქონდა მონიშნული და ერთ, საკუთარი მრწამსის გამოხატველ ლექსში („პოეტს“) იმ სამყაროს მარადიულ ბინადართ, ძვირფას თანავარსკვლავედს, საკრალურ ხუთეულს (ციფრი, ცხადია, პირობითია) ჩამოთვლის, სადაც მისი ფართო თვალსაწიერი ჩანს:

იქ ლოცულობდა პეტრარკას სული,
იქ მუსიკობდა თვით დანტეს ქნარი
და ბაირონის ამაყმა ლელვამ
მხოლოდ იქ ჰპოვა ნავთსაყუდარი,

იქ რუსთაველის დატრიალებდა
შემოქმედების წრფელი ნადიმი
და იქ ტოკავდა უცნაურ გზნებით
ბარათაშვილის მწუხარე სიმი.

შეუძლებელია, საქმეში ჩახედულმა ლიტერატორმა სხვა აზრი იქონიოს გარდა იმისა, რომ თხუთმეტომეულის გამოცემული ხუთივე ტომი (ეს ურთულესი ამოცანა ორ წელიწადში განხორციელდა) ყოველმხრივ – ტექსტოლოგიური ძიებები, ლექსების დალაგება, ვარიანტების შერჩევა, გარკვეულ მოსაზრებათა გამო, განზრახ არეულ-დარეული თარიღების შეძლებისდაგვარად დადგენა იქნება თუ ამომწურავი, ლაკონიური, უზუსტესი, თითქმის ყველაფერზე პასუხისგამცემი კომენტარების დართვა (გვახსოვს ის დასანანი კურიოზები, თორმეტომეულს რომ ახლდა) მომზადებულია უაღრესად კეთილსინდისიერად, უმაღლეს მეცნიერულ დონეზე. შენიშვნები, კომენტარები, სადაც თითქმის ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაშრომებია გათვალისწინებული, წინამდებარე გამოცემას არა მარტო აკადემიურ იერს სძენს, არამედ გვახედებს გალაკტიონ ტაბიძის უმდიდრეს შინაგან სამყაროში, წარმოდგენას გვიქმნის მის უსაზღვრო ინტერესებზე და იმ თავისებურებებსაც გვაცნობს, რასაც პოეტი ამა თუ იმ ლექსისა და პოემის დაწერისას იჩენდა.

პირველ ტომში შეტანილი ლექსი „ჰამლეტის ქნარით“, რომელიც უთანაგრძნობოდ დარჩენილ გალაკტიონს თავისი ახალგაზრდობისდროინდელი გატაცების, მომხიბლავი ქალის – რაისა ჩიხლაძისადმი მიუძღვნია, ქუთაისში გამოცემული კრებულის მიღმაა დატოვებული. „ჰამლეტის ქნარით“ იმავე პიროვნებისადმი (არ ვიცით, იგი მართლა იყო მონაზონი თუ არა) მიძღვნილ დანარჩენ ხუთ ლექსზე უკეთესი, უფრო ოსტატურად დაწერილია. მასში სათაურიდანვე აშკარაა მინიშნება შექსპირის უძლიერეს და უღრმეს ტრაგედიაზე, „ჰამლეტზე“. განსაკუთრებით იტქმის ეს ფინალურ სტრიქონზე, სადაც თითქმის პირდაპირაა მოყვანილი დანიის პრინცის სიტყვები: „ნადი... ნადი მონასტერში!.. მონასტერში, ოფელია!“ გა-

ვისენოთ „ჰამლეტის“ მაჩაბლისეული თარგმანის ეს ადგილი, მესამე მოქმედების პირველი სურათი: „მონასტერში ნადი, მონასტერში. რად გინდა ქვეყანაზედ ცოდვიანები გაამრავლო“.

შექსპირის ხუთტომეულის რედაქტორი (სამნუხაროდ, მხოლოდ სამი ტომი გამოვიდა), დიდად განათლებული სწავლული და მთარგმნელი პროფესორი ნიკო ყიასაშვილი კომენტარებში აღნიშნავს, რომ „მონასტერში“ „შექსპირისდროინდელი ჟარგონის მიხედვით „საროსკიპო“ იგულისხმება.

ეს „ორაზროვნების ელემენტი“ ირონიულ შეფერილობას ანიჭებს უკიდურესად გაღიზიანებული, აფორიაქებული ჰამლეტის ნათქვამს. გალაკტიონის მოტანილი სტრიქონის წარმომავლობა ისედაც ცხადია, თუმცა ალბათ შეიძლებოდა ტრაგედიის ამ ადგილის ზუსტად მითითება.

თითქოსდა განგების ნებით მოხდა – გალაკტიონ ტაბიძემ მას მერე გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი სახე და ძალა, რაც 1915 წელს ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალა ქართული პოეზიის ორი გენია – აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. „განთიადის“ ავტორის, სათაყვანებელი პოეტისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“, ძველი ინერციითაა დაწერილი. სახეობრივი მრავალფეროვნებითაც არ გამოირჩევა (იგი არცაა შეტანილი „არტისტულ ყვავილებში“), ხოლო მეორე, ათმარცვლიანი მეტრით განწყობილი „აკაკის ლანდი“, გაცილებით დრამატულია; მასში მთელი სისავსით არა, მაგრამ მანაც ახალი ხედვა, უჩვეულო პოეტიკა ჩანს და ლირიკისთვის ესოდენ საჭირო იდუმალეზაც იგრძნობა. თვალსაჩინოებისთვის ორიოდ სტრიქონს მოვიტან:

ჩუმაღ... დაღლილი სანთლებით მოდის
მნუხარე ლანდი... მაღალი ლანდი.

ეს შესიტყვებანი („დაღლილი სანთლებით...“, „მნუხარე ლანდი...“, „მაღალი ლანდი...“) მეოცე საუკუნის დამდეგის ქართული პოეზიის პირმშოა, რომლის უმთავრესი შემოქმედი და დამამკვიდრებელი თავად გალაკტიონ ტაბიძე იყო. აქაც და სხვა ტომებში შემავალ ლექსებშიც, როგორც უკვე აღნიშნეთ, რიტმის, მელოდიის, ექსპრესიის გასაძლიერებლად, გალაკტიონი ძალზე თავისებურად იყენებს გამეორებებს. ამ ხერხის სწავლა უცხოური პოეზიისაგან არ ესაჭიროებოდა; იგი განსაკუთრებით უხვად და მარჯვედ არის გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში“.

ვინც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას დაკვირვებია, შეამჩნევდა, რომ იგი ხშირად რითმავს არათანაბარმარცვლიან სიტყვებს, რასაც, ჩვეულებრივ, „კოჭლ რითმას“ ეძახიან. ამგვარი რითმა გალაკტიონისა და აკაკის პოეზიაში ტექნიკურ ხარვეზად, ნაკლოვანებად არ აღიქმება, ოდნავადაც არ აბრკოლებს ლექსის მთლიან მუსიკალობას. ეს კი იმაზე მეტყველებს, რაოდენ გაფაქიზებული ჰქონდა ორივეს შინაგანი სმენა. ზოგჯერ ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს აკაკის სული, მისი სიმსუბუქე, ჰაეროვნება, გამჭირვალეობა და მელოდიურობაც პირდაპირ გალაკტიონის არსებაში გადმოსახლდა, ღვთიური ნიჭი მემკვიდრეობით გადმოეცა.

გალაკტიონი, აკაკის კვალდაკვალ, მეტწილად, სარიტმოდ გატანილ ორმარცვლიან სიტყვას სამ, ოთხ და ხუთმარცვლიან სიტყვებს უწყვილებს (იშვი-

ათად შებრუნებითაც ხდება), რაც ლექსის ჰარმონიას სრულებითაც არ არღვევს, სტრიქონთა მდინარებაში დისონანსი არ შეაქვს. თხუთმეტტომეულის მეორე ტომიდან სახელდახელოდ ამოვიწერე ასეთი წყვილეულები, რათა გამოიკვეთოს გალაკტიონისეული გარითმვის პრინციპი: ჩუმი – აბრეშუმი; ხმაზე – სილამაზე; ხმაში – თამაში; მერი – სუროსფერი; მთანი – იალქანი; კვდომა – შემოდგომა; უსაბუროსი – ბურუსი; იშვიათი – ლანდი; ქაფი – ზეინაბი; ნემო – ნუგეშო; ჩქარა – მუქარა და მისთანანი. არაფერს ვამბობ განსაცვიფრებელი ჟღერადობის, ულამაზეს მეტაფორასთან შერწყმულ, გადაულახველ რითმაზე (სილაში ვარდი – სილაჟვარდე), რომელსაც ღვთისმშობლის, „მზე-მარიამის“ შარავანდედი ადგას.

„ახალი პოეტიკის“ კარიბჭესთან მდგარ გალაკტიონ ტაბიძეს ათვისებული ჰქონდა ევროპული პოეზიის უმდიდრესი გამოცდილება, ტრადიციულისგან მკვეთრად განსხვავებული, აგრეთვე, გაცვეთილ შტამებზე არიდებული პოეტური მეტყველება, რამაც მისი ფერისცვალება განაპირობა:

„იმპრესიონიზმი მოითხოვს შთაბეჭდილების ნიუანსების გადმოცემას, რაც მხოლოდ „სიტყვა-ნაწყვეტს“, უზუალურობისაგან გათავისუფლებულ „მინიშნებათა პოეტიკას“ შეუძლია. მოსაძებნია ისეთი სიტყვა, რომელიც აღწერის, თხრობის, პარალელების გარეშე, უშუალოდ გვაგრძნობინებს შთაბეჭდილების განუმეორებლობას, ანუ „ამოაშრობს“ გულში ნაგრძნობ-ნაფიქრალს. დადგა ძველ, რაციონალურ პოეტიკასთან გამოთხოვების ჟამი. „ოცნებაში მფრინავი სული“ თავის ქემმარტ სამოსელს, ახალ ფორმას ეძიებდა“. (თეიმურაზ დოიაშვილი)

პირველი წიგნის გამოსვლიდან ერთი წლის მერე, როგორც ზემოთ ითქვა, ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძემ ეს ფორმა იპოვა და წარმატებით დაადგა დაოსტატების ძნელ გზას.

თეიმურაზ დოიაშვილმა პოეტის არქივსა და სხვა მასალებზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაადგინა „არტისტული ყვავილების“ ნამდვილი პროლოგი და ეპილოგი, კომპოზიციურად გამართა მთელი ქართული პოეზიის უთვალსაჩინოესი წიგნი (ეს ასახულია თხუთმეტტომეულის მეორე ტომში) და თავის მეტად მნიშვნელოვან გამოკვლევაში – „არტისტული ყვავილების“ პროლოგი (ერთი ჰიპოთეზის ისტორია)“ – ეჭვმიუტანელად დაასკვნა:

„ამრიგად, „არტისტული ყვავილების“ პირველი ლექსის – „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ – აზრობრივ-კონცეფციური სიახლოვე გოტიეს „მინანქრებისა და კამეების“ წინათქმასთან და ამის მეშვეობით გოთეს „დივანის“ პროლოგთან „ჰიჯრა“, აგრეთვე რიგი კონკრეტული რეალიებისა იმის უფლებას იძლევა, რომ გალაკტიონის ეს ლირიკული შედეგრი „არტისტული ყვავილების“ პროლოგად მივიჩნიოთ“.

მკვლევარმა მალევე ცხადყო ისიც, რომ წიგნის შემკრავი, უკანასკნელი ლექსია ღრმად სიმბოლური, დაშიფრული სახეებით გაჯერებული „დომინო“, რომლის კომენტარებში ვკითხულობთ:

„კრებულის ბოლო ლექსი წიგნი-მთლიანობის ეპილოგია, რომელშიც ლირიკული ნარატივის რეზიუმირება ხდება. აქედან გამომდინარე, ავტორისეული თარიღი 1916 წელი საეჭვოა; „დომინო“ უფრო 1918-1919 წლებში უნდა იყოს დანერილი“.

ავტორს რომ მოსურვებოდა, სტილისტური ერთგვაროვნების გამო (ამას ქრონოლოგიაც ხელს უწყობდა) „არტისტულ ყვავილებში“ შეიძლებოდა შესულიყო მეორე ტომის ლექსები: „მერი“ („შენ ზღვის პირათ მიდიოდი“, „კოშკი“, „ქალის ქანდაკება“, „ოფორტი“, „ხიდი „რიალტო“ მთის მდინარეზე“). „არტისტულ ყვავილებს“, ოსტატობის მხრივ, აგრეთვე, ენათესავება 1920 წელს დაწერილი საუკეთესო ლექსები: „ტფილისი“, „გოტიეს“, „დგება შემოდგომა“, „შენ და შემოდგომა“ (არის ნეტარება), „ცხრაას თვრამეტი“, „თეთრი პელიკანი“, „მზეო თიბათვისა“, „გადია“, „მაგიდა ალემბიკებით“...

მესამე ტომში კიდევ უფრო მძლავრად, მრავალფეროვნად გრძელდება „არტისტული ყვავილებით“ დაწყებული აღმასვლა. განცვიფრებას იწვევს საზომებისა და ფორმების, ტონალობათა, გამოსახვის ხერხთა სითამამე და ნაირგვარობა. ქართველ პოეტთაგან არავის დაუხვავებია ამდენი უნატიფესი შედეგრი. მათი მართო ჩამოთვლაც კი ათეულობით გვერდს შეავსებდა.

მეოცე საუკუნის მეორე დიდმა ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ (იმათი ტოლი, თანამედროვეთაგან, არავინ ყოფილა), ძვირფასი ნეშტის წინაშე, მთაწმინდაზე, დამგლოვიარებულმა, თქვა: „გალაკტიონის შემოქმედება ჯერ ხსოვნა იყო ჩვენი სიჭაბუკისა და მერე მუსიკა ჩვენი სულისა“.

მუსიკალური ტალღა, სანყისი, უმთავრესი, არსებითია გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში, მაგრამ იგი პეიზაჟის უბადლო ოსტატიც გახლავთ – მისი თვალთ დახატული და დახატული სურათები მუდამ ლექსის მელოდიასთან არის შეხამებული. გავიხსენოთ თუნდაც მისი ნიავეით ლალი „ომნიბუსით“, სადაც პოეტი მშობლიური კუთხის ქალა-მინდვრებს აცოცხლებს და მომნუსხველად, სმენის დამატკობელად ჩაგვესმის ცხენებშებმული ეტლის „შარაგზებზე ჟღარუნი“. დედაბუნების ღვთიური წყალობა – ხილი – ასეთ მოულოდნელ ფერებში, ქართველ პოეტთაგან არავის დაუნახავს:

დაფენილი თითქო ომში,
ფშანია თუ ჟალტამი?
ველად ყრია ლურჯი კომში
და ცისფერი ატამი.

ეს სილამაზე ბოლომდე რომ შეიცნო, ფრანგი იმპრესიონისტი მხატვრების ქმნილებებს უნდა იცნობდე. გეუფლება შეგრძნება – შენს წინ გაიელვა სეზანის ნატურ-მორტმა, სადაც ხელშესახებად, მკვეთრადაა მოხაზული ნაყოფთა კონტურები. გალაკტიონს არ ესწავლებოდა, როდის რა ხილი მნიფს („მშვიდობის წიგნში“ მთებადაა დამდგარი მოსავალი), მაგრამ აქ ერთმანეთს განზრახ გადააბა ზაფხული და შემოდგომა – „ცისფერი ატამი“ და „ლურჯი კომში“ გვერდიგვერდ განალაგა. ასეთი რამ, ერთი შეხედვით, შეუთავსებელია, მაგრამ ზღაპარივით ფრთებგაშლილ მის ლექსში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

აქვე უნდა მივუბრუნდე „არტისტული ყვავილების“ ერთ მცირე ზომის შედეგს, რომელსაც სათაურად დაშიფრული ინიციალები („ი. ა.“) უზის. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების თავგადაკლულმა მემატაიანემ,

მკვლევარმა და პოეტმა ვახტანგ ჯავახიძემ თავის უაღრესად მნიშვნელოვან მონოგრაფიაში „უცნობი“ (2013), რომლის სრულყოფაზედაც ოცდაათ წელიწადზე მეტია იღვწის, ცხადყო, რომ იგი მიძღვნილია ჩვენი გამოჩენილი მწერლის ქაბუა ამირეჯიბის მამის ირაკლი ამირეჯიბისადმი, „რომელთან ერთადაც დააბიჯებდა გალაკტიონი საბედისწერო 1917 წლის მოსკოვის „შეშლილ“ ქუჩებში“.

თავდაპირველად ვახტანგ ჯავახიძე კვალმა მიიყვანა პოემა „ჯონ რიდამდე“, სადაც „ტყვიით მოკლული 5 წლის ოქროსთმიანი გოგონა“ ფიგურირებს. ამ ტრაგედიის გამოძახილს მან მოგვიანებით, შვიდი წლის შემდეგ დაწერილ ლექსშიაც („ალუჩა, შვიდი წლის ბავში“) მიაგნო.

თვალი შევავლოთ „არტისტულ ყვავილებში“ გამოქვეყნებულ ლექსს, რომელიც 1919 წლამდე, ავადსახსენებელი ოქტომბრის გადატრიალების ახლო ხანებშია დაწერილი:

ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავში
ნუკრის თვალებით, თმით – მიმოზებით
და მწუხარების მალენიავში
მოფრინდენ ლურჯი ანგელოზები.

შეშლილი სახით კივოდა ქუჩა:
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ყვოდა სოფლად ალუჩა
და გაისმოდა დების სიმღერა.

რამდენი რამ არის დატეული ამ ორ სტროფში. დასურათხატებულია ბნელი ძალებისგან რუსეთში დატრიალებული ქაოსის მთელი სისასტიკე. ბრმა ტყვიით განგმირული ნუკრისთვალება, მიმოზას ყვავილისფერი თმის გასისხლიანებული გოგონა პირქვეა დაცემული. იგი გაზაფხულზე აფეთქებული ალუჩის მოხლეჩილ ტოტთანაც არის შედარებული (გალაკტიონი შეუმჩნეველ მინიშნებათა დიდოსტატია). „მწუხარების მალენიავში“ მოფრენილი „ლურჯი ანგელოზები“ გაფითრებული დასცქერიან პანაას გაციებულ ცხედარს.

ამას მოსდევს უზარმაზარი ზემოქმედების მქონე საპირისპირო სურათი. აკივლებული, საშინელების შემსწრე „შეშლილი ქუჩა“ უძრავად რჩება და პოეტს თავის მშობელ კუთხეში გადაყვავართ, სადაც აყვავებული ალუჩა მზის სხივებშია გახვეული, თითქოს ციდან იღვრება „დების სიმღერა“, ბავშვის უმანკო სულს რომ მოუოხოს.

გალაკტიონის უჭკნობ შედეგებზე წერა (მათი დიდი უმრავლესობა მესამე ტომშია თავმოყრილი) უდიდესი სიამოვნების მომგვრელია, მაგრამ ამჯერად ამგვარ მიზანს ვერ დავისახავდი. მინდოდა უფრო, ისიც შეზღუდულად, ნაწილობრივ, ჩემი შთაბეჭდილებები გადმომეცა გალაკტიონის თხუთმეტომეულის ხუთი გამოცემული ტომის გამო, პოეტის თითქმის ოცდაათწლიან შემოქმედებით გზას (1908-1936) რომ მოიცავს და, თავისი აღნაგობით, მეცნიერულად შესწავლით, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შემდგომი კვლევისთვის მტკიცე, უაღრესად სანდო საფუძველს ქმნის.

მესამე ტომიც, დანარჩენთა მსგავსად, სამაგალითო გულმოდგინებით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა შედგენილი და ნიგნზე დართულ ბოლო-თქმაში ახსნილი, განმარტებულია ტექსტების შერჩევისა და დალაგების პრინციპი.

სავსებით გამართლებულად, ცალკე ნიგნად არის წარმოდგენილი „მნათობ-ში“ დაბეჭდილი „ასი ლექსი (1925)“, რომელსაც წინ უძღვის და მოსდევს კიდევ ორი მოზრდილი განყოფილება.

საქართველოს დაპყრობის, ძალად გასაბჭოების შემდეგ თუ რა გაუსაძლის ყოფაში აღმოჩნდა გალაკტიონი და რა მეტამორფოზები განიცადა მისმა ერთმა ლექსმა („სადღეგრძელო იყოს მისი“), ეს მთელი სიცხადით გამოავლინა თეიმურაზ დოიაშვილმა და ამიტომაც ლექსს ორმაგი თარიღი (1921; 1925) მიეცა.

მესამე ტომში შეტანილია ადრე ჟურნალ „მნათობიდან“ ამოღებული და აკრძალული პოემა – „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ – 1924 წლის სისხლ-ში ჩახრჩობილი აჯანყების გამოძახილი, რასაც დაპატიმრებული პოეტი კინაღამ გადააყოლეს.

გალაკტიონის შემოქმედების შეფასება და დახასიათება მრავალმა მეცნიერ-მა თუ ლიტერატორმა სცადა. გურამ ასათიანი ჩვენს კრიტიკოსთაგან ერთი მათგანი იყო, ვინც შეუმცდარად გრძნობდა მხატვრული სიტყვის მადლს, ძალ-მოსილებას და გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე დანერგილი მისი ესეე უთუოდ სა-უკეთესოებს მიეკუთვნება. ესაა პოეტის ერთ-ერთი რჩეულის (1973) ბოლოთქმა, საიდანაც ორი მცირე ამონარიდი უნდა მოვიშველიო:

„გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ხელოვნებაში თითქმის სრულყოფილი სახით არის განხორციელებული ე. წ. სუგესტიის – პოეტური ჩაგონების, განწყობილების გადადების პრინციპი, რომელიც სიმბოლისტური პოეტიკის მთავარ პრინციპს წარმოადგენდა“.

ასევე არსებითი, უეჭველი და განზოგადების მხრივ ფრიად მასშტაბურია მეორე დაკვირვებაც, პოეტის უკვდავ ქმნილებათა ძირითად თავისებურებას რომ ითვალისწინებს:

„შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში საერთოდ მუსიკას, ლექსის მელოდიურ გააზრებას და ინსტრუმენტირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით მისი შემოქმედება ევროპული სიმბოლიზმის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ნიმუშია“.

ვინ არ იცის, რაოდენ ძნელი, თითქმის შეუძლებელიცაა მთლიანად მუ-სიკას დანდობილი გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის უცხო ენაზე გადატანა. ბელა ახმადულინამ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა პოეტმა საკმაოდ თავისუფლად თარგმნა გალაკტიონის თორმეტი ლექსი, რამდენადაც მოუხერხდა, ჩასწვდა „ვარსკვლავთა სულზე უერცესი სულის“ სიდიადეს. ერთ-გან ჩაუნერია – დამეული თბილისის ქუჩებში როცა დადვივარ, სულ მგონია, გალაკტიონის ლანდი დამყვებო. პოეტს ამაზე უფრო ლამაზად თავყანისცემასა და სიყვარულს ცოტა ვინმე თუ გამოუცხადებს.

ახალი გამოცემის მეორე-მესამე ტომებში გვეცხადება ანტიკური აღნაგო-ბისა და მიმოხვრის ახალგაზრდა გალაკტიონი, ზევსის მრავალსახიან პირმშოს,

აპოლონის სულჩადგმულ, ამოძრავებულ ქანდაკებას რომ გავს; იმ აპოლონის, ნინასწარმეტყველის ნიჭი რომ დაჰყვა და კვიპაროსის ასხლეტილი ტანი პოეტისთვის საბედისწერო, წელში გამტეხავ სიმაღლედ მოინიშნა. კიდევ გვაგონებს „რეჟიემის“ შესაქმნელად შემართული, „შავად შემოსილი“ მოცარტის ორეულს, მუსიკის უძირო მორევში რომ გადაეშვა და მის ტალღებზე დარწეული, თვითონაც ღვთაებრივ ჰანგებად დაიღვარა. ამ დროს იყო, თავის ფაფარაყრილ „ლურჯა ცხენებს“ სხვათა ბედაურებთან გასაჯიბრებლად რომ აგულიანებდა და თავადაც, თვალეხანთებულს, ჯიშინი ულაცოვით ებერებოდა ნესტოები... ჩვენდა სამწუხაროდ, აღარ დააცადეს, ხანმოკლე გამოდგა პოეზიის წმინდა ტაძარში განმარტოების, ლექსის დიდოსტატებთან განდობის, გულის გადახსნის ნეტარი ჟამი. რუსთაველის კვალდაკვალ, გალაკტიონ ტაბიძეც სიკვდილს „თამაშად და მღერად“, „ვარდისფერ გზად“ თვლიდა, არასოდეს დაცხრომია მისი არად ჩაგდების ჟინი. განსაკუთრებით მძაფრად ამას „მთანმინდის მთვარე“ გვიმხელს. ის ათითორმეტი წელიწადი (1915-1925), თავდავინყებით რომ იყო დანთქმული პოეზიის უკიდევანო ოკეანეში, გულის გულია მისი უდარებელი ლირიკისა.

„ზარნიშინი წიგნის“ გამოცემის შემდეგ, 1927 წლიდან მოყოლებული, მკვეთრად შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გამო, გალაკტიონ ტაბიძეს ეწყება ხანგრძლივი შემოქმედებითი კრიზისი, მხოლოდ შიგადაშიგ თუ გამოუჩნდეს მისი ვეება ნიჭის შესაფერის ლექსს. გიჭირს დაჯერება, რომ პოეტი, ვინაც ფრანგული სიმბოლიზმის ერთ-ერთ ბურჯს, პოლ ვერლენს, „დალუპულ მამად“ იხსენიებდა, ასე შემანუხებლად შეცვლილიყო.

არ არის ძნელი წარმოსადგენი (ამის აურაცხელი ფაქტი არსებობს) სამწლიანი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის დამხუთველი წნეხის ქვეშ მოქცეული საქართველო, როცა სისხლისმღვრელი, უღმობელი დიქტატურის კარნახით ყველაფერი უბირი, გაუნათლებელი ბრბოს გემოვნებამდე დაიყვანებოდა.

ამ აუტანელ, დამთრგუნველ პირობებს დაუფარავად გადმოგვცემს ირმა რატიანის მრავალმხრივ საყურადღებო და საჭირო წიგნის („ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“, 2015) ერთი ადგილი:

„პროლეტარულმა რევოლუციამ, რომლის შედეგადაც დამყარდა პოლიტიკურად ერთპარტიული, ხოლო სოციალურად უნიფიცირებული (ფურცელზე მაინც) წეს-წყობილება, ე. წ. კომუნისტური დემოკრატია, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებს შეეზღუდა თავისუფალი არჩევანის უფლება, რამაც სავალალო დალი დაასვა კომუნისტურ ქვეყნების კულტურულ ისტორიას“.

კაცობრიობის უდიდესი გენია ლეონარდო და ვინჩი ადამიანის ყველაზე მთავარ თვისებად თავისუფლებას თვლიდა და რა უნდა განეცადა ხელფეხშეპოჭილ, მუდამ გათავისუფლებისაკენ მიმსწრაფ, სილაღეს მოწყურებულ ისეთ ბობოქარ ხელოვანს, როგორიც გალაკტიონ ტაბიძე იყო. უნიჭო პროლეტარული პოეტების გარემოცვაში მოქცეული „ეფემერას“ ავტორი იძულებული გახადეს, სოციალისტური ეპოქის შესაბამისად გარდაქმნილიყო (საამისოდ საგანგებო ტერმინიც კი არსებობდა – „перековка“) და ისიც ათეული წლების მანძილზე წერდა მისი სულიერი

სამყაროსთვის ყოვლად შეუფერებელ ლექსებს. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს – შინაგანი ჯანყის გრძნობა მუდამ თან ახლდა. გავიხსენოთ მისი პოემის – „საუბარი ლირიკის შესახებ“ – რეფრენი: „პოეტის ჩანგი არასოდეს არ მდუმარებდა“. არც ეს ყოფილა ცარიელი განცხადება. ოცდაათიან წლებში, როცა მეუღლე, ოღლა ოკუჯავა გადაუსახლეს და დაუხვრიტეს, ცნობილია, როგორ შეურიგებლად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ვახტანგ ჯავახიძემ პოეტის არქივში აღმოაჩინა რამდენიმე უცნაური ჩანაწერი. თავის ბიძაშვილს, ტიცვიან ტაბიძეს ხუმრობით იგი „ტიციანელოს“ ეძახდა და ო–ში თავისებურ, ღიმილისმომგვრელ აზრს დებდა. წოდებითი ბრუნვის ეს ო სტალინისადმი მიმართვაში გაკიცხვის კილოზე აუჟღერებია. ამ გადამალულ ჩანაწერებს ვახტანგ ჯავახიძე ზუსტად და მახვილგონივრულად შიფრავს: „სხვა შემთხვევაში კი ამ ხმოვანს განსხვავებული ფუნქცია დააკისრა: ორად ორი სტრიქონი დანერა და მწარე ირონია გაურია: თითქოს დიდიხნის ბოღმა და პროტესტიც ამ ორ სტრიქონში ჩაატია, თითქოს უპასუხოდ დატოვებულ ოლიას წერილებსაც ერთბაშად გამოეხმაურა და გამოექომაგა:

ასეც არ შეიძლება,
ამხანაგო სტალინო!

მერე აკაკის ორი პოპულარული სტრიქონი გაშალა და მთავრულით ერთადერთი სიტყვა მიუწერა, ადრესატი შეუცვალა და ხაზი გაუსვა, გაშიფრა და გაამხილა, გაგვენდო და გამოგვიტყდა:

ყველა სწეულებაზე სიყვარული ძნელია –
სტალინის...

უფრო მკაცრი იყო სხვა დროს...“.

ეს დაუზოგავი სიმკაცრე აშკარად ჩანს დაუთარილებელ, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით იმავე ოცდაათიან წლებში დანერილ (სიცოცხლეში ვინ გამოუქვეყნებდა) ლექსში „სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრისა“. მოვიტან მხოლოდ ორ სტროფს, სადაც „ჯერარნახულ, ჯერარგაგონილ“ მასშტაბის სისხლიანი რეპრესიების მომწყობი დესპოტის შემზარავი პორტრეტი იკვეთება:

უნდობელია მისი გენია,
არც შერბილება, არც შეცოდება,
ჯერ დედამინას არ მოსმენია
მსოფლიოს ბაგეთ ასე გოდება.

ყოველ გულს ნამავს შხამიან ნესტრით,
სულს ხორციელის ეხება დანა,
გრგვინავს ორკესტრი, გრგვინავს ორკესტრი,
მას დირიჟორობს თვითონ სატანა.

ერთი რამ კი უნდა ითქვას – „ელამი სიფილიტიკის“ (ბუნიინის გამოთქმა), კაციაჩამია ლენინისგან განსხვავებით, სტალინის აღმშენებლობის უნარი მაინც ჰქონდა და არც ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ იყო გულგრილი, ბევრი რამის ყადრი იცოდა, რთულ, წინააღმდეგობრივ ფიგურად დარჩა ისტორიაში.

აჭარაში ყოფნისას დაწერილ ლექსში „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა (1935), გალაკტიონ ტაბიძის კრიზისის პერიოდს რომ განეკუთვნება, დიდი ტრაგიზმია ჩადებული და ამავე დროს პოეტის ზღვარდაუდებელი კეთილშობილება გამოკრთის. იგი თითქოს მომავალ თაობებსაც მიმართავს, ყველას უშურველად უსურვებს, ამორებოდეთ ის უმძიმესი განსაცდელი, რაც თავად იგემა:

ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა,
თავმიდებული აჭარის კალთებს.
რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა,
თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს.

მეოთხე-მეხუთე ტომებში შემავალი ლექსების დიდი უმრავლესობა და პოემებიც, გასაგებ მიზეზთა გამო (სოციალური წყობის შეცვლა, პოლიტიკა) ვერ არის გალაკტიონის ზეგარდმო ნიჭის შესაფერის სიმალლეზე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათზე ნაკლები მუშაობაა განეული. პირიქით, თითოეული მათგანი ჯეროვნად არის შესწავლილი, კომენტირებული და მიჩენილი აქვს თავ-თავისი ადგილი.

არის შემთხვევები, როცა ოციანი წლების მიწურულს დაწერილი ლექსი სხვაგვარად – ძლიერად, შთამბეჭდავად იწყება და მერე თემა შეცვლილია, განზრახაა დარღვეული საზომი და რიტმი, მდინარება ქაოტური ხდება. ამ ლექსის პირველი სტროფი ვნებათა ლელვით, დრამატიზმითაა სავსე, ავტორის პიროვნულ ტკივილს გვამცნობს:

შენ ფოლადივით ცივი თვალებით
უმზერ განვლილ გზას და არ ემდური.
რად გინდა იყო დიდი პოეტი
თუ ცხოვრებაში ხარ უბედური?

ამავე პერიოდს განეკუთვნება ასეთივე დრამატული ფლერადობის უსათაურო, სადაც აუტანელ სიდუხჭირეში მყოფი პოეტი თავის უსასოობას მძაფრად და დახვეწილად, ჩვეული არტისტიზმით გადმოგვცემს. ვინაიდან მეოთხე ტომში ძალზე ცოტაა გალაკტიონისეული ჭეშმარიტი ლექსები, მოვიტანთ ამ უსათაუროს პირველ და მესამე სტროფებს:

მთელი ქვეყანა რომ გადაინვეს,
ცეცხლი მოედოს შრომას და ამაგს,
ჩემი ერთი ხეც არ დაინვება,
ერთი ხე რაა – ქვეყნად არა მაქვს.

.....

რაა იმაზე მეტი სიბრძნე,
სიღარიბესთან რომ სიმშვიდეა,
მისით სიკვდილის კარებთან იყვე
და მაინც კვნესდე: ღმერთი დიდია!

ულვთოდ ნატანჯი გალაკტიონ ტაბიძის ვიზიონერული მზერა ყოველთვის მომავლისკენ იყო მიმართული და მოგვიანებით დაწერილ ლექსში – „სტანსები“ (1943) წინასწარმეტყველის გზებით თქვა:

აქ დაიდგება პოეტის ძეგლი,
ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით,
იქნება, ბევრი რამე იქნება,
მხოლოდ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.

ამაყი სინანულია გამხელილი მოტანილ სტრიქონებში. კარგა ხანია მოგვევლინა დრო, თვითონ თვალნათლივ რომ ხედავდა – ახალი ათასწლეულია დამდგარი – „სხვა საუკუნე გალაკტიონის“, რომელსაც თავად ვერ მოესწრო, მაგრამ განჭვრეტილი კი ჰქონდა. ასევე ნაღვლიანი ამოოხვრითა და სიჭაბუკეშივე ჩასახული („შენ ერთი მაინც“, 1918) გაუმტყუნებელი იმედით მთავრდება ეს გულისშემძრავი ლექსი:

ოჰ, მომავალო, შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები.

მისი ნებით გამოქედილმა მომავალმა დიდი ხანია თქვა თავის ურყევი სიტყვა, რომელსაც არასოდეს გაუვა ყავლი.

წინამდებარე გამოცემაზე მომუშავეებს იმთავითვე გაცნობიერებული ჰქონდათ „იძულებით ნასწორები ტექსტების აღდგენის გარდუვალობა“ (ვახტანგ ჯავახიძე) და ამ ჩახლართულ, ურთულეს ამოცანას სანაქებოდ გაართვეს თავი – ჩვენ წინაშე მთელი სიმალლით გამოჩნდა „ჯაჭვანყვეტილი“, ბოროტი ძალების ხანგრძლივი, დამამცირებელი ტყვეობისგან თავდახსნილი გალაკტიონი.

წლების მანძილზე მართლაც რომ დიდი რუდუნებით შესრულებული უზარმაზარი სამუშაოს არსსა და მნიშვნელობას თითქმის ამომწურავად გამოხატავს ამ ყოველმხრივ მისაბაძი გამოცემის პირველ ტომს დართული სარედაქციო წერილის ორიოდ აბზაცი:

„გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა, რომელიც ტექსტოლოგიური მეცნიერებისა და გალაკტიონოლოგიის თანამედროვე მიღწევებს ეყრდნობა, უპრეცედენტოა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით პრაქტიკაში, რამდენადაც პირველად ხდება საბჭოურ-ტოტალიტარულ ეპოქაში მოღვაწე შემოქმედის ტექსტების გათავისუფლება იდეოლოგიურ-კონიუნქტურული ძალმომრეობისგან, მათი რეაბილიტაცია და ავტორის შემოქმედებითი ნების აღდგენა.“

ახალი კონცეპტუალური ხედვით მომზადებული ეს გამოცემა მკვლევარ-მეცნიერთათვის სანდო ბაზისი იქნება შემდგომ ძიებებში, საზოგადოდ კი დიდად შეუწყობს ხელს კლასიკოსი პოეტის რეალური სახის დამკვიდრებას მკითხველთა ცნობიერებაში.

გალაკტიონი უბრუნდება მისთვის ბუნებრივ – ეროვნული მწერლობისა და ევროპული ლიტერატურის კულტურულ არეალს“.

თეიმურაზ დოიაშვილს ხუთივე ტომის გამოსაცემად მომზადებისას, აგრეთვე, ბეჭდვის დროსაც, გამუდმებით ედგა მხარში მისივე გაზრდილი მეტად ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა მეცნიერი ნათია სიხარულიძე. ტექსტებზე მუშაობის პერიოდში მან ამა თუ იმ ლექსთა წყაროების მიგნებისა და ბუნდოვანი აღუზიების ამოცნობის იშვიათი უნარი, ალლო გამოამჟღავნა, რამაც არაერთხელ გამოიღო სასურველი ნაყოფი. იმედი უნდა ვიქონიოთ – მათი ერთობლივი ძალისხმევითა და უსაზღვრო თავდადებათ, დარჩენილი ათი ტომიც ასეთსავე შესაშურ დონეზე გამოიცემა. ეს სამაგალითო, ახლო მომავალში გასრულებული პროექტი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სახის წარმომჩენი და ქართული კულტურის უდიდესი შენაძენი იქნება.

Emzar Kvitaishvili
(Georgia)

“Another Century of Galaktion”
(to the new academic edition of Galaktion Tabidze’s poetry)

Summary

Key words: Galaktion tabidze, new academic edition.

More than 40 years have passed since the first 12-volume academic publication(1966–1975) of Galaktion Tabidze. The volumes prepared under the restricted conditions of the Soviet regime, where the great Georgian poet of the XX century was wrongly presented due to the ideological pressure, had quite a few faults but it played certain part and does even now for the scientific research of Galaktion’s poetry.

The archival 25 volumes printed by Giorgi Leonidze Georgian Literature Museum (2003-2008) is very significant, in which a number of unknown creation of the author, autographs of the verses, photos and letters of literary critics were published.

All these determined a new 15-volume academic publication prepared in Shota Rustaveli Institute of Georgian Literature – the publication free of Soviet conjunctures, presented without any distortion (quite of few verses of the poet were remade due to censorship or by editors).

This is Teimuraz Doiashvili who has managed this project, head of Galaktioni Research Center, and created a firm basis with a small group of the scientists in order to start

the publication of the volumes, under the consideration of the recent advances.

Prof. Irma Ratiani supported Galaktion Research Center in this great project. Soon the united efforts brought about favorable result and in 2016 and 2017 the first five volumes were printed (unfortunately, the number of copies is very little, just 200 of them).

These volumes comprise the path of 30 years (1908-1936) of the poet. The authors texts distorted by a rough editorial interferences are totally restored. Each verse and poem is followed by the most accurate comprehensive comments through which the reader is given an opportunity to better understand a rich spiritual world of the genial poet.

The published five volumes make us believe that the rest ones too will be perfect. This unique project by Shota Rustaveli Institute of Georgian literature will be accomplished on a very high level.

გაბა ლომიძე **(საქართველო)**

ქართული ლიტერატურული რუკის ხელახალი ფორმირება. ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა

დიდი ხანია მსჯელობენ ანტისტალინურ პარადიგმაზე თუ იდეოლოგიის მანქანის მიერ ათასობით შემოქმედნი (და, ცხადია, არამხოლოდ) ადამიანის ბედისწერის შეცვლის თუ მათი სიცოცხლის ხელყოფის და სახელოვნებო პროცესების იძულებით სხვა მიმართულებით განვითარების შესახებ. სტალინური რეპრესიები ერთ-ერთი ყველაზე იდეოლოგიზებული და ისეთი საკითხია, რომელზეც საბჭოთა პერიოდში, იმპერიის არსებობის მანძილზე, არ საუბრობდნენ. აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის შესწავლის აუცილებლობა სულ უფრო აქტუალური ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ლიტერატურის სისტემური შესწავლა, ახალი კუთხით, საბჭოური კლიშეებისგან თავისუფალი ანალიზი არც ისე დიდი ხნის დანეჭებულია. ამის ნიმუშია თუნდაც ლიტერატურის ინსტიტუტში გამოსული რამდენიმე კრებული, რომელიც სხვადასხვა მიმართულების პანორამულ სურათს გვთავაზობს. თუმცა მაინც არასრული იქნება 1910-40-იანი წლების ლიტერატურული პროცესების გაანალიზება, სანამ ბოლომდე არ შეისწავლიან საარქივო მასალას და მასზე დაყრდნობით არ შეფასდება მთელი პერიოდი.

ასეთ შემთხვევაში, მოძიებული და გაანალიზებული უნდა იქნას მთელი საარქივო მასალა, რომელიც აქამდე უცნობი რჩებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმის გამორკვევა, თუ რამ გამოიწვია სტალინური რეპრესიები და საერთოდ, რა ფენომენია ის. თან, წელს საიუბილეო თარიღია – ამ რეპრესიებიდან 90 წელი შესრულდა. ამისთვის აუცილებელია არა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, არამედ რეპრესირებულთა სახელები – ისინი ვინც გადაასახლეს, დააპატიმრეს ან დახვრიტეს; შესწავლილ უნდა იქნას კონკრეტული ადამიანების მოღვაწეობა – მათი საქმიანობა, რევოლუციისადმი მიმართება, ბოლშევიკების წინააღმდეგ ამბოხებებში მონაწილეობა, სადამსჯელო საქმიანობებში ჩართულობა და ა.შ. (როგორც ცნობილია, 1991 წლის თბილისის ომის დროს, საარქივო მასალის საგულისხმო ნაწილი განადგურდა და საერთო ანალიზიდან, სამწუხაროდ, ეს მასალა გამოირიცხება).

სწორედ ამ სიცარიელის ამოვსებას ითვალისწინებდა ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კრებული „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს იმ პერიოდის, 1910-40-იანი წლების ლიტერატურის და კულტურული პროცესების შემსწავლელ მკვლევარებს. ამ სეგმენტის გაუთვალისწინებლად, ცხადია, ნებისმიერი ანალიზი მაინც ნაკლები იქნება. ეს საწყისი ეტაპია. გასულ წელს გამოცემული წიგნი „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“ გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამ-

დე (1921-1941 წწ)“ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკულ პერიოდს ეძღვნება. მასში მკითხველი გაეცნობა 1937 წელს რეპრესირებული ქართველი მწერლების შესახებ ინფორმაციას, ბრალდების მოტივებს, ოქმებს და, ზოგადად, საარქივო მასალას.

წიგნის უმთავრესი სიახლე იმას გულისხმობს, რომ მასში წარმოდგენილია მეორე მსოფლიო ომამდელი მოვლენების შეფასება საარქივო მასალებზე დაყრდნობით, რაც წიგნს სრულიად განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს. აქვე უნდა ითქვას, რომ წიგნი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მხარდაჭერით განხორციელდა. როგორც წიგნის რედაქტორები — ირმა რატიანი და მაკა ელბაქიძე წერენ შესავალში, წიგნი „წარმოდგენს ქართული ლიტერატურის ისტორიის ამ ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ეტაპის – გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდის – მეცნიერულ შეფასებას კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრატეგიის ფონზე, უცნობ და ნაკლებად ცნობილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით.“ წიგნში თავმოყრილია მწერლების შესახებ ინფორმაცია; შედარებით ნაკლებად ცნობილ შემოქმედებზე უფრო ვრცელი მონაცემებია წარმოდგენილი. მაგალითად, „სომნამბულების“ ორდენის დამაარსებელ ვანლერ დაისელზე (იგივე ივანე ბაბუაძე), რომელიც ე.წ. სტალინურ რეპრესიებს ემსხვერპლა. თვითონ ორდენის სახელწოდება უკვე იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი მოდერნისტული ესთეტიკით ქმნიდა თავის ნაწარმოებებს, რაც სინამდვილიდან სიზმრების სამყაროში გაქცევას გულისხმობს. ამგვარი ესთეტიკა, იმდროინდელი ზოგადმოდერნისტული ტენდენციის პარალელურად, ერთგვარი მწერლის მხატვრული სტრატეგიაც იყო – ის, რასაც სრულიად სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორი ცენზურის მახვილი თვალისგან თავის დაღწევის მიზნით მიმართავდა – მითიური მუსიკოსი მარსიასით თუ ოვიდიუსით დაწყებული დღეს არაერთი დევნილი ავტორით დამთავრებული. როგორც წიგნშია აღნიშნული: „მიუხედავად იმისა, რომ „სომნამბულების“ წესდებაში ხაზგასმული იყო მათი აპოლიტიკურობა, ჩანს, რომ რეალობაში ისინი სრულებითაც არ იყვნენ გულგრილნი ეროვნული პრობლემის მიმართ და 1924 წლის აჯანყების დამარცხებას და ბოლშევიკურ დიქტატს მწვავედ განიცდიდნენ.“

ცხადია, ზოგადად, მოდერნისტული და ავანგარდისტული ტენდენციები იმთავითვე ანტისაბჭოური დისკურსის ნაწილი იყო და ამდენად, ამ ოპოზიციურ სტრატეგიაზე უკურეაქციამაც არ დააყოვნა, როდესაც 1937 წელს არაერთი ქართველი მწერალი და ხელოვანი „დახვრეტილი თაობის“ რიგებში აღმოჩნდა. ამის დასტურია ამავე წიგნის პირველ თავში წარმოდგენილი, ქართული ავანგარდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ჟანგო ლოლობერიძის ისტორიაც. არადა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენად განსხვავებული მიმართულებით განვითარდებოდა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, 1921 წელს ქვეყნის გასაბჭოება რომ არ მომხდარიყო. ამის დასტურია ქართული მოდერნიზმის და ავანგარდის წარმომადგენელთა შემოქმედება.

ყველაფერი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით და გასაბჭოებით დაიწყო. თბილისი, რომელიც ავანგარდის ერთ-ერთ ცენტრად ითვლებოდა, 1920-იანი წლებიდან შეიზღუდა. 1920-იანი წლების ბოლოდან ვითარება შეიცვალა. „ცისფერყანწლების“ დაჯგუფება დაიშალა და ყველამ ცალ-ცალკე გააგრძელა მოღვაწეობა. მაშინ დაწერა იოსებ გრიშაშვილმა სევდიანი განწყობის ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან“:

ძველო თბილისო! ჩემი მიზნები
აღარ მაქვს, გულში რომ გინახავდი...
გადაწყდა, უნდა შევცვალო გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...

ეს უკვე აღარ არის არტისტული კაფეების თბილისი, სადაც დილამდე შემოქმედებითი საღამოები იმართებოდა. თავისუფალი საქართველოს კულტურული ცხოვრება ოთხი წელი გაგრძელდა. ადამიანები, რომლებმაც ტფილისურ ავანგარდს ჩაუყარეს საფუძველი, 1930-იანი წლებისთვის გადასახლებებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში აღმოჩნდნენ. ბევრი მათგანი დახოცეს. ვინც მოახერხა, გრიგოლ რობაქიძის მსგავსად ემიგრაციაში წავიდა. პარიზში გადავიდა ლადო გუდიაშვილიც. იმ დროს მისი პერსონაჟები ჯერ კიდევ პირდაპირ იყურებოდნენ. მოგვიანებით კი, საბჭოთა საქართველოში დაბრუნებულმა, თვალვინაობის უყურო ადამიანების დახატვა დაიწყო. გადარჩენილთაგან ზოგმა, გალაკტიონის მსგავსად, დიოგენეს მსგავსად, ცინიკოსის ნიღბის მორგება ამჯობინა და მათთვის ცხოვრება თეატრად თუ ტრაგიკულ წარმოდგენად იქცა. ამ სტრატეგიის საშუალებით ისინი ხშირად გაბედულ ოპოზიციურ მოსაზრებებსაც აყალიბებდნენ. ზოგის შემოქმედება დაჩეხეს და დაამონტაჟეს და ცენზურის შედეგად სრულიად განსხვავებული შინაარსის მატარებელი ნაწარმოებები მივიღეთ. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ კოტე მიქაბერიძის მიერ გადაღებული ფილმი „ჩემი ბებია“, რომელშიც მრავლადაა ფუტურისტული ესთეტიკის ელემენტები. რეჟისორმა თავის ამ ექსპერიმენტულ ფილმში საბჭოთა იმპერიაში ტოტალიტარული რეჟიმის გაბატონება იწინასწარმეტყველა. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ფილმი „ჩემი ბებია“ აკრძალეს და კოტე მიქაბერიძეს ფილმების გადაღების უფლება ჩამოართვეს.

წიგნი „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“, სტრუქტურული თვალსაზრისით, მოხერხებულადაა დაყოფილი შემდეგ თავებად: „ვინც შეენირა“, „ვინც განირეს“, „ვინც გადარჩა“, რომელშიც დახარისხებულია მწერლები ბიოგრაფიების მიხედვით. ასევე, წიგნს ერთვის თავები: „მწერალთა კავშირის ტრაგიკული ხუთწლელი“, „შიშის დინამიკა“, „ადამიანური ისტორიები“ და ბოლოს – დაკითხვის ოქმები.

ის, რაც 1932 წლიდან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებას მოყვა, პრაქტიკულად, რეპრესიების პრელუდიად შეგვიძლია მივიჩნიოთ. რეპრესიის მანქანამ თვითონ დაიწყო ავანგარდის ენით კომუნიკაცია, რაზეც ბორის გროისი თავის ნაშრომში

„სტალინიზმის ტოტალური ხელოვნება“ ფუტურიზმზე საუბრისას წერს, რომ ფუტურიზმისთვის დამახასიათებელი ახალი სამყაროს შენებისკენ სწრაფვა, თავისი მილიტარისტული დისკურსით, სულ მალე განხორციელდა. „ოღონდ ამ პროგრამის ავტორი როდჩენკო და მაიაკოვსკი კი არ ყოფილან, არამედ სტალინი, რომლის პოლიტიკურმა ძალაუფლებამ მათი სახელოვნებო პროექტის მემკვიდრედ აქცია“ (გროისი 2011: 34).

ამიერიდან იდეოლოგია ხელოვნებას თავისი იდეალის შესაბამის მიზნებს და ამოცანებს უსახავს. მაგრამ როგორც ნიგნში „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“ აღნიშნულია, ქართველი მწერლების ნაწილი თავდაპირველ ეტაპზე მაინც არ კარგავს იმედს, რომ ლიტერატურის პოლიტიზაციისგან თავის დაღწევა შესაძლებელია. ამიტომაც „1931 წელს ამგვარ ალტერნატივაზე საუბრობს ნიკოლო მინიშვილი წერილში „საბჭოთა მწერლობის ახალი ამოცანები“: „...პროლეტარული დიქტატურის მე-14 წელს ჩვენ უკვე გარკვეულად უნდა მოვიტხოვოთ მწერლისგან წმინდა პოლიტიკური მომენტის გარდა მხატვრული კლასიფიკაცია. რასაკვირველია, პროლეტარული კლასიური იდეოლოგიით სავსებით გამართული მხატვრული ტექსტის მოცემა მეტად ძნელია, მაგრამ ეს კიდეც არ ნიშნავს, რომ რადგან ძნელია, ამიტომ მხატვრული შემოქმედების ფაქტად გამოცხადდეს ყოველგვარი ნაწარმოები...“ ნიშანდობლივია მინიშვილის ამ წერილზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მეორე მდივნის კარლო მელაძის გამოხმაურება: „რათ სჭირდება მინიშვილს საკითხის ასე დაყენება, როდესაც საკითხს არავინ ამგვარად არ აყენებს? მას ეს მისთვის სჭირდება, რომ გარკვევით სთქვას – პოლიტიკისა და ლიტერატურის შეთავსება დღეს შეუძლებელია.“

ნიგნში თეორიულ ჭრილშია განხილული იდეოლოგიზებული ლიტერატურა და ნახსენებია, რომ ლენინმა „კულტურას სოციალურ ძალთა ხელში მყოფი ძლიერი ინსტრუმენტი უწოდა, „რომელიც ამა თუ იმ კლასის გაბატონებას ემსახურება“ (ნონა კუპრეიშვილის სტატია „პარტიული ლიტერატურა: თეორია და პრაქტიკა“). ხელოვნების, როგორც რეალობის ასახვის და იდეოლოგიური იარაღის შესახებ მარქსისტების შეხედულება საყოველთაოდ ცნობილია. ამ გაგებით, ზოგიერთი მარქსისტი იდეოლოგისთვის მისაღები იყო, ვთქვათ, ავანგარდისტების ექსპერიმენტები, სხვებისთვის კი იმთავითვე მიუღებლად ითვლებოდა ფორმალისტური ძიებები და ამ მოტივით ებრძოდნენ ფორმალისტებს თუ ავანგარდისტებს. იდეოლოგიის და ხელოვნების მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ლეონ ტროცკის და რომან იაკობსონის პოლემიკა. როგორც ტროცკი ამბობდა, თანამედროვე ხელოვნების ახალი კომბინაციები რეალურ სინამდვილეში მიმდინარე პროცესების ასახვაა. ფუტურისტების ფორმალისტური ექსპერიმენტები, ცხადია, ორიგინალური და რევოლუციური იყო. იაკობსონი, ახალი ხელოვნების ტროცკისეული სოციოლოგიური მიზეზების ძებნისგან განსხვავებით, უფრო კულტურულ კონტექსტსა და ტრადიციაში – აინშტაინის ფარდობითობის თეორიასა და ფიოდოროვის კოსმიზმში ეძებს. ტროცკისთვის ახალ ხელოვნებას შინაარსიც რევოლუციური უნდა ქონდეს, იაკობსონისთვის

თანამედროვე ხელოვნების რევოლუციური ფორმაც კი საკმარისია. მაგრამ მეორე კატეგორია, რომელიც ფორმალურ ძიებებს და ავანგარდს უპირისპირდება და, თვითონვე ქმნიდა ახალი ხელოვნების ჩარჩოებს, რომელსაც, ცხადია, საერთო არ ჰქონდა სინამდვილესთან და ამ თვალსაზრისით, სიურრეალურ ან, უფრო ზუსტად, ჰიპერრეალურ ელფერს ატარებდა, ვინაიდან თვითონ ის სინამდვილე, რომელშიც იწერებოდა ესა თუ ის მხატვრული ტექსტი, უკვე თვითონაც არამყარ საფუძველზე აგებული მოვლენა იყო – მყიფე იდეალების მქონე ხელოვნური სახელმწიფო.

ამ პერიოდიდან დაიწყო პროლეტარული მწერლობის კრიტიკიუმების ჩამოყალიბება. როგორი უნდა ყოფილიყო პროლეტარული მწერლობა? ამ საკითხზე ბევრს კამათობდნენ. „პროლეტარულად უნდა მივიჩნიოთ ის ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს: „ლაკონიურობა, სიცოცხლე-გარკვეულობა, სისადავე... ნაწერი, რომელსაც ერთ-ერთი ამათვანი აკლია, ის პროლეტარული არაა. პირველი იმით არის გამოწვეული, რომ მებრძოლ პროლეტარიატს სასტიკად აქვს დრო განაწილებული და ზედმეტი სიტყვებისთვის და განმარტებისთვის დრო აღარ რჩება და არც საჭიროთ მიმჩნია...“ ზოია ცხადაიას ნაშრომში იკვეთება საბჭოური რიტორიკის მარკირებული ფორმულები: „სიფხიზლის მოღუწება“, „ხალხის მტრები“, „მავნებლური მუშაობა“. ამის შედეგი იყო მთელი რიგი ნაწარმოებების დაჩეხვა-გადაკეთება.

მაკა ჯოხაძის ნაშრომი შიშის დინამიკას ინტერიერის და ექსტერიერის, უკვე უშუალოდ საარქივო მასალების საშუალებით იკვლევს. ნიგნს ბოლოში ერთვის დაკითხვების ოქმები, სადაც სხვათა შორის, მკითხველს შეუძლია გაეცნოს მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმებს. ბოლოს, წარმოდგენილია უნიკალური დოკუმენტები – ტიციან ტაბიძის დახვრეტის ოქმი, მიხეილ ჯავახიშვილის განცხადება, ლევან გოთუას საბრალდებო დასკვნა, ლევან რაზიკაშვილის წერილი, პეტრე ოცხელის დახვრეტის ოქმი თუ სხვა.

ნიგნის ავტორები შესანიშნავად ახერხებენ, ერთი მხრივ, იმდროინდელი კონტექსტის პანორამულ ჩვენებას, მეორე მხრივ – თითოეული ავტორის – და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მათ შორის ნაკლებად ცნობილი მწერლების წინა პლანზე წამოწევენ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნაშრომი აუცილებელი ეტაპია, რასაც, ალბათ, შემდგომი პერიოდის მწერლობის კონტექტის და ცალკეული მწერლის ხვედრის ანალიზი მოყვება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი, რომ ეპოქის სრული სურათი აღდგეს და მოდერნიზმი უფრო ფართო კონტექსტში დავინახოთ. გამორიცხული არ არის, რომ აქ წარმოდგენილი ავტორების (ისევე, როგორც ემიგრაციაში გადახვენილი ავტორების) შემოქმედების სათანადო შესწავლის შემდეგ, იმდროინდელი ქართული ლიტერატურის – მოდერნიზმის და ავანგარდის პანორამული ანალიზი მოხერხდეს. ქართული ლიტერატურული რუკა მხოლოდ ასე შეიძლება გახდეს სრულყოფილი.

გამორიცხული არაა, რომ დღეისთვის ნაკლებად ცნობილი ან მარგინალიზებული მწერლები ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილის თვალსაზრისით, წინა პლანზეც გამოვიდნენ. ამას, ცხადია, სათანადო შესწავლა ჭირდება, რაც უკვე კვლევის შემდგომი ეტაპია.

ამავე დროს, საგულისხმო შედეგები შეიძლება აჩვენოს ცენზურის ანალიზმა – თუ რა ტიპის რიტორიკა იწვევდა მათ შემოფოთებას და როგორ იცვლებოდა ერთი ტექსტი მეორეთი; ისევე როგორც საგულისხმო შეიძლება აღმოჩნდეს რეპრესირებული ავტორის პოზიციიდან დანახული ეპოქა – როგორც საერთო სურათის, ისე სტალინური რეპრესიების, როგორც ბედისწერის განმსაზღვრელი უხილავი „მამისეული წესრიგის“ (ლაკანი) თვალსაზრისით, სტალინის იდეოლოგიის და მითოლოგიის შესასწავლად.

შემდგომში საგულისხმო სურათს მოგვცემდა რეპრესირებული ლიტერატურის თვალსაზრისით სხვა საბჭოთა რესპუბლიკების თუ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ვითარების ანალიზიც. მათი და ჩვენი მდგომარეობის შედარებითი ანალიზი ნათელს მოფენს ბევრ საგულისხმო საკითხს. მაგალითად, რა მიმართება და რა ტიპის პრობლემები იყო ამა თუ იმ რესპუბლიკასა თუ ქვეყანაში და რა საერთო ჰქონდათ მათ, ამ თვალსაზრისით. ამ და ბევრი სხვა საკითხის ანალიზისთვის აღნიშნული ნაშრომი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია და შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ამ საკითხების გაანალიზების შემდეგ გზა ეხსნება იმ პერიოდის ლიტერატურის და, ზოგადად, კულტურის უფრო ფართო, მასშტაბურ ანალიზს.

Gaga Lomidze
(Georgia)

Remapping of Georgian Literature. Bolshevism and the Georgian Literature

Summary

Key words: Bolshevism, Georgian Literature, Literary Canon.

It has been a long time since people started to talk about anti-Stalinistic paradigm or thousands of artists (and not only them), who fall victim to the ideological machine; Fates of these people have changed forever, some of them even did not survive and they were executed by the system. In some cases, artists, who survived, had to obey a new canon of the ideologized art. We think that analysis of literary processes of 1910-1940s won't be complete until archival materials are studied thoroughly and the whole period is evaluated according to these materials.

In this case all archival materials should be found and analyzed that is unknown until now. Only after this, it will be possible to answer the questions (i.e. what was the reason that provoked Stalinist repressions?) and define, what kind of phenomenon is it. This year is the anniversary of these repressions – 90 years passed since Stalinist terror. For this reason it is necessary not only statistics, but the names of executed people – who

were exiled, arrested, or shot. Activities of artists (their works, attitude to the Revolution, participation in uprisings against Bolshevik or in punitive activities, etc) should be studied. Unfortunately, a considerable part of the archival documents were destroyed in 1991 during Tbilisi war and, naturally, these materials will be excluded from the analysis.

